

ISSN 1987-5789

# ეკონომიკა და ბიზნესი



ECONOMICS and BUSINESS  
ЭКОНОМИКА и БИЗНЕС

01/2012-02/2012  
YANUARY-FEBRUARY  
ЯНВАРЬ-ФЕВРАЛЬ

2012

03060 ქავებიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საერთაშორისო რეზერვირებადი  
და რევიზორებადი სამეცნიერო-პრაქტიკული გარნაჟი

International refereed and reviewed scientific and practical journal  
of the Faculty of Economics and Business,  
Iv. Javakhishvili Tbilisi State University

Международный реферируемый и рецензируемый научно-  
практический журнал факультета Экономики и Бизнеса  
Тбилисского государственного университета имени Ив.  
Джавахишвили



გამოდის 2008 წლის იანვრიდან, ორ თვეში ერთხელ

Published since January, 2008 once in two month

Выходит с Января 2008 года раз в два месяца

რედაქციის მისამართი: თბილისი, უნივერსიტეტის ქ., №1,  
თხუ მაღლივი კორპუსი, მე-13 სართ., ტელ. 230-36-68, 599-10-38-16  
e-mail: ebf.journal@tsu.ge

## სარედაქციო კოლეგია

**რევაზ გოგოხია** – მთავარი რედაქტორი  
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,პროფესორი.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი: **გლადიმერ პაპავაშვილი**  
სილაგაძელეო ჩიქავა.

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი: **იური ანანიშვილი**, რამაზ აბესაძე, სიმონ გელაშვილი, რევაზ გველესიანი, ნუგარ თოდეა, ირაკლი ქოვანაძე ეკა ლევაშვილი, მურთაბ მაღრაძე, მაია მარგველაშვილი, ქეთევან მარმავა, ელგუჯა მუქაბიშვილი, იაკობ მესხია, ნუგარ პაიჭაძე, სერგო სანაძე, მურმან ტურავა, მირიან გუხაშვილი, ეთერ ხარაბაძე, ელენ ხარაბაძე, რომან ხარბელია, ნოდარ ხადური, თემურ შენგელია, ემზარ ჯერენაია.

## EDITORIAL BOARD

**Revaz Gogokhia** – Editor-in-chief Doctor of Economic sciences, professor.

Corresponding members of Georgian National Academy of Sciences, doctors of Economic Sciences: **Vladimer Papava, Avtandil Silagadze, Leo Chikava.**

Doctors of Economic Sciences, professors: **Iuri Ananiashvili, Ramaz Abesadze, Simon Gelashvili, Revaz Gvelesiani, Nugzar Todua, Irakli Kovsanadze, Eka Lekashvili, Murtaz Magradze, Maya Margvelashvili, Ketevan Marshava, Elguja Mekvabiishvili, Iakob Meskhia, Nugzar Paichadze, Sergo Sanadze, Murman Tura-va, Mirian Tukhashvili, Eter Kharaishvili, Elene Kharabadze, Roman Kharbedia, Nodar Khaduri, Temur Shengelia, Emzar Jgerenaia.**

## РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ

**Реваз Гогохия** – главный редактор, доктор экономических наук, профессор.

Члены-корреспонденты Национальной Академии наук Грузии – **Владимер Папава, Автандил Силагадзе, Лео Чикава.**

Доктора экономических наук, профессора: **Юрий Ананиашвили, Рамаз Абесадзе, Симон Гелашвили, Реваз Гвелесиани, Нугзар Тодуа, Ираклий Ковсанадзе, Ека Лекашвили, Муртаз Маградзе, Майя Маргвелашвили, Кетеван Маршава, Злгуджа Меквабишили, Якоб Месхия, Нугзар Пайчадзе, Серго Санадзе, Мурман Турава, Мириан Тухашвили, Етер Хараишвили, Элене Харабадзе, Роман Харбедия, Нодар Хадури, Темур Шенгелия, Эмзар Джеренаия.**

---

---

## **სარედაქციო პოლეგიის უცხოელი წევრები.**

კოლუგანგ ვენგი – ბერლინის (გერმანია) უნივერსიტეტის პროფესორი, ჰარალდ კუნცი – ბრანდენბურგის (გერმანია) უნივერსიტეტის ეკონომიკური თეორიის კათედრის გამგე, კიმ ტაქსირი – რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ჯოზეფ ხასიდი – ბირუების (საბერძნეთი) უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი, ტომას ჰალდმა – ტარტუ უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი.

### **FOREIGN MEMBERS OF THE EDITORIAL BOARD OF ECONOMICS:**

Wolfgang Weng – Professor at Berlin University (Germany), Harald Kunz – Head of department of Economic theory at Brandenburg University (Germany), Kim Taksir – Academician of Russian Academy of Sciences, Joseph Hassid - Dean of the Faculty of Economics Piraeus University (Greece), Professor, Toomas Haldma – Tartu University's Dean Faculty of Economics and Business Administration, professor (Estonia).

### **ИНОСТРАННЫЕ ЧЛЕНЫ РЕДАКЦИОННОЙ КОЛЛЕГИИ:**

Волфганг Венг - Профессор Берлинского Университета (Германия), Кунц Гаралд – зав. кафедрой экономической теории Брандербургского Университета (Германия), Ким Таксир – Академик Российской Академии Наук, Джозеф Хассид – декан экономического факультета Пирейского Университета (Греция), Тоомас Халдма - декан факультета экономики и администрирования бизнеса Университета Тарту (Эстония), профессор.

---

---

## შინაარსი

საშობაო ეპისტოლე .....11

### ეპონომიკური თეორია და ეპონომიკური პოლიტიკა

ელგუჯა მექვანიშვილი. დამწევი განვითრების სტრატეგია	25
და საქართველოს ეკონომიკის მომავალი კაატა კოდუაშვილი, ბალი რამიშვილი. მიწა და სახელმწიფო	35
ნაირა ღველაშვილი. ინოვაციური საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების საზღვარგარეთული	
გამოცდილება	47
ხანძრი გარენია. რეგიონული ინოვაციური პოლიტიკის საკითხისათვის	57
თამარ კბილაძე. საქართველოს ეკონოკავშირთან ინტეგრაცია საგადასახადო სისტემის სრულყოფა-ჰარმონიზაციას მოითხოვს	67

### მიკრო-მაკროეპონომიკა

შურმან ცარციანე, ნათელა ლაცააია. შრომის პაზრის განვითარების პერსპექტივები საქართველოში	77
ნავირა კაპულია. ეკონომიკური რევენების თეორიები ეკონომიკური კრიზისის ასპექტით	97
ლავით ნიშარაძე. მრავალეროვნული კომპანიების კონკურენტუარიანობა გლობალური მასშტაბით	107
Жанна Толордава. Новые направления экономической науки	117
ვახტანგ ჭარაბია. ეკონომიკური რეალობა და პერსპექტივები	125

---

---

## მენეჯმენტი. მარკეტინგი. ტურიზმი

ნებგარ პატაძე. ადამიანური რესურსების მართვის სპე- ციალისტთა როლი და მათი მომზადების აუცილებლობა .....	135
ვლადიმერ ღლონტი, სოფია მეგრელიშვილი. სამუშაო ძა- ლის ხშირი გადინების მიზეზები სამომხმარებლო და სას- ტუმრო ინდუსტრიაში .....	151
იოსებ მასურაშვილი. ურბანული მენეჯმენტის აქტუალური საკითხები .....	161
ლაშა ლაბაშვი, მაია გრიგორიაშვილი, მარა ჭითანავა. საქართ- ველოში 7-8 მლნ ტურისტი 2015 წელს -	
მითი თუ რეალობა .....	169
კონსტანტინე მეგრელიშვილი. მენეჯმენტში კომუნიკაციის მნიშვნელობის ფიზიკური გამოსახვის	
საკითხისათვის .....	175
ეკა ლევიძე. იმერეთის დაცული ტერიტორიების როლი და მნიშვნელობა .....	181
სამაცნერო კონფერენციის ორი საინტერესო დღე .....	188

### სახელმხან აღაშიათია გაღმამა

სწავლულ ეკონომისტთა დიდი დანაკლისი	
ზორბგი პაპაშვილი .....	192
ეკონ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი როინ ჩეგიძე 70 წლისაა .....	196

---

---

## CONTENTS

Christmas Epistle .....	11
-------------------------	----

### ECONOMIC THEORY AND ECONOMIC POLICY

<b>ELGUJA MEKVABISHVILI.</b> Catching up Development Strategy and the Future of Georgia's Economy .....	25
<b>PAATA KOGUASHVILI, BADRI RAMISHVILI.</b> Land and the State .....	35
<b>NAIRA GHVEDASHVILI.</b> Foreign Experience of State Regulation of Innovative Activities .....	47
<b>JANDRI ZARANDIA.</b> Regarding the Issue of Regional Innovation Policy .....	57
<b>TAMAR KBILADZE.</b> Integration of Georgia with the European Union requires Harmonization and Improvement of Tax System .....	67

### MICRO-MACROECONOMICS

<b>MURMAN TSARTSIDZE, NATELA LATSABIDZE.</b> The Prospects of Labor Market Development in Georgia .....	77
<b>NAZIRA KAKULIA.</b> Theories of Economic Fluctuations with Aspects of Economic Crisis .....	97
<b>DAVIT NIZHARADZE.</b> Competitiveness of Multinational Company on a Global Scale .....	107
<b>ZHANA TOLORDAVA.</b> New Directions in Economic Science .....	117
<b>VAKHTANG CHARAIA.</b> Euro: Reality and Perspectives ...	125

---

---

## **MANAGEMENT, MARKETING, TOURISM**

<b>Nugzar Paitchadze. The Role of Human Resource Management Specialists and the Necessity to Prepare Them .....</b>	<b>135</b>
<b>Vladimer Glonti, Sopiko Megrelishvili. The Reasons of Increased Outflow of Workforce from the Hotel and Service Industry .....</b>	<b>151</b>
<b>Ioseb Masurashvili. Actual Issues of Urban Management ...</b>	<b>161</b>
<b>Lasha Labadze, Maia Grigolia, Maka Tchitanava. 7-8 Million Tourists in Georgia in 2015 - Myth or Reality .....</b>	<b>169</b>
<b>Konstantine Megrelishvili. Description of Management by Laws of Physics .....</b>	<b>175</b>
<b>Eka Devidze. The Role and Importance of Imereti Protected Areas .....</b>	<b>181</b>
<b>Two Interesting Days of the Scientific Conference .....</b>	<b>188</b>
<b>Gallery of Famous People</b>	
<b>A Great Loss for Economists –</b>	
<b>Giorgi Papava .....</b>	<b>192</b>
<b>Doctor of Economic Sciences, Professor</b>	
<b>Roin Kutidze is 70 years old .....</b>	<b>196</b>

---

---

## СОДЕРЖАНИЕ

РОЖДЕНСТВЕНСКОЕ ЭПИСТОЛЕ ..... 11

### ЭКОНОМИЧЕСКАЯ ТЕОРИЯ И ЭКОНОМИЧЕСКАЯ ПОЛИТИКА

ЭЛГУДЖА МЕКВАБИШВИЛИ. Стратегия догоняющего развития и будущее экономики Грузии .....	25
ПААТА КОГУАШВИЛИ, БАДРИ РАМИШВИЛИ. Земля и государство .....	35
НАИРА ГВЕДАШВИЛИ. Заграничный опыт государственного регулирования инновационной деятельности .....	47
ДЖАНДРИ ЗАРАНДИЯ. К вопросу региональной инновационной политики .....	57
ТАМАРА КБИЛАДЗЕ. Интеграция Грузии с Евросоюзом требует усовершенствование – гармонизацию налоговой системы .....	67

### МИКРО-МАКРОЭКОНОМИКА

МУРМАН ЦАРЦИДЗЕ, НАТЕЛА ЛАЦАБИДЗЕ. Перспективы развития рынка труда в Грузии .....	77
НАЗИРА КАКУЛИЯ. Теории экономических колебаний в аспекте экономических кризисов .....	97
ДАВИД НИЖАРАДЗЕ. Конкурентоспособность многонациональной компании в глобальном масштабе .....	107
ЖАННА ТОЛОРДАВА. Новые направления экономической науки .....	117
ВАХТАНГ ЧАРАИЯ. Эвро: реальность и перспективы ...	125

---

---

## **МЕНЕДЖМЕНТ. МАРКЕТИНГ. ТУРИЗМ**

<b>НУГЗАР ПАИЧАДЗЕ.</b> Роль специалистов управления человеческих ресурсов и необходимость их подготовки .....	135
<b>ВЛАДИМИР ГЛОНТИ, СОФИКО МЕГРЕЛИШВИЛИ.</b> Причины частой утечки рабочей силы в потребительской и туристической индустрии .....	151
<b>ИОСИФ МАСУРАШВИЛИ.</b> Актуальные вопросы урбанизированного менеджмента .....	161
<b>ЛАША ЛАБАДЗЕ, МАИЯ ГРИГОЛИЯ, МАКА ЧИТАНАВА.</b> В Грузии 7-8 млн турист в 2015 году – миф или реальность .....	169
<b>КОНСТАНТИНЕ МЕГРЕЛИШВИЛИ.</b> К вопросу о значении физического изображения коммуникации в менеджменте .....	175
<b>ЭКА ДЕВИДЗЕ.</b> Роль и значение Имеретинской защищенной территории .....	181
<b>ДВА ИНТЕРЕСНОГО ДНЯ НАУЧНОЙ КОНФЕРЕНЦИИ.....</b>	188

## **ГАЛЕРЕЯ ПРОСЛАВЛЕННЫХ ЛЮДЕЙ**

### **Большая утрата учёных экономистов**

<b>ГЕОРГИ ПАПАВА</b> .....	192
----------------------------	-----

### **Доктору экономических наук, профессору**

<b>РОИНУ КУТИДЗЕ 70 лет .....</b>	196
-----------------------------------	-----

## საშობაო ეპისტოლე

ყოვლად სამდგედელონო მდგდელმთავარნო, მოძღვარნო, დიაკონნო, ბერ-მონაზონნო, ყოველნო სულიერნო შეიღონ საქართველოს სამოციქულო ეპლესიისა, ღვთივეურთხეული ივერიის მკვიდრნო და ჩვენი სამშობლოს საზღვრებს გარეთ მცხოვრებნო თანამემამულენო!

„ამპარტავანთა შემუსრავს ღმერთი,  
ხოლო მდაბალთ მოანიჭებს მადლს“  
(I პეტრე 5:5)

მადლობა უფალს, რომ კვლავ გავხდით დირსნი, მოგვესმინა ანგელოზთა საოცარი საგადობელი: „დიდება მადალთა შინა ღმერთსა, ქუეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება“ (ლუკა 2:14).

ყოვლადწმიდა სამების მოწყალებით „სიტყვა ხორციელ იქმნა და დაემკვიდრა ჩვენს შორის სავსე მადლითა და ჰეშმარიტებით“ (იოანე 1:14).

დიახ, „დღეს დავითის ქალაქში დაიბადა... მაცხოვარი, რომელიც არის ქრისტე უფალი“ (ლუკა 2:11) და „უწოდებენ სახელად ემ-მანუელს, რაც თარგმანებით ნიშნავს: ჩვენთან არს ღმერთი“ (მათე 1:23).

გიხაროდენ, ერნო,, „რაც არ უხილავს თვალს, არ სმენია ყურს და არც კაცს გაუვლია გულში, ის განუმზადა ღმერთმა თავის მოყვარეთ“ (I ქორ.2.7.6.).

მაშ, მივებალოთ მას და თაყვანი გსცეთ, ვითარცა მწყემსთა ბეთლემისათა და შევწიროთ ძვირფასი ძღვენი, ვითარცა მოგვთა აღმოსავლეთისათა.

იგი მოვიდა ამქვეყნად, რათა მოუხმოს თავის ცხოვართ და აზიაროს ისინი ჰეშმარიტ თავისუფლებასა და ბედნიერებას.

ვინ შეიძლება შემოგვთავაზოს უკეთესი არჩევანი? ანდა რა

---

---

შეიძლება იყოს ამაზე მეტად სანუკვარი?!

მაგრამ ამას ბევრი ვერ ხვდება, არამედ მხოლოდ ისინი, რომელნიც სიცოცხლის აზრს სწორად აცნობიერებენ.

საერთოდ, ყოველი გონიერი ადამიანის ცდილობს, პასუხი გახვეს კითხვას, - რისთვის არის ამ ქვეყანაზე და რა უნდა აკმოდოს? ეს კი ცხოვრების საზრისის, ანუ სამყაროში თავისი ადგილის, პოვნას გულისხმობს. თუმცა არსებობენ ისეთნიც, რომელნიც ასეთ კითხვას მოელი ცხოვრების მანძილზე არ უსვამენ საკუთარ თავს და მიწიერ ყოფას უმიზნოდ და, შესაბამისად, უაზროდ ამთავრებენ.

საზოგადოების ნაწილი კი თავის მრწამსს, თავის დანიშნულებას საკუთარ წარმოდგენაზე, ან სხვადასხვა თეორიისა და რელიგიის სწავლების საფუძველზე აყალიბებს. მათი ქმედება, რა თქმა უნდა, მოტივირებულია და ხშირად წარმატებულიც ამ ქვეყანაზე. მაგრამ სულის ცხონება, რაც ყველაზე მთავარია და არსებითი, ამ გზით ვერ მიიღწევა.

ყველასგან განსხვავებულია ჰეშმარიტ სარწმუნოებაზე დაფუძნებული ცხოვრების საზრისი. მას შეიძლება „ქრისტესმიერი გონება“ ეწოდოს, რადგან იგი, პირველ რიგში, სულიწმიდის მადლობელებას გულისხმობს, შემდეგ კი ადამიანურ შესაძლებლობებს.

„ქრისტესმიერი გონის“ შესახებ შეიძლება ითქვას იგივე, რასაც წმიდა პავლე მოციქული ჰეშმარიტ სიყვარულზე წერს, რომ იგი არ ქედმაღლობს, არ ზვაობს, არ შურს, არ ეძებს თავისას, არ მრისხანებს, არ განიზრახავს ბოროტს, არ მოიწონებს უსამართლობას, არამედ ჰეშმარიტებით ხარობს, ყველაფერს იფარავს, ყველაფერი სწამს, ყველაფერს ითმენს, ყოველთვის იმედი აქვს.

ამ სულისკვეთებით ცხოვრობდნენ ჩვენი წინაპრები.

ქართული სულის ერთ-ერთი სახასიათო თვისება შოთა რუსთაველმა ასე გამოთქვა: „რასაცა გასცემს შენია, რას არა, დაკარგულია“.

ზოგიერთი ვერ ხვდება მის შინაარსს, რადგან, მიწიერი ლოგიკით, სხვისთვის მიცემული ნივთი თუ ქონება გამცემს აღარ

ეკუთვნის და ეს ნათქვამი, ბუნებრივია, მისთვის გაუგებარია.

არადა, აღნიშნული აფორიზმი შეიცავს დრმა ქრისტიანულ სწავლებას ადამიანის უკვდავების შესახებ.

მორწმუნეს სწამს, რომ მის მიერ აღსრულებული უანგარო ქველმოქმედება სათნოა ღვთისათვისაც და ადამიანისათვისაც. ამასთან, იცის, რომ რასაც გასცემს ამქვენიურ დროებით ყოფაში, მას მარადიულ ცხოვრებაში დაიუნჯებს და ეს არის მიზეზი მისი სულიერი სიხარულისა, ხოლო სადაც არ გასცემს, ბუნებრივია, ის მას მარადიულ ყოფაში მოაკლდება.

ამიტომაც, ქრისტიანული ტრადიციის მიხედვით, მიცვალებულის სულისთვის, ლოცვასთან ერთად, მის სახელზე მოწყალების გაღება აუცილებელია, რაც დიდად შეეწევა გარდაცვლილს.

სწორედ ასეთი აზროვნებიდან მომდინარეობს ქართველი კაცის სტუმარობის მოყვარეობა, ხელგაშლილობა, თანადგომისა და თავგანწირვის უნარი: ისიც, რომ იგი კველაზე ძვირფასს, სიცოცხლეს, უშურველად წირავდა მოყვასისა თუ სამშობლოს საკეთილდღეოდ.

ეს დამოკიდებულება იმდენად შეისისხლხორცა ჩვენმა ერმა, რომ იგი მის განუყოფელ თვისებად იქცა.

„ხამს მოყვარე მოყვრისათვის, თავი ჭირსა არ დამრიდად,

გული მისცეს გულისათვის, სიყვარული გზად და ხიდად”, - საუკუნეებია შთამომავლებს დევიზად გადაეცემათ ეს სიტყვები.

ასე იზრდებოდნენ თაობები; რა თქმა უნდა, მათ შორის მუდამ იყვნენ კარიერისა და პირადი კეთილდღეობის სურვილით საკუთარი მეობისა და ქვეყნის ინტერესების ნებაყოფლობით უარმყოფელი და საზოგადოებისათვის ცუდი მაგალითის მიმცემი, მაგრამ დღემდე სწორედ იმიტომ მოვალწიეთ, რომ ქართველი ხალხის უდიდესი ნაწილი გაჰყვა არა მათ, არამედ ჩვენი ეროვნული მეობისა და სარწმუნოებისათვის თავდადებულებს.

ახლა დრო შეიცვალა, თუმცა ბრძოლა ისევ გრძელდება; განსხვავება კი ისაა, რომ თუ ადრე დაპირისპირებული მხარეების საჯარისო ნაწილები ომობდნენ, ახლა ბრძოლა ადამიანის საზრისის, ანუ აზროვნების წესისთვის, მიმდინარეობს, რაც თანამედროვე

---

---

საინფორმაციო ტექნოლოგიებით ხორციელდება;

ძირითადად ამ გზით ვრცელდება ფსევდოკულტურა და ან-ტირელიგიურ დირებულებათა სისტემები, რომელთა ქვაკუთხედსა და მთავარ მამოძრავებელ ძალას ეგოიზმი წარმოადგენს.

ეგოიზმის წინ წამოწევა კი ხელ უწყობს პიროვნებაში მომხმარებლური და მომხვეჭებულური მისწრაფებების განვითარებას, რაც იწვევს საზოგადოების საერთო დეგრადაციას, ხოლო გარემოში – ეკოლოგიურ კატასტროფებს.

უარყოფითი საინფორმაციო ველი ყველაზე მეტად მომავალ თაობაზე მოქმედებს. ისინი ხომ ცხოვრების დიდ ნაწილს ტელევიზორთან და ინტერნეტთან ატარებენ და, ფაქტობრივად, არავინ არის მათი სწორად ფორმირებისათვის ხელისშემწყობი, რადგან სკოლაც და უმაღლესი სასწავლებელიც სათანადოდ ვეღარ ასრულებენ აღმზრდელობით ფუნქციას, არც მშობლებს სცალიათ შეილებისათვის; ეკლესიაც მასთან მისულთა მიმართ ძირითადად აღსარებითა და ზიარებით იფარგლება.

ეს ასე აღარ უნდა გაგრძელდეს და რეალური ნაბიჯები უნდა გადავდგათ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ამისთვის კი არსებული ვითარება სწორად უნდა შევაფასოთ.

ფაქტია, რომ ელექტრონული მასედითთან უარყოფითთან ერთად, ძალიან ბევრი საინტერესო ინფორმაციაც ვრცელდება ყველა სფეროში. ამაშია გლობალიზაციის ერთ-ერთო დადებითი მხარე და სწორედ ეს უნდა გამოვიყენოთ სათანადოდ.

ვფიქრობთ, ამიტომაც კარგად უნდა ავითვისოთ ახალი ტექნოლოგიები და მათი საშუალებითაც უნდა გავუჩინოთ ახალგაზრდებს ღრმა აზროვნების სურვილი, ავისა და კარგის გარჩევის უნარი, გავუდღვივოთ ინტერესი სხვადასხვა ქვეყნის ისტორიისა და კულტურისადმი, რათა დააფასონ სხვათა ლირსება და მათგან კეთილი შეითვისონ.

მაგრამ ყოველივე ამას შეძლებს მხოლოდ ის, ვისაც მყარად აქვს ჩამოყალიბებული ეროვნულ-ქრისტიანული საზრისი. ამისთვის კი აუცილებელია, ვასწავლოთ მათ საქართველოს ისტორია და ლიტერატურა, ქართული ფოლკლორი, კულტურა და ჩვენი ქრის-

ტიანული ტრადიციები..., ჩვენ უნდა შევქმნათ კონკურენტუნარიანი საინფორმაციო გარემო, რომელიც ზემოაღნიშნულ ფასეულობებს დაეფუძნება და მათ თანამედროვეობასთან შეაზარებს. ეს კი და-დად დაეხმარება ახალგაზრდებს, დამოუკიდებლად გასცენ აასუხი დროის გამოწვევებს.

### ამაშია საქართველოს გადარჩენა.

ახლა კი ოქვენს ყურადღებას საქართველოს ისტორიაზე შევაჩერებ.

სამწუხაროდ, ჩვენი უძველესი ისტორიის ზოგიერთი საპანძო საკითხი, რაც ქართველთა წარმომავლობასა და ერთობის ერთიანობას უკავშირდება, რეალური სახით თანამედროვე საზოგადოებამ ნაკლებად იცის. ამის მიზეზი არის ის, რომ ცარიზმი და საბჭოთა იმპერია ყოველთვის ცდილობდნენ, იგი არაობიერქურად წარმოეჩინათ. მათ არ სურდათ, ჩვენს ხალხში ეროვნულ-პატრიოტული სულისკვეთების გადვივება, რადგან იგი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოთხოვნის საშიშროებას შეიცავდა. არაობიერქურად მიწოდებული ისტორიის საფუძველზე, სრულიად უკანონოდ და უსამართლოდ შეიქმნა, მაგალითად, ავტონომიები, XX საუკუნის დასაწყისში რუსეთის მიერ დაპყრობილ საქართველოში.

ადრეც მთექვამს, რომ სწორედ ამიტომ, განსაკუთრებულ ცენტურას განიცდიდა ქართული ისტორიოგრაფია, ენათმეცნიერება და სხვა ისეთი მიმართულებები, რომელიც მსოფლმხედველობის განმსაზღვრელ დარგებად მიიჩნეოდა.

ჩვენს ცნობილ მკლევარებს დიდი ძალის ხმევა და თავდადება დასჭირდათ, რათა ნაწილობრივ მაინც გადაერჩინათ და დღემდე მოეტანათ ჩვენი ერის ისტორიული სიმართლე.

ახლა კი, როდესაც აღსდგა საქართველოს თავისუფლება, აუცილებელია, შეგნებულად დაფარული წარსულის წარმოებინა და საქართველოს ობიექტური მატიანის დაწერა უხსოვარი დროიდან დღემდე (აღნიშნულ საკითხზე ბოლო სხდომაზე იმსჯელა წმ. სინოდმა და მიიღო სათანადო გადაწყვეტილება). ამას ჯერ კიდევ XIXს-ში და XXს-ის დასაწყისში ცდილობდნენ ჩვენი სასიქადულო მამულიშვილნი, მაგრამ მათი ნააზრევი მაშინდელი სახელმწიფო

---

---

ბრივი იდეოლოგიის საპირტონედ, ბუნებრივია, ვერ იქცა.

მაგალითად, გავიხსენოთ წმიდა ილია მართალი, რომელიც ქართველთა ფესვებს უკავშირებს ურარტულ წიაღს, რასაც, ალბათ, ისიც განაპირობებდა, რომ ურარტულთა სამ მთავარ დათავებას შორის უპირველეს „ქალდი” ერქვა.

„ურარტულნი ქართველთა წინაპარნი ყოფილან, ქართველთა სისხლ-ხორცი”, - წერს იგი „ქვათა დაღადში” და ამ აზრს მისი დროის უცხოელ მეცნიერთა კვლევებითაც ამჟარებს.

თავის ცხობილ ნაშრომში, - „ივერიის კულტურული როლი რუსეთის ისტორიაში”, - კათოლიკოს-პატრიარქი კირიონიც არაერთხელ აღნიშნავს, რომ ქართველნი შთამომავალნი არიან ქალდეებითა, რომელთაც დიდი წვლილი შეიტანეს უძველესი მსოფლიო ისტორიისა და კულტურის განვითარებაში.

საყურადღებოა, რომ „ქალდი” დღესაც ჰქვია უძველესი ქართულ კუთხეს ტრაპიზონის მთებში, სადაც ოდითგან ცხოვრობდნენ დაზები.

„ქალდეად” ლაზურ-ჭანურ სივრცეს მოიაზრებს დიდი მეცნიერი პავლე ინგოროვაც.

ამ ტოპონიმთან დაკავშირებით კი პირველი ინფორმაცია ჩვენს წერილობით წყაროებში ლეონტი მროველთან გვხვდება. „ქართლის ცხოვრებაში” კითხულობთ: „კულად გამოვიდნენ სხუანი ნათესავნი ქალდეველნი და დაეშენეს იგინიცა ქართლს”.

სიტყვა „ქალდიდან” უნდა იყოს ნაწარმოები ჩვენი ერის ეთნონიმი „ქართიც”, რომელსაც, ალბათ, უფრო ინფორმაციის უქონლობის გამო, მეცნიერთა დიდი ჯგუფი მხოლოდ ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ საქართველოს აღმნიშვნელად მიიჩნევდა.

სინამდვილეში „ქალდი” საერთო ქართული სამყაროს, კოლხეთის, ცენტრს, მის გულს ერქვა. გვიანდელ პერიოდში კი, უცხოტომელთა ზემოლის შედეგად, ამ ცენტრმა ქართული ტომებითვე დასახლებულ ჩრდილო-აღმოსავლეთ რეგიონში, იმავე კულტურის წიაღში, გადმოინაცვლა და შეიქმნა ქართლის სამეფო, რომლის სახელწოდებაც, როგორც დიდი ილია ვარაუდობს, სწორედ „ქალდიდან” მომდინარეობს.

**ამდენად, ქალდი – ქართი – ქართლი – ქართველი, ჩვენი ერის ისტორიული გზის, ჩვენი ერთობის გამომხატველი ტერმინებია.**

საერთოდ, ეს საკითხი შემდგომ კვლევასა და გადრმავებას საჭიროებს.

საუკუნეების სიღრმიდან მომდინარე ჩვენმა გენმა გაუძლო ათასი ჯურის გარეშე ძალებისა და სხვადასხვა იმპერიის არაერთ მცდელობას, რომ გავეთიშვეთ და დავენაწევრებინეთ; ჩვენ შევძლით, საკადრისი პასუხის გაცემა მათ ვერაგულ ქმედებებზე და დღემდე ერთობითა და ერთსულობებით მოვალწიეთ. ჭკვიან მტერსა და უბუნურ მოყვასს დღესაც უნდა ჩვენი გაყოფა, მაგრამ, დვოის მოწყალებით, ამას ვერ მიაღწევენ. ჩვენ უნდა შევძლოთ, რომ ვიყოთ არა როსტომ ხანის, არამედ ცოტნე დადიანის მემკვიდრენი.

ჩვენი ერის ერთიანობის უნიკალურობა ჩვენს საოცარ მრავალფეროვნებაშია. ყველა კუთხე თავისებურებებით გამოირჩევა: განსხვავებულია მათ სიმღერა, ცეკვა, სამოსი, სამზარეულო, მეტყველება, კილო; მაგრამ ამავე დროს ყოველივე ეს ერთიანი ქართული სელის განუყოფელი ნაწილია.

სასიათიც განსხვავებული გვაქვს; ზოგი უფრო ფიცხია, ზოგი დინჯი, ზოგი იუმორით სავსეა, ზოგიც მკაცრი, ზოგი სიტყვაძუნწია, ზოგი სიტყვამრავალი, ზოგი უფრო ალდოიანია, ზოგი კი დამყოლი ბუნებისა და მიამიტი..., მაგრამ ამ სხვაობის მიუხედავად, გვახასიათებს მთავარი საერთო თვისებებიც: სიყვარულის ნიჭი, მაღლიერების განცდა, გულწრფელობა და სიალალე...

ჩვენს ერს ყოველთვის პქონდა მაღლიერების გრძნობა დათო-სადმი. ამის დადასტურებაა საუკუნეთა მანძილზე, - განსაკუთრებით კი ყველაზე დიდი გაჭირვების ჟამს, - აშენებული ეკლესია-მონასტრების სიმრავლე. ეს განცდა მას ათენისტურმა საშინელმა რეიიმ-მაც კი ვერ ჩაუქლა. ამიტომაცაა, რომ ახლა, პოსტსაბჭოთა პერიოდში, მიუხედავად სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური ხანგრძლივი კრიზისია, მიუხედავად გარედან თავსმოხვეული შეიარაღებული კონფლიქტებისა, ხალხის ძალისხმევით ათასობით ეკლესია-მონასტრები აღდგა და აშენდა, ამჟამად კი დვოის სადიდებლად და სამადლობლად, მრევლის შესაწირით, შეიქმნა უნიკალური ხატი,

---

„საქართველოს იმედი”, რომელზეც ჩვენი ეკლესიის უფლა წმინდანი და მსოფლიო მართლმადიდებელი ეკლესიის მნათობნი არიან გამოსახული, რათა მათი მეოხებით გადავრჩეო და გადარჩეს ჩვენი ქვეყანა; ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ უფლის წინაშე ვალი მოვიხადეთ და გასაკეთებელი აღარაფერი გვაქვს.

ურწმუნოთა 70-წლიანმა ბატონობამ ჩვენს საზოგადოებას ღრმა კვალი დააწინია და დამახინჯა ჩვენი ცხოვრების წესი და აზროვნება; სხვადასხვა სახით ეს დღესაც ვლინდება. მათ შორის მადლიერების განცდასთან მიმართებაშიც.

დვითისადმი მადლიერების გამოხატვა საჭიროა როგორც მთელი ერისთვის, ისე ცალკეული პიროვნებისთვის, რადგან ასეთი დამოკიდებულება მადლის მოპოვების უმარტივესი და ერთ-ერთი უმთავრესი საშუალებაა.

სახარებაში ვკითხულობთ, რომ განკურნებული ათი კეთროვანიდან მხოლოდ ერთი, სამარიტებლი, დაბრუნდა მაცხოვართან მადლობის სათქმელად და ამიტომაც ლირსი გახდა შემოქმედი ღმერთი შეეცნო და ცხოვნების გზა ეპოვა, ხოლო დანარჩენმა ცხრა განკურნებულმა კეთროვანმა, რომელიც აბრაამის შთამომავალნი იყვნენ და „სასუფევლის ძედ” იწოდებოდნენ, უმადურობით დაპარგება უფალი.

წმინდა მამები გვასწავლიან, რომ საიდუმლო სერობის შემდეგ დვთის უდიდეს საიდუმლოს ნაზიარებ იუდას გულითადი მადლობა რომ ეთქვა იესო ქრისტესთვის, იმ საშინელ დაცემას თავიდან აიცილებდა. ამიტომაც, იუდა დალატოან ერთად, უმადურობის სიმბოლოდაც მიიჩნევა.

მადლიერების გრძნობა დვთისაგან გვაქვს მონიჭებული, - წერენ მამები, - და თვით ადამიანური ბუნება გვიძიგვებს ასეთი დამოკიდებულება გვქონდეს ჩვენთვის მზრუნველობით. შინაური ცხოველები და მხეცებიც კი ავლენენ სიყვარულს კეთილისმყოფელთადმი და რაოდენ გვმართებს, ეს განცდა გამოვხატოთ მის მიმართ, რომლისგანაც შეიქმნა ყოველი, რომელმაც მოგვმადლა ქვეყანა „უთვალავი ფერითა”, მოგვანიჭა სიცოცხლე, გონება, თავისუფალი ნება, ჯანმრთელობა, სიყვარულის უნარი, ბედნიერების

განცდა, სამყაროს აღქმა, რომელიც გვითხნებს ყოველ დღეს, გვაძლევს საკვებს, სითბოს, ჰაერს, წყალს და, რაც ყველაზე მთავარია, თავისი ჯვარცმისა და მსხვერპლშეწირული სიყვარულის ფასად ბოძებული წარუვალი ნეტარი ცხოვრების შესაძლებლობა.

განა შეიძლება, რომ ყოველ წამს არ ვგრძნობდეთ მის მზრუნველობას, ვიყოთ ყოველივე ამის მომხმარებელი და არ გამოვხატავდეთ მისდამი გულწრფელ მაღლიერებას?!

გიქცევით კი ასე?

ჩვენდა სამარცხინოდ, ხშირად მაღლიერებას, ასე თუ ისე, ადამიანებისადმი უფრო ვიჩენთ, ვიდრე უფლის მიმართ.

მოწვენებით მაღლიერებას კი, როგორც ყველაფერ ფარისევლურს, აზრი არა აქვს და სისაძაგლეა იგი დგთისა და კაცის წინაშე.

გავიხსენოთ კაენისა და აბელის მაგალითი.

რატომ შეიწირა ღმერთმა აბელის მიერ მირთმეული სამაღლობელი ძღვენი, ხოლო კაენისა – არა?

იმიტომ, რომ აბელმა თავისი ქონების საუკეთსო ნაწილი გაიღო და ეს უფლისადმი მთელი სიწრფოებითა და მაღლიერებით გააგეთა, კაენმა კი უგულოდ, მოვალეობის მოხდითა და ამპარტავნებით.

სწორედ ამიტომ განიძარცვა იგი მაღლისაგან და დაეუფლა საშინელი შეური ძმის მიმართ, შემდეგ კი იმდენად დაეცა, რომ ყურად აღარ იღო აღარც შემოქმედის გაფრთხილება: „თუ სიკეთის მქმნელი არა ხარ, ცოდვა ჩასაფრებულია კართან, შენსკენ აქვს მას ლტოლვა, შენ კი იბატონე მასზე” (დაბ.4.7) და მკვლელობის უსაშინელესი ცოდვის პირველი ჩამდენი გახდა.

ამის მთავარი მიზეზი კი უმაღურობა იყო.

უმაღურობა ამპარტავანთა, ანუ ყველაზე დიდი და საშინელი ცოდვის მქონეთა, ვერთ-ერთი თვისებაა; მაშინ, როდესაც გულწრფელი მაღლიერება თავმდაბლობის გამოხატულებაა და ასეთ ადამიანებს ახასიათებთ.

ღმერთს მაღლობა უნდა შევწიროთ ყველაფრისათვის, მათ შორის ავადყოფობისა და სხვადასხვა განსაცდელთათვის, რადგან

---

---

უფლის განგებულებით აღესრულება ყოველი და იგი აუცილებელია ჩვენი სულიერი აღზრდისა და ცხონებისათვის.

„ვინც უყვარს უფალს, მასვე ზრდის, ხოლო შოლტით სცემს ყველას, ვისაც ძედ იღებს... და თუ შორს ხართ აღზრდისაგან..., ნაბუშრები ხართ და არა შვილები” (ებრ.126,8), - გვასწავლის პავლე მოციქული.

შეჭირვებისა და მწუხარების მადლიერებით დათმენის საუკეთესო მაგალითია კონსტანტინეპოლის პატრიარქი, წმ. ოთანე თქროპირი.

იგი იყო მსოფლიო ეკლესიის უთვალსაჩინოები მოდგაწე, გამორჩეული თეოლოგი, მჭერმეტყველი; მისი ნაშრომები დღესაც სამაგიდო წიგნებია ქრისტიანული რელიგიით დაინტერესებულ-თათვის.

წმ. ოთანე თქროპირი როგორც საზოგადოებაში, ისე სამეფო კარზე უდიდესი სიყვარულითა და ავტორიტეტით სარგებლობდა, მაგრამ შურითა და ცილისწამებით სავსე ადამიანებმა იმდენი შეძლეს, რომ იმპერატორის ბრძანებით პატრიარქობიდან გადააყენეს და უსამართლოდ დევნილი და შეურაცხყოფილი გადასახლებაში გაგზავნეს ჯერ სომხეთში, შემდეგ კი – საქართველოში, კერძოდ, აფხაზეთში, სოფ. კომანში, სადაც აღესრულა კიდეც.

ასეთი დამცირების მიუხედავად, იგი სიცოცხლის ბოლომდე ქრისტეს ერთგულ მხედრად დარჩა და მაცხოვრისა და მოყვასის სიყვარული არასოდეს დაშრეტია; პირიქით, აქედან ანუგეშებდა ბიზანტიაში დარჩენილ თავის სამწეროს და მოუწოდებდა, ნებისმიერ სიტუაციაში მადლიერი ყოფილიყვნენ უფლისა.

სწორედ მას ეკუთვნის ცნობილი სიტყვები: „მადლობა ღმერთს ყველაფრისათვის”, რაც, ფაქტობრივად, პავლე მოციქულის ხათქვამის გამეორებაა: „მადლიერნი იყავით ყველაფრისათვის, რადგან ასეთია თქვენდამი ნება ღმრთისა ქრისტე იესოში”. (I თესალ. 5.18).

ასეთი დამოკიდებულება სულაც არ ნიშნავს იმას, თითქოს მძიმე მდგომარეობას უნდა შევეგუოთ და ხელი დაგმორჩილდეთ, ანუ ბედისწერის შესახებ არასწორი სწავლება გავიზიაროთ.

არა, მუდამ საჭიროა ლოცვა და სწორი ქმედება, როგორც ბრძანებს უფალი ჩვენი იქსო ქრისტე: „ითხოვდით და მოგეცეს თქვენ, ეძიებდეთ და – პპოვოთ” (მათე 7.7) ოდონდ, ამას არ უნდა ახლდეს დრტინვა და მრისხანება, არამედ შემოქმედისადმი ყოველივე მადლიერებით უნდა აღესრულებოდეს და თუ ჩვენი სურვილი იმ ეტაპზე ჩვენი სულისთვის სასარგებლოა, მაცხოვარი აუცილებლად შეისმენს მას.

გავიხსენოთ მართალი იობი, როგორი სიმშვიდით, მოთმინებითა და მადლიერებით მიიღო მან თავსდატეხილი დიდი განსაკვდელი; სანაცვლოდ კი უფალმა ამქვეყნადგე მრავალწილად დაუბრუნა ქონებაც, დიდებაც და პატივიც.

სამწუხაროდ, ათეისტური აზორვნების გავლენითაა, რომ განსაკვდელის დათმენა და მადლიერებით მიღება თანამედროვე საზოგადოების დიდი ნაწილისათვის სრულიად გაუგებარია, რადგან ისინი ასეთი დამოკიდებულების კეთილ შედეგს მიწიერ ყოფაში ვერ ხედავენ და, ამასთან, არ სჯერათ, რომ გარდაცვალების შემდეგ მარადიული სიცოცხლე იწყება. ამიტომაც ესწრაფვიან დიდებასა და კეთილდღეობას ამქვეყნად.

ურწმუნო ადამიანი როდესაც სიკეთეს აკეთებს, ფიქრობს, რომ მხოლოდ იგია მადლერების დირსი დამ ას ეკუთვნის სათანადო დაფასება. იგი ვერ აცხობიერებს, რომ ასეთი ქველმოქმედება პირადად მისთვის ახალი დიდი ცოდვის მიზეზი ხდება, რადგან ქება ამპარტავნებას უძლიერებს და მის სულს კიდევ უფრო აზიანებს.

ხოლო, როდესაც მორწმუნე აღასრულებს სიკეთეს, ამას უფლის სახელით იქმს და ამასთან, მადლობს შემოქმედს, რომ საშუალება მისცა სხვისთვის სიხარულის მინიჭებისა; ხარობს გაცემით, თუმცა თავს აღსრულებული ქველმოქმედების მხოლოდ გამტარად, საშუალებად აღიქვამს, ამიტომაც ჩრდილში ყოფნას ირჩევს და მადლობას და დიდებას უთმობს ღმერთს.

უფლისა მადლიერებას ყოველდღიური ლოცვებიც გვასწავლის, ხოლო ვინც ჯერ კიდევ ეცდესიურად არ ცხოვრობს და ეს ლოცვები არ იცის, აუცილებელია, გულში მაინც თქვას მადლობა, თუნდაც საჭმლის მიღების შემდეგ; ასეთი მცირედი წრფელი

---

---

ქმედებაც კი მადლს მოაპოვებინებს და ცხონების გზას აპოვნინებს მას.

ამ თემაზე განსაკუთრებული ყურადღება იმიტომ გავამახვილეთ, რომ მადლიერება უმთავრესი ქრისტიანული საონეგბათა-განია და მასთან დაკავშირებით ჩვენი დამახსხჯებული დამოკიდებულებები, აუცილებლად, უნდა გამოვასწოროთ.

მაშინ, როდესაც მოიწევა ადსასრული, „წინასწარმეტყველებანი განქარდებიან, ენები დადუმდებიან და უქმი გახდება ცოდნა” (Iორ.13.8), როდესაც რწმენაც განხორციელდება და აღსრულდება სასოებაც, ადამიანის სულს სასუფეველში მხოლოდ სიყვარულის გრძნობა და მადლიერების განცდა გაჰყვება. იგი ჭეშმარიტი სიყვარულის თანმდევია ამქვექნიურ ცხოვრებაშიც და მასთან ერთად ზემობს მარადიულ ნეტარებაში.

წმ. ამბროსი ოპტინელი წმ. პავლე მოციქულის დარიგების გათვალისწინებით, გამოყოფს ოთხ უმთავრეს საონეგბას და გვასწვლის: 1) იყავით მრავლის დამთმენი; 2) მარადის ხარობდეთ; 3) მუდამ იღლოცეთ; 4) მადლიერნი იყავით ყოველთვის; და ამასთან აღნიშნავს, რომ ამ საონეგბათა მოპოვება ბოლოდან ანუ მადლიერებით უნდა დავიწყოთ, რათა მადლი შევიძინოთ.

მადლი არ იყიდება და არც სხვა საშუალებით გადაეცემა. ნებისმიერმა ჩვენგანმა თვითონ უნდა იღვაწოს, იმდენი მადლი მოიპოვოს, რომ ცხონდეს. ამისთვის კი თავმდაბლობა უპირველესი პირობაა. უფალი ბრძანებს: „ამპარტავანთა შემუსრავს ღმერთი, ხოლო მდაბალთ მოანიჭებს მადლს” (Іვეტრ 5.5).

ამასთან, ადამიანს რაც უფრო მაღალი აქვს თანამდებობა და, აქედან გამომდინარე, პასუხისმგებლობა, მადლომოსილებაც მეტი მართებს. მადლომოსილ პიროვნებათა სიმრავლე ქმნის ერთს კეთილდღეობას, მადლის სიმცირე კი ხშირად განაპირობებს მის განსაცდელში ყოფნას.

ჩვენი პრობლემების უმეტესობაც მადლის ნაკლებობიდან მომდინარეობს.

მართალია, უდმერთობის ხანა დასრულდა და ხალხი ეკლესიური გახდა, მაგრამ მათი დიდი ნაწილის სარწმუნოება მაინც

ნელ-თბილია, რადგან ყველაფერს გარეგნულად უგულოდ აკეთებენ. ქრისტეს სახელი მხოლოდ გონიერასა და ბაგებზეა, გულში კი ისევ „ძველი კაცი” სახლობს. ისინი, მართალია, ამბობენ აღსარებას და ასრულებენ საეკლესიო წესებს, მაგრამ, ამავე დროს, მათვის უცხო არ არის განკითხვა, ცილისწამება, ამპარტავნება, სიცრუე, ეჭვი, უსიყვარულობა, გულგრილობა, სიზარმაცე, შური, მრისხანებას;:

დაცემა და ადამიანური სისუსტენი ყველას აქვს, მაგრამ „მორწმუნეთა” ამ ნაწილისათვის ორმაგი სტანდარტებით ცხოვრება მისადები გახდა და შეეჩინება ამ მდგომარეობას.

დმერთისთვის კი ასეთი მიუღებელნი არიან და, ბუნებრივია, არც მათი სათხოვარი შეისმინება.

წმიდა იოანე ლეონტეულელის გამოცხადებაში ვკითხულობთ: „ვიცი საქმენი შენი; არც ცივი ხარ და არც ცხელი; ოჳ, ნეტავ ცივი მაინც იყო, ან ცხელი. მაგრამ რაკი ასე ნელ-თბილი ხარ... ამიტომ ამოგანთხვევ პირისაგან ჩემისა” (3.15-16).

დმერთმა ნუ ქნას ამ მდგომარეობაში დაამთავროს ვინმეტ სიცოცხლე.

მაშ, მოვიკრიბოთ შინაგან ძალა, ვისწავლოთ სწორი დამოკიდებულება დვთისადმი და მოყვასისადმი; დავიწყოთ ყველაზე მარტივით, მადლიერებით. ელემენტარულ სიკოთეზეც კი გულწრფელი მადლიერება გამოგოქვათ, ხოლო კაცთა შორის განსაკუთრებული მადლობა გვმართებს მშობლებისადმი, „რათა კეთილი გვეყოს და დღეგრძელ ვიყოთ ქვეყანასა ზედა”. ასევე უნდა მოვიქცეთ ხანდაზე მულთა და გარდაცვლილ წინაპართა მიმართ.

განვაგდოთ ჩვენგან „ძველი კაცი”, გულის კარი გავუდოთ მაცხოვარს; და იგი ჩვენში აუცილებლად დაივანებს. ხოლო როდესაც ეს აღსრულდება, დაინახავთ, რომ ჩვენს შინაგან სამყაროში ყველაფერი ძირფესვიანად შეიცვლება და უფალიც მოგვაგებს თხოვნისამებრ.

საყვარელნო შვილნო, უდიდესი კრძალვით, სიყვარულითა და მადლიერებით განვუფინოთ ჩვენი სული, გული და გონება ბე-თლემის ბაგასა შინა მწოლ ყრმას, ჩვენს უდიდეს მარადიულ ნუ-გეშსა და იმედს და შევდალადოთ უფლის წინაშე ჩვენს საოცარ

---

---

მეოხსა და მფარველს, ყოვლადწმიდა დვთისმშობელს:

„მოწყალებისა კარი განგვიდე კურთხეულო დვთისმშობელო, რათა რომელნი ესე შენ გეხსავთ, არა დავეცნეთ, არამედ განვერნეთ წინააღმდეგომთა მტერთაგან, რამეთუ შენ ხარ ცხოვრება ნათესავისა ქრისტიანეთასა, ამინ!“

საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ მცხოვრებნო ყოველნო ქართველნო, აფხაზნო, ოსნო და ბერძენნო, რუსნო და უკრაინელნო, აზერბაიჯანელნო და სომებნო, ასირიელნო და უდინნო..., საქართველოს მკიდრნო ყველა სხვა ერის წარმომადგენელნო, მართლმორწმუნენო, „მოიპოვეთ შეუძერელი სასუფეველი და იქონიეთ მადლი და „მოადექით თქვენ სიონის მთას და ქალაქს ცოცხალი დმერთისას, ზეციურ იქრუსალიმს და ანგელოზთა უხილავ სიმრავლეს. მოზეიმე საკრებულოს და ცაში ჩაწერილ პირმშოთა ეკლესიას და ახალი აღთქმის შუამდგომელს იქსოვ“ (ებრ.12.28, 22-23) და გიხაროდეთ, რამეთუ დდეს იშვა ქრისტე!

სიყვარულით თქვენთვის მლოცველი

ილია II

სრულიად საქართველოს  
პათოლიკოს – პატრიარქი

შობა ქრისტესი  
თბილისი, 2012 წელი

დამწევი განვითარების სტრატეგია და საქართველოს  
ეკონომიკის მომავალი

ელგუჯა მექატიშვილი  
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

**შესავალი**

XXI საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისში კვლავ აქტუალურია საქართველოს ეკონომიკის სტრატეგიული განვითარების პრობლემა, რომლის ირგვლივ ქართულ საზოგადოებაში, უპირველეს ყოვლისა, მეცნიერ-ეკონომისტთა შორის საკმაოდ განსხვავებული მოსაზრებები არსებობს. ზოგიერთი მიიჩნევს, რომ ბუნებრივ -კლიმატური პირობებიდან გამომდინარე, პრიორიტეტული მიმართულება ტურიზმისა და ზოგადად მომსახურების სფეროს განვითარებას. სხვების აზრით, ქვეყნის ხელსაყრელი გეოსტრატეგიული მდგომარეობა მაქსიმალურად უნდა იქნეს გამოყენებული საქართველოს სტრანზიტო ფუნქციის რეალიზებისა და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის. არც თუ ისე ხშირად გამოითქმის მოსაზრება, რომ საქართველოს ეკონომიკის აღორძინება-განვითარება უნდა დაუკავშირდეს მსოფლიოში მიმდინარე გლობალზაფიისა და ახალი პოსტინდუსტრიული რეალობის ჩამოყალიბების კანონზომიერებებს. ეს უკანასკნელი გულისხმობს არამარტო წარმოების ტექნიკურ-ტექნოლოგიური და ორგანიზაციული საფუძვლების შეცვლას, არამედ მთლიანი საზოგადოებრივი ორგანიზმის ძირეულ გარდაქმნას, ახალი ზნეობრივი ნორმების, სტანდარტების, იდეალების ფორმირებას, ახლებურ აზროვნებას.

განვითარების ველტორის ძიება რთულ და უსწრაფესად ცვალებად გარემოში, მტკიცენებული და მრავალწახნაგოვანი გონებრივი პროცესია, წარმატება ამ საქმეში კი ბევრ ფაქტორთანაა დაკავშირებული. იგი მოითხოვს როგორც ჩვენი ეროვნული ტრადიციების, კულტურის, ისტორიის, თანამედროვე სოციოკულტურული ყოფის, ქართული მენტალიტეტის არქეტიპისა და გენოტიპის, ასევე მსოფლიოს სხვადასხვა ქეყვანაში საზოგადოებრივი ტრანსფორმაციის პროცესში გამოყენებული სტრატეგიების, მათი რეალიზებით მიღებული შედეგების ცოდნის და ეროვნულ ნიადაგზე გადმოწერგვის შესაძლებლობათა ანალიზს.

საქართველოს ეკონომიკის სტრატეგიული განვითარების ერთ-ერთი გზის დასაბუთებას ეძღვნება წინმდებრე ნაშრომი.

**დამწევი განვითარების სტრატეგიის არსი**

დამწევი განვითარება (catching up development) ზოგადად, მსოფლიო

## ელგუჯა მექანიზმები

ავანგარდის ქვეყნებისაგან იმ ქვეყნების ტექნოლოგიურ-ეკონომიკური და სოციალური ჩამორჩენის დაძლევას გულისხმობს, რომელებიც სხვადასხვა მიზეზის გამო ისტორიული პროცესის რაღაც ეტაპზე განუვითარებელ მდგრამარეობაში აღმოჩნდნენ. ამ პრობლემის კვლევას საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია აქვს. იგი დაიწყო XIX საუკუნის პირველ ნახევარში გერმანელი ეკონომისტის, „გერმანული ისტორიული სკოლის“ წარმოამდგენლის ფლისტის მიერ. დამწევი განვითარების სტრატეგიის რეალიზების მსოფლიო პრაქტიკა რამდენიმე ეტაპს მოიცავს. პირველ ეტაპზე, ანუ სამრეწველო რევოლუციის ეპოქაში დაწინაურებული ქვეყნები იყო ინგლისი და ბელგია. რიგმა ქვეყანამ - საფრანგეთმა, ნიდერლანდებმა, შვეიცარიამ, შვედეთმა, დანიამ დაიწყეს დამწევი განვითარების სტრატეგიის განხორციელება და XX საუკუნის დასაწყისში განვითარებული მრეწველობის მქონე საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებად გადაიქცნენ. ევროპული სახელმწიფოების გარდა დამწევიგანვითარების პირველ ეშელონში შევიდნენ: აშშ და დიდი ბრიტანეთის ე.წ. „თეთრი დომინიონები“ - კანადა, ავსტრალია და ახალი ზელანდია. XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში მათ მიემატა მეორე ეშელონის ქვეყნები - გერმანია, რუსეთი, ასეტრია-უნგრეთი, იტალია და აზიური ქვეყანა - იაპონია. ამ ქვეყნებში ინდუსტრიალიზაცია ფორსირებული ტემპებით გამოირჩეოდა, რაც ეკონომიკაში სახელმწიფოს აქტიურმა ჩარევამ განაპირობა. დაჩქარებული ინდუსტრიალიზაცია ზოგიერთ ამ ქვეყანაში ტოტალიტარული რეჟიმების - კომუნიზმისა და ფაშიზმის ჩამოყალიბებით დამთავრდა. ამ რეჟიმების მობილიზაციური პოტენციალი ძალიან მაღალი იყო, რამაც ასახვა ჰპოვა ბევრი მნიშვნელოვანი ეკონომიკური მაჩვენებლის არსებით ზრდაში. კერძოდ, 1933-1938 წლებში გერმანიაში სამრეწველო წარმოების მოცულიბა 102 %-ით გაიზარდა, ეროვნული შემოსავალი კი გაორმაგდა. სსრ კავშირში 1929 წლიდან (ინდუსტრიალიზაციის დაწყების პერიოდიდან) 1960 წლამდე სამრეწველო წარმოების ზრდის საშუალოწლიური ტემპი შეადგენდა 5,4 %-ს, დასავლეთის ქვეყნებისა კი - 2,7 %-ს<sup>1</sup> აქევე უნდა შევნიშნოთ, რომ ზრდის ასეთი მაღალი მაჩვენებლები განპირობებული იყო არა ტოტალიტარულ ქვეყნებში დამკვიდრებული ადმინისტრაციულ-მბრძანებლური სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირებით, არამედ სახელმწიფოს ხელში ქვეყანაში არსებული ყველა მნიშვნელოვანი რესურსის თავმოყრით და მათი ერთი მიმართულებით გამოყენებით. სწორედ ამით აისხება ის ფაქტი, რომ ინდუსტრიალიზაციის შიგა წყაროების ამოწურვისა და გარე წყაროების პრაქტიკულად არარსებობის გამო, მოგვიანებით სსრ კავშირში სამრეწველო წარმოების ტემპებმა სისტემატური კლება იწყო. ასე, მაგალითად, 1961-1970 წლებში იგი საშუალოდ შეადგენდა 4,2 %-ს, დასავლეთის ქვეყნებში კი - 5,8 %-ს; 1971-1980 წლებში 2,6

1 Мировая экономика. Главные тенденции за 100 лет. М., 2003. с. 545-546.

## ეკონომიკური თეორია და ეკონომიკური პოლიტიკა

%-ს და 3,4 %-ს; 1981-1990 წლებში - 0,7 5-ს და 3,1 %-ს.<sup>1</sup>

XX საუკუნის 50-60-იან წლებში დამწევი განვითარების სტრატეგიის რეალიზებით მნიშვნელოვან ეკონომიკურ შედეგებს მიაღწიეს აზიურმა სახელმწიფოებმა - იაპონიამ, ტაივანმა და სახმრეთ კორეამ. მათ მიერ გატარებული პოლიტიკა გულისხმობდა სხვისი გამოგონებებისა და ნოუ-ჰაუს სამამულო საწარმოებში მასობრივ გამოყენებას, რომლის საფუძველზეც იწარმორებოდა მაღალკურაციული პროდუქცია და ხდებოდა მსოფლიო ბაზრების თანადათანობით დაპყრობა. როგორც მოფლიო ბანკის ერთ-ერთ ანგარიშშია აღნიშნული: „ეს ქვეყნები იმის იმპორტირებას ახდენდნენ, რაც უკვე იცის დანარჩენმა სამყარომ, ექსპორტირებას კი იმსა უკეთებდნენ, რაც ამ დანარჩენ სამყაროს სჭირდება“<sup>2</sup>.

ამ ქვეყნების წარმატებით შთაგონებულმა ბრიტანელმა ეკონომისტმა ა. გერშენკომა (Gerschenkorn) შექმნა „ჩამორჩენილობის უპირატესობის კონცეფცია“, რომლის თანახმადაც დამწევის პოზიციაში მყოფ ქვეყნებს ის უპირატესობები გააჩნია, რომ ახალი ტექნოლოგიების ათვისება მათ გაცილებით უფრო სწრაფად შეუძლიათ, ვიდრე „პიონერმა“ ქვეყნებმა შეძლეს მათი შექმნა. აქედან გამომდინარე, „ღარიბ ქვეყნებს მდიდარი ქვეყნების დაწევის კარგი შანსები უჩნდება“<sup>3</sup> დაასკვნის მეცნიერი.

უფრო მოგვიანებით, XX საუკუნის 70-80-იან წლებში, ლათინური ამერიკის ზოგიერთ ქვეყანაში (ბრაზილია, არგენტინა), აგრეთვე ინდოეთში გამოყენებული იქნა დამწევი განვითარების მოდელი, რომელსაც უწინდებენ „შიგნით ორიენტირებულ განვითარებას“ (inward looking development). მასში აქცენტი გადატანილია იმპორტშემცვლელი პროდუქციის უპირატეს განვითარებაზე, იმპორტის შეზღუდვასა და სამრწველო თვითუზრუნველყოფაზე. შიგნით ორიენტირებული განვითარების სტრატეგიის გამოყენება, ჩვენი აზრით, უფრო ეფექტიანია ჭარბი იაფი მუშა ხელით, მდიდარი ბუნებრივი რესურსებით და ეროვნული ბაზრის დიდი მოცულობით გამორჩეული ქვეყნებისათვის. აზიის შედარებით უფრო პატარა ქვეყნებმა - სამხრეთ კორეამ, ტაივანმა, მალაიზიამ, სინგაპურმა აირჩიეს „გარეთ ორიენტირებული განვითარების“ (outward looking development) მოდელი, რომელიც უპირატესობას ანიჭებს პროდუქციის მაღალი კონკურენციულარიანობის მიღწევას და საერთაშორისო ბაზრების ათვისებას.

მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ დამწევი განვითარების სტრატეგიის განხორციელებას გააჩნია დადებითი და უარყოფითი მხარეები. პირველის შესახებ ჩვენ ნაწილობრივ უკვე აღვნიშნეთ. რაც შეეხება უარყოფით მხარეს, შესაძლებელია მასთან დაკავშირებული ეკონომიკური

1 იქვე.

2 World Bank. Global Economic Prospects. 2008. Wash, p. 88-89.

3 Gerschenkorn A. Economic Backwardness in Historical Perspective. Cambridge, Mass. 1962. p. 127.

## ელგუჯა მექვანიზმი

და პოლიტიკური რისკების გამოყოფა. ეკონომიკური რისკი არის ის, რომ შეინით ორიენტირებული განვითარების დროს მცირდება ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობა და უარესდება სამაშულო წარმოების პროდუქციის ხარისხი. ცხოვრებამ დაადასტურა, რომ მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციით განპირობებული კაპიტალის, საქონლის, მომსახურების და სამუშაო ძალის ტრანსაზღვრითი გადაადგილების ბარიერების მოხსნამ, რაც საბოლოო ანგარიშით გლობალური ბაზრის კონკურენტუნარიანობის ჩამოყალიბებით გამოიხატა, ეკონომიკურ ზრდას პრობლემები შეუქმნა სწორედ იმპორტშემცვლელი პროდუქციის წარმოების უპირატესობის მიზნიჭებულ ქვეყნებში.

დამწევი განვითარების სტრატეგიდან გამომდინარე პოლიტიკურ რისკებს ასევე ცხოვრებისეული მაგალითები გვიჩვენებს. წარმატებული მოდერნიზაცია, რომელიც დამწევი განვითარების სტრატეგიის ქვაკუთხედია, როგორც წესი, წარმატებით ხორციელდებოდა ავტორიტარული პოლიტიკური რეჟიმების მიერ. სწორედ ეს რეჟიმები ახერხდა ეროვნული ძალების მობილიზაციას და კი არ გამორიცხავდა, არამედ გულისხმობდა მკაცრი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი მექანიზმების გამოყენებას და რეპრესიებსაც კი პოლიტიკური მოწინააღმდეგების მიმართ. შესაბამისად, რიგი ქვეყნის (არგენტინა, ჩილე, პერუ, სამხრეთ კორეა და სხვა) წინაშე ეკონომიკური მოდერნიზაციის დამთავრების შემდეგ დღისწესრიგში დაგეხოდა ავტორიტარული რეჟიმის ნორმალურ დემოკრატიულ ინსტიტუციურ მდგომარეობაში გადაყვანის, ანუ ე.წ. „ინსტიტუციურ მატრიცაში“ მოქცევის რთული ამოცანა, რომელიც კიდევ უფრო მძიმდება პოსტკომუნისტური ქვეყნებისათვის, მათი ტოტალიტარული წარსულის გათვალისწინებით.

გლობალიზაცია და დამწევი განვითარების სტრატეგიის მოდიფიკაცია გლობალიზაციის ეპოქაში დამწევი განვითარება ახალ თვისებრიობას იძენს. ეს იმით გამოიხატება, რომ მსოფლიო ეკონომიკის ავანგარდული ქვეყნები უკვე შევიდნენ პოსტინდუსტრიული განვითარების ეტაპზე. მათში ჩამოყალიბება დაიწყო ეკონომიკურმა სისტემამ, რომელსაც სხვადასხვა სახელმწიფოდებით მოიხსენიებენ: „პოსტინდუსტრიული ეკონომიკა“, „ინფორმაციული ეკონომიკა“, „ციფრული ეკონომიკა“, „ცოდნის ეკონომიკა“, „ქსელური ეკონომიკა“ და ა.შ.<sup>1</sup> ამ ტიპის ეკონომიკა პოსტინდუსტრიული ცივილიზაციის, ანუ ე.წ. „პოსტმოდერნიტის“ შემადგენელი ნაწილია და ბევრი ნიშნით განსხვავდება მისი წინამორბედი ინდუსტრიული ეკონომიკისაგან.

ინდუსტრიული ეკონომიკის საფუძველია მესამე, მეოთხე და მეხუთე ტექნოლოგიური წყობები, რომელთა პერიოდული ცვლა ხანგრძლივი დროის მანძილზე ( XVIII საუკუნის დასაწყისიდან XX-XXI საუკუნეთა მიჯნამდე) გრძელდებოდა. პოსტინდუსტრიული ეკონომიკა ემყარება

<sup>1</sup> ე. მექვაბიშვილი. ეკონომიკის გლობალიზაცია: მიმართულებები, გამოწვევები, პერსპექტივები. თბ., 2009, გვ. 94.

## ეკონომიკური თეორია და ეკონომიკური პოლიტიკა

მეტუთე წყობის დამამთავრებელ და მექევსე წყობის დასაწყის ტექნოლოგიებს. სხვა სიტყვებით რომ ვთქათ, ინტენსიურად მიმდინარეობს სამეცნიერო ტექნიკური და ინდუსტრიული ტექნოლოგიების სოციოპუმანიტარული და კოგნიტური ტექნოლოგიებით შევცდის პროცესი. ახალ ტექნოლოგიურ საფუძველზე ყალიბდება ვირტუალური და იმავდროულად რეალური ფირმები. ვირტუალურები ისინი არიან თავიანთი მატერიალური ფონდების ერთობლივი მოცულობის თვალსაზრისით, რეალურები კი – ერთობლივი კაპიტალიზაციის დონით. თანდათანობით აღმოცენდება ციფრული, ფინანსური და მასობრივი კულტურის ეკონომიკათა ერთგვარი სიმბიოზი, რომელსაც ერთმა ეკონომისტმა ენამოსწრებულად უწოდა „გეიტსის, სოროსისა და ჰოლივუდის კოქტეილი“<sup>1</sup>.

პოსტინდუსტრიული ეკონომიკის მთავარი და გადამწყვეტი რესურსია ადამიანის ცოდნა, გამოცდილება, პროფესიონალიზმი, შემოქმედებითი აზროვნების უნარი, რომლებიც შეიძლება გაერთიადეს ადამიან-კაპიტალის ცნებაში. პოსტინდუსტრიული (მექევსე) ტექნოლოგიურ წყობას ადეკვატური ორგანიზაციული სისტემა გააჩნია, რომელსაც ქსელური ორგანიზაცია ეწოდება. პოსტინდუსტრიული ეკონომიკა გაცილებით უფრო ნაკლებ მატერიალურ და ფინანსურ რესურსებს მოიხმარს, ვიდრე საკუთარი შინაარსით „ნივთობრივ-ენერგეტიკული“ ინდუსტრიული ეკონომიკა. ეკონომიკისა და მთლიანად საზოგადოების ორგანიზაციის ქსელურ მოდელს იმდენად პრინციპული მნიშვნელობა გააჩნია პოსტმოდერნის ეპოქაში, რომ მეცნიერები ხშირად წერენ პოსტინდუსტრიულ ქსელურ ეკონომიკასა და ქსელურ საზოგადოებაზე. <sup>2</sup>ქსელურ ეკონომიკას ახასიათებს შემდეგი კანონზომიერებები:

პირველი. ქსელურ ეკონომიკაში შრომის პროდუქტის ფასეულობა გამომდინარეობს მისი მრავალფეროვნებიდან. ეს თეზისი პირდაპირ ეწინააღმდეგება ინდუსტრიული ეკონომიკის შემდეგ ორ ფუნდამენტურ აქსიომას: а) პროდუქტის ფასეულობას მისი იშვიათობა განსზაღვრავს და ბ) პროდუქტის სიუცხვე ამცირებს პროდუქტის ერთეულის ფასეულობას.

მეორე. ქსელური ეკონომიკისათვის დამახასიათებელია დაბალი მუდმივი დანახარჯები. პროდუქტების სწრაფი გავრცელება გაცილებით უფრო აჩქარებს ეკონომიკის ზრდას, ვიდრე ეს შესაძლებელია ინდუსტრიულ ეკონომიკაში.

მესამე. ქსელურ ეკონომიკაში ძალიან მარტივია ნებისმიერი ნაწარმის კოპირება, რის გამოც გაადვილებულია ინვერტიული (უკუ) ფასწარმოქმნის კანონის მოქმედება და ნაწარმი პერმანენტულად იაფდება მისი სრულყოფიდან გამომდინარე. ეს იმას ნიშნავს, რომ ქსელურ ეკონომიკას უზარმაზარი

<sup>1</sup> журн. Экономические стратегии. № 05-06, 2004, с. 27.

<sup>2</sup> М. Кастельс. Информационная эпоха. М., 2000.

## ელგუჯა მექვანიგვილი

---

ინვესტიციური პოტნციალი ახასიათებს.

მეოთხე. ქსელური ეკონომიკისათვის ნიშანდობლივია წარმოების პროცესის მონაწილეთა დაინტერესების ზრდა ერთობლივი საქმიანობისა და ე.წ. „ღია სისტემების“ გამოყენების მიმართ. აქცენტი კეთდება მთლიანად სტრუქტურის ეფექტურის მიმართ, ამაღლებაზე ლოკალურ დონეზე მოგების მაქსიმიზაციის ნაცვლად.

მეხუთე. ქსელური ეკონომიკის ინტენსიურად მიმდინარეობს „მძიმე“ და „მატერიალური“ სუბსტანციების ჩანაცვლება „მსუბუქი“ და „არამატერიალური“ (უპირატესად ინფორმაციული) სუბსტანციებთ და წარმოებულ პროდუქტში განუხრელად მატულობს „ინტელექტუალური მდგენელის“ ხედრითი წონა.

მეშვიდე. ქსელური ეკონომიკისათვის, ბიოლოგიური სისტემების მსგავსად, დამასასიათებელია თვითორგანიზაციისა და თვითგანახლების მქანიზმების აქტიური მოქმედება, რის შედეგადაც მიმდინარეობს ძველი ფორმების კვდომისა და ახალი ფორმების წარმოქნის ბუნებრივი პროცესი.

მერვე. ქსელურ ეკონომიკაში კოოპერაციული საქმიანობის პროცესში მუდმივად ვითარდება მეურნე სუბიექტების ინდივიდუალური უნარები და შემოქმედებითი პოტენციალი, რაც მათი მხრიდან ინოვაციური გადაწყვეტილებების მიღებას უწყობს ხელს.

მეცხრე. ქსელური ეკონომიკა არადარგობრივი, ჰორიზონტალურ კავშირებზე დამყარებული სისტემა, რომელიც ევოლუციური გზით წარმოიშობა და ვითადება.

პოსტინდუსტრიული ქსელური ეკონომიკა ხელს უწყობს პრინციპულად ახალი ტიპის სოციალური სტრუქტურისაღმოცენებას, რომლის სისტემაშემქმნელი ბირთვი დაკავშირებულია არამატერიალურ წარმოებასთან (პოსტეკონომიკურ ფასულობებთან) და წარმოგვიდგება ინფორმაციულ-ტელეკომუნიკაციური, დასკვნებისა და გართობის ინდუსტრიის, კულტურის, მეცნიერების, განათლების, სოციალური მომსახურების სფეროების მუშაკების, ფინანსისტების, ბანკირების, იურისტების ერთობლიობის სახით.

ამრიგად, კაცობრიობის ზოგადიცივილიზაციური განვითარების კონტექსტით, დღის წესრიგში დგას მეცნიერული პარადიგმის შეცვლის ამოცანა. ინდუსტრიულმა მეცნიერულმა პარადიგმამ მთლიანად ამოწურა საკუთარი შემეცნებითი და პროგნოსტიკური პოტენციალი. შესაბამისად, ინტენსიურად მიმდინარეობს მსოფლიოში შექმნილი ახალი რეალობის ადგევატური პოსტინდუსტრიული მეცნიერული პარადიგმის ჩამოყალიბების პროცესი, რომელიც ემყარება შემდეგ უმნიშვნელოვანეს ფუნდამენტურ

## **ეკონომიკური თეორია და ეკონომიკური პოლიტიკა**

პრინციპებს:

- ტექნოლოგიების ჰუმანიზაცია, ეკოლოგიზაცია და დემილიტარიზაცია;
- ადამიანის, მისი სულიერი ფასეულობების პრიმატი მატერიალურ ღირებულებებზე;
- ინდივიდებს, ქვეყნებსა და ცივილიზაციებს შორის დიალოგის, თანამშორმლობისა და კოოპერირების პრიორიტეტი კონკურენციასა და ურთიერთდაპირისპირებაზე.

ახალი მეცნიერული პარადიგმის სახოლოო მიზანია ჰუმანურ-ნოსფერული, პოსტინდუსტრიული (პოსტკონომიკური) მსოფლიო ცივილიზაციის ფორმირება. ეს არის სოციუმის ის იდეალური მდგრმარეობა, რომლისკენაც მოძრაობა განსაზღვრავს საზოგადოების გრძელვადიან ეკონომიკურ, სოციალურ, მორალურ, ინტელექტუალურ და ასე შემდეგ პროგრესს.

### **ინოვაციური გარღვევის სტრატეგია საქართველოს ეკონომიკაში.**

საქართველოში წლების მანძილზე ტარდებოდა და ტარდება ინერციულ-საბაზრო ეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც ემყარება საბაზრო ფუნდამენტალიზმისა და ლიბერტარიანელობის იდეოლოგიას, აღიარებს ბაზრის „ყოვლისშემძლეობას“ და კატეგორიულად მოითხოვს სახელმწიფოს ეკონომიკური როლის მაქსიმალურად შეზღუდვას. ამის დამადასტურებელი მრავალი მაგალითი არსებობს. გავიხსენოთ, თუნდაც ქართული ეკონომიკური რეფორმების „მამად“ შერაცხული კ. ბენდუქიძის ცნობილი გამონათქვამი ეკონომიკის სამინისტროს გაუქმების შესახებ; მისივე ინიციატივითა და უშუალო მონაწილეობით, ანტიმონოპოლიური სამსახურის დაგრევა; სახელმწიფო სტატისტიკური სამსახურის როლის უკიდურესი დაკინძება; საქართველოს ეროვნული ბანკის გაუქმებაზე მუდმივი პედალირება ქართველი ბეჭერტარიანელთა მხრიდან...

ფაქტობრივად, სახეზეა პროგრესული სამყაროს განვითარების მაგისტრალური მიმართულების საპირისპირო მოძრაობა კაპიტალის თავდაპირველი დაგროვებისაკენ, „ველური კაპიტალიზმის“ პრინციპების დამკიდრებისაკენ, ბაზრის მაღალის სტიქიური თამაშისაკენ, საზოგადოებაში სოციალურ-ეკონომიკური უთანასწორობის უკიდურესი გაღრმავებისაკენ. ეს არის არაპერსპექტიული გზა, რომელიც ეჭვის ქვეშ აყენებს არამარტო ქვეყნის ეკონომიკის წარმატებით განვითარების შესაძებლობას, არამედ ეროვნულ სახელმწიფოებრივ უსაფრთხოებასაც.

არსებული სიტუაციიდან გამოსავალი, ჩვენი აზრით, მხოლოდ ერთია – ეკონომიკური და სოციალური განვითარების ვექტორის მკვეთრი შეცვლა – საზოგადოების ჯანსაღი ძალების მაქსიმალური კონსოლიდაციით ინერციულ

## ელგუჯა მექანიზმი

საბაზრო მოდელიდან ინიციატივურ ტექნოლოგიური გარღვევის სტრატეგიაზე გადასვლა, რომლის რეალიზების შედეგად მაქსიმალურად შემჭიდროებულ დროში მოვახერხებთ უმნიშნელოვანესი ტექნიკურ-ტექნოლოგიური, ეკონომიკური და სოციალური პარამეტრების მიხედვით მსოფლიო ავანგარდის ქვეყნებთან მაქსიმალურად მიახლოებას. რა თქმა უნდა, ეს უაღრესად რთული და ამზიციური ამოცანაა, მაგრამ დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ სწორი ეკონომიკური პოლიტიკის გატარებით მისი გადაჭრა სავსებით შესაძლებელია. მიზნის მისაღწევად უნდა გამოვიყენოთ არამარტო ჩვენი ძლიერი მხარეები, საუკუნეთა სიღრმიდან მომდინარე ქართველი კაცის ტრადიციული სიყვარული მეცნიერებისა და განათლების მიმართ, საქართველოში ჯერ კიდევ შემორჩენილი და მსოფლიოში მიმოფანტული ქართული ინტელექტუალური პოტენციალი, არამედ ჩვენი სისუსტეებიც (ძირითადი კაპიტალის სიძველე და მისი ფიზიკური ცვეთის კრიტიკული დონე); პოსტკომუნისტურ გარდამავალ პერიოდში ქვეყნის მთლიანი დეინდუსტრიალიზაცია, მასობრივი სამრეწველო წარმოებისათვის აუცილებელი რესურსების სიმცირე და ა.შ.), რომლებიც ენერგიული, სწრაფი, გაბედული და არაორდინარული გადწყვეტილებების სტიმულად და მაშასადამე, მომავალი სიძლიერის წყაროდ უნდა ვაკიოთ. ქვეყნის რეინდუსტრიალიზაცია (ანუ როგორც ახლა უწოდებენ – მოდერნიზაცია), ჩვენი ღრმა რწმენით, უპერსპექტივოა. მას მხოლოდ შეუძლია ქვეყნის ეკონომიკა ინერციული მოდელის ჩარჩოებში სამუდამო ფუნქციონირებისათვის გაწიროს. უნდა დავივიწყოთ, რომ არსებობს დამწევი განვითარება (დამწევი ინდუსტრიალიზაცია) და მთლიანად გადავერთოთ დამწევ პოსტინდუსტრიალიზაციაზე. უნდა შევქმნათ არა უპირატესად ბუნებრივი და შრომითი რესურსების გამოყენებაზე დამყარებული ინდუსტრიული ეკონომიკა, არამედ ცოდნის ეკონომიკა, რომლისთვისაც ცოდნის და ინფორმაციის წარმოება ისეთივე პროცესია, როგორიც ინდუსტრიული ეკონომიკისათვის თუვასა და ფოლადის გამოდნობა, ავტომობილებისა და კომპიუტერების წარმოება.

ამ ტიპის ეკონომიკის ჩამოყალიბებას ესაჭიროება ეროვნული ინოვაციური სისტემა შესაბამისი ინფრასტრუქტურით. ინიციატივა სისტემაში ჩართული უნდა იქნეს თანამედროვე ნანო და ბიოტექნოლოგიები, გენური ინჟინერია, ტელეკომუნიკაციური და ინფორმაციული ტექნოლოგიების ურთიერთშერწყმის გზით ჩამოყალიბებული ინფორმაციური სისტემები. აუცილებელია მეცნიერებათტევადი და ტექნოლოგიატევადი პროცესებისწარმოებაზერქსურსებისკონცენტრაციადამაღალტექნოლოგიური, ინიციატივური პროდუქტების გლობალურ ბაზარზე საკუთარი, თუნდაც, პატარა ნიშის დაკავება. აღნიშნულთან დაკავშირებით, ვფიქრობთ საინტერესოა გლობალური ბაზრის შესახებ რამდენიმე მონაცემის მოყვანა. ამჟამად (2009 წ) ამ ბაზრის მაღალტექნოლოგიური პროდუქტთა სეგმენტი შეფასებულია

## ეკონომიკური თეორია და ეკონომიკური პოლიტიკა

3,4 ტრლნ აშშ დოლარად, სათბობ ენერგეტიკული რესურსისა კი – 0,9 ტრლნ დოლარად. პროგნოზული მონაცემებით, მომდევნო 8–10 წლის მანძილზე პირველი სეგმენტის მოცულობა გაიზრდება 10–12 ტრლნ, ხოლო მეორისა 1,2–1,3 ტრლნ დოლარამდე<sup>1</sup> ეს მონაცემები ნათელ წარმოდგენას გვაძლევს მაღალტექნოლოგიური პროდუქციის ბაზრის უდიდეს შესაძლებლობებზე. ინოვაციურ-ტექნოლოგიური სტრატეგიების რეალიზება მოითხოვს შემდეგი კონკრეტული ამოცანების გადაწყვეტას: ძირითადი კაპიტალის განახლების ტემპის მცველობის გაზრდა; ინვესტიციების ინოვაციური დაგროვების უზრუნველყოფა, კონომიკის სამომხმარებლო და ინოვაციური სექტორების პრიორიტეტული განვითარება, ქვეწის სასურსათო დამოუკიდებლობის ხარისხის ამაღლება; სამეცნიერო პოტენციალის რესტრუქტურიზაცია; მეცნიერების, უმაღლესი განათლების და ინოვაციაზე ორიენტირებული ბიზნესის ინტეგრირება (კველაფერი იდეებიდან იწყება, ფუნდამენტურ მეცნიერებაში დაშემდეგადადა აიქმნება ტექნოლოგიებად); ინოვაციური სექტორის შექმნისათვის აუცილებელი ორგანიზაციული, ფინანსურ-ეკონომიკური, სამართლებრივი მეცნიერებისა ამოქმედება, სამეცნიერი კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების საგადასახადო სტიმულირება; ინოვაციური პროექტების ნაწილის სახელმწიფო დაფინანსება და კერძო დაფინანსებაზე გარანტიების გაცემა; სამეცნიერო კვლევებისა და დამუშავებების კომერციალიზაციის ახალი მეთოდების ათვისება.

ქვეყნის განვითარების მაღალტექნოლოგიური ინოვაციური სცენარის განხორციელება შეუძლებელია სახელმწიფოს აქტიური მონაწილეობის გარეშე. სახელმწიფომ, ერთი მხრივ, უნდა იტვირთოს პოსტინდუსტრიული ინფრასტრუქტურის შექმნის დანახარჯების სიმძიმე, მეორე მხრივ კი, მაქსიმალურად წაახალისოს კერძო ბიზნესი ამ უმნიშვნელოვანებს სფეროში ინევსტიციების ჩასადებად.

აუცილებელია მთავრობის სტრუქტურაში შეიქმნას ინოვაციური პროცესის წარმართვისა და რეგულირების სტრუქტურა, რომელიც სხვა დაინტერესებულ ორგანიზაციებთან ერთად ჩამოაყალიბებს ინოვაციური სფეროს პროგნოზირებისა და განვითარების გრძელვადიან, საშუალო-ვადიან და მოკლევადიან პროგრამებს. გრძელვადიანი პროგრამის ძირითად მიზნად უნდა დაისახოს საქართველოს პოსტინდუსტრიულ ქვეყნად ეტაპიბრივი გადაცევა, რომელიც რამდენიმე საფეხურისაგან შედგება. პირველ საფეხურზე ჩამოყალიბდება ინფორმაციული საზოგადოების საფუძვლები. მეორე საფეხურზე უზრუნველყოფილი იქნება ინფორმაციული საზოგადოების განვითარება და ცოდნის საზოგადოებად მისი ტრანსფორმაცია. მესამე საფეხურზე, პროცესის დასრულების შედეგად, მივიღებთ საზოგადოებას, რომლის განმსაზღვრელი პრინციპი იქნება ცოდნის წარმოება და მოხმარება.

<sup>1</sup> журн. Экономические стратегии. 2009, № 03, с. 77.

### დასკვნა

ამრიგად, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში განხორციელებული ეკონომიკის განვითარების სტრატეგიების, გლობალურ ეკონომიკაში ჩამოყალიბებული კანონზომიერებებისა და საქართველოს წინაშე მდგარი ამოცანების ანალიზი შემდეგი დასკვნის საშუალებას იძლევა: გრძელვადიან პერიოდშიჩვენიქვეყნისეკონომიკისეფექტიანიგანვითარება, მისსაფუძველზე მოქალაქეთა ცხოვრების ხარისხის მკვეთრი ამაღლება, გლობალური კონკურენციულარიონობის მიღწევა და ცივილიზებულ სამყაროში ღირსეული ადგილის დაკავება უშუალოდაა დაკავშირებული ტექნოლოგიური გარღვევის განხორციელებასა და მაღალტექნიკოლოგიური, მეცნიერებადტევადი ინოვაციური ეკონომიკის ჩამოყალიბებასთან. მეცნიერულად დასაბუთებული სწორი პოლიტიკის არსებობა, მისი განხორციელების პროცესში მეცნიერთა, პოლიტიკოსთა და ბიზნესმენთა სტრატეგიული თანამშრომლობა კი ამ პროცესის წარმატებით განხორციელების აუცილებელი პირობაა.

## Catching up Development Strategy and the Future of Georgia's Economy

E. Mekvabishvili

The article discusses the essence of catching up development strategy and practical experience in implementation of this strategy in different countries. It shows its advantages and disadvantages, describes the necessity, causes and essence of modification of the catching up development strategy under globalization and in terms of postindustrial modernization. The article defines the main direction of long-term development of Georgia's economy – creation and functioning of knowledge economy by technological-innovative breakthrough and postindustrial catching up development.

## მიწა და სახელმწიფო

პატარა კოლეგიალი,  
იუ. ჯავახიშვილის სახ. თსუ-ის მოწევეული  
პროფესორი, ეკონ. მეცნ. დოქტორი,  
ბალი რამიმვილი,  
თსუ სრული პროფესორი, ეკონ. აკად. დოქტორი

საქართველო პირველ მიწათმოქმედთა („გეორგოს“ ბერძნულად „მიწათმოქმედს“ ნიშნავს) ქვეყნაა და ჩვენი წარსული და მომავალი გაპირობებული და გაშინაარსებულია მიწასთან დაკავშირებული რელიგიური, ნაციონალური თუ ემოციური საწყისებით. ყოველივე ამან განაპირობა ქართველთა განსხვავებული ჩვევები, სურვილები და მისწრაფებები ამქვეყნიურ ცხოვრებაში, რაც მიწასთან მარადიული ურთიერთობის თავისებურებებიდან გამომდინარეობს.

მიწა ერისთვის მისი სახელმწიფო ტერიტორია, სასიცოცხლოდ აუცილებელი ბაზაა, რომელიც არსებითად განსაზღვრავს ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობის ხარისხს და ფაქტობრივად წარმოადგენს მოცემულ სივრცეში ერის არსებობისა და შემოქმედების აუცილებელ პირობას.

როგორც ცნობილია, ნებისმიერ ქვეყანაში მოსახლეობის ცხოვრების დონე რესურსული პოტენციალის რაოდენობრივ ხარისხს მოდენირებული მაჩვენებლებზე და მის გონივრულ გამოყენებაზეა დამოკიდებული. რესურსულ პოტენციალში მიწას როგორც უვადო ეკონომიკურ აქტივს, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. მისი წილი ქვეყნის მთლიან ნივთობრივ სიმდიდრეში დამოკიდებულია, ერთი მხრივ, მიწის რაოდენობრივ ხარისხს მახასიათებლებზე, ხოლო მეორე მხრივ, ქვეყანაში არსებული კაპიტალის რაოდენობასა და სტრუქტურაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნების ნი-

## პარტა კოლეგიუმი, ბაზრი რამდენიმდე

---

ვთობრივი სიმდიდრის შემადგენლობაში მიწის წილი, როგორც წესი, დაბალია და პირიქით. აშშ-ის კაპიტალის და მიწის ღირებულება 1985 წელს 12.5 ტრლნ დოლარად იყო შეფასებული, რომელშიც მიწის წილი მხოლოდ 18%-ს შეადგენდა, ხოლო საქართველოში გაეროს სპეციალური მეთოდიკით გაანგარიშებული ნივთობრივი სიმდიდრე 1990 წელს სულ 275 მლრდ დოლარის ტოლფასი იყო, რომელშიც მიწას 54.3% ეკავა. უდავოა ისიც, რომ, სხვა თანაბარ პირობებში, რაც მეტი ნივთობრივი სიმდიდრე გააჩნია ქვეყანას, მთ უფრო მეტი მშპ-ის წარმოება შეუძლია მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით. მართალია, დღეს მიწა როგორც წარმოების ძირითადი საშუალება, ადარ განიხილება ერთადერთ „სიმდიდრის დედალ“, მაგრამ ფაქტია, რომ ის არის და დიდხანს დარჩება „არსობის პურის“ მოპოვების უალტერნატივ საშუალებად.<sup>1</sup>

ამჟამად პლანეტაზე მიწის ერთი ნაგლეჯიც კი არ არის თავისუფალი და ოუ გადავხედავთ თანამედროვე კონფლიქტების უმრავლესობას, მათი მიზეზი სწორედ ტერიტორიული დავაა. ზოგჯერ ომი მიმდინარეობს სულ რამდენიმე კვ. კმ-ის (მაგალითად, ახლახან ამტყდარი კონფლიქტი ტაილანდსა და კამბოჯას შორის) გამო. ვითარებას ართულებს ნიადაგის ერთზის პროცესი, რაც უკანასკნელ პერიოდში, ანთროპოგენური ექსპანსიისა და კლიმატური ცვლილებების ფონზე, კრიტიკულ ფაზაში შევიდა. ცნობილია, რომ ნიადაგის ნაყოფიერი ფენის პუმუსის ფორმირებას 2-7 ათასი წელი სჭირდება, ხოლო დაჩქრებული ერთზის პირობებში კი, რასაც ძირითადად ადამიანისის ფაქტორი იწვევს, ეს ფენა შეიძლება 10-30 წელიწადში სრულიად განადგურდეს. ამასთან, ისტორიას ახსოვს ფაქტები, როდესაც ძლიერ წვიმას ან ქარიშხალს ერთ დღეშიც კი მოუსპია ნაყოფიერი ნიადაგები. საქართველოში ერთზის ზემოქმედებას განიცდის 1 მლნ ჰა-ზე მეტი სოფლის მეურნეობის სავარგული. XX საუკუნის 80-იანი წლების მონაცემებით, წყლისმიერი ერთზის საზიანო მოქმედებას განიცდიდა 230 ათასი, ხოლო, ქარის-

<sup>1</sup> პ. კოლუაშვილი, გ. ზიბზიბაძე, მიწა – ერთს არსებობისა და შემოქმედების აუცილებელი სივრცე უკრ. „ბიზნესი და კანონმდებლობა“, 2010, №12.

## **ეკონომიკური თეორია და ეკონომიკური პოლიტიკა**

მიერს – 110 ათასი ჰა სახნავ-სათესი ფართობი, რაც განაპირობებდა აგროპროდუქციის მოსავლის 13-ზე მეტის დანაკარგს.<sup>1</sup>

სოფლის მეურნეობის საგარეულები სულ უფრო ნაკლები რჩება, სადღეისოდ დედამიწის ხმელეთის სასოფლო-სამეურნეო ათვისება 30%-ს მიუახლოვდა და ოუ არ ჩავთვლით უდაბნოების ათვისების ჯერ-ჯერობით უპერსპექტივო შესაძლებლობას, შეიძლება ითქვას, რომ ამ მხრივ რეზერვები ამოწურულია. უახლოეს წლებში სოფლის მეურნეობის სავარგულები კაცობრიობის უმთავრეს რესურსად იქცევა, რასაც შემდეგი მონაცემებიც ადასტურებს: 2000 წელს მსოფლიოს მოსახლეობა დაახლოებით 6 მლრდ ადამიანი, ხოლო სოფლის მეურნეობის სავარგული კი 4,94 მლრდ ჰა იყო, ანუ პლანეტის მოსახლეობის ერთ სულზე დაახლოებით 0,82 ჰა მოდიოდა, 2008 წლისათვის კი მოსახლეობა დაახლოებით 6,7 მლრდ-მდე გაიზარდა, სოფლის მეურნეობის სავარგულები კი 4,88 მლრდ ჰა-მდე, ხოლო მოსახლეობის ერთ სულზე კი – 0,73 ჰა-მდე შემცირდა. დემოგრაფიების პროგნოზების თანახმად, 2050 წლისათვის დედამიწაზე იცხოვრებს დაახლოებით 9,5 მლრდ ადამიანი. ოუ აქვე გავითვალისწინებთ სოფლის მეურნეობის სავარგულების შემცირების ტემპს, მივიღებთ, რომ ამ თარიღისათვის დედამიწის მოსახლეობის ერთ სულზე 0,5 ჰა-ზე ნაკლები სავარგული მოვა. ზემოთ მოყვანილ მაჩვენებლებში ერთიანად იყო გაანალიზებული ყველა სახეობის სავარგული, ოუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ მსოფლიოში ზოგან წყლის დეფიციტია, ზოგან კი – პირიკით, აგრეთვე, მზის ენერგიით სავარგულების უზრუნველყოფის მაჩვენებლებს, კიდევ უფრო მიმდე სურათს მივიღებთ, რადგან მაღალი ხარისხის სავარგულები გაცილებით მცირე რაოდენობით რჩება ამჟამად ჩვენს პლანეტაზე.

ქვეყნებს, რომლებსაც გააჩნიათ მიწის როგორც წარმოების ძირითადი საშუალების, მაქსიმალური უკუგებით გამოყენების აგრძარული პოლიტიკა, როგორც წესი, გადაწყვეტილი აქვთ საკუთარი ქვეყნის სასურსათო უშიშროების პრობლემა. მათ რიცხვშია აშშ, ევროკავშირის ქვეყნები, კანადა, ავსტრალია და

<sup>1</sup> გ. მარგველაშვილი, პ. კოლუაშვილი, გადავარჩინოთ ნიადაგი – ჩვენი მარჩენადი და ეროვნული სიმღიდრე, უკრ. „ახალი გკონომისტი“, 2011. №1.

## **პაპტა პოლიტიკური, ბაზრი რემიგიული**

---

სხვა, რომლებიც გადამწყვეტ როლს თამაშობენ სურსათის მსოფლიო ბაზრის ფორმირებასა და კონიუნქტურის განსაზღვრაში.

მსოფლიოში სურსათის მოხმარება უკანასკნელ წლებში მკვეთრად მატულობს, რისი მიზეზიც, გარდა დედამიწის მოსახლეობის ზრდისა, არის ზოგიერთ ქვეყანაში ეკონომიკური და შესაბამისად სოციალური განვითარების დონის მკვეთრი მატება. ერთი მხრივ, იზრდება სურსათის მოხმარების რაოდენობრივი მაჩვენებლები, მეორე მხრივ კი, უმჯობესდება მოხმარებული სურსათის სტრუქტურა, რაც თავის მხრივ იწვევს რაოდენობრივ ზრდას. ამ მხრივ თანამდედროვე მსოფლიოში აშკარად გამოიჩინება ჩინეთი და ინდოეთი. მათზე მსოფლიოს მოსახლეობის დაახლოებით 36%, ხოლო სავარგეულების 14% მოდის. ორივე ქვეყანაში მაქსიმალურად არის გამოყენებული მიწა სასოფლო-სამეურნეო მიზნებისთვის, ხოლო ნიადაგის ერთიანის და ურბანიზაციის პროცესის გამო, სავარგეულების ფართობი კლებით ხასიათდება. მაგალითად, ჩინეთში 2000 წლისათვის იყო დაახლოებით 532,2 მლნ ჰა სავარგეული, ინდოეთში კი – 182,6 მლნ ჰა. 2008 წლისათვის ორივე ქვეყანაში ეს მაჩვენებელი შესაბამისად – 522,5 მლნ ჰა-დან და 179,7 მლნ ჰა-მდე შემცირდა. მოსახლეობის ერთ სულ 2008 წლისათვის ჩინეთში დაახლეობით 0,39 ჰა, ხოლო ინდოეთში კი 0,15 ჰა მოდიოდა. სოფლის მეურნეობის სავარგეულებით უზრუნველყოფის მხრივ ანალოგიური კითარებაა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის კველა ქვეყანაში, რაც გვაძლევს იმის მტკიცების საშუალებას, რომ აღნიშნული რეგიონის ნიადაგური პოტენციალი ვეღარ უზრუნველყოფს მოსახლეობის მზარდ მოთხოვნილებას სურსათზე, რაც კიდევ უფრო გაამძაფრებს იმ ექსპანსიონისტურ პოლიტიკას, რასაც ზოგიერთი ქვეყანა ეწევა მიგრაციის თუ სასოფლო-სამეურნეო მიწის შესყიდვის კუთხით.

სოფლის მეურნეობის სავარგეულებით, და შესაბამისად, სურსათით დედამიწის მოსახლეობის უზრუნველყოფის პრობლემას განსაკუთრებით ამწვავებს ის ფაქტიც, რომ ამჟამად სულ უფრო ვითარდება ენერგეტიკული პრობლემის სოფლის მეურნეობის მეშვეობით (მხედველობაში გვაქვს კალორიატევა-

## **ეკონომიკური თეორია და ეკონომიკური პოლიტიკა**

დი კულტურების – შაქრის ლერწმის და მარცვლეულის გადასრულა ბიოსაწვავის (წარმოებისათვის) მოგვარების ტენდენცია. ამ ფონზე შეიძლება ცალსახად ითქვას, რომ სურსათიც და სავარგულებიც, კიდევ უფრო გაძვირდება. ეს ორი მოვლენა ურთიერთორსირების ეფექტით ხასიათდება, რაც ამ მხრივ გეომეტრიული პროგრესის შესაბამისად ძაბავს ვითარებას. არადა, ევროპასა და აშშ-ში სავარგულებზე ფასები ისედაც მაღალია, მაგალითად: აშშ-ში სხვადასხვა შტატის მიხედვით სასოფლო-სამეურნეო მიწაზე ფასი მკვეთრად განსხვავდება. რამდენიმე მათგანში, რომლებიც ქვეყნის უაიდურეს აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს, ერთი პა სავარგულის ფასი საშუალოდ 20 ათას დოლარამდეც კი აღწევს, მაგრამ ეს შტატები გამოიჩინება მაღალი ურბანიზაციით და იქ ასეთი ფასი განპირობებულია მოლოდინით, რომ უახლოეს მომავალში ეს მიწა სხვა დანიშნულებით იქნება გამოყენებული. თუმცა იმ შტატებშიც, რომლებიც სოფლის მეურნეობის პროდუქციის ძირითადი მწარმოებლებია და მოსახლეობაც შედარებით მჭიდროდ არის დასახლებული, მიწის ფასი საკმაოდ მაღალია – ის 5-10 ათას დოლარს შორის მერყეობს პაზე. საერთოდ კი, ყველა ტიპის სოფლის მეურნეობის სავარგულის საშუალო ფასი აშშ-ში 3-4 ათასი დოლარია, და ეს მაშინ, როდესაც ამ მონაცემში გათვალისწინებულია ცენტრალური შტატების დაბალპროდუქტიული საძოვრებიც. ევროკავშირში ყველაზე დაბალი ფასები სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე არის ბულგარეთსა და რუმინეთში – საშუალოდ 1500-2000 ევრო, ხოლო მაღალი დირსების მიწაზე ფასი გაცილებით დიდია, მაგალითად რუმინეთში 1 ჰა საუკეთესო სავარგულის ფასი 2008 წელს 6000 ევრომდე გაძვირდა. თვით ამ მონაცემების ფონზეც კი, სიძვირით გამოიჩინება სავარგულების ფასი „ძველი“ ევროპის ქვეყნებში, მაგალითად, ინგლისში, 2008 წლის კრიზისის შემდეგ, 1 ჰა სავარგულის საშუალო ფასი დაახლოებით 10000 ფუნტამდე დაეცა, პიკის დროს კი, თითქმის 2-ჯერ მეტი იყო.

ცხადია, განსაკუთრებით ძვირად ფასობს მიწის ის ნაკვეთები, რომლებიც პარმონიულადაა უზრუნველყოფილი სარწყავი წყლით და მზის ენერგიით. სწორედ ამგვარ რესურსს ფლობს

## პაპტა პოლიტიკური, ბაზრი რამიშვილი

---

საქართველო და ამ დროს უმოწყალოდ მიმდინარეობს ქართული მიწის განიავება, რადგან იმას, რაც ხდება, ვერანაირად უწოდებ „პრივატიზაციას“.

ქართველი გლეხეაცი, როგორც მიწის მესაკუთრე – მისი პოტენციური მყიდველი, მომხმარებელი, მფლობელი და გაჭირების გამო გამყიდველი – არაკონკურენტუნარიანია უცხოელებთან მიმართებით. ამ უკანასკნელებს შესაძლებელია მიწის ეს ნაკვეთი სხვა, არასასოფლო-სამურნეო დანიშნულებისთვის უნდოდეთ – აგარაკების აგებით დაწყებული და სხვა, ხრიოგ ქვეყნებში წასაღებად ნაყოფიერი ზედაფენის მოჭრით დამთავრებული. საკამაოო არც ისაა, რომ მოქალაქეობის არმქონე პირებს გაცილებით უკეთესი პირობები აქვთ საქმის წამოწებისთვის, ვიდრე ადგილობრივებს, რაც კატეგორიულად დაუშვებელია, განსაკუთრებით ისეთ ტრადიციულ და მოწყვლად დარგში, როგორიც სოფლის მეურნეობაა. გარდა ამისა, სოფლის მეურნეობა (მემცნარეობა), როგორც ამას ქვემოთ ვასაბუთებთ, არ არის ინვესტიციატევადი დარგი და აქ ინვესტორის წახალისების პოლიტიკა ყველაფრის ფასად არ უნდა ტარდებოდეს. მიწა ქართველი გლეხეაცისთვის არა მარტო წარმოების საშუალებაა, არამედ მისი, როგორც სოციალურ-ეკონომიკური და ეროვნული სუბიექტის, არსის განმსაზღვრელიც. მიწისაგან გლეხეაცის მოწყვეტა გამოიწევს არა მარტო მისი, როგორც მეწარმე ინდივიდის მოსპობას, არამედ, რაც უფრო მნიშვნელოვანია, სოფლის როგორც ეროვნული კულტურის საძირკვლის, ყოფა-ცხოვრების წესის შემოქმედის, შემნახველისა და განმაახლებლის უუნჯციის მოშლასაც.

იმიგრაციული ნაკადების უკონტროლობა და საქართველოს მოქალაქეების უციდურესი გადარიცხვა უკვე იმის სრულიად რეალურ საფრთხეს ქმნის, რომ უახლოეს მომავალში საქართველოს კონტროლირებადი ტერიტორიის დიდი ნაწილი სხვა სახელმწიფოების მოქალაქეოთა ხელში აღმოჩნდება. თან ეს ქვეყნები (ზინეთი, ინდოეთი, არაბეთის რიგი სახელმწიფო, ისრაელი), რომლებიც უკვე გამოხატავენ ქართული მიწით დაინტერესებას, გამოირჩევიან უმწვავესი ჭარბმოსახლეობით და მცირებიშიანობით. საქართველოს მოქალაქეთა პროტესტის შე-

## **ეკონომიკური თეორია და ეკონომიკური პოლიტიკა**

სამსუბუქებლად, არის მცდელობა ეს პროცესი ინვესტიციების მოზიდვით გაამართლონ, – თანაც გვმოძღვრავენ და გვამშვიდებენ – „მიწას ზურგზე ხომ არ მოიკიდებენ“. არ მოიკიდებენ, მაგრამ ამ მიწაზე დამკვიდრდებიან და ძალიან დიდი რაოდენობითაც, თუ დროზე არ მოვედიოთ გონის, რადგან ამ ქვეყნების დემოგრაფიული და ეკონომიკურ-საფინანსო პოტენციალი იძლევა ვითარების დროის უმოკლეს პერიოდში შეცვლის პროგნოზს. ეს საშიში პროცესი შედარებით წენარად და უხმაუროდ მიმდინარეობს, მაგრამ თავისი მნიშვნელობით, ქვეყნის ვინაობისა და რაობის დაკარგვის ტოლფასია. ქართულ საზოგადოებას მოქმედება უსწრაფესად მართებს, რადგან პროცესები ძალიან მაღალ მიიღებს კატასტროფულ ხასიათს. შესაძლებელია ამ ისტორიული ეტაპიდან საქართველოს მკიდრი მოსახლეობის ეროვნულ უმცირესობად გადაქცევის გარდაუვალობა ჯერ ბუნდოვნად მოჩანს ზოგიერთისოთვის (სახელობრ, ნაკლებ მცოდნეთაოვის), მაგრამ საკმარისია ჩვენში შეიქმნას დემოგრაფიული ექსპანსიისოთვის საჭირო ბაზები, რაც სულ რამდენიმე ასეულ ათასი ადამიანის დამკიდრებას გულისხმობს, რომ პროცესები არა მხოლოდ შეუქცევად ხასიათს მიიღებს, არამედ ყველასთვის ხილულიც გახდება (ამ პოლიტიკის უკიდურესი მაგალითია სამხრეთ აფრიკის პოლანდიული კოლონისტების, ბურებისთვის მიწის დიდი მასივების თითქმის უსახყიდლოდ მიცემა). ამიტომ დაუშვებელია, რომ ქართული გლეხობა მოწყდეს მიწას, არ იყოს მისი მესაკუთრე და პროდუქციის მთავარი მწარმოებელი.

გარდა ამისა, აღსანიშნავია ჩვენი შორიახლო გარემო-ცვის პრობლემები სახიცოცხლო სივრცესთან დაკავშირებით: 2008 წლისათვის მოსახლეობის სიმჭიდროვე ჩინეთში შეადგენს 139 ადამიანს კმ<sup>2</sup>-ზე, ხოლო ინდოეთში – 400-ს. ამასთან, ჩინეთის ტერიტორიის 2/3 უდაბნო ან მთიანეთია, ანუ ნაკლებად გამოსადეგი ადამიანის ცხოვრებისათვის. იგივე შეიძლება ითქვას არაბეთის სახელმწიფოებზე და ისრაელზეც, სადაც მცირე გამონაკლისის გარდა, მოსახლეობის მაღალი ტემპებით ზრდა ძირითადად უდაბნოს ფონზე მიმდინარეობს. ყველა ეს ქვეყანა ფლობს მზარდ საფინანსო რესურსებს და უკვე ეწევა მსოფლიოს მასშტაბით მიწის, ძირითადად სასოფლო-სამეურ-

## **პარტა პოლიტიკური ბაზე რამიჯვილი**

---

ნეო საგარგულების შესყიდვას, ცხადია, არა იმისათვის, რომ იქ მეურნეობა განავითარონ და მერე ადგილობრივ მოსახლეობას დაუბრუნონ!

უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე სოფლის მეურნეობის სა-  
ვარგულების გაყიდვის გამართლება ქვეყანაში ინვესტიცების  
მოზიდვის საბაზით, რბილად რომ ვთქვათ, არაკომპეტენტურობი-  
სა და ახლომხედველობის შედეგია, რადგან სასოფლო-სამეურ-  
ნეო დანიშნულების მიწა, განსხვავებით ურბანული მიწისაგან,  
არ არის ინვესტიციატევად. 2004 წლის მონაცემებით, საქარ-  
თველოში სულ 3,025 მლნ ჰა საგარგული იყო (სამწუხაროდ,  
დღეს უფრო ზუსტი მონაცემები არ გაგვაჩნია, რადგან 2004  
წლის შემდგე, ჩვენთვის უცნობი მიზუნის გამო, მიწის რაო-  
დენობრივი აღრიცხვა ქვეყანაში აღარ ჩატარებულა). აქედან  
დაახლოებით 1,9 მლნ ჰა ბუნებრივ საძოვრებსა და სათიბებზე  
მოდიოდა, ანუ იმ საგარგულებზე, რომლებსაც ინვესტიციები კი  
არა, უფრო მართებული, რაციონალური გამოყენება სჭირდება.  
1,1 მლნ ჰა ინტენსიური საგარგულია, საიდანაც 800 ათასი ჰა  
სახნავია, ხოლო დანარჩენი – 300 ათასი ჰა – მრავალწლოვანი  
ნარგავებით დაკავებული ფონდ-ტევადი საგარგულია.<sup>1</sup> 800 ათა-  
სი ჰა სახნავის დამუშავებას (მოხვნა) მაქსიმუმ 640 მლნ ლარი  
სჭირდება. მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებთ, ამ თანხის  
მცირე ნაწილიც (1/10) რომ გაიღოს სახელმწიფომ, სახნავის  
პრობლემაც გადაწყდება. მრავალწლოვანი ხეხილის განახლე-  
ბისთვის ყოველწლიურად უნდა გაშენდეს 15-20 ათასი ჰა, რასაც  
250-300 მლნ ლარი სჭირდება. აქ, საგსებით საკმარისი იქნება  
სახელმწიფოს კეთილი ნება და საგადასახადო ხელშეწყობის  
რეჟიმი. მაგალითად, ახალგაზრდა ნარგავები სრულ მსხმოია-  
რობაში შესვლამდე 4 წლით უნდა განთავისუფლდეს მიწისა  
და წყლის გადასახადისგან და სხვ.

მკვეთრად გამოხატული ვერტიკალური ზონალობის  
გამო (ზღვის დონიდან 500 მეტრამდე მდებარეობს ქვეყნის ტე-  
რიტორიის 26,7%, 500-დან 1000 მ-დე – 21,7%, 1000-დან 1500-დე  
– 19,3%, 1500-დან 3000-მდე – 31,5%, 3000-ზე ზევით – 1,5%), საქარ-

<sup>1</sup> ო. ქეშელაშვილი, სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია  
და პრიორიტეტები, თბ., 2007, გვ. 29-33.

## **ეკონომიკური თეორია და ეკონომიკური პოლიტიკა**

თვეელო სარისკი მიწათმოქმედების ზონას განეკუთვნება. მოებს (54%) და მთისწინებს (33%) მთელი ტერიტორიის 87% უჭირავს, დაბლობს კი მხოლოდ 13%. სოფლის მეურნეობაში გამოიყენება ქვეყნის ტერიტორიის 44%. სახნავს მთელი სავარგულების 25% უჭირავს (სახნავ-სათესი ფართობის თითქმის 40% 3<sup>0</sup> მეტი დაქანების ნაკვეთებზეა განლაგებული), სათიბ-საძოვრებს კი – 65% და მეტი. მაღალი ხარისხის ბუნებრივად ნაყოფიერი სასოფლო-სამეურნეო მიწა 38%-ს შეადგენს, საშუალო ხარისხის 21%-ს, ხოლო დაბალი ხარისხის 41%-ს. ამიტომაცაა, რომ საქართველო მცირებიშიან ქვეყნებს მიეკუთხება. მოსახლეობის ერთ სულზე 0,64 პა სოფლის მეურნეობის სავარგული მოდის, აქედან 0,17 პა სახნავ-სათესია. ეს არის საქართველოს სოფლის მეურნეობის დანიშნულების მიწის ფონდი, რომელიც იმდენად მცირეა მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით, რომ თვალისწინივით გაფრთხილება ესაჭიროება.

სწორედ ამიტომ, მსოფლიოს თითქმის ყველა სახელმწიფო, განსაკუთრებით ფრთხილად ეკიდება სასოფლო-სამეურნეო მიწის უცხოელებისთვის (თავისი მოქალაქეობის არმქონე პირებისთვის) მიყიდვის საკითხს. ამავე დროს, მთელი პასუხისმგებლობით უნდა ითქვას, რომ არც ერთ თანამედროვე ქვეყანაში, უმცირესი გამონაკლისის გარდა, მიწაზე საკუთრება არ წარმოადგენს აბსოლუტურ უფლებას (*jus utendi et abutendi*)<sup>1</sup> და ის რეგულირდება სხვადასხვა ნორმატიული აქტით. მაგალითად, ევროკავშირის რიგ ქვეყანაში, სახელმწიფო დონეზე (ინდანდია, ჩეხეთი) იკრძალება ან იზღუდება სასოფლო-სამეურნეო მიწის უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის ან არარეზიდენტი იურიდიული პირებისათვის გადაცემა. მსგავსი დამოკიდებულებაა ამ საკითხისაბმით თურქეთში, ავსტრიაში, იაპონიაში, ისლანდიაში, ახალ ზელანდიაში, მექსიკაში, აშშ-ში, კანადასა და ავსტრალიაში მსგავსი შეზღუდვები ძირითადად რეგიონულ დონეზე ხდება. მაგალითად, აშშ-ის ზოგიერთ შტატში, კანადის რამდენიმე პროვინციასა და ავსტრალიის დასავლეთ ნაწილში აკრძალულია

<sup>1</sup> საკუთრების ნებისმიერი, სრული ფლობის და სარგებლობის უფლება მის განადგურებამდე ან საზოგადოების ინტერესების საწინააღმდეგოდ გამოყენებამდე.

## კააზა პოლიტიკური, ბაზრი რამიშვილი

---

მიწის უცხო ქვეყნის რეზიდენტების მიერ შესყიდვა. ზოგან ეს პროცესი ირიბი მექანიზმებით არის უზრუნველყოფილი, მაგალითად, ევროკავშირში, მართალია, მიწაზე საკუთრების უფლების მოპოვების მხრივ წევრი სახელმწიფოების მოქალაქეები გათანაბრებულია ერთმანეთთან, მაგრამ მათთვის დაწესებული შედავათები ეკონომიკურად თითქმის შეუძლებელს ხდის მესამე ქვეყნების რეზიდენტების მიერ მის შეძენას. ახალ ზელანდიაში შექმნილია მიწის დაცვის ტრიბუნალი და ეს ორგანო კონკრეტულად განიხილავს 2 პაზე მეტი მიწის შესყიდვის მსურველთა ყოველ განცხადებას, დადებითი გადწყვეტილება კი უამრავი პირობის შესრულებაზეა დამოკიდებული. აღსანიშნავია ისიც, რომ თვით ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს შორისაც შეიძლება იყოს ამგარი შეზღუდვები, რისი მაგალითიც არის ირლანდიის კანონმდებლობა, რომლის მიხედვითაც ამ ქვეყანაში 7 – წლიანი ცხოვრების გადაა საჭირო იმისათვის, რათა მიწის შეძენის მსურველმა განცხადებით მიმართოს მიწის კომისიას. საფრანგეთში შეზღუდულია ვენახების (ფრანგი ერის სიამაყის საგანი) და განსაკუთრებით, დიდი ფართობის მიწის შეძენა. აშშ-ში 1978 წელს მიღებულ იქნა ფედერალური აქტი სოფლის მეურნეობაში საზღვარგარეთული კაპიტალდაბანდებების შესახებ. მართალია, ამით დაშვებულია უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ სასოფლო-სამეურნეო მიწის შესყიდვა, მაგრამ ყოველი კონკრეტული შემთხვევა განიხილება ამ ქვეყნის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ. მირითადი რეგულირება აშშ-ში, სასოფლო-სამეურნეო მიწის უცხოელებისათვის მიყიდვის საკითხზე, ცალკეული შტატის დონეზეა დაწესებული. ამგვარი კანონმდებლობა აკრძალვების სხვადასხვა დონეს გულისხმობს და უკვე შტატების ნახევარზე მეტშია მიღებული. ამასთან, რაც უფრო სასოფლო-სამეურნეო მიმართულებისაა შტატის ეკონომიკა, მით უფრო მკაცრია აკრძალვა, უცხოელების მიერ სასოფლო-სამეურნეო მიწის შესყიდვის სრულ აღკვეთამდე. ამის შედეგია ის, რომ აშშ-ში სასოფლო-სამეურნეო მიწის მხოლოდ 1 %-ზე ნაკლები ეკუთვნის უცხო ქვეყნის მოქალაქეებს, რომლებიც მირითადად ევროპელები და კანადელები არიან.

ილია ჭავჭავაძე უცხოელებზე (ხიზნებზე) გრძელვადია-

## **ეკონომიკური თეორია და ეკონომიკური პოლიტიკა**

ნი მემკვიდრეობითი იჯარის გამოყენებას სთავაზობდა ქართულ საზოგადოებას. ასევე დასაშვებად მიგვაჩნია გრძელვადიანი გასხვიებადი იჯარის (სარგებლობის უფლების გაყიდვა) ფორმის გამოყენებაც, რომელიც მსოფლიოს უმეტეს დემოკრატიულ საბაზრო ეკონომიკის ქვეყანაშია დანერგილი.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, აუცილებელია: გამოცხადდეს მიწის რეესტრის მონაცემები და საჯაროდ დაზუსტდეს, არის თუ არა სოფლის მეურნეობის სავარგულები გასხვისებული უცხო ქვეყნის ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე (საქართველოს კანონმდებლობა კრძალავს მათზე სასოფლო-სამეურნეო მიწის მიყიდვას); საქართველომ სასწრაფოდ გამოაცხადოს 15 – წლიანი მორატორიუმი (როგორც ევროკავშირის რიგმა ახალმა წევრმა ქვეყნებმა) და შეაჩეროს (აკრძალოს) სასოფლო-სამეურნეო მიწის გასხვისება, იმ იურიდიულ პირებზე, რომელიც საქართველოშია დაფუძნებული, მაგრამ მათში ნებისმიერი მასშტაბით მონაწილეობს არარეზიდენტი (უცხოელი) იურიდიული თუ ფიზიკური პირი. ამ მოხვევნების შესრულება ოდნავადაც არ გააუარესებს საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პერსპექტივებს, სამაგიეროდ უდიდეს საფრთხეებს ააცილებს ჩვენს ქვეყანას. გასათვალისწინებელია ისიც, რომ საქართველო მიისწრაფის ევროკავშირისკენ და იმედია, რომ არცთუ შორეულ მომავალში გახდება ამ ორგანიზაციის წევრი, მანამდე კი მიღწეული იქნება თავისუფალი ვაჭრობისა და მიმოსვლის რეჟიმი საქართველოსა და ევროკავშირს შორის. ცხადია, ეს გულისხმობს მრავალფეროვან ორმხრივ ვალდებულებებს, მათ შორის – მიწის საკუთრების საკითხშიც. ჩვენ მოგვიწევს მიწის ბაზრის რეგულირების დროს ევროპელი პარტნიორების პირობების გათვალისწინება, რაც გულისხმობს ევროპელი ინვესტორის მიერ საქართველოს მიწის ბაზარზე მონაწილეობასაც, მაგრამ, ჩვენი აზრით, ეს არ არის საფრთხის შემცველი, პირიქით, მთელი რიგი ფაქტორის გათვალისწინებით მისასალმებელიც კი არის.

დასასრულ, დმერთმა ყველა ერს მიუჩინა მზის ქვეშ ადგილი, სასიცოცხლო ბაზა, რომლის დაცვაც ყველა ნორმალური ადამიანისთვის უმთავრეს ამოცანად რჩება. „ერის სიჯანსაღე

მიწასთან მარადიულ ურთიერთობასა და უდალატო ქავშირშია.“ მედამ უნდა გვახსოვდეს ილია ჭავჭავაძის ეს შეგონება.

## **LAND AND THE STATE**

**P. Koguashvili  
B. Ramishvili**

The problem of reduction of resources is becoming more and more acute in the modern world. First of all this can be said about soil and especially about agricultural lands, as the latter is getting smaller and smaller as a result of anthropogenic impact and all this is taking place against the background of the rapid growth of the earth population. Therefore, most of the states have a very careful approach to the issue of property rights on agricultural lands and in some cases this field is characterized with strict regulations. The presented work deals with the abovementioned problem. The authors aim to analyze the situation in this field in Georgia and indicate the dangers that might be caused in different directions by full liberalization of land market. At the same time they argue that the only argument of those who support full freedom in selling lands to foreigners – attraction of investments is not logical and based on proper calculations and digital data. The Authors prove that agricultural lands are not subject to investments and attracting foreign investors in this field will neither increase the volume of investments nor promote the growth of agricultural production. Just on the contrary, purchase of lands by speculative capital is often a good possibility for keeping financial resources and the owner is not interested in agricultural activities. This decreases the efficiency of agricultural land use.

ნიმვების საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების  
საზღვარგარეთული გამოცდილება

ნაირა ღვედაშვილი  
თსუ ასოცირებული პროფესორი

სტატიაში გაშექმულია ძირითადად იმ ქვეყნების ინფაციური საქმიანობა, რომლებიც შედიან მსოფლიო განვითარების ტექნოლოგიურ ბირთვში: აშშ, იაპონია, გერმანია, ინგლისი, საფრანგეთი. კვლევის საგანია: საინფაციო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების ორგანოები; დაფინანსება; შედაგათები საგადასახადო და საკრედიტო სისტემებში; საგარეო-ეკონომიკურ საქმიანობაში; საინფაციო საქმიანობის სამეცნიერო-მეთოდურ და საინფორმაციო უზრუნველყოფაში დახმარების ფორმები; გამოშვებული საქონლის კონკურენტუნარიანობის გაზრდისა და კოპერირების სტიმულირება.

მსოფლიო პრაქტიკაში გამოყენებული საგადასახადო შედავათების სახეობები, რაც ასტიმულირებს საინფაციო საქმიანობას, შემდეგია:

- საინფაციო დანახარჯების ნამატებები გადასახადის შემცირება;
- რამდენიმე წლის განმავლობაში საინფაციო პროექტების რეალიზაციიდან მიღებულ მოგებაზე „საგადასახადო არდადეგების“ მიცემა;
- ინფაციური ორგანიზაციების აქციებზე დივიდენდების შედავათიანი დაბეგვრა;
- შედავათების დაკავშირება შესასრულებელი სამუშაოების პრიორიტეტულობასთან;
- პატენტების, ლიცენზიების, ნოუ-ჰოუს და ინტელექტუალური საკუთრების შემადგენლობაში შემავალი სხვა არამატერიალური აქტივების გამოყენების შედეგედ მიღებული მოგების შედავათიანი დაბეგვრა;

## **ნაირა დფედაშვილი**

---

- უმაღლესი სასწავლებლების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების და სხვა ინოვაციური ორგანიზაციების დასაბეგრი მოგების შემცირება;
- დასაბეგრი მოგების შემცირება იმ საქველმოქმედო ფონდებში შენატანებით, რომელთა საქმიანობა დაკავშირებულია ინოვაციების დაფინანსებასთან.

ამჯამად შეიძლება გამოვყოთ ინდუსტრიულად განვითარებული ქვეყნების სამეცნიერო-ინოვაციური განვითარების სამიმთავარი მოდელი:

1. ქვეყნები, რომლებიც მეცნიერებაში, მსხვილმასშტაბიანი მიზნობრივი პროექტების რეალიზაციაში ლიდერობაზეა ორიენტირებული. მათი პოტენციალი მოიცავს სამეცნიერო-საწარმოო ციკლის ყველა სტადიას. აქედან მნიშვნელოვანი წილი აქვთ თავდაცვით სექტორში (აშშ, ინგლისი, საფრანგეთი);

2. ქვეყნები, რომლებიც ორიენტირებულია ინოვაციების გავრცელებაზე, მისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნაზე, ეკონომიკის მთელი სისტემის ინოვაციურ რაციონალიზაციაზე (გერმანია, შვედეთი, შვეიცარია);

3. ქვეყნები, რომლებიც მსოფლიო მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის უახლესი მიღწევების ათვისებით და შეცნიერებისა და ტექნოლოგიების დარგში სხვადასხვა სექტორის საქმიანობის კოორდინაციით სტიმულს აძლევენ ინოვაციური ინფრასტრუქტურის განვითარებას (იაპონია, სამხრეთ კორეა).

ზემოაღნიშნულ მსოფლიო ტექნოლოგიური განვითარების ლიდერ ქვეყნებში ინოვაციების საქმიანობის მართვა-რეგულირება შემდეგნაირია:

**ამერიკის შეერთებული შტატებში საინოვაციო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების ორგანოებია:**

- ამერიკის სამეცნიერო ფონდი (კურიორებს ფუნდამენტური კვლევებს);
- ამერიკის სამეცნიერო საბჭო (კურიორებს მრეწველობასა და უნივერსიტეტებს);

## **ეკონომიკური თეორია და ეკონომიკური პოლიტიკა**

- ნასა (ეროვნული კოსმოსური საბაზენტო);
- სტანდარტების ეროვნული ბიურო;
- ჯანდაცვის ეროვნული ინსტიტუტი;
- თავდაცვის სამინისტრო;
- სამრეწველო კალეგების ეროვნული ცენტრი;
- მეცნიერებათა ეროვნული აკადემია;
- ტექნიკური ეროვნული აკადემია;
- ამერიკის მეცნიერების განვითარების ხელშეწყობის ასოციაცია.

როგორც ტექნოლოგიური ბირთვის სხვა ქვეყნებში, აშშ-იც მოქმედებს ვენეციურული ფირმები („სარისკო“ კაპიტალის ფირმები), ფირმები საერთო სახელწოდებით „სპინ-ოფ“ (ესენია უმაღლეს სასწავლებლებლებიდან, დამოუკიდებელ ინსტიტუტებიდან, სახელმწიფო კალეგით ცენტრებსა და მსხვილ სამრეწველო კორპორაციების სპეციალურ ლაბორატორიებიდან გამოყოფილი, (ფირმა-„ნაშიერები“) და საინვესტიციო ფონდები. სახელმწიფო აქტიურად აწარმოებს „სპინ-ოფ“ ფირმების სუბსიდირებას მსხვილი, არაკომერციული, ცენტრებისა და უნივერსიტეტების მეშვეობით. გარდა ამისა, „სპინ-ოფ“ ფირმებით სამეცნიერო მიღწევების გავრცელების ხელშეწყობის მიზნით ქვეყანაში მოქმედებს რამდენიმე ინოვაციური ცენტრი, რომლებიც ფინანსდება აშშ-ის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ. აქ, საკუთარი „სპინ-ოფ“ ფირმის ორგანიზების მსურველები (როგორც წესი, უნივერსიტეტების მასწავლებლები და სტუდენტები), გაივლიან კურსებს, რომლის მიზანია მცირე ფირმების ფორმირების პროცესის გაადგილება.

უნდა აღინიშნოს, აგრეთვე, იმ გამოგონებათა კომერციულ გამოყენებაზე ლიცენზიების უფასო გაცემის პრაქტიკა, რაც და-პატენტებულია საბიუჯეტო კალეგების წარმოებაში და წარმოადგენს ფედერალური მთავრობის საკუთრებას.

საინვესტიციო ფონდების საქმიანობა ატარებს ფილანტო-პულ ხასიათს. მისი მიზანია როგორც მცირე ფირმა-ინივატორ-

## **ნაირა ღვედაშვილი**

---

ების, ასევე ცალკეული გამოგონებლების ფინანსური დახმარება. მცირე ფირმების ინვესტირებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს აშშ-ის ეროვნული სამეცნიერო ფონდი, რომელიც არა მხოლოდ აკრედიტებს ინოვაციურ ფირმებს, არამედ გასცემს მათზე გრანტებს - უსასყიდლო მიზნობრივი სუბსიდიების სახით.

აშშ-ში ასეთი ფონდის მაგალითია ენერგეტიკის სამინისტროს საინვესტიციო ფონდი, რომელიც დაგავებულია როგორც მცირე ფირმების მიერ განხორციელებული ცალკეული კვლევითი პროექტის დაფინანსებით, ასევე ინდივიდუალურ გამოგონებელთა სუბსიდირებით. თავის არაკომერციულ ორიენტაციას ფონდი ხაზს უსვამს იმით, რომ უპირატესობას ანიჭებს „ჩავარდნის მაღალი რისკის“ მქონე პროექტებს.

აშშ-ში, ინოვაციური პროცესების პირდაპირი მხარდაჭერის არსებითი ფაქტორი სახელმწიფო ინოვაციური ინფრასტრუქტურის ფორმირებაა. სახელმწიფოს შექმნას სიახლეების გავრცელების ცენტრებისა და საკონსულტაციო ცენტრების ქსელი, რომლებიც ინოვაციებს აწოდებს საქმიან მომსახურებას. სახელმწიფო ხელს უწყობს ინოვაციათა ბაზრის ფორმირებას (გამოფენები, ბირჟები, ბაზრობები და ა. შ.) და თვითონ გამოდის მის აგენტად (მაგალითად, ლიცენზირების ყიდვა-გაყიდვის დროს).

სახელმწიფო ორგანოები მოწოდებულია განახორციელოს აშშ-სა და საზღვარგარეთ ინოვაციური პროცესების მონიტორინგი და პროგნოზირება, ხოლო ხშირად, ფართო დანერგვისათვის – ყველაზე ეფექტიანი მოწინავე ტექნოლოგიების ძიებაც. განსაკუთრებული ადგილი უკავია ინოვაციური პროექტების სახელმწიფო ექსპერტზებას, რადგან ორგანიზაციებისთვის, რომლებიც ახორციელებს ინოვაციებს, მნელია საერთო-ეკონომიკური მასშტაბით მათი ყველა შესაძლო ეფექტის შეფასება. ინოვაციურ ორგანიზაციებს შეიძლება მიეცეს შეღავათები სახელმწიფო მომსახურების – კომუნიკაციის, ელექტროენერგიის და ა. შ.

## **ԵՐԵՄԱՋՎԻ ԹԵՐԱՌՈԱ ՀԱ ԵՐԵՄԱՋՎԻ ԱՐԴՈՒՅԱ**

---

եարջեցիս անանդայրեցին.

Թեովուշնելով ամուսինու մեարժակյերաց, ռոմելու Շորու Շյոկլյած ճագասեակելու գամոհենու մեցնոյրեցիս և եռացարքին և սակացու Վաղացեցիս մոնոկյեց, օնոցացոյրու քրությունը գալացեմա, սակացու Վաղացեցիս մոմեակայրեցիս, ճա ացրետայ, վեպանանի արևեցյալու սամեցնոյրո-Ծյեյնոյրու Ծրագուցուցիս գամոպյենցիս օնոցացոյրու երեցիս քրոպացանց, սակելոմնոյրու ելլամմացանցլյածիս զո՞նիցու Վամպան օնոցացոյրու որշանութացուցին, մատու մեարժեցինու մոխնու. սամեցնոյրո-Ծյեյնոյրու օնքալուցենցու Վարմոմացցենցլու մոնավուլյունա սակելոմնոյրու ջռնուսմոցեցին, սամեցնոյրո-Ծյեյնոյրու Վենքրցիս ոչուորշանութացու մեարժակյերա և ճ. Ռ.

Արապորդապորու Ռցցալուրյուցիս ջռնուսմոցեցիս Շորու, Շառու օրշալոյս կրցանու, շնեա ացունու մեռու սացալասեացու Շյլայատցի. մոցցիս գաճասաեացու Շյլայատուանու ճակյեցարու Ռյալութացու եցեց ռոշորց գաճասաեացու ճասակյեցրու ճանու Շյմուրյուցիս, ակեց սացալասեացու գաճակյետցիս Շյմուրյուցիս շնութ.

ԱՇՄ-ի սակելոմնոյրու პռլուրյուցիս տագուսեցյալյածա, ացրետայ, նոցացոյրու პռլուրյուցիս Շյմուշացցեցիս և Ռյալութացուանու գաճ-ավաբարուցուցիս „ՎՇՎԵՑՐՈՎՈ” կռնցենքրացու.

ԱՇՄ-ի ճուգու պարագայ յոմու մմարտայլունու գաճ-ավաբարուցուցիս պռլուրնուրյուցիս, կրոցնութիւնյածա, եթանդարքութացուաս, ռքիմութացուաս, օնոցացոյրու պռլուրյուցիս սակելոմնոյրու յիշակյրութիւնյաս, օնոցացուցիս սակելոմնոյրու սբացուսցու Վարմուցիս, յոն-սբրուկյրյածի, Ծյեյնոլուրյածի, յոնոմուսբյածի, օնցեսբորյածի և մենեյքյերյածի 30 Վյլույ մեցու ոյցեցյալու յրույլյու յրունց և սբանդարքս և սեցալասեցա ռծուրյուցիս յանկյուր-ճուրյուլյածիու անալութին, եռլու ճասելուրյածու 10 Վյլու գաճասյլու արուան պռլուրյուցու սարուսես մարտցու 9000 սյրուս սայրուանուսու սբանդարքյածի.


ԱՇՄ-ի Շյմուշացցեցյալու Շոցա և սայրուանուսու կռնյարյուցու գաճակյուրյուցիս մանցուտարյածիս մեյսանութմու, անքուրյուլյունու յանոն-

## ნაირა ღველაშვილი

მდებლობა მოქმედებს უკვე 100 წელზე მეტია. არ არის გასაკვირი ის, რომ ქვეყანას პირველი ადგილი უკავია მსოფლიოში ქვეყნებს შორის კონკურენცუარიანობის დონის მიხედვით.

ინოვაციური საქმიანობის მართვის სრულყოფის თვალსაზრისით ფრიად ანგარიშგასაწევია მდიდარი საზღვარგარეთული გამოცდილება. უკანასკნელი 20-25 წლის განმავლობაში ცხადი გახდა, რომ მნიშვნელოვანწილად სწორედ ინოვაციური სფეროს განვითარებაში მიღწეული დონე და დინამიკა ქმნის ეკონომიკური ზრდის მყარ ბაზას<sup>1</sup>.

იაპონიაში სამეცნიერო-ტექნიკური პოლიტიკის (სტპ) სახელმწიფო მართვის ორგანიზაციული სტრუქტურა<sup>2</sup> ასეთია:



იაპონიაში სტპ-ს სახელმწიფო მართვის ორგანიზაციული  
სტრუქტურა

<sup>1</sup>. ლ. ჩიქაგა, ინოვაციური პოლიტიკა. თბ., 2006, გვ. 71.

<sup>2</sup>. Иновационный процесс в странах развитого капитализма. Под. ред. И. Е. Рудаковой, М., МГУ, 2002, с. 70.

օաքռնոօս մրց՞ցելոծուս სტրաֆյցուս գանսաზգվրասա დա և թէ-ուս յոնկըրեթյունո մոմարտոյլցեցնուս შյերյւլցեցնուս յոնքրուս աեռուցոյլցեցնուս մյշնոյրեցնուս დա թյինույս սամմարտցելու արքյեծնուս վյայնուս սամյշնոյրո-թյինույրո գանցոտարյցնուս ցրդյցլցաճունու პրոցրամա, եռուցոյլցեցնուս սաზգարցարյուտ լուցյնույցնուս վյայնույցնուս დա գամոյցնույցնուս կալցացցուս սტիմյլուրյցնուս.

օացու սայնունուս დա մուսու մաճալու եարուսես եարչից, արսեծյլու ծանրյցնութան պատկանուցու յոնկըրենթյունուս գամոյցյցնուս սանացվուրու, օաքռնուս այլյուալյուրուս պայուր րույլու ամուցանատցուռն վյշնուն աեճու ծանրյցնու—աեճու սայնույղից დաճալու յասեցնուս დա մաճալու եարուսես վյանարհյնցնուտ.

օաքռնուս արա մարդու գանսաზգվրայի մրց՞ցելոծուս დա սացարյու զայտրուս թոցաճու დա դարցաճրուց գանցոտարյցնուս սტրաֆյցնուս, արամյեց տացուս գանցարցյուլցեցնուս գասինուս ոմ սամյց ալցյցնուս დա մյուռուցյուս սայմառու დուց արսենալու, բայց ամ սტրաֆյցնուս յոնկըրեթյունուս սամյալցեցնուս օմլցաց. սայյևսկորթու թարմուցնուս დա յիլյառթուս գանցոտարյցնուս թյեմոյժյցնուս թրաճ-օւոյլու յառնոմիցյուրո დա աժմոնուստրացոյլու եյրեցնուս գարճա, յարտու դամոյցնութան յիլյառթուս մյալցատունու დայրեցությունու დա թանցացա, յիլյառթութուրյունուս նախուլուցրուց գատացուսյուլցեցնու գաճաճասաճցնուսացն, յիլյառթութուրյունուս սաելմթուոյրո յոմելցել-սյրու դաեմարյցնու, մատու գասաճցնուտու սայմինուցնուսատցուս եյլմյինյունու დա ա. թ. ամաստան, პռայլարյունուս օաքռնուս սաելմթուոյրու տրցանցնութան մոյր օւյտու արապուրճապուրու մյուռուցյունուս գամոյցնութան, բռցորուցած:

ա) յյերժու ծանկյցնուս մոյր գաւյնյունու յունանսյուրո րյեսյուրյցնուս մունենուրուց գանախուլցեցնու დա մուսու յոնկըրենթրուրյունությունու դարցյցնու;

բ) սախարմուցյունու մովունաց պատկանուրո թյինուռուցյունուս դաներցցամու եյլմյինյունութան;

## ნაირა ღვედაშვილი

გ) საზღვარგარეთის ქვეყნებთან სამეცნიერო-ტექნიკური პროდუქციის გაცვლაზე კონტროლი.

მეცნიერებისა და წარმოების ინტეგრაციის, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის იაპონური მოდელი გულისხმობს ტექნიკოლისების (სამეცნიერო ქალაქები) მშენებლობას, რომლებიც თავს უყრის მეცნიერებად ტევად სამრეწველო წარმოებას.

ტექნიკოლისების შექმნის პროექტი არის მსოფლიოს მასშტაბით ტექნიკოლოგიური ლიდერის მტიცე პოზიციების მოსაპოვებლად იაპონიის მთავრობის „ექვსმიზნიანი“ პროგრამის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული მიმართულება.

როგორც იაპონური ტექნიკოლისების დარგის ამერიკელი სპეციალისტი ჟ. ტატუნი აღნიშნავს, ტექნიკოლისების სტრატეგია არის უმაღლესი ტექნიკოლოგიური დონის რეგიონული ცენტრების ქსელის განვითარების საფუძველზე საქმიანობის ახალ სფეროებში შედწევის სტრატეგია, რისი მეშვეობითაც იგი წარმოადგენს მთელი იაპონური ეკონომიკის ინტექტუალიზაციის სტრატეგიას.<sup>1</sup>

იაპონიის მთავრობა უერთდება საერთაშორისო ინტეგრაციისა და კოპერირების განვითარების დონისძიებებს. მაგალითად, 1988 წელს მიღებულ იქნა ხელშეკრულება ამერიკა-იაპონიის თანამშრომლობის შესახებ მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში.

იაპონიის ეკონომიკის განვითარების თავისებურებებს სამრეწველო წარმოებისა და ფირმების კაპიტალის შემდგომი კონცენტრაცია, მიკროელექტრონული ტექნიკის საფუძველზე რესურსდამზოგველ ტექნიკოლოგიებზე და გადამამუშავებელი და ამწყობ წარმოებებსა და მომსახურებათა სფეროს პრიორიტეტებზე გადასვლა წარმოადგენს. ეკონომიკის წამყვანი დარგებია ინფორმატიკა, ინტეგრალური სქემებისა და ელექტრონული ტექნიკის წარმოება და სხვ.

აქტიური ინოვაციური საქმიანობის შედეგად იაპონიას

<sup>1</sup> Иновационный менеджмент. Под. ред. П. И. Завлина, М., 2000, с. 85.

## **ეკონომიკური თეორია და ეკონომიკური პოლიტიკა**

პირველი ადგილი უკავია მოსახლეობის ერთ სულხე მშპ-ის დონის, რესურსების გამოყენების ეფექტიანობით, მრეწველობაგანვითარებულ ქვეყნებს შორის ეკონომიკური ზრდის ტემპებით და მოსახლეობის სიცოცხლის ხანგრძლივობის მიხედვით.

გერმანია, ინგლისი საფრანგეთი--ეს ქვეყნები წამყვანია ეპროკაგშირის შემადგენლობაში. ევროკაგშირის ქვეყნების თავისებურებებია: სამუშაო ძალის, ბუნებრივი რესურსების და მიწის სიძვირე; მოსახლეობის მაღალი სიმჭიდროვე; წარმოებისა და ინფორმატიზაციის მაღალი ტექნიკური დონე; საპატიო დამოკიდებულება განათლების, კულტურის, ცხოვრების ჯანსაღი წესის, სიბერის, ისტორიული ტრადიციებისადმი; უმნიშვნელოვანებს სასურსათო საქონელზე ფასების სახელმწიფო რეგულირება; მართვასა და წარმოებაში-- ინდიკატური დაგეგმვა; მეცნიერებატექნიკის წარმოების კონცენტრაციისა და კოოპერირების მაღალი დონე და როგორც ყველაფერი ამის შედეგი - მოსახლეობის ცხოვრების მაღალი ხარისხი.

ევროკაგშირი დიდ ყურადღებას უთმობს საინოვაციო საქმიანობის აქტივიზაციის ზრდას. ევროკაგშირის საინოვაციო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს მიეკუთვნება:

- ერთიანი ანტიმონპოლიური კანონმდებლობის შემუშავება;
- მოწყობილობათა დაწეარებული ამორტიზაციის პოლიტიკა;
- მცირე მეცნიერებატევადი ბიზნესის წახალისება;
- უახლესი ტექნოლოგიის დარგში ინოვაციების წასახალისებლად საწარმოების პირდაპირი დაფინანსება;
- საუნივერსიტეტო მეცნიერებისა და მეცნიერებატევადი პროდუქციის მწარმოებელი ფირმების თანამშრომლობის სტიმულირება.

ევროკაგშირის საინოვაციო პოლიტიკის საფუძველია „ინოვაციათა საერთაშორისო ინფრასტრუქტურის განვითარებისა და ტექნოლოგიების გადაცემის გეგმა”, რომელიც მიღებულ იქნა

## **ნაირა ღვედაშვილი**

---

1985 წელს. ამ დოკუმენტის მიზანია ეროვნულ და ზეეროვნულ დონეზე მხა პროდუქტებში სამეცნიერო კვლევების შედეგთა გამოყენების პროცესების გამარტივება და დაჩქარება, აგრეთვე, ევროპავშირში ინოვაციების გავრცელებისათვის ხელშეწყობა. ამ გეგმის ერთ-ერთი განყოფილება – „ქვეყნებს შორის კოოპერაცია ინოვაციების დარგში,” ითვალისწინებს ტექნოლოგიების გადაცემისა და ინოვაციების მართვის კონსალტინგური სამსახურების შექმნას და ფუნქციონირებას.

### **Foreign Experience of State Regulation of Innovative Activities**

**N. Ghvedashvili**

The article mainly deals with the activities of the countries which make the core technological group of the world development: the USA, Japan, Germany, England and France. The main emphasis is made on the types of tax exemptions used in world practice that stimulates innovative activities. The article also discusses the models of scientific-innovative development of industrially developed countries.

რეზილიენტი ინიციატივი პოლიტიკის

საკითხისათვის

ჯანდრი ზარანდია.

ექონომიკის აკადემიური დოქტორი,  
სოხუმის უნივერსიტეტის  
ასოცირებული პროფესორი

გლობალიზაციის პროცესი იმდენად სწრაფად ვითარდება, რომ თუკი ამა თუ იმ სახელმწიფომ დროულად ვერ შეძლო თავის ადგილის მონახვა, ჩამორჩენილობის დაძლევა უპერსპექტივოდ გადაიქცევა. ტექნოლოგიური ჩამორჩენილობის ზრდის შემთხვევაში, მსოფლიოში მოხდება დიფერენციაციის ზრდა ქვეყნებს შორის არა მარტო კაპიტალის და სხვა რესურსების სხვაობის, არამედ დაგროვილი ცოდნის დონის გამო. ეს უკანასკნელი კი საკამოდ ხანგრძლივი და რთული პროცესია.

განვითარებადმა ქვეყნებმა, ტექნოლოგიური ჩამორჩენილობის დაძლევისათვის მკაფიოდ უნდა ჩამოაყალიბონ ცოდნის შეძენის, მისი გადაცემის და ათვისების მწყობრი მექანიზმი. ცოდნის შეძენის ამოცანები უნდა მოიცავდეს მსოფლიოში არსებული ცოდნის გამოყენებას საკუთარი პრობლემების გადასაწყვეტად. სახელმწიფოს ამ პროცესში მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია, კერძოდ, ეროვნული სტრატეგიის განსაზღვრა ტექნოლოგიური ჩამორჩენილობის დასაძლევად, ნორმატიული და სამართლებრივი გარემოს და მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლების სისტემის შექმნა, ხარისხის ანი ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, ასალი ტექნოლოგიური ცოდნის გენერაციის ცენტრების ჩამოყალიბება და სხვა.

უნდა ითქვას, რომ სპეციალისტების შეფასებით მეცნიერებატევადი პროდუქციის მსოფლიო ბაზრის მოცულობამ დღეისათვის 2300 მლრდ დოლარს გადააჭარბა. ადნიშ-

## Хანდი გარანტი

ნული ბაზრის უზრუნველყოფა ხდება დაახლოებით 50 მაკროტექნოლოგიით. მხოლოდ 7 განვითარებულ ქვეყანას გააჩნია 46 მაკროტექნოლოგია, რომლითაც აკონტროლებენ მეცნიერებატევადი პროდუქციის ბაზრის 80%--ს. პირველ ადგილზეა აშშ, რომელიც ასეთი პროდუქციის ექსპორტის საშუალებით უზრუნველყოფს 700 მლრდ დოლარის მიღებას, მეორე ადგილზეა გერმანია – 500 მლრდ და მესამეზე იაპონია 400 მლრდ დოლარის მოცულობით. აღსანიშნავია ისიც, რომ ტრანსნაციონალური კომპანიების კონცენტრაცია ძირითადად მოხდა აშშ ტერიტორიაზე. ამჟამად მსოფლიოს 100 უდიდესი კომპანიის რიცხვში შედის აშშ-ის – 35, ევროპის – 42, იაპონიის – 21, –ხოლო მსოფლიოს დანარჩენი ქმენის – 2 ტრანსნაციონალური კორპორაცია.<sup>1</sup>

აქედან გამომდინარე, განვითარებული ქვეყნებისათვის გლობალიზაციის პროცესში უპირველეს ამოცანას წარმოადგენს საქონლისა და მომსახურების ინტელექტუალური შრომის მაღალი მონაწილეობით, მწარმოებელი დარგების პრიორიტეტული განვითარება.

ახლი ცოდნა ხდება აღწარმოების პროცესის საფუძვლი, ხოლო განვითარებული ეკონომიკა გარდაიქმნება ახალ ტექნოლოგიურ ცოდნაზე დამყარებულ ეკონომიკად. განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს გარდაქმნები იმ ქვეყნებში, სადაც მიმდინარეობს ეკონომიკის ტრანსფორმაცია, რის გამოც, როგორც წესი, ადგილი აქვს წარმოების ვარდნას და საინვაციო დონისძიებისადმი ინტერესის მნიშვნელოვან დაქვეითებას. საინვაციო კრიზისი აძლიერებს ეკონომიკის კრიზისს. ამიტომ, საინვაციო პროცესების მართვა უნდა წარმოადგენდეს ერთ-ერთ მთავარ ამოცანას ანტიკრიზისულ პროგრამაში.

სამეცნიერო-ტექნოლოგიური პროგრესის სწრაფი განვითარების, ბაზრის ლიბერალიზაციის და კონკურენციის გამძიერების პირობებში, ინვაციები წარმოადგენს წარმატე-

1 Практика глобализации. М., 2001, с. 138.

**ეკონომიკური თაორიგა და ეკონომიკური პოლიტიკა**

ბის მთავარ ფაქტორს. ამიტომ, გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს სახელმწიფო საინვეციო პოლიტიკის დამუშავება რეალური პრიორიტეტების დადგენით, ამ პროცესში სახელმწიფო და კერძო სტრუქტურების საქმიანობის კოორდინაცია და ხელშეწყობა, შესაბამისი სამართლებრივი სისტემის და ინფრასტრუქტურის შექმნა და სხვა. ეს საკმაოდ რთული ამოცანაა გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებისათვის, ვინაიდან იგი წარმოებითი ურთიერთობების და შრომის მოტივაციის ცვლალებების, სოციალურ-ეკონომიკური არასტაბილურობის ფონზე უნდა გამხორციელდეს.

მსოფლიოში ინოვაციური პროცესების დაწერებისა და გამოყენების საკმაოდ დიდი საერთაშორისო გამოცდილებაა დაგროვილი. ქერძოდ, სამეცნიერო-საკვლევი პარკების (აშშ), ტექნოლოგიათა ინკუბატორების (ისრაელი), ტექნოლოგიური პარკების (გერმანია), ტექნოპოლისების (იაპონია) შექმნამ მყარი საფუძველი ჩაუყარა ინოვაციათა ფართო მასშტაბით გამოყენებისათვის.

გლობალიზაცია ინოვაციათა გამოყენების საქმეში, უქნის ხელსაყრელ

გარემოს იმ ქვეყნებს, რომლებიც მზად არიან გამოიყენონ განვითარებული ქვეყნების მიღწევები. ამჟამად სწრაფად მიმდინარე ინტერნეტის კომერციალიზაციის პროცესმა საფუძველი შეუქმნა “ელექტრონულ ბაზარს.” სამეცნიერო-ტექნოლოგიური განვითარების თანამედროვე ეტაპისათვის დამახასიათებელია ეროვნული საინოვაციო სისტემების (ეს) შექმნა, რაც ახალი სამეცნიერო და ტექნოლოგიური ცოდნის უზრუნველმყოფი, ურთიერთდამაკავშირებელი ორგანიზაციების და სტრუქტურების ერთობლიობაა.

ამგვარ ერთობლიობაში იგულისხმება მცირე ან მსხვილი კომპანიები, უნივერსიტეტები, სახელმწიფო სამეცნიერო დაწესებულებები, ტექნოპარკები ან ინკუბატორები.

## Хანდრი გარანტია

---

ეროვნული საინოვაციო სისტემები ფორმირდება ცალკეული ქვეყნისათვის დამახასიათებელი ფაქტორების ზეგავლენით, კერძოდ, ბუნებრივი რესურსების სამეცნიერო-ტექნოლოგიური პოტენციალის, სამეწარმეო საქმიანობის ტრადიციების და სხვათა გათვალისწინებით. მიზომ, ცალკეულ ქვეყანაში საინოვაციო სისტემას გააჩნია გარევეული ეროვნული კონფიგურაცია, რომელიც ეფუძნება სამეცნიერო-ტექნოლოგიური განვითარების პრიორიტეტებს მსხვილი ეროვნული მნიშვნელობის პრობლემების გადასაწყვეტად.

ამ პროცესში სახელმწიფო ასრულებს მნიშვნელოვან ფუნქციას ხელსაყრელი გარემოს შექმნისათვის, რომელიც მოიცავს აუცილებელ ღონისძიებათა კომპლექსს. ამგვარი გამოცდილების ფონზე თუ შევაფასებთ საქართველოში არსებულ მდგომარეობას სამეცნიერო-ტექნოლოგიური განვითარების სფეროში, სურათი საკმაოდ არასასურველია. თუმცა, ინოვაციური პოტენციალის გამოყენების თვალსაზრისით, მეტად საინტერესოა საქართველოს მრეწველობის ობიექტები, რომლებიც ძირითადად ქვემო ქართლისა და იმერეთის რეგიონშია კონცენტრირებული, კერძოდ: ს.ს. “აზოგი”, ს.ს. “მადნეული” და მისი შვილობილი ფირმა შ.კ.ს. “კვარციტი”; ს.ს. “რუსთავის მეტალურგიული კომბინატი”, აგრეთვე ს.ს. “რუსთავცემენტი”, ს.ს. “ზესტაფონის ფერმშენადნობთა ქარხანა” და ს.ს. “ჭიათურმანგანუმი”, ს.ს. “ელექტრომექანიკოსი”, ს.ს. “აისი” და სხვა. ამ საწარმოებში ქვეყნის სამრეწველო ინოვაციური პოტენციალის მნიშვნელოვანი ნაწილია თავმოყრილი. თუმცა, აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ მიუხედავად ამისა, უცხოელი ინვესტორების გარეშე მათი სრული დატვირთვა და შესაბამისად ახალი ან პრინციპულად გაუმჯობესებული პროდუქციის წარმოება შეუძლებელია. თითოეული მათგანი საჭიროებს მნიშვნელოვან პერმანენტულ ინვესტიციებს. ბევრ ზემოთ დასახელებულ საწარმოში, წარმოების ძირითადი საშუალებების განახლებ-

## **ეკონომიკური თეორია და ეკონომიკური პოლიტიკა**

ის მიზნით, მნიშვნელოვანი ინვესტიციები განხორციელდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც ვერ იქნა მიღწეული ფინანსური მდგომარეობის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება, თუ არ ჩავთვლით “ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანას,” ს.ს. “ჭიათურმანგანუმს,” აგრეთვე ს.ს. “მაღნეულს,” და ს.ს. “რუსთავცემენტს,” რომელთა მიერ ნაწარმოები პროდუქცია საერთაშორისო ბაზრის მოთხოვნით სარგებლობს.

საქართველოში რეალურად არსებული ინოვაციური პოტენციალის მიუხედავად, მეტად დაბალია ინოვაციური წარმოებების ხვედრითი წონა. ინოვაციათა დაფინანსება მნიშვნელოვან სახსრებთანაა დაკავშირებული. წარმოებაში პრინციპულად ახალი პროდუქციის დანერგვა, თანამედროვე საბაზო ეკონომიკის მოთხოვნებიდან გამომდინარე, მეტად გართულებულია. ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ თანამედროვე ეტაპზე რეგიონების ინოვაციური პოტენციალის გამოყენების შიგა წყაროები მნიშვნელოვნად მცირეა. შესაბამისად, საქართველოს ხელისუფლების ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება საზღვარგარეთიდან ინვესტიციების მოზიდვა უნდა იყოს, რაც უცხოელი ინვესტორების მხრიდან ქვეყნის ინოვაციური პოტენციალის სრულად ათვისებასა და ზრდაში უნდა გამოიხატოს.

საქართველოში სამეცნიერო-ტექნოლოგიურ სფეროში არსებული არასახარბიელო მდგომარეობის დაძლევისა და ეკონომიკის ინოვაციური მიმართულებით წარმართვისათვის აუცილებელია გრძელვადიანი სტრატეგიის არსებობა, რომელიც მიმართული იქნება ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების, თანამედროვე საინოვაციო ტექნოლოგიების და მართვის გამოცდილების ათვისებისაკენ.

ამ ამოცანის გადასაწყვეტად აუცილებელია ქვეყნის განვითარების მკაფიოდ დასაბუთებული პრიორიტეტების განსაზღვრა, რეგიონების როლის ამაღლება. ამ საქმეში მთავარი

## **ჯანდრი გარანტია**

---

პრიორიტეტების განსაზღვრისათვის გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს. ეროვნული სიმდიდრის განსაზღვრა გაეროს სპეციალური მეთოდოლოგიის საფუძველზე. ეროვნული სიმდიდრის შეფასებისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ბუნებრივი რესურსების გონივრულ გამოყენებას. პერძოდ, მინერალური წიაღისეულის (საბაზრო მოთხოვნების და არსებული მარაგების გათვალისწინებით), მიწის, წყლის და რეკრეაციული რესურსების, სამეცნიერო-ტექნოლოგიური პოტენციალის, შრომისუნარიანი მოსახლეობის აქტიური ნაწილის სამეწარმეო უნარის გამოყენებას. მინერალური წიაღისეულის მოძიებული მარაგებისა და საბაზრო კონიუნქტურის გათვალისწინებით, უპირატესობა უნდა მიეცეს მანგანუმის მაღნიდან ფეროშენადნობების წარმოებას არსებული სიმძლავრეების სრული გამოყენებით, მაღნეულის სპილენძის კონცენტრატების გადამუშავებას სპილენძის მზა ნაკეთობათა მიღების, ოქროს-შემცველი კვარციდებიდან კონდიციური ოქროს, ბეტონიტური თიხების, ბუნებრივი სამშენებლო და მოსაპირკეთებელი მასალების თანამედროვე ტექნოლოგიურ დონეზე მოპოვებასა და გადამუშავების ორგანიზაციას.

საინოვაციო სისტემების ფორმირება, როგორც წესი, ცალკეული რეგიონისათვის დამახასიათებელი ისეთი ფაქტორების ზეგავლენით ხდება, როგორიცაა: სამეცნიერო-ტექნოლოგიური პოტენციალი, ბუნებრივი რესურსები, გეოგრაფიული მდებარეობა, სამეწარმეო საქმიანობის და სახელმწიფო ინსტიტუტების ტრადიციები და სხვ. ამიტომ, სამეცნიერო-ტექნოლოგიური განვითარების პრიორიტეტების განსაზღვრა პროგნოზირების სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით უნდა ხდებოდეს. პრიორიტეტების სამეცნიერო-ტექნოლოგიური უზრუნველყოფა უნდა გადაიქცეს ქვეყნის ეკონომიკის განვითარების სასიცოცხლო მნიშვნელობის მიმართულებად, რათა შესაძლებელი გახდეს მოსახლეობის დასაქმება და მათი მძიმე სოციალური მდგო-

## ეკონომიკური თეორია და ეკონომიკური პოლიტიკა

მარების რეალურად გაუმჯობესება.

აღნიშნული სასიცოცხლო პრობლემების გადაჭრის საქმეში განსაკუთრებული როლი უნდა შეასრულონ ქვეყნის რეგიონებმა. უდავოა, საქართველოს გეოსტრატეგიული მდგბარეობის გამოყენებას, საერთაშორისო სატრანსპორტო სისტემების და ენერგორესურსების მიღლადენების ორგანიზაციასთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანი როლი აკისრია, მაგრამ არსებული მდგომარეობის შეფასებისას ამ ფაქტორმა მთლიანად არ უნდა დაჩრდილოს ზემოთ აღნიშნული პრიორიტეტები.

საქართველოს რეგიონებში საინვესტიციო საქმიანობისა და მისი ერთ-ერთი უმთავრესი კომპონენტის—საინოვაციო პროცესების მართვა, უწინარეს ყოვლისა, დამოკიდებულია სტრუქტურულ გარდაქმნებზე, რომლის განხორციელების ორი ძირითადი გზა არსებობს: პირველი, რომელიც აქცენტირებას აკეთებს ექსპორტზე ორიენტირებულ მომპოვებელ დარგებზე და მასალებისა და ნახევარფასრიკაპტების წარმოებაზე (ნავთობი, ქიმიური პროდუქცია, ტყის პროდუქცია და სხვა); მეორე, რომელიც ორიენტირებულია შიგა ბაზარზე და აქცენტს აკეთებს მეცნიერებატევად წარმოებაზე. იმისდა მიხედვით, ოუროგორია რეგიონის ფინანსური მდგომარეობა, საინვესტიციო პოლიტიკა და რაც ყველაზე მთავარია, რა ეკონომიკურ პოტენციალს ფლობს რეგიონი, შეირჩევა გარდაქმნის გზაც. ამდენად, ვიდრე ქვეყნის ამა თუ იმ რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური გავნითარების პერსპექტივებზე ვიმსჯელებთ, უპრიანია, უწინარეს ყოვლისა, განვიხილოთ რეგიონების ეკონომიკური პოტენციალის გამოყენების შესაძლებლობები.

წარმოების ეფექტიანობის ამაღლების საკითხები ჰქიდრო არის დაკავშირებული ძირითადი კაპიტალის, შრომითი და დანარჩენი ეკონომიკური რესურსების პოტენციური შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოყენების ოპტიმალური

## ՀԱՆՁՐՈ ՑԱՐԱՆՁՈՅ

---

շնչեծու մոյեաստան, Ռազ, ծյուղերուցու, Միջնաբարձրագուց յոհնէրշ  
Ծյուլո Ռյացունուսա դա մտլուանագ կայքնու յառնոմուցուրո პո-  
Ծյենցուալու ցագուցեծու Ծյմէյեծու ճահյարշեծու դա մասնիցաձեծու նո-  
րդաւ մուս եարուսեռուցու Մյմացցենուուծու ցաշմչանձեսեծուսա  
դա Ռազունալյուրագ ցամոյցենցեծու սայշմէցելությ. Տախոցալոյ-  
ցեծուսատցու Տրյուլյեծու ար արու Տյուլյերու, ույ Ռա Ռառուցենո-  
ցեծու Ռյեսյրուսա դասեարշյեծու պայցըլո յրու լարու յրուուծու ցո-  
ւոցա Արուցույիցուսա դա յրուցույլո Մյմուսացլու Վարմոյեծանց.  
Կյանքագ ամ ցարյմոյցեծու արու ցամովյցույլո, Ռոմ մուլիշյուլ  
ոյնցու աքըումալյուրո Ծյմէյեծու դա პրուռուցույիցու ցալքյցույլո  
Ռյացունուս մուեցցու յրուցույլո մյշրնեռուուց դանասարշյեծուսա  
դա մուս Մյմացցեծու Մորուս. Իյյեն Տայեցեծու ցետանեմյեծու յառն-  
ուումուսիցեծու մուսանցյեծուս, Ռոմ ամ մունուտ մունանշյունուուց  
Վարմոյեծու յշյէյիւնունուցու մահյենցելուա Տուսիցմաժու ցամոյցո-  
յենու յառնոմուցուրո Արյենցուալու մահյենցելու, Ռոմլուուաց  
Մյսամլյեցելու ոյնցու ցատցալուսինցեծույլ ոյնցու դացրուցուցու  
Ռյեսյրսեցուս Տուուցց, մատու Արյենցույրո Մյսամլյեցելուուցու  
ցամոյցենցեծու եարուսեսու դա Մյյմնուուց մուցյուլուծա.

Ժիշ Ցանճա Տախոցամու ալցնումենու, Ռոմ յարնոմուցուրո  
Արյենցուալու Ռյացունուսա դա կայքնու յառնոմուցուրո մլույրեծու  
մտացարո մահյենցելու դա յետուուցաց ամացլյեծու շմենի՛  
շնչելուցանցու Աուրուծա, Ռացանաց Տվորու յառնոմուցուրո Ար-  
յենցուալու Տասուատցեծու դացրուցու Ռյեսյրսեցուու դա մարյու-  
ուուցու ալցատուու (մոմսանցյեծուս) Վարմոյեծու Մյսամլյեցելու  
մուցյուլուուտ, Ռոմյելսաց Այրեսկյէլուցաշու Մյուցլյեծու մուզացնուու  
Ռյացունուսա դա կայքանաժու արսեծույլո Ռյեսյրսեցու Ռազունալյու-  
րագ ցամոյցենցու ցնուու. Ամրոցագ, յառնոմուցուրո Արյենցուալո  
աեասուատցեծու ցալկյուլու Ռյացունուսա դա կայքնու Մյսամլյեցելու  
յառնոմուցուր մլույրեծուս դա Վարմոցցուցեծա, Ռոգորու դա-  
ցրուցու դա ալի՛ Արմոցեծույլո Ռյեսյրսեցու Տուուցուու ցանմա-  
նոցացեցելու մահյենցելու. յառնոմուցուրո Արյենցուալու շնճա

<sup>1</sup> Ճ. Կայունու. Տայարուցցու յառնոմուցա. ուժ., “Մյրուուանու”, 1995, Ճ. 21.

**ეკონომიკური თეორია და ეკონომიკური პოლიტიკა**

ადგიქვათ, როგორც დაგროვილი რესურსების გამოყენებული და გამოუყენებელი შესაძლებლობების ერთობლიობა, რომელთა ამოქმედებისა და საზოგადოებრივ აღწარმოებაში ჩართვის მიზანია რეგიონებისა და ქვეყნის კუონომიკური განვითარება, მოსახლეობის ცხოვრების პირობების მკვეთრად გაუმჯობესება.

განვითარებულ ქვეყნებში სახელმწიფოს მნიშვნელოვან  
ფუნქციად სამეწარმეო სექტორის საინოვაციო საქმიანობისათ-  
ვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა იქცა. სახელმწიფოს ამ  
ფუნქციის შესასრულებლად იყენებენ ეკონომიკური და საბიუ-  
ჯეტო პოლიტიკის რიგ ღონისძიებას: მიზნობრივ საგადასახ-  
ადო შედავათებს, შედავათიან დაკრედიტებას, დაჩქარებულ  
ამორტიზაციას, სახელმწიფო ქონებისა და მიწის უსასყიდლო  
გადაცემას საინოვაციო საწარმოების შესაქმნელად და სხვა.

საერთაშორისო გამოცდილება ცხადყოფს, რომ ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელების პროცესში სახელმწიფოს ერთ-ერთი მთავარი ფუნქციაა საინვესტიციო საქმიანობის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა და მისი ყოველმხრივ სტიმულირება.

ამგვარად, საქართველოში თანამედროვე ეტაპზე, რეგიონული საინოვაციო საქმიანობის მართვის თვალსაზრისით, ფართომასშტაბიანი რეფორმებია გასატარებელი. მიუხედავად გატარებული სტრუქტურული, ინსტიტუციონალური და საკანონმდებლო ღონისძიებებისა, ქვეყანა საჭიროებს უფრო აქტიურ საინოვაციო პოლიტიკას, რაც, უწინარეს ყოვლისა, ქვეყანაში მაკროეკონომიკური სტაბილურობის საფუძველზე, თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა სტიმულირებითა და ყოველმხრივი მხარდაჭერით უნდა გამოიხატოს. ინოვაციური პროცესის აქტივობის ამაღლებაზე ორიენტირებული მოქნილი და ქმედითი საგადასახადო-საბაჟო, ფულად-საკრედიტო და საინვესტიციო პოლიტიკა – ას, ის ძირითადი ინსტრუმენტები, რომელთა მეშვეობითაც უნდა

## **ჯანდაც გარანტია**

---

შეიქმნას ქვეყნის ინფორმაციური განვითარების მდგრადი ეკონომიკური საფუძველი.

### **Regarding the Issue of Regional Innovation Policy**

**J. Zarandia**

Globalization process develops so rapidly that if one state or another fails to find its place in time, it will be actually impossible to catch up the backwardness. In case of technological backwardness, the differentiation between different countries of the world will increase, not only because of difference in capital and other resources but also because of knowledge gained. Hence, the primary objective of the developed countries, in terms of globalization, is the priority of developing manufacturing sectors producing goods and services with high participation of intellectual work.

Despite the innovation potential, actually existing in Georgia, the share of innovative industries is very low. Financing innovations requires significant funds. It is very hard to introduce production of products, which are new in essence. Thus, we can make a conclusion that at the current stage the internal sources for the regions' innovative potential are indeed very insignificant.

Thus, at the current stage, Georgia needs wide-scale reforms to be carried out with respect to regional innovative activities. Despite implementation of structural, institutional and legislative measures, the country requires more active innovative policy, which, first of all, should include stimulation and support of modern scientific-technological achievements in all respects. Flexible and effective taxation & customs, money & credit and investments policies targeted on improvement of innovative process are the key instruments which should be used for creating a sustainable economic basis for the country's innovative development.

საქართველოს ეკონომიკური მიზანის მიზანის საბაზარზე  
გრაცია საბაზარზე სისტემის სრულყოფა-  
ჰარმონიზაციას მოითხოვთ

თამარ კბილაძე  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის დოქტორანტი

საქართველოს მისწრაფებაა გახდეს ევროკავშირის წევრი ქვეყანა. სხვა ინსტიტუციების მსგავსად, სახელმწიფო საგადასახადო სისტემაც ევროკავშირის რეალიებთან მისადაგებას მოითხოვს. ასეთი ჰარმონიზების მიზანია ევროკავშირთან მიმართებით მოიხსნას ერთიან ევროპულ სივრცეში შრომითი რესურსების, კაპიტალის, საქონლისა და მომსახურების თავისუფალი მოძრაობის ქოველგვარი ბარიერი. რომელიც დაუკავშირდება ერთიან ევროპულ სივრცეში შრომითი რესურსების, კაპიტალის, საქონლისა და მომსახურების თავისუფალ მოძრაობას. იმისთვის, რომ საქართველო, საგადასახადო სისტემის რეფორმირების მხრივ, დაუახლოვდეს ევროპული ოჯახის წევრი სახელმწიფოების საგადასახადო სისტემას, საჭიროა ეროვნული საგადასახადო სისტემის სტრუქტურის სრულყოფა, საგადასახადო სისტემებისა და საგადასახადო ბაზის გაანგარიშების მეთოდიკის შემდგომი დაახლოება და კონკურგენცია ევროპულ სივრცესთან.

როგორც ცნობილია, გადასახადების აკრება სახელმწიფოს ეკონომიკური ფუნქციის განხორციელების უმნიშვნელოვანები ბერკეტია. გარდა იმისა, რომ მისი მეშვეობით ფუნქციონირებს სოციალური უზრუნველყოფის სახელმწიფო სისტემა, ხდება სახელმწიფო მმართველობის აპარატის შენახვა. გადასახადები ეკონომიკის ფუნქციონირება-განვითარების მძღავრი ფაქტორია.

ქოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ქვეყნები და-

## თამარ პაილაძე

მოუკიდებლად ირჩევენ სახელმწიფო საგადასახადო პოლიტიკას და შესაბამისად მაკროეფონომიკური განვითარების ამათუ იმ მოდელს-ნეოლიტერალურს, როდესაც სახელმწიფო არაპირდაპირი ეკონომიკური რეგულატორის ფუნქციას ასრულებს, ან სოციალურ-საბაზროს, როდესაც სახელმწიფო გადასახადებს ანიჭებს ძირითად ფისკალურ ფუნქციას.

აღნიშნულის გაანალიზებისა და სათანადო დასკვნების გაკეთების მიზნით, განვიხილოთ ევროკავშირის ქვეყნების სახელმწიფო ხარჯებისა და შემოსავლების სტრუქტურა ბიუჯეტის სალდოზე მინიშნებით. (იხ.ცხრილი 1).

როგორც ცხრილიდან ჩანს, 2003 წელს, ევროკავშირის ძველი 15 ქვეყნიდან 6 ბიუჯეტის პროფიციტით, ხოლო 9 დეფიციტით ხასიათდება. მოყვანილი მასალიდან შეიძლება რამდენიმე დასკვნა გავაკეთოთ:

პირველი, ევროკავშირის 15 ტრადიციული ქვეყნიდან, სკანდინავიის ქვეყნებში (შვედეთი, დანია, ბელგია, ფინეთი) მშპ-ის ხახვარზე მეტი მოდის სახელმწიფო დანახარჯებსა და შემოსავლებზე, ე.ი ამ ქვეყნებში მაღალია სახელმწიფოს როლი ეკონომიკაში. მსგავსი ტენდენციები ახასიათებს საფრანგეთსა და ავსტრიას;

მეორე, ევროკავშირის ძველი ქვეყნები-ირლანდია და დიდი ბრიტანეთი ეკონომიკაში სახელმწიფოს საკმაოდ მოკრძალებული წვლილით გამოიჩინება, 2003 წელს მოცემული ქვეყნების სახელმწიფო დანახარჯებს მშპ-ში ეკავა შესაბამისად-35 და 42%;

მესამე, ევროკავშირის ახალი წევრი ქვეყნები, მათ შორის, განსაკუთრებით ლიტვა და ესტონეთი, ცდილობენ გადმოიდონ ნეოლიტერალური განვითარების მოდელი. მთლიანად ევროკავშირის ახალი წევრი სახელმწიფოები ცდილობენ სტიმული მისცენ სამეწარმეო აქტივობას. ასეთი ორიენტაციის ქვეყნაა საქართველოც, რომლის სახელმწიფო ხარჯებისა და სახელმწიფო შემოსავლების წილი მშპ-ში ბოლო წლებში, 24-26%-ის ფარგლებში მერყეობს.

**ეკონომიკური თეორია და ეკონომიკური კოდიტიკა**

ევროკავშირის ქვეყნების სახელმწიფო ფინანსები 2003  
წელს<sup>1</sup>

ცხრილი 1

ქვეყანა	წილი შპპ-ში (%)			ქვეყანა	წილი შპპ-ში (%)		
	სახელმ-წიფოს ხარჯები	სახელმ-წიფოს შემთხ-საკვლები	ბიუ-ჯეტის ხალდო		სახელმ-წიფოს ხარ-ჯები	სახელმ-წიფოს შემთხ-საკ-ლები	ბიუ-ჯ-ტის ხალ-
	ფინქონი	50,6	52,7	+2,1	ესტონეთი	....	36,8
დანია	56,1	57,3	+1,2	ლატვია	....	39,1	+2,6
შვედეთი	58,2	58,7	+0,5	სლოვენია	....	38,8	+1,1
ესპანეთი	39,5	39,9	+0,3	ლიტვა	....	29,2	+0,3
ბელგია	51,4	51,6	+0,2	სლოვაქეთი	46,6	42,9	-3,6
ირლანდია	35,2	35,4	+0,2	პოლონეთი	46,2	42,0	-4,2
ლუქსემბურგი	46,9	46,8	-0,1	უნგრეთი	50,1	44,2	-5,9
ავსტრია	51,2	49,7	-1,4	ჩეხეთი	50,8	43,5	-7,3
იტალია	48,9	46,8	-0,1	კვიპროსი	.....	.....	.....
პორტუგალია	47,9	45,0	-2,9	მალტა	.....	.....	.....
საბერძნეთი	47,2	44,2	-3,0	საშუალოდ			
ნიდერლანდები	48,9	45,6	-3,2				
დიდი ბრიტანეთი	42,6	39,3	-3,2	ეპის- ძელი წევრები	48,8	47,2	-1,3
გერმანია	48,9	45,0	-3,9				
საფრანგეთი	54,5	50,4	-4,1	ეკონომიკა	49,0	46,2	-2,7

აღსანიშნავია კიდევ ერთი ყურადსაღები მომენტი. ევროკავშირის 4 ქველი ქვეყანა (საფრანგეთი, გერმანია, დიდი ბრიტანეთი, ნიდერლანდები) და ასევე 4 ახალი წევრი ქვეყანა (ჩეხეთი, უნგრეთი, პოლონეთი და სლოვაკეთი) არღვევს ევროკავშირის მოთხოვნას იმის თაობაზე, რომ ქვეყნის ბიუჯეტის დეფიციტი ქვეყნის მშპ-სთან მიმართებით, არ უნდა აღემატებოდეს 3 %-ს.

<sup>1</sup> [www.oecd.org](http://www.oecd.org); [www.worldbank.org](http://www.worldbank.org)

## თამარ პპილამე

კვრობავშირის ქავენების საგადასხადო სისტემა წელს<sup>1</sup>

ცხრილი 2					
ქამასის მოსახლეო ბადისხადი	საქუ- მოსახლეო ბადისხადი	სოფიალური გადასხადი მისამართი	პროჭის ანაზღაურ ტების ონლაინ გადასხადი	ჭირტის გადასხადი	გადასახახები საქონესა მისამართი
ავტომობილი	29.8	33.5	6.1	1.3	28.0
ტელეტელი	39.6	31.6	—	3.1	24.4
დიდი ბრძანებები	37.9	17.1	—	12.1	32.4
გერეტენი	28.0	40.1	—	2.3	29.3
სახატრენი	24.4	32.5	—	4.5	38.4
დახი	59.5	3.4	0.5	3.5	33.8
ორლოვიდი	40.7	15.4	0.0	5.6	37.9
ქადაგი	29.1	35.4	—	6.6	28.7
იური	32.6	30.3	—	5.4	25.4
ლურისტები	36.9	27.8	—	8.1	26.9
ნიკოლოზები	27.1	35.6	—	5.3	30.9
პორტუგალია	27.6	27.1	—	3.4	41.1
ფინეთი	40.8	26.5	—	2.4	30.0
საყვარებელი	24.0	37.2	2.4	7.0	25.5
უკრაინა	36.1	30.1	4.1	3.2	26.1
ამერიკებრივის აშში	34.9	34.9	—	3.4	41.1
უნგრეთი	26.5	30.3	3.2	2.4	30.0
პოლონეთი	28.8	29.4	0.6	4.3	37.0
სლოვაკეთი	21.0	43.3	—	—	—
ჩიხეთი	24.7	44.1	0.0	1.4	29.8

<sup>1</sup> Bulletin for international fiscal documentation 2004, vol.58, №8/9, p.352.

## **ეკონომიკური თეორია და ეკონომიკური პოლიტიკა**

ეკონომიკურის ახალი წევრების ეკონომიკური მხარდაჭერისათვის, ძველი წევრებისაგან 2004-2008 წლების მანძილზე, ვარაუდობდნენ დაახლოებით 80 მლრდ ეკონომიკური დახმარებას. ეს მაშინ, როდესაც როგორც, უკვე ზემოთ აღნიშნეთ, გერმანიის, საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთისა და ნიდერლანდების ბიუჯეტები დეფიციტურია.

ახლა ვნახოთ თუ როგორ გამოიყერება ეკონომიკურის ქვეყნების საგადასახადო სისტემის სტრუქტურა. (იხ. ცხრილი 2)

როგორც მოყვანილი მასალებიდან ირკვევა სოციალური პროფილის გადასახადების საშუალო საპროცენტო განაკვეთი ეკონომიკურის ძველ ქვეყნებში მაღალია ეკონომიკურის ახალ ქვეყნებთან შედარებით. რაც შექევა გადასახადებს საქონელსა და მომსახურებაზე აქ საპირისპირო მოვლენას აქვს ადგილი. კერძოდ, ეკონომიკურის წევრი ახალი ქვეყნების მიხედვით მოცემული გადასახადი 4%-ით მაღალია ძველი ქვეყნების ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით.

გადასახადების მოცემული სტრუქტურის პირობებში მეტად აქტუალურია იდეა საერთო ეკონომიკული გადასახადის შემოღების შესახებ, რომლის გადამხდელებად მოიაზრება ეკონომიკურის ფარგლების იურიდიული და ფიზიკური პირები, რომლებიც შემოსავალს იღებენ თანამეგობრობის ტერიტორიის წყაროებიდან. თუმცა, ეკონომიკურის წევრი ქვეყნების მოქალაქეთა უმრავლესობას უარყოფითი დამოკიდებულება აქვს ერთიანი ეკონომიკული გადასახადის შემოღებასთან დაკავშირებით- მიიჩნევენ, რომ ასეთი გადასახადის შემოღება ჯერჯერობით ნაადრევია.

იმისთვის, რომ ჯეროვანი წარმოდგენა შეგვექმნას ეკონომიკურის ქვეყნებში სხვადასხვა სახეობის გადასახადებზე, განვიხილავ ზოგიერთ პირდაპირ და არაპირდაპირ გადასახადს. დავიწყოთ კორპორაციის მოგების გადასახადის განაკვეთით, რაც ქვემოთ მოტანილ ცხრილში (3) ასახულია ეკონომიკურის ქვეყნების მიხედვით.

## თამარ პპლამე

კორპორაციის მოგების გადასახადის საპროცენტო განაკვეთები ევროპავშირის ქვეყნებში<sup>1</sup>

(ცხრილი 3)

ევროპავშირის ქველი წევრები		ევროპავშირის ახალი წევრები	
ქვეყნა	საგადასახადო განაკვეთი %	ქვეყნა	საგადასახადო განაკვეთი %
ირლანდია	12.5	კვიპროსი	15
პორტუგალია	27.5	ლატვია	15
შვედეთი	28	უნგრეთი	17.7
ფინეთი	29	პოლონეთი	19
დიდი ბრიტანეთი	30	სლოვაკეთი	19
დანია	30	სლოვენია	25
ლუქსემბურგი	30.4	ესტონეთი	26
ავსტრია	34	ჩეხეთი	28
ბელგია	34	მალტა	25
ნიდერლანდები	34.5	საშუალოდ	
საბერძნეთი	35	ევროპავშირის ქველი წევრები	31.4
ესპანეთი	35		
საფრანგეთი	35.4		
იტალია	37.3	ევროპავშირის ახალი წევრები	21.5
გერმანია	38.3		

როგორც ცხრილიდან ჩანს, ევროპავშირის ქველი და ახალი წევრი ქვეყნების მიხედვით კორპორაციების მოგების გადასახადის განაკვეთები საკმაოდ განსხვავებულია. კერძოდ, ახალი ქვეყნების მიხედვით, აღნიშნული გადასახადი საშუალო 10 პროცენტული პუნქტით ნაკლებია ევროპავშირის ქველი ქვეყნების გადასახადისზე. საქართველოში ამჟამად მოგების საგადასახადო განაკვეთი 15%-ს შეადგენს და იგი ემთხვევა ლატ-

<sup>1</sup> Structures of the Taxation Systems in the European Union. Luxembourg, 2004, p.116.

## ეკონომიკური თეორია და ეკონომიკური პოლიტიკა

ვის, ლიტვისა და კვიპროსის ანალოგიურ მაჩვენებელს. დიდი ალბათობაა იმისა, რომ არსებითმა განსხვავებებმა საგადასახადო განაკვეთებში შეიძლება გამოიწვიოს მაღალგანაკვეთებიანი ქვეყნებიდან შეიძლება გამოიწვიოს საწარმოთა გადაადგილება დაბალგანაკვეთებიან ქვეყნებში.

ახლა განვიხილოთ თუ როგორ გამოიყურება ინდივიდუალური საშემოსავლო დაბეგვრა ევროკავშირის ძველ და ახალ ქვეყნებში (იხ. ცხრილი 4).

ინდივიდუალური საშემოსავლო გადასახადის ზღვრული  
განაკვეთი ევროკავშირის ქვეყნებში 2004<sup>1</sup>.

ცხრილი 4

ევროკავშირის ქველი წევრები		ევროკავშირის ახალი წევრები	
ქვეყანა	საგადასახადო განაკვეთი %	ქვეყანა	საგადასახადო განაკვეთი %
ლუქსემბურგი	38	ლიტვა	25
დიდი ბრიტანეთი	40	ესტონეთი	26
საბერძნეთი	40	კვიპროსი	30
ირლანდია	40	ჩეხეთი	32
პორტუგალია	40	ლატვია	33
გერმანია	45	მალტა	35
ესპანეთი	45	სლოვაკეთი	38
იტალია	45	უნგრეთი	40
დანია	47.6	პოლონეთი	40
საფრანგეთი	49.58	სლოვენია	50
ავსტრია	50	საშუალოდ	
ბელგია	50	ევრო- კავშირის ქველი წევრები	46.2
ნიდერლანდები	52		
ფინეთი	53.03		
შვედეთი	56	ევრო- კავშირის ახალი წევრები	34.9

<sup>1</sup> Structures of the Taxation Systems in the European Union. Luxembourg, 2004, p.46.

## თამარ პპილაძე

მოყვანილი მონაცემები გვიჩვენებს, რომ ინდივიდუალურ საშემოსავლო დაბეგვრაში, ევროკავშირის ახალ წევრ სახელმწიფოებში საშუალოდ, საგადასახადო განაკვეთი 11.3 პროცენტული პუნქტით დაბალია ძველ წევრ სახელმწიფოებთან შედარებით. ასეთი განსხვავება აშკარად წარმოაჩენს ფიზიკური პირების ფისკალურ მიმზიდველობას ევროკავშირის ახალ ქვეყნებში.

საქართველოში 2007 წელს გაუქმდა სოციალური გადასახადი, რომელსაც იხდიდა დასაქმებული 20 %-ის ოდენობით. მოცემული გადასახადის საშემოსავლო გადასახადთან ინტეგრირებით, საშემოსავლო გადასახადის განაკვეთი აღრე დაწესებული 12%-დან გაიზარდა 20 %-მდე: თუმცა, 2013 წლამდე დაგეგმილია მისი თანდათანობით შემცირება 15 %-მდე.

ახლა განვიხილოთ ისეთი არაპირდაპირი გადასახადი, როგორიცაა დამატებული ღირებულების გადასახადი. თავიდანვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ევროკავშირში შემავალი თითოეული ქვეყანა მოცემული გადასახადის 1.4 %-ით აყალიბებს თანამეგობრობის საერთო ფინანსურ რესურსს, რომელსაც იყენებს საერთო პროგრამის დაფინანსებაზე.

სხვა გადასახადების განაკვეთებისაგან განსხვავებით, დღგ-ს განაკვეთების მიხედვით, ევროკავშირის ძველ და ახალ ქვეყნებს შორის განსხვავება თითქმის არ არის.

საქართველოში დღგ-ს განაკვეთი დასაბეგრი თპერაციის ან საქონლის იმპორტის თანხის, აგრეთვე უკუდაბებერის წესით დასაბეგრი თპერაციის თანხის 18 %-ს შეადგენს.

ევროკავშირის საგადასახადო საკითხების განხილვისას, საანალიზოდ ჩვენ მიერ შემთხვევით არ იქნა 2003-2004 წლები არჩეული. ეს გამიზნულად გაკეთდა იმ თვალსაზრისით, რომ საქართველო ამჟამად ადგას ევროკავშირისაკენ მიმავალ იმ გზას, რომელიც თავის დროზე მისმა ახალმა წევრმა ქვეყნებმა გაიარეს. როგორც მოყვანილი მასალები გვიჩვენებს, ევროკავშირის ძველ და ახალ წევრებს შორის საკმაოდ მაღალია განსხვავება საგადასახადო განაკვეთებს შორის. ეს შემთხვევითი არაა, რადგანაც ამ გზით ევროკავშირის ახალი ქვეყნები ცდილობენ

## ეკონომიკური თაორიგი და ეკონომიკური პოლიტიკა

მოიზიდონ უცხოური ინვესტიციები და მაღალკვალიფიციური სპეციალისტები.

დღგ-ს განაკვეთი ევროპავშირის ქვეყნებში ასახულია მეხუთე ცხრილში.

დღგ-ის განაკვეთები ევროპავშირის ქვეყნებში<sup>1</sup>

ცხრილი 5

ევროპავშირის ძველი წევრები		ევროპავშირის ახალი წევრები	
ქვეყანა	დღგ-ს სტანდარტული განაკვეთი	ქვეყანა	დღგ-ს სტანდარტული განაკვეთი
ლუქსემბურგი	15	გვიპროსი	15
გერმანია	16	მალტა	15
ესპანეთი	16	ლატვია	18
დიდი ბრიტანეთი სამარმებო	17.5	ლიტვა	18
საბერძნეთი	18	ესტონეთი	18
ნიდერლანდები	19	სლოვაკეთი	19
პორტუგალია	19	სლოვენია	20
საფრანგეთი	19.6	პოლონეთი	22
იტალია	20	ჩეხეთი	22
ავსტრია	20	უნგრეთი	25
ბელგია	21	საშუალოდ	
ირლანდია	21	ევროპავშირის ძველი წევრები	19.6
ფინეთი	22		
დანია	25		
შვედეთი	25	ევროპავშირის ახალი წევრები	19.2

საქართველოში განხორციელებული საგადასახადო რეფორმებით (ახალი საგადასახადო კოდექსის მიღება 2005 და 2011 წლებში), მნიშვნელოვნად გამარტივდა გადასახადების გადახდა: 21 გადასახადის ნაცვლად ამჟამად ფუნქციონირებს 12. ამასთან, საგადასახადო განაკვეთების შემცირების პირობებში,

<sup>1</sup> VAT Rates Applied in the Member and Accession States of the European Community: situation at 30 October 2003.p.3.

## **თქმარ პბილაძე**

---

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები მნიშვნელოვნად გაიზარდა; გადამხდელთა უფლებების დაცვის, საზოგადოებრივ და კერძო სექტორთან თანამშრომლობის მიზნით შემოღებულ იქნა ომბიუდსმენის ინსტიტუტი. ყოველივე აღნიშნულის შედეგად, მსოფლიო ბანკის მოხსენების თანახმად, საქართველომ ბიზნესის კეთების სიმარტივით მქ-12 აღგილი დაიკავა და 2007 წლიდან მოყოლებული მოწინავე ქვეყნის სტატუსი მიიღო.<sup>1</sup>

განხილული მასალებიდან ჩანს, რომ საქართველოს ეროვნული საგადასახადო პოლიტიკის სტრატეგიის ერთ-ერთი პრიორიტეტი უნდა გახდეს ევროკავშირის ზონაში ჩამოყალიბებული საგადასახადო კონკურენცია. ასევე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, პირველ რიგში, განხორციელდეს საქართველოში მოქმედი პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადების განაკვეთების გაანგარიშება მეცნიერეული გამოკვლევების საფუძველზე და მასში კორექტივების შეტანა ეკონომიკის თითოეული დარგის განვითარების რეალიების გათვალისწინებით. ამასთან, საქართველოს ევროკავშირისკენ მოძრაობის კვალობაზე, საჭიროა გაგრძელდეს საგადასახადო ბაზის, საგადასახადო შედაგათებისა და საგადასახადო განაკვეთების ეფექტულ სივრცესთან შემდგომი პარმონიზების პროცესი.

### **Integration of Georgia with the European Union requires Harmonization and Improvement of Tax System**

T. Kbiladze

Georgia should become a member of the European Union. Therefore, like other state institutions, tax system should correspond to the EU recommendations. In order to harmonize the state tax system of Georgia with the European one, first of all, direct and indirect tax rate system should be reviewed, based on scientific studies. Besides, on the way to the European Union, Georgia should go on implementation of reforms regarding tax base, the system of tax exemptions and tax rates in order to make the system harmonized with the European environment.

---

<sup>1</sup> Doing Business. Measuring Business Regulations. [www.doingbusiness.org](http://www.doingbusiness.org)

## შრომის ბაზრის განვითარების კერსეპტივები საქართველოში

**მურმან ცარციმე**  
**ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,**  
**ივ. ჯავახიშვილის სახ. თსუ-ის**  
**ასოცირებული პროფესორი**  
**ნათელა ლაცაბიძე**  
**ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,**  
**ივ. ჯავახიშვილის სახ. თსუ-ის**  
**ასოცირებული პროფესორი**

ამა თუ იმ განვითარებად ქვეყნაში შრომის ბაზრის ფუნქციონირებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ქვეყნაში არსებული ეკონომიკური და პოლიტიკური მდგრმარეობა, ეკონომიკური ზრდის ტემპები და სხვა მაკროეკონომიკური ფაქტორები, რომლებიც, საბოლოო ანგარიშით განსაზღვრავს მისი განვითარების დონეს. თანამედროვე გლობალიზაციისა და ეკონომიკის ლიბერალიზაციის პირობებში მდგრადი ეკონომიკური განვითარება, სიდარიბის დაძლევა და ქვეყნის მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება შეუძლებელი იქნება ცივილიზებული შრომის ბაზრისა და ადეკვატური ინფრასტრუქტურის ფორმირების გარეშე. სწორედ ნორმალურად ფუნქციონირებადი შრომის ბაზარი უნდა გახდეს შრომისუნარიანი მოსახლეობის უფექტიანი დასაქმების ხელშეწყობის, სოციალური დაცვისა და დაზღვევის მოქნილი სისტემების შექმნის, შრომითი ცხოვრების ხარისხის და საბოლოო ანგარიშით ცხოვრების დონის გაუმჯობესების საფუძველი. საქართველოში ცივილიზებული შრომის ბაზრის ფორმირება მოითხოვს სოციალურ-

## **მურმან ცარტიშვილი, ნათელა ლაშაბიძე**

---

შრომითი ურთიერთობების სფეროში რიგი გადაუდებელი ღონისძიების გატარებას, პირველ რიგში, შრომის ბაზრის რეგულირებისა და დასაქმების სახელმწიფო პოლიტიკის კარდინალურ ცვლილებას.

შრომის ბაზრისა და დასაქმების პოლიტიკა უნდა გახდეს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური სტრატეგიის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი, იგი ფორმალურ ხასიათს კი არ უნდა ატარებდეს, არამედ მიმართული უნდა იყოს ადამიანის პირადი ინტერესების რეალიზაციისაკენ, მოსახლეობის კეთილდღეობისა და განვითარებისაკენ, სოციალური პროგრესისაკენ. ქვეყნის მოსახლეობის ეფექტიანი დასაქმებისათვის აუცილებელია მისი ძირითადი მოტივისა და სოციალური შინაარსის გათვალისწინება. კერძოდ, ეფექტიანმა დასაქმებამ უნდა უზრუნველყოს: შრომის კონსტიტუციური უფლების რეალიზაცია, ცხოვრების მაღალი დონე დასაერთოდ დირსეული ცხოვრების პირობები, მაღალმწარმოებლური შრომის სტიმულირება სათანადო ანაზღაურების საფუძველზე, ადამიანური კაპიტალის განვითარება, მომუშავის პროფესიულ-კვალიფიციური და საგანმანათლებლო პოტენციალის (ცოდნის) მუდმივი განახლება-სრულყოფა.

საქართველოში შრომის ბაზრის სახელმწიფო რეგულირების აუცილებლობა განპირობებულია შემდეგი მიზეზებით:

1. ქვეყანაში განხორციელებული ეკონომიკური პოლიტიკის დადებითი შედეგები სახეზეა, მაგრამ ეკონომიკურ ზრდა-განვითარებასთან დაკავშირებული უამრავი სირთულისა და გადაუჭრელი პრობლემის გამო, მოსახლეობის ცხოვრების დონის საგრძნობი გაუმჯობესება მაინც ვერ განხორციელდა. 2000-2010 წლებში ნომინალური მთლიანი შიგა პროდუქტის (მპ) ზრდის მიუხედვად, ეკონომიკური ზრდის ტემპები ცალკეული წლების მიხედვით არასტაბილური იყო (**ცხრილი 1**). ეკონომიკური ზრდის ტემპმა 1997 წლის დონეს მხოლოდ 2003 და 2007 წელს მიაღწია. 2006 წელს მშპ-ის რეალური ზრდა წინა

## **მისამართებულობის**

წელთან შედარებით, ყველაზე მაღალი - 9.4% იყო, 2010 წელს მისი დონე 6.4%-ს შეადგენდა. რაც შეეხება 2009 წელს, მშპ-ის სიდიდე დე წინა წელთან შედარებით 3.8%-ით შემცირდა. მოსახლეობის ერთ სულზე მშპ-ის მოცულობამ მაქსიმალურ დონეს 2008 წელს მიაღწია და 2921.1 აშშ დოლარი შეადგინა, მაშინ როდესაც 2000 წელს აღნიშნული მაჩვენებელი 689.7 დოლარი იყო.

### **ზოგიერთი მაკროეკონომიკური მაჩვენებლების დინამიკა საქართველოში 2000-2010 წლებში<sup>1</sup>**

#### **ცხრილი 1**

<b>მაჩვენებლები</b>	<b>2000</b>	<b>2006</b>	<b>2007</b>	<b>2008</b>	<b>2009</b>	<b>2010</b>
შპპ მიმღინარე ფასებით, მონ ლარი	6043	13790	16994	19075	17986	20791.3
შპპ მდნ აშშ დოლარი	6043	7762	10172	12801	10767.1	11663.4
შშპ-ის რეალური ზრდა %-ობით წინა წელთან შედარებით	101.8	109.4	112.3	102.3	96.2	106.4
შპპ მოსახლეობის ერთ სულზე, დოლარებში	689.7	1763.5	2314.6	2921.1	2455.2	2629.0
სახელმწიფო ბიუჯეტი, მლნ ლარი	640	3850.2	4972.7	5854.2	5264.5	5865.8
უმუშევრობის დონე, %-ობით	10.3	13.6	13.3	16.5	16.9	16.3
საშუალოთვიური ნომინაციური ხელფასი (ლარი)	72.3	277.9	368.1	534.9	556.8	598.9
სამიმსარებლო ფასების ინდექსი, %-ობით წინა წელთან შედარებით	104.0	109.2	109.2	110.0	101.7	107.1

ბუნებრივია, რომ ეკონომიკური ზრდის არასტაბილური ტემპები პირდაპირ აისახა დასაქმების მდგომარეობასა და შრო-1 საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები. [www.geostat.ge](http://www.geostat.ge)

## **მურმან ცარტიშვი, ნათელა ლაცაბიძე**

---

მის მწარმოებლურობაზე. აღნიშნული ურთიერთკაგშირის წარმოდგენა შესაძლებელია რაოდენობრივადაც, რისთვისაც უნდა გამოიყოს რამდენიმე კომპონენტი:

$$Q=Q/L \cdot L/P \cdot P = Q_L \cdot L_P \cdot P$$

მოცემულ ფორმულაში:

**L**- დასაქმებულთა რიცხოვნობაა;

**Q** – მშპ-ის მოცულობა;

**Q<sub>L</sub>** - შრომის მწარმოებლურობა;

**L<sub>P</sub>** - დასაქმების დონე ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობასთან, ანუ სამუშაო ძალასთან მიმართებით;

**P**- სამუშაო ძალა.

ფორმულის მიხედვით გაანგარიშებული მაჩვენებლები წარმოდეგნილია ცხრილის სახით (**ცხრილი 2**). როგორც ცხრილიდან ჩანს, საანალიზო პერიოდში დასაქმების მდგომარეობა არასტაბილურია. 1996 წელს, ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპის მიუხედავად, წინა წელთან მიმართებით შემცირებულია როგორც დასაქმების, ასევე შრომის მწარმოებლურობის დონე, შესაბამისად - 2.4% და 11.5%-ით. დასაქმების დონის შემცირება შესაბმებია 2004, 2005, 2006 და 2008 წლებში. მიუხედავად იმისა, რომ 2008 წელს მშპ-ის მოცულობამ მაქსიმალურ სიდიდეს - 19075.0 მლნ ლარს მიაღწია, დასაქმების დონე წინა წელთან შედარებით ყველაზე მეტად - 4.7%-ით, სწორედ ამ წელს შემცირდა. შრომის მწარმოებლურობის მაჩვენებელი კი ამავე წელს 19.4%-ით გაიზარდა. 2009 წელს ადგილი ჰქონდა როგორც რეალური მშპ-ის, ასევე შრომის მწარმოებლურობის შემცირებას, დასაქმების დონის მაჩვენებელი კი 1.1%-ით გაიზარდა. რაც შეეხება 2010 წელს, ეკონომიკური ზრდის ფონზე, რამაც 6.4% შეადგინა, დასაქმების მაჩვენებელი 1.7%-ით, ხოლო შრომის მწარმოებლურობის მაჩვენებელი 17.6%-ით გაიზარდა.

**დასაქმებისა და მასზე მოქმედი ძირითადი მაკროეკონომიკური ინდიკატორების დინამიკა 1996-2010 წლებში (%-ობით  
წინა წელთან მიმართებით)<sup>1</sup>**

ცხრილი 2

წელი	კლება	კლება	კლება	კლება	კლება
	<i>Q</i>	<i>Lp</i>	<i>Qi</i>	<i>U</i>	<i>P</i>
1996	111.2	97.6	88.5	90.0	98.5
1997	110.6	111.5	112.0	58.6	99.0
1998	103.1	90.6	123.1	164.0	94.6
1999	102.9	96.9	115.6	103.3	98.1
2000	101.8	105.4	98.2	81.1	105.3
2001	104.8	100.7	108.3	107.8	103.0
2002	105.5	96.6	114.7	113.5	99.5
2003	111.0	102.8	116.3	91.3	97.4
2004	108.4	97.7	114.2	113.9	102.1
2005	109.6	97.4	111.3	109.5	99.2
2006	109.4	97.5	118.5	98.6	99.9
2007	112.3	102.0	126.3	97.8	97.2
2008	102.3	95.3	119.4	124.1	97.6
2009	96.2	101.1	91.2	102.4	103.9
2010	106.4	101.7	117.6	96.4	97.6

საანალიზო პერიოდში შრომის მწარმოებლურობასა და დასაქმების ზრდის ტემპებს შორის ურთიერთშესაბამისობა, რაიმე სერიოზული დასკვნის გაკეთების საშუალებას არ იძლევა. ოუმცა, ცალკეული წლების მიხედვით (1998, 1999, 2002, 2004, 2005, 2006, 2008 და 2010) იქნება შთაბეჭდილება, რომ დასაქმების შემცირება და ეკონომიკური ზრდა უზრუნველყოფილია შრომის მწარმოებლურობის ამაღლების ხარჯზე, რაც ნამდვილად არ ითქმის ეროვნული ეკონომიკის ბევრ მნიშვნელოვან დარგზე. ასე, მაგალითად, შრომის მწარმოებლურობის დაცემა

<sup>1</sup> გაანგარიშებულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე. [www.geostat.ge](http://www.geostat.ge)

## **მურმან ცარტიმა, ნათელ ლაცაბიძე**

და არაეფექტიანი დასაქმება განსაკუთრებით თვალშისაცემია საქართველოსათვის ტრადიციულ დარგში – სოფლის მეურნეობაში (ცხრილი 3).

1990 წელს, სოფლის მეურნეობაში დასაქმებული იყო 695,0 ათასი კაცი (დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობის – 25,2%), დარგში იწარმოებოდა მშპ-ს 29,8%, რაც შეადგენდა 4454,0 მლნ მანეთს. 2010 წელს კი მთლიანად ეკონომიკაში დასაქმებული 1628.1 ათასი კაციდან, სოფლის მეურნეობაში დასაქმებული იყო 1010.9 ათასი კაცი, ანუ 62.1%, დარგში წარმოებულია მშპ-ის მხოლოდ 7.3%. მაშასადამე, თუ 2010 წელს 1990 წელთან შედარებით სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა ხვედრითი წონა გაიზარდა 25,2%-დან 62.1%-მდე, მშპ-ის მოცულობაში სოფლის მეურნეობაში წარმოებული პროდუქციის ხვედრითი წონა 29,8%-დან 7.3%-მდე შემცირდა.

**სოფლის მეურნეობაში მოსახლეობის დასაქმების დონისა და მშპ-ის თანაფარდობის დინამიკა 1990-2010 წლებში<sup>1</sup>**

### **ცხრილი 3**

წლები	სოფლის მეურნეობაში დასაქმებული მოსახლეობა		პროდუქციის წარმოება	
	ათასი კაცი	დასაქმებულთა მიმართ	აბსოლუტური	%-ობით მშპ-ის მიმართ
1990	695,0	25,2	4454,0 მლნ მანეთი	29,8
2000	910,0	52,1	1197,0 მლნ ლარი	20,1
2002	989,0	53,8	1436,4 მლნ ლარი	20,6
2004	962,0	53,9	1589,7 მლნ ლარი	16,2
2006	1132,2	64,8	1544,3 მლნ ლარი	11,2
2007	1065,8	62,5	1562,7 მლნ ლარი	9,2
2008	1012,7	63,2	1551,1 მლნ ლარი	8,13
2009	1046,1	63,2	1457,2 მლნ ლარი	8,1
2010	1010,9	62,1	1518,3 მლნ ლარი	7,3

<sup>1</sup> განგარიშებულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე. [www.geostat.ge](http://www.geostat.ge)

შრომის მწარმოებლურობის დაბალი დონე განპირობებულია არაეფექტურიანი დასაქმებითა და თვითდასაქმებულთა რიცხოვნობის ხელოვნურად გაზრდით. კერძოდ, თვითდასაქმებულთა სტატუსის განსაზღვრის მოქმედი მეთოდოლოგიით, აღნიშნულ კატეგორიას მიაკუთვნებენ პირებს - მესაკუთრეებს, რომელთა საქმიანობა ანგარიშგებით პერიოდში ხორციელდება მოგების ან ოჯახური შემოსავლის (ფულით ან ნატურით) მიღების მიზნით, აგრეთვე ოჯახურ საწარმოში/მუნიციპალიტეტებში უსასყიდლო მომუშავე პირებს. ზოგადი განმარტებით კი – „დასაქმებულია (დაქირავებული ან თვითდასაქმებული) – 15 წლის და უფროსი ასაკის პირი, რომელიც გამოკითხვის მომენტის წინა 7 დღის განმავლობაში მუშაობდა (ხელ მცირე, ერთი საათი მაინც) შემოსავლის (ხელფასის, ნატურალური შემოსავლის, მოგების და ა.შ.) მიღების მიზნით, ემარებოდა უსასყიდლოდ სხვა შინამეურნეობის წევრებს ან რაიმე მიზეზით არ იმყოფებოდა სამუშაოზე, თუმცა, ფორმალურად ირიცხებოდა მომუშავედ”.<sup>1</sup>

დაქირავებულთა და თვითდასაქმებულთა შორის თანაფარდობა არსებითად განსხვავებულია ქალაქისა და სოფლის მიხედვით. 2000-2010 წლებში ქალაქის დასაქმებულ მოსახლეობაში თვითდასაქმებულთა ხვედრითი წონა საშუალო 31.5%-ია, მაშინ როცა, აღნიშნული მაჩვენებელი სოფლის მეურნეობაში საშუალოდ 82.2%-ს შეადგენს (**ცხრილი 4**). რასაკვირველია, დასაქმებულებს შორის თვითდასაქმებულთა მაღალი ხვედრითი წონა ზოგადად არ შეიძლება უარყოფითად შეფასდეს, კინაიდან თვითდასაქმებული მესაკუთრეა და მისი საქმიანობის მიზანი

1 საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური [www.geostat.ge](http://www.geostat.ge); შრომის ბაზარი საქართველოში. 2009წ. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის პუბლიკაცია. ობ., 2009წ, დასაქმება და უმუშევრობა. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის პუბლიკაცია. ობ., 2010. [www.geostat.ge](http://www.geostat.ge).

**მუნიციპალიტეტთა განაწილება კორომიგური სტატუსის მიხედვით საქართველოს ქალაქებისა  
და სოფლებში 2000-2010 წლებში (%)<sup>1</sup>**

**ცხრილი 4**

	მანებელები	2000	2001	2002	2003	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010
ქალაქი												
ღარაგებული	100,0	100,0	100,0	100,0	100,0	100,0	100,0	100,0	100,0	100,0	100,0	100,0
ღარაგებული	64,5	62,4	66,9	67,0	65,2	68,5	69,3	71,9	69,4	67,8	68,8	
ოფიციალური	32,3	32,8					30,5	28,1	30,5	32,1	31,0	
ღარაგებული	30,1				32,9	34,6	31,4					
გაურკვებული	5,4	5,3	0,3	0,1	0,1	0,1	0,0	0,0	0,0	0,1	0,1	0,2
სოფელი												
ღარაგებული	100,0	100,0	100,0	100,0	100,0	100,0	100,0	100,0	100,0	100,0	100,0	100,0
ღარაგებული	18,7	18,2	16,8	15,2	15,7	15,7	15,6	15,6	16,1	17,4	19,2	
ოფიციალური	77,6	77,6	83,1				84,3	84,4	83,8	82,5	80,7	
ღარაგებული	74,7											
გაურკვებული	6,6	4,2	0,1	0,1	0,0	0,0	0,1	0,0	0,1	0,1	0,1	

<sup>1</sup> საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მინისტრის www.geostat.ge

## მისამ-მასროებლობა

მოგების ან ოჯახური შემოსავლის მიღებაა. მეტიც, ოვითდასაქ-  
მების ზრდა მესაკუთრეთა ხვედრითი წონის გაზრდით, დასაქ-  
მების პრობლემის გადაწყვეტის ერთ-ერთ მთავარ მიმართუ-  
ლებად უნდა იქნეს მიჩნეული. მაგრამ, თუ ჩავუდრმავდებით  
თვითდასაქმებულთა შემადგენლობას, მათი 41.6% ოჯახურ სა-  
წარმოში/მამულში უსასყიდლოდ მომუშავე პირები, ხოლო 0.2%  
- ახლობლისათვის უსასყიდლოდ დამხმარე პირებია (**ცხრილი  
5**). აშეარაა, რომ მოსახლეობის ეს ნაწილი რეალურად არაა  
დასაქმებული და მათთვის დასაქმებულის სტატუსის მინიჭება  
ხელოვნურად ამცირებს უმუშევრობის დონის მაჩვენებელს.

**დასაქმებულები დასაქმების სტატუსისა და ქალაქი -  
სოფლის მიხედვით 2008 წელს (%)<sup>1</sup>**

**ცხრილი 5**

დასაქმების სტატუსი	2008	
	ქალაქი	სოფელი
დასაქმებული	100.0	100.0
დაქირავებით მომუშავე	69.3	16.2
სამუშაოს მიმცემი (მეწარმე, მეურნე დაქირავებული მუშაქებით)	2.2	0.4
მეწარმე, მეურნე დაქირავებული მუშაქების გარეშე, პროფესიული საქმიანობით დაგვებული პირი	18.0	4.9
სოფლის მეურნეობაში ოვითდასაქმებული	5.8	36.7
ოჯახურ საწარმოში/მამულში უსასყიდლო მომუშავე	4.5	41.6
ახლობლისათვის უსასყიდლო დამხმარე	0.1	0.2
სხვა	0.01	0.01

<sup>1</sup> შრომის ბაზარი საქართველოში 2009წ. საქართველოს სტატისტიკის  
ეროვნული სამსახურის პუბლიკაცია. თბ., 2009წ. [www.geostat.ge](http://www.geostat.ge)

## მუნიციპალიტეტი, სამუშაო დაცვა

2. უმუშევრობის მაღალი დონის, არაეფქქტიანი დასაქმებისა და შემოსავლების სიმცირიდან გამომდინარე, სიღარიბის დაძლევა და ცხოვრების დონის ამაღლება სახელმწიფოსათვის კვლავ უპირველეს ამოცანად რჩება. საკითხის სიმწვავეზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ ქვეყნის მოსახლეობის გარკვეული ნაწილი ჯერ კიდევ სიღარიბის ოფიციალურ ზღვარს მიღმა ცხოვრობს. 1999-2005 წლებში, აღნიშნული მაჩვენებელი მედიანური მოხმარების 60%-ის მიმართ, საშუალოდ 22,4%-ს შეადგენდა, ხოლო 2006-2010 წლებში - 21,7%-ს (იხ. ცხრილი 6).

### სიღარიბის დონე 1999-2010 წლებში საქართველოში (%)<sup>1</sup>

ცხრილი 6

მაჩვენებლები	სიღარიბის ზღვარზე დაბლა მყოფი მოსახლეობის წლით						
	1999	2000	2001	2002	2003	2004	2005
საშუალოდ ქვეყანაში სა- არსებო მინიმუმის მიმართ	51.8	51.8	51.1	52.5	54.5	52.0	54.9
შედანერი მოხმარების 60 %-ის მიმართ	23.6	23.0	21.6	21.8	20.9	22.0	24.1
მაჩვენებლები	სიღარიბის დონე						
	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010
მედიანური მოხმარების 60 %-ის მიმართ	22.0	24.1	23.3	21.3	22.1	21.0	21.0
მედიანური მოხმარების 40 %-ის მიმართ	10.9	10.1	9.4	9.2	9.5	8.8	8.6

მიგვაჩნია, რომ მიმდინარე ეტაპზე, როცა ჯერ კიდევ დაუსრულებელია ეპონომიკური და ფინანსური კრიზისი, სა-  
1 საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები. [www.geostat.ge](http://www.geostat.ge)

ხელმწიფომ შრომის ბაზრის რეგულირების თვალსაზრისით, მყარი პოზიცია უნდა დაიკავოს და აკონტროლოს შემოსავლების გადანაწილების პროცესი. ქვეყნის ხელისუფლებამ გეერდი არ უნდა აუაროს შრომის ბაზრის რეგულირების პასიურ ღონისძიებებს, როგორიცაა უმუშევრობისგან დაზღვევის პროგრამების განხორციელება, უმუშევრობის შემწეობის თანხის დადგენა, უმუშევრების და მათი ოჯახის წევრებისთვის არაფულადი დახმარების გაწევა და ა.შ. ამ ღონისძიებებს შკაცრად მიზანმიმართული ხასიათი უნდა მიეცეს.

3. შრომის ბაზრის რეგულირების აუცილებლობა განპირობებულია იმითაც, რომ წლების განმავლობაში მაღალია უმუშევრობის დონე, ამასთან, უმუშევრობის ხანგძლივობა უმუშევართა ნაწილისათვის 3 წელზე მეტია, რაც საგრძნობლად აქვეითებს მათ კვალიფიკაციასა და პროფესიული მომზადების დონეს. ოფიციალური სტატისტიკური მონაცემებით, 2000-2010 წლებში უმუშევრობის დონე ქვეყანაში 10.3%-დან 16.5%-მდე მერყეობდა, ხოლო საექსპერტო შეფასებით, დაახლოებით 32.0%-ს შეადგენდა. უმუშევრობის დონე გაცილებით მაღალია ქალაქის მოსახლეობაში. კერძოდ, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2000-2010 წლებში ქალაქის მოსახლეობის უმუშევრობის დონე 18.4%-დან 28.9%-მდე, ხოლო სოფლის მოსახლეობაში 2.7%-დან 7.9%-მდე მერყეობდა (**ცხრილი 7**). როგორც ზემოთ აღნიშნეთ, დასაქმებულის სტატუსს ანიჭებენ ოჯახურ საწარმოში/მამულში უსასყიდლოდ მომუშავე ან ახლობლისათვის უსასყიდლოდ დამხმარე პირებს. ჩვენი აზრით, მათი უმრავლესობის საქმიანობა არ არის ორიენტირებული საბაზრო წარმოებაზე, განკუთვნილია პირადი მოხმარებისათვის და შესაბამისად ასეთი საქმიანობა არ წარმოადგენს დამატებითი შემოსავლის მომტანება.

**უმუშევრობის დონე და დინამიკა საქართველოში  
2000-2011 წლებში (%%)<sup>1</sup>**

ცხრილი 7

მაჩვენებლები	2000	2001	2002	2003	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010
უმუშევრობის დონე საშუალოდ ქვეყანაში	10.3	11.1	12.6	11.5	12.6	13.8	13.6	13.3	16.5	16.9	16.3
ქალები	18.4	22.3	24.2	22.1	24.3	26.3	26.1	23.9	28.9	28.8	27.2
ხოვალი	3.9	2.7	3.9	4.1	4.2	5.0	4.8	5.4	7.1	7.8	7.9

მათი თვითდასაქმებულთა კატეგორიაში ჩათვლით, ხელოვნურად მცირდება უმუშევართა რიცხოვნობა და უმუშევრობის დონე. თუ უმუშევართა რიცხოვნობაში გავითვალისწინებთ თვითდასაქმებულთა ზემოაღნიშნული კატეგორიის თუნდაც 80%-ს და გამოვთვლით უმუშევრობის დონეს, მაგალითისთვის 2008 წელს, იგი იქნება 35.3% და არა 16.5%. რაც შეეხება უმუშევართა შემადგენლობას ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, 2010 და წინა წლებშიც უმუშევრობის მაღალი დონით გამოირჩევა 20-დან 29 წლამდე ასაკობრივი ჯგუფი (**იხ. ცხრილი 8.**). ასაკის მატებასა და პროფესიული გამოცდილების ზრდასთან ერთად უმუშევრობის დონის მაჩვენებელი კლებულობს.

<sup>1</sup> საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები. [www.geostat.ge](http://www.geostat.ge)

**უმუშევრობის დონე ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით  
2006-2010 წლებში (%)<sup>1</sup>**

ცხრილი 8

	სახელმწიფო
2006	
16.3	16.9
28.9	33.4
38.3	37.0
27.8	29.9
24.2	24.2
19.1	18.3
13.0	16.0
12.0	13.2
11.2	12.1
11.6	10.1
7.7	6.4
0.7	1.3
	საბურთო
	20 წლის შემდეგ
	20-24
	25-29
	30-34
	35-39
	40-44
	10.4
	9.7
	10.4
	9.5
	6.7
	5.8
	6.5
	1.2
	0.4

4. შრომის ბაზრის ფუნქციონირებაში სახელმწიფოს ჩარევა აუცილებელია შრომის ანაზღაურების სისტემის მოწესრიგების თვალსაზრისისითაც. რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში არ იგულისხმება შრომის ანაზღაურების რაიმე ზღვარის დაწყესება, მსჯელობაა მხოლოდ სახელმწიფო სექტორში შრომის ანაზღაურების ისეთი სისტემის დანერგვაზე, როცა ხელფასი სრულფასოვნად შეასრულებს თავის ყველა ძირითად ფუნქციას. წლების განმავლობაში როგორც სახელმწიფო, ასევე არასახელმწიფო სექტორში დაქირავებულთა საშუალო ხელფასი ვერ უზრუნველყოფდა რეალურ საარსებო მინიმუმსაც კი (იხ. ცხრილი 9). თუ 1995 წელს მინიმალური ხელფასი რეალური მინიმალური სამომხმარებლო ბიუჯეტის (საარსებო მინიმუმის საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები. [www.geostat.ge](http://www.geostat.ge)

## **მურმან ცარცისე, ნათელა ლასაბიძე**

---

მის) 2.51%-ს, ხოლო საშუალო ხელფასი მის 11.4%-ს შეადგენდა, 2000 წელს აღნიშნული თანაფარდობა შესაბამისად - 7.58% და 27.4%, ხოლო 2006 წელს 27.05% და 65.36% იყო. მხოლოდ 2008 წლიდან უზრუნველყოფს დაქირავებულთა საშუალო ხელფასი რეალურ საარსებო მინიმუმს და აჭარბებს მას. 2009 წელს საშუალოთვიურმა ხელფასმა მინიმალურ სამომხმარებლო ბიუჯეტს 10.17%-ით, ხოლო 2010 წელს-14.48%-ით გადააჭარბა. ამასთან, აღსანიშნავია, რომ სამომხმარებლო საქონელსა და მომსახურებაზე ფასების ზრდამ მნიშვნელოვნად შეამცირა მოსახლეობის შემოსავლების შეიძლებობით უნარიანობა, ანუ რეალური შემოსავლების დონე.

5. სახელმწიფოს მხრიდან განსაკუთრებული ყურადღება ესაჭიროება არაფორმალური (არარეგისტრირებული) მასშტაბების შემცირებას. ქვეყანაში თითქმის ორი ათეული წელია დამკვიდრდა არაფორმალური საქმიანობის ისეთი სახეობები, როგორიცაა სამშენებლო და სარემონტო სამუშაოები, საშუალო საქმიანობა, წერილი ხელოსნობა, ოჯახებში დამლაგებლებად, აღმზრდელებად მუშაობა, რეპეტიტორობა, სამედიცინო მომსახურება, ქუჩის ვაჭრობა და სხვა. აღნიშნულიდან გამომდინარე, არაფორმალურად დასაქმებულები მთლიანი შიგა პროდუქტის გარევეულ ნაწილს ქმნიან. საექსპერტო შეფასებებითა და მსოფლიო ბანკის გამოკვლევებით, საქართველოში დასაქმებულთა მინიმუმ 32,0% ჩართულია რაიმე სახეობის არაფორმალურ საქმიანობაში. არაფორმალური დასაქმება უმთავრესად გამოხატულია თვითდასაქმებით, დაქირავებული შრომა გამოიყენება მხოლოდ სამშენებლო-სარემონტო სამუშაოებზე. მისთვის განსაკუთრებით ნიშანდობლივია ის, რომ დასაქმებულთა აბსოლუტური უმრავლესობისათვის აღნიშნული საქმიანობა საარსებო სახსრების მოპოვების საშუალებაა, ხოლო მცირე ნაწილისათვის - დამოუკიდებლობის გამოვლენის, მოქნილი შრომის რეეიმით მუშაობის შესაძლებლობის ან სოლიდური შემოსავლების

## მინიმალური და საშუალო ხელფასის თანაფარდობის დინამიკა

**მინიმალურ სამომხმარებლო ბიუჯეტთან (შპბ) საქართველოში (1995-2010 წლებში)!**

ცხრილი 9

წლები	მინიმალური ხელფასი (ლარი)	მინიმალური სამომხმარებლო ბიუჯეტი (ლარი)	მინიმალური ხელფასის და მინიმალური სამომხმარებლო გარეუქნის თანამდებობა %	დაქვირვებით ასამაღლებლო საშუალო ბიუჯეტი (ლარი)	საშუალო ბიუჯეტის ხელფასი %-ითით
1995 ნიუებერი	3,5	139,5	2,51%	15,9	11,4%
1996 მარტი	6,0	192,0	3,12%	16,5	8,6%
1996 დეკემბერი	12,0	205,6	5,84%	29,8	14,5%
1997 აგვისტო	15,0	218,6	6,86%	43,4	19,9%
1998 სექტემბერი	18,0	239,4	7,52%	56,7	23,7%
1999 სექტემბერი	20,0	251,5	7,95%	67,5	26,8%
2000 სექტემბერი	20,0	264,0	7,58%	72,3	27,4%
2001 სექტემბერი	20,0	277,3	7,21%	91,4	32,9%
2002 სექტემბერი	20,0	303,5	6,59%	113,5	37,40%
2003 სექტემბერი	20,0	332,6	6,01%	125,9	37,85%
2004 სექტემბერი	20,0	365,0	5,48%	156,6	42,90%
2005 სექტემბერი	20,0	400,0	5,0%	204,2	51,05%
2006 სექტემბერი	115,0	425,2	27,05%	277,9	65,36%
2007 სექტემბერი	115,0	450,5	25,53%	368,1	81,71%
2008 სექტემბერი	115,0	478,6	24,03%	534,9	111,76%
2009 სექტემბერი	115,0	505,4	22,75%	556,8	110,17%
2010 სექტემბერი	115,0	532,5	21,6%	609,4	114,48%

მინიმალური და საშუალო ხელფასის შესხებ მონაცემები აღმოჩენია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალური პუბლიკაციებიდან, ხოლო მინიმალური სამომხმარებლო ბიუჯეტი (შპბ) გაანგარიშებულია საბაზო ფასებისა და კვიპის პროდუქტების მოხმარების დაგენერილი ნორმების საფუძველზე. შპბ-ის დანარჩენი ელემენტები აღმოჩენია სამინისტრო მინიმალური და განვითარებითი ქაუნქების სამომხმარებლო ბიუჯეტის სტრუქტურის მიხედვით. კერძოდ, შპბ-ის სტრუქტურაში კვების პროდუქტების ხელმისაწვდომობის წონა აღმოჩენია 68,3% (პეტროსტატი გარიანტი), ხოლო დანარჩენი ელემენტების არასასურსათ საჭირები და მომსახურება 31,7%.

## **მერავნ ცარციმა, ნათელა დაცაბიძე**

---

უფრო იოლი გზით მიღების საშუალება. გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ არაფორმალურ დასაქმებას უმთავრესად დროებითი, სეზონური ან ეპიზოდური ხასიათი აქვს. დასაქმებულთა ერთი ნაწილი ათავსებს ეკონომიკის ფორმალურ და არაფორმალურ სექტორში დასაქმებას, მეორე ნაწილი მხოლოდ არაფორმალურ სექტორშია დასაქმებული.

6. შრომის ბაზრის რეგულირების ღონისძიებების შემუშავებისას აუცილებელია ეროვნული შრომის ბაზრისათვის ნიშანდობლივი თავისებურების გათვალისწინება, სახელდობრ ის, რომ უმუშევრობის მაღალ დონესთან ერთად შესამჩნევია კვალიფიციური კადრების დეფიციტი, მათ შორის იმ სფეროებშიც, სადაც შრომის ანაზღაურება შედარებით მაღალია. საქართველოში კვალიფიციური კადრების დეფიციტის აღმოფხვრაზე მსჯელობა ნაადრევია, მაგრამ მისი შემცირების ერთ-ერთი გზაა სპეციალისტთა მომზადების დაგეგმვა შრომის ბაზრის მიმდინარე და პერსპექტიული მოთხოვნების შესაბამისად.

ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, შრომის ბაზარზე არსებული რთული ვითარების გათვალისწინებით, უფიქრობო, საკამათო არ არის მოსაზრება, რომ გადაუდებლად აუცილებელია შრომის ბაზრის რეგულირების პროგრამის შემუშავება ეროვნულ დონეზე, რომელიც უნდა ეყრდნობოდეს მეცნიერული კვლევის შედეგად ჩამოყალიბებულ, დასაბუთებულ კონცეფციას. შრომის ბაზრისა და დასაქმების სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები უნდა გახდეს:

შრომის ბაზრის ინსტიტუტებისა და მისი ადეკვატური ინფრასტრუქტურის, ეფექტიანად მომუშავე დასაქმების სამსახურის შექმნა და განვითრება როგორც ქვეყნის, ასევე რეგიონების დონეზე. სწორედ დასაქმების სამსახურებმა უნდა უზრუნველყონ: უმუშევართა სოციალური დაცვისა და დასაქმებისათვის ხელშეწყობის პროგრამების რეალიზაცია, ახალი სამუშაო ადგილების შექმნის სტიმულირების მიზნით; სოციალური პარტ-

ნიორობის სისტემის ფარგლებში დამქირავებლისა და მომუშავეს შორის სოციალურ-შრომითი ურთიერთობების კოლექტიურ-სახელშეკრულებო რეგულირების პრაქტიკის დამკავიდრება. კოლექტიური მოღაპარაკებების საფუძველზე მიღებული კოლექტიური ხელშეკრულებები უნდა გახდეს ინდივიდუალური შრომითი კონტრაქტების გაფორმების საფუძველი; ახალგაზრდობის დასაქმების და მათი კონკურენტუნარიანობის ამაღლებისათვის აუცილებელი დონისძიებების გატარება, რომელთა შორის განსა-კუთრებული მნიშვნელობა ენიჭება: ფინანსურ მხარდაჭერას საწარმოებისათვის, რომლებიც ასაქმებენ ახალგაზრდებს; საშუალო პროფესიული განათლების სისტემის აღდგენას, სრულყოფასა და განვითარებას, მის ადაპტაციას საბაზრო პირობებთან, მისი საქმიანობის წარმართვას რეგიონების მოთხოვნის დასაქმაყოფილებლად; მუდმივი მონიტორინგის განხორციელება უმუშევრობის ზრდის შეზღუდვისა და უმუშევართა სოციალური მხარდაჭერის დონისძიებებზე; დარგობრივი და რეგიონული მიზნობრივი პროგრამების შემუშავება და რეალიზაცია.

დასაქმების სამსახურებმა, ზემოაღნიშნულთან ერთად, უნდა უზრუნველყონ რიგი სპეციფიკური ანალიტიკური ფუნქციის შესრულება: შრომის ეროვნული და რეგიონული ბაზების კონიუნქტურის შესწავლა და პროგნოზირება; შრომის ბაზრის ტევადობისა და სტრუქტურის ცვლილების ანალიზი და პროგნოზი; დასაქმების დინამიკის შესწავლა; სამუშაო ძალის დამქირავებლების ქცევის მოტივაციის და მისი განმსაზღვრელი ფაქტორების შესწავლა; არსებული სამუშაო ადგილების სტრუქტურის, მათი სარისხობრივი მახასიათებლების შესწავლა; რეგიონის სამუშაო ძალის კონკურენტუნარიანობის შესწავლა და პროგნოზი; შრომის საერთო დანახარჯებში სამუშაო ძალის დირექტულებისა და ფასის ანალიზი; სამუშაო ძალის ფასზე მოქმედი ფაქტორების ანალიზი; პროფორიენტაციის მიზნით ჩატარებული სამუშაოების ანალიზი; შრომის ბაზრის მარკეტინ-

## **მურმან ცარტიძე, ნათელი ლაცაბიძე**

---

გული მართვა, სამუშაო ძალის მარკეტინგის სტრატეგიული და ოპერატორული დაგეგმვა.

შრომის ბაზრის განვითარების ხარისხი, მისი ციფილიზებულობა დამოკიდებულია არა მარტო იმაზე, თუ რამდენადაა ჩამოყალიბებული მისი ინფრასტრუქტურა, არამედ იმაზეც, თუ როგორ ასრულებს იგი თავის ძირითად ფუნქციებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასიცოცხლოდ აუცილებელია შრომის ბაზრის ერთიანი საინფორმაციო სისტემის (ბაზის) ფორმირება, რომელიც შრომის ბაზრის სუბიექტებს პერიოდულად უზრუნველყოფს ინფორმაციით არსებული პროფესიებისა და ვაკანსიების შესახებ, დაქირავების, შრომის ანაზღაურებისა და სოციალურ-შრომით ურთიერთობებთან დაკავშირებულ სხვა პირობებზე, სოციალური პარტნიორობის სისტემის ყველა დონეზე. საინფორმაციო ასიმეტრიის აღმოფხვრა უზრუნველყოფს სოციალურ-შრომითი ურთიერთობების სფეროში ყველა სახეობის დისკრიმინაციის დაძლევასა და შრომის ბაზრის სუბიექტთა ეკონომიკური ქცევის აღეპვატურობას.

ქვეყნის მოსახლეობის ეფექტური დასაქმების უზრუნველყოფის მიზნით აუცილებელია პროფესიული მომზადება-გადამზადების სისტემის ტრანსფორმაცია სამუშაო ძალაზე შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით.

შრომის ბაზარზე არსებული მდგომარეობის ანალიზისა და პროგნოზისათვის, დასაქმების ეფექტური პროგრამების შემუშავებისათვის აუცილებლად მიგვაჩნია ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის, დასაქმებულებისა და უმუშევრების აღრიცხვის სისტემის მოწესრიგება, მით უმეტეს, რომ მოქმედი საერთაშორისო მეთოდოლოგია, ზოგიერთი ასპექტით, არ შევსაბამება ქვეყნის განვითარების სპეციფიკას.

ქვეყნის მოსახლეობის ეფექტური დასაქმების უზრუნველყოფისათვის აუცილებელია დასაქმების როგორც აქტიური, ასევე პასიური პოლიტიკის გატარება, დასაქმების სახელმწიფო

და რეგიონები პროგრამების შესრულების მქაცრი კონტროლის, ანალიზისა და მონიტორინგის განხორციელება. უმუშევრობისა და დასაქმების პრობლემები აყვანილ უნდა იქნეს სახელმწიფო პოლიტიკის რანგში. მხოლოდ ასე შეიძლება ქვეყანაში ხიდარის დაძლევა და მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება.

## **The Prospects of Labor Market Development in Georgia**

***M. Tsartsidze***

***N. Latsabidze***

The scientific article confirms that settlement of the sphere of social and labor relations, reduction of unemployment and provision of able-bodied population with effective employment are not possible without state regulation of labor market.

The necessity of market regulation is conditioned by the fact that despite positive results of economic policy implemented in the country, a marked improvement of population's living standards has not been carried out, a certain part of the country's population still lives below the official poverty line, the level and length of unemployment has been high for years. Thus, at the current stage when economic and financial crisis has not been dealt yet the state, in order to regulate labor market, must take a firm line and control the distribution process of incomes. At the same time it is reasonable to take passive measures to regulate labor market in the direction of implementation of the programs of insurance against unemployment, establishment and implementation of the forms of non-financial assistance for the unemployed and their family members.

The state interference in the functioning of labor market is necessary with the goal of introducing such system of remuneration in the state sector when salary will fully fulfill all the main functions. The state must pay

particular attention to the reduction of the scales of informal employment, planning of the training for specialists according to the current and future demands of labor market. The establishment and development of effectively functioning employment service both at the national and regional level must become one of the main directions in the regulation of labor market. The employment services must guarantee fulfillment of a range of specific analytical functions: study and projection of the conjuncture of national and regional labor markets; analysis and projection of the changes of labor market capacity and structure; study of employment dynamics; study of the motivation of behavior of labor force employer and its determining factors; study of the structure of existing jobs and their qualitative characteristics; study and projection of the competitiveness of the region's labor force; analysis of the conducted works with the goal of professional orientation; marketing management of labor market, strategic and operational planning of labor force marketing.

It is also confirmed in the article that with the goal of providing population with effective employment, it is necessary to transform the vocational training and retraining system into labor force considering the labor market demand, tight control over the implementation of state and regional employment programs, realization of analysis and monitoring.

ეპონომიკური რყევების  
თეორიები ეპონომიკური  
პრიზისის ასპექტით

ნაგირა კაკულია

იგჯაგახიშეიღის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ასოცირებული პროფესორი

საბაზრო ეკონომიკის ერთერთი მთავარი ნიშანი მისი ციკლურობაა, ანუ ეკონომიკური პქტიურობის პერიოდული რეკვები, რომელიც გამოიხატება წარმოების დაცემისა და აღმავლობის შეტაკლებად პერიოდული განმეორებით.

ეკონომიკური ციკლურობა განეკუთვნება ყველაზე მნიშვნელოვანი მაკროეკონომიკური პრობლემების რიცხვს, ის პირდაპირ ან ირიბად ზემოქმედებს საბაზრო ეკონომიკის ყველა სუბიექტზე: საოჯახო მეურნეობებზე, ბიზნესსა და სახელმწიფოზე. ეს პრობლემა, თავისი სირთულით და მრავალმხრივი ასპექტებით, მიუხედავად საუკუნენახევარზე მეტი შესწავლისა, მაინც დისკუსიის საგნად რჩება.

ტერმინი - „ციკლი“ გამოიყენება ბიოლოგიასა და სხვა მეცნიერებებში მოვლენების ისეთი თანმიმდევრობების აღსანიშნავად, რაც მუდმივად მეორდება, მაგრამ არა აუცილებლად ერთნაირი ხარისხით ან დროის ერთნაირი ხანგრძლივობით.

ეკონომიკური ციკლურობა - ეს საბაზრო ეკონომიკის განვითარების ობიექტური ფორმაა. ის წარმოადგენს ეკონომიკური კონიუნქტურის (საქმიანი აქტიურობების) ტალღოვან მოძრაობას დაცემისა და აღმავლობის რეგულარული მონაცვლეობით (კრიზისიდან კრიზისამდე). სწორედ ციკლურობაა მაკროეკონომიკური წონასწორობის რდგევის ერთ-ერთი მთავარი ფორმა.

## ნაზირების კაპული

თუ ბაზრის მაკროეკონომიკური არასტაბილურობის ნიშნად ციკლურობას ჩავთვლით, აუცილებელია გაფითვალისწინოთ, რომ ციკლურობა, რომელიც პერიოდულად განმეორებადი პროცესია, არა მარტო ეკონომიკის წონასწორულ მდგომარეობას არღვევს, არამედ შემდგომ მის ბუნებრივ აღდგენასაც უწყობს ხელს. ეკონომიკური შეფერხებების (კრიზისების) გარეშე საბაზრო ეკონომიკა ვერ განვითარდება. ნებისმიერი განვითარებადი სისტემისთვის (ლაპარაკია ბუნებაზე, საზოგადოებაზე, ადამიანის ორგანიზმას თუ ეკონომიკაზე) ობიექტურად დამახასიათებელია განსაზღვრული ციკლურობა.

ყველაზე თანამიმდევრულად ციკლების პრობლემა წარმოდგენილია ელვინ ჰანსენის წიგნში - „ეკონომიკური ციკლები და ეროვნული შემოსავალი“ (1951 წ)<sup>1</sup>. ჰანსენი ეკონომიკურ ციკლს განსაზღვრავს, როგორც ყველაზე მნიშვნელოვანი მაკროსიდიდების რყევებს, კერძოდ: დასაქმების, წარმოების მოცულობისა და ფასების დონის ცვლილებას. აგრეთვე, ჰანსენის თვალსაზრისიდან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, „რომ მრგველობისა და საერთოდ საქმიანი აქტიურობის მოძრაობა მიმდინარეობს ციკლების ფორმით, რომლის არსია ცვლილებების განმეორებითი (თუმცა, არა მკაცრად განსაზღვრული ერთნაირი პერიოდებით) თანამიმდევრობა“<sup>2</sup>. იმავდროულად ჰანსენმა ხაზი გაუსვა რყევების მოწესრიგებულობას, კვლავწარმოების მუდმივობას და ეკონომიკური ციკლების ფაზების ცვლილებებს.

საბაზრო ეკონომიკის ციკლური განვითარების საწყის წერტილად, ზოგიერთი პირობის გათვალისწინებით, მიიჩნევენ 1825 წელს, როდესაც ინგლისში წარმოების პირველმა კრიზისმა იფეოქა. მან საფუძველი ჩაუყარა ეკონომიკური კონიუნქტურის პერიოდულ რყევებს, რაც საქმაოდ რეგულარულად მეორდებოდა მთელი XIX საუკუნის განმავლობაში, საშუალოდ 8–10 წლიანი ინტერვალით. ნელ-ნელა ციკლურობაში ჩაერთვნენ სხვა კაპიტალისტური

<sup>1</sup> Alvin Hansen, Fiscal Policy and Business Cycles., 1941.

<sup>2</sup> Alvin Hansen on Economic Progress and Declining Population Growth., in Population and Development Review, Vol. 30, 2004.

ქვეყნებიც. XIX საუკუნეში ყველაზე ღრმა და გრძელვადიან მსოფლიო ეკონომიკურ კრიზისს ჰქონდა ადგილი 1873–1878 წლებში, ხოლო XX საუკუნეში - 1929–1933 წლების მსოფლიო კრიზისს - „დიდ დეპრესიას“. ამის შემდეგ, ეკონომიკური ციკლები განსაკუთრებული შესწავლის ობიექტია.

ბუნებრივია, საინტერესოა რა უდევს საფუძლად ეკონომიკის ციკლურობას, რა მიზეზები იწვევენ საბაზრო ეკონომიკის ტალღოვან განვითარებას. ციკლურობა, თავის მხრივ, მრავალფაქტორიანი პროცესია და მისი მიზეზების გამოკვლევა აუცილებლად იწვევს თეორიული კონცეფციების სიმრავლეს. არსებობს 200-ზე მეტი განსხვავებული ფაქტორი, რომლებიც იწვევს კრიზისებს. ჩვენ გამოვავთ ყველაზე მნიშვნელოვან თეორიულ პოზიციებს, რომლებზეც დაფუძნებულია ციკლური განვითარებისა და კრიზისების მიზეზების შესწავლა. განვიხილოთ სამი მთავარი მიმართულება: 1. ციკლურობა და მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროგრესი, 2. ციკლურობა და ფულად-საკრედიტო ფაქტორები და 3. ბაზრის ციკლურობა და ბიპოლარული სტრუქტურა.

პირველი მიმართულება ეკონომიკს ციკლურიბას აკავშირებს მეცნიერულ-ტექნოლოგიურ პროგრესთან, მეცნიერულ-ტექნოლოგიური რევოლუციის ეტაპებთან. ამ მიმართულებაში მეცნიერებად კლინდება წარმოების ძირითადი ფაქტორების ეკოლურია, რაც მეცნიერულ - ტექნიკური პროგრესის შედეგია.

ციკლების ცვლილებების რეგულარულობა გამოწვეულია სხვადასხვა მიზეზით და ის განაპირობებს ციკლის სხვადასხვა ხანგრძლივობას. ხანგრძლივობის მიხედვით ციკლები შეიძლება იყოს:

- მოკლე ციკლები, რომელთა ხანგრძლივობა მოიცავს 3-დან 5 წლამდე პერიოდებს, საშუალოდ, დაახლოებით 50 ოვეს;
  - საშუალოვადიანი ციკლები, რომლებიც გრძელდება 7-დან 10–12 წლამდე;
  - ორი სახეობის გრძელი ტალღები: გრძელი ციკლები, რომელთა ხანგრძლივობა 25–30 წელს აღწევს; ქალაქიარმობის

## ნავირა კაპული

---

გრძელი ტალღები, რომელთა ხანგრძლივობა 47–60 წელია.

მოკლე ციკლებს სხვანაირად კიტჩინის ციკლებს<sup>1</sup> უწოდებენ. ისინი წარმოიქმნება საბრუნავი საშუალებების ცვლილებების შედეგად. საბაზრო კონიუნქტურის შედეგად წარმოიქმნება მოთხოვნასა და მიწოდებას შორის დისბალანსი. მეწარმეები ეკონომიკური ზრდის მოლოდინში ქმნიან მარაგებს უმეტესწილად სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების მიწოდებაზე იმაზე მეტად, ვიდრე მათ ეს ფაქტობრივად სჭირდებათ. ამიტომ, გარკვეულ ეტაპზე წარმოიქმნება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ნამეტი, დისბალანსი. როდესაც ეკონომიკური ზრდის მიმართ სასურველი იმედები ქრება, საწარმოები დაგროვებული მარაგებისგან განთავისუფლების პრობლემების წინაშე დგებიან, რაც იწვევს ქვეყანაში ფასების ვარდნას და მცირეოდენ ეკონომიკურ დაცემას. ამგვარად, ეკონომიკა მოკლე ციკლის რეჟიმით ფუნქციონირებს. ამასთან, მოკლე ციკლის პრობლემა, ფაქტობრივად, უკავშირდება მეწარმეთა არასწორ მოლოდინებს. არსებითი მნიშვნელობა აქვს, აგრეთვე, მომხმარებელთა ფსიქოლოგიას. რაც შეეხება საშუალოვადიან ციკლებს, მათ დასავლეთში უწოდებენ ჟუგლარის ციკლებს.<sup>2</sup> XIX საუკუნის მეორე ნახევარში ჟუგლარმა გამოსცა მონოგრაფია, რომელიც ეძღვნება საშუალოვადიან ციკლებს. აღნიშნული ციკლები განპირობებულია შემდეგი მიზეზებით:

- ძირითადი კაპიტალის აქტიურ ელემენტებში - შრომის საშუალებებსა და იარაღებში კაპიტალდაბანდების შემცირებით;
- ერთი დარგიდან მეორეში კაპიტალის გადადინებით, დარგთაშორისი კონკურენციის გავლენით;

• ფულად - საკრედიტო ფაქტორების ცვლილებებით.

ადნიშნული მიმდინარეობის ფარგლებში ინტერესს იწვევს თეორია - „ეკონომიკური აქტიურობის გრძელი ტალღები“, რომელიც შემუშავებულია რესი ეკონომისტის კონდრატივის

<sup>1</sup> Kitchin, Joseph (1923). «Cycles and Trends in Economic Factors». Review of Economics and Statistics 5 (1): 10–16.

<sup>2</sup> Kuznets Swings, Juglar and Kitchin Cycles in Global Economic Development, and the 2008—2009 Economic Crisis Structure and Dynamics. 2010. Vol.4. #1. P.3-57..

მიერ. ეს თეორია ეფუძნება ისეთ შრომებს, როგორიცაა „მსოფლიო მეურნეობა და მისი კონიუნქტურა ომის პერიოდსა და მის შემდეგ“ (1922),<sup>1</sup> „მსოფლიო მეურნეობისა და კრიზისის სადაც კითხვები“ (1923) და „კონიუნქტურის დიდი ციკლები“ (1925).

ინგლისის, საფრანგეთისა და აშშ-ის გაონომიკური განვითარების შესწავლით, კონდრატიევმა შეძლო მსოფლიო ეპონომიკის განვითარება სამ დიდ ციკლად დაეყო: პირველი – 1787 წლიდან 1814 წლამდე (აღმავალი ტალდა) და 1814 წლიდან 1851 წლამდე (დაღმავალი ტალდა); მეორე – 1844 წლიდან 1875 წლამდე (აღმავლობა) და 1870 წლიდან 1896 წლამდე (დაცემა); მესამე – 1896 წლიდან 1920 წლამდე (ახალი აღმავალი ტალდა).

„კონდრატიევის ციკლების“ საშუალო ხანგრძლივობა შეადგენდა 50–60 წელს, ხოლო მათ საფუძვლად, ავტორმა განიხილა სამეცნიერო-ტექნოლოგიური პროგრესის წყვეტილი ხასიათი, ტექნიკასა და წარმოების ტექნოლოგიაში პერიოდული რევოლუციები. „გრძელი ტალდების“ აღმოცენება დაკავშირებულია იმასთან, რომ დიდი გამოგონებები (მაგალითად, შიგაწვის ძრავების გამოგონება) გაონომიკურ აქტიურობას ბიძგს აძლევს რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში, სანამ მისი გავლენა თანდათან არ გაქრება. თუმცა, კონდრატიევის ეკონომიკური შეხედულებები, რომლითაც ცდილობს ობიექტური ანალიზი გაუქეთოს წამყვანი კაპიტალისტური ქვეყნების რეალურ დინამიკას, არ შექსაბამებოდა კომუნისტურ იდეოლოგიას. 1938წ. ნიჭიერი მეცნიერი რეპრესირებულ იქნა, როგორც კაპიტალიზმის თეორიული აპოლოგები.

XX საუკუნის 30-იანი წლების ბოლოს შუმპეტერმა წარმოადგინა ციკლების მთლიანი თეორია, რომელიც სხვადასხვა ხანგრძლივობის ციკლებს მოიცავდა, რაც ასევე, განაპირობებდა მაკროეკონომიკური რყევების განსაზღვრულ ამპლიტუდას. ეს თეორიაც ასევე ეყრდნობოდა ეკონომიკური პროგრესის სამეცნიერო-ტექნოლოგიურ ფაქტორებს. თავის ცნობილ წიგნში

<sup>1</sup> Коротаев А. В., Цирель С. В. Кондратьевские волны в мировой экономической динамике., Системный мониторинг. Глобальное и региональное развитие., М.: 2009. с. 189-229.

## ნავირა პაპულია

- „საქმიანი ციკლები. კაპიტალისტური პროცესის თეორიული, ისტორიული და სტატისტიკური ანალიზი“<sup>1</sup> (1939), შემპეტერმა წარმოადგინა ეკონომიკური დინამიკის ე.წ. „სამციკლიანი სქემის“ კონცეფცია, რომლის ფარგლებშიც კონდრატიევის 50-წლიანი ციკლები, ჟუგლარის ათწლიანი ციკლები და კიტჩინის ორწლიანი ციკლები იყო გაერთიანებული. მათი ურთიერთკავშირის აღწერისას, მან გააკეთა დასკვნა, რომ ხანგრძლივი ციკლები აუცილებლად მოიცავს მოკლევადიანი განვითარების პერიოდებს, რომლის შედეგადაც „თითოეული ხანგრძლივი ტალღის მასშტაბი უფრო აახლოებს ტალღებთან, რომლებიც შემდგომ წონასწორობას იწვევს.“<sup>2</sup> ციკლურობის მთავარი მამორავებელი ძალაა მეწარმეების ინოვაციური საქმიანობა, მასობრივი ინვესტიციები ძირითად კაპიტალში. ეს გამოიხატება ახალი ტექნოლოგიების დანერგვით და წარმოების ორგანიზაციის ახალი ფორმებით, შედეგად – ახალი პორდუქციის წარმოდგენით და ახალი ბაზრების გახსნით. ინოვაციების მასობრივი დანერგვა იწვევს წარმოების ზრდას, ხოლო შემდგომ დაცემას, დეპრესიას, როგორც ერთგარი ადაპტაცია შეცვლილი ეკონომიკური პირობებისადმი, რომელიც ეკონომიკური ბუმითაა განპირობებული. მეორე წიგნში – „კაპიტალიზმი, სოციალიზმი და დემოკრატია“ (1942), შემპეტერი აღნიშნავს: „გრძელვადიანი ინვესტიციების განხორციელება, როდენსაც პირობები ხშირად იცვლება, რისკებთანაა დაკავშირებული. თუმცა, საბაზო ეკონომიკის მხოლოდ ასეთი მიმრაობა განაპირობებს პერსპექტივაში დინამიკურ ზრდას.“ მსგავსი დასკვნის გასამყარებლად, ავტორს მოყავს მაგალითი: „მუხრაუჭებიანი ავტომობილი უფრო სწრაფად მოძრაობს, ვიდრე ავტომობილი, რომელსაც ის არ აქვს.“<sup>3</sup> გარდა ამისა, სამეწარმეო ინოვაციების რეალიზაციისას მნიშვნელოვან

<sup>1</sup>. Schumpeter Joseph A. A Theory of Social and Economic Evolution., 1942.

<sup>2</sup> Schumpeter, J.A. The theory of economic development : an inquiry into profits, capital, credit, interest, and the business cycle translated from the German by Redvers Opie (1961) New York: OUP.

<sup>3</sup> Scherer F. M. and M. Perlman (eds.), Ann Arbor : Entrepreneurship, Technological Innovation, and Economic Growth: Studies in the Schumpeter Tradition., The University of Michigan Press, 1992, p. 385.

როლს შემპეტერი შემთხვევით არ ანიჭებდა კრედიტს, რომელიც შესაძებლობას იძლევა დამატებითი ეკონომიკური რესურსების ჩართვა მოხდეს ეკონომიკურ საქმიანობაში

ბაზრის ციკლურობის მიზეზების ამხსნელი მეორე მიმართულება იყენებს ციკლების ფულად-საკრედიტო თეორიას. აქ შეიძლება მოყვანილობის ამერიკელი ეკონომისტის ირვინ ფიშერის პონცეფცია<sup>1</sup>, რომელიც განიხილავდა კრიზისს, როგორც ფულზე მოთხოვნასა და მიწოდებას შორის წონასწორობის დარღვევის შედეგს, ხოლო საბაზრო ეკონომიკის რყევებზე ზემოქმედებისთვის მთავარ მექანიზმად ფულადი ურთიერთობების თვითრეგულირებას მიიჩნევდა. ფულად-საკრედიტო ფაქტორები იყო პაიეკის მიერ შემუშავებული ციკლების მონეტარული პოლიტიკის ყურადღების ცენტრში. მის თეორიაში ეკონომიკური დაცემის ამხსნელ მიზეზად გვავლინება ფულად -საკრედიტო ექსპანსია, რომელიც საბანკო სისტემის მიერ ხორციელდება და შესაბამისად გულისხმობს უარის თქმას კრედიტების შემდგომ გაფართოებაზე. პაიეკის აზრით<sup>2</sup>, ნებისმიერ დამატებით ფულადი ინგენია საინვესტიციო პროექტებში მხოლოდ ანგარიშეწორების გადავადებას მოახდენს.

XX საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისიდან, ფართოდ გავრცელდა ამერიკელი ეკონომისტის მიღწონ ფრიდმანის ციკლების ფულადი კონცეფცია. ამ კონცეფციის შესაბამისად, ციკლის დინამიკაში მთავარ როლს თამაშობს ფულის მიწოდების არასტაბილურობა, რაშიც მთავარი დამნაშავე თვითონ სახელმწიფოა. სახელმწიფოს ანტიციკლური პოლიტიკის ნაცვლად, რომელიც ფულის მიწოდებაში მკვეთრ ცვლილებას იწვევს, შემოთავაზებულია მისი მაცრი რეგულირება დასაშვები 3-4%-იანი ზრდით წელიწადში. XX საუკუნის ბოლო ათწლეულების განმავლობაში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს ფულადი შოკების ანალიზი. მსგავსი ანალიზის ერთ-ერთი დამახასიათებელი

<sup>1</sup> Dimand, Robert W. Irving Fisher's Debt-Deflation Theory of Great Depressions," Review of Social Economy". 1994.

<sup>2</sup> Steele G. Keynes and Hayek: The Money Economy. - London and New York: Routledge, 2001. - 240 pp.

## ნაზირ კაკულია

მაგალითია ეკონომიკის თანამედროვე ციკლურობის ახსნა კ.წ. „მოულოდნელი ფულადი შოკებით“,<sup>1</sup> რომელიც წარმოადგინა 1995 წ. ნოქელის პრემიის ლაურეატმა ამერიკელმა ეკონომისტმა ლუკასმა. მის თეორიაში, საქმაოდ გონივრულად, წინ წამოწეულია ეკონომიკური სუბიექტების აქტიური ქცევა, რამაც შეიძლება გამოიწვიოს სხვადასხვაგარი შოკური სიტუაცია, კრიზისები, რაც ეწინააღმდეგება რაციონალურ მოლოდინებს, რომელიც მთავრობას ეკონომიკაზე გაივლების შედეგად გააჩნია.

საჭიროა ასევე აღვნიშოთ, რომ ზუსტად შოკური ფაქტორები (შემთხვევითები ან მოულოდნელები, შინაგანი ან გარეგანი), რაც წარმოიქმნება ფულად-საკრედიტო სფეროში, წარსულში და დღესაც მნიშვნელოვან როლს ასრულებს ეკონომიკური ციკლების ისეთ ბუნებრივ დანამატებულ ფინანსური ქაოსია.

ისტორიიდან ჩანს, რომ მუდმივი კრიზისები არ არსებობს, რომ საბაზრო ეკონომიკაში ჩამოყალიბებულია ასევე კრიზისიდან გამოსვლის საშუალებებიც.

დაბოლოს, მესამე მიმართულებად, რომელიც ხსნის ციკლური რყევების ფაქტობრივ საფუძველს, შეგვიძლია ჩავთვალოთ განსხვავებული თეორიები, რომლებიც ბაზრის ბიპოლარული სტრუქტურის ცვლილებას სწავლობს, ანუ მაკროეკონომიკურ დონეზე მიწოდებისა და მოთხოვნის ურთიერთდამოკიდებულებას. ამ თეორიებში მსჯელობაა, ერთი მხრივ, ერთობლივი მოთხოვნის, ხოლო მეორე მხრივ - ერთობლივი მიწოდების დინამიკის შესწავლაზე.

აქ დიდი ყურადღება ეთმობა იმ ფაქტორების გამოვლენას, რომლებიც სხვადასხვა მხრიდან გავლენას ახდენს როგორც მიწოდების, ასევე მოთხოვნის მოცულობის რყევების სტრუქტურასა და სიხშირეზე.

ამ თეორიების ფარგლებში, ყურადღებას იმსახურებს ეკონომიკური ციკლების კეინზიანური თეორია. კეინზი, ხოლო შემდგომ მისი მიმდევრები, ასევე როი ჰაროდი და ჯონ ჰიქსი, პოლ

<sup>1</sup> Robert E. Lucas, Jr. Expectations and the Neutrality of Money. Journal of Economic Theory 4: 1972.

სამუელსონი და ელვინ პანხენი, ციკლს იკვლევდნენ ეროვნული შემოსავლის, მოხმარების, დაზოგვისა და ინვესტიციების ღინამიერ ურთიერთდამოკიდებულების პოზიციიდან. პეინზის ციკლის კონცეფციით ციკლურობა, პირველ რიგში, განპირობებულია ერთობლივი მოთხოვნის რყევებით, რომელიც მოიცავს საოჯახო მეურნეობების პირად მოხმარებას, ერთობლივ კერძო ინვესტიციებს და სახელმწიფო მოხმარებას. მოხმარებას, დაზოგვას, ინვესტიციებსა და ეროვნული შემოსავლის ღონეს შორის ვლინდება მდგრადი კავშირი, რომელიც განისაზღვრება ორმაგი კოეფიციენტებით: მულტიპლიკატორით (ეროვნული შემოსავლისა და ინვესტიციების ზრდასთან დამოკიდებულება) და აქსელერატორით (ინვესტიციების ეროვნული შემოსავლის ზრდასთან დამოკიდებულება).

სწორედ ეს კონცეფციები უდევს საფუძვლად ციკლის მათვატიკურ მოდელებს, რომელთაგანაც პირველი იყო სამუელსონ-ჟიკისის მოდელი. მისი კონცენტრი შინაარსი გვიჩვენებს ერთობლივი მოთხოვნის რევენების გარდაუგალობას რეალური კოეფიციენტების მნიშვნელობის შემთხვევაში, რომელიც ასახავს მაკროეკონომიკური მაჩვენებლების ურთიერთდამოგიდებულებას. ციკლის მექანიზმი განიხილებოდა მიმდინარე ინვესტიციების მოცულობის მიხედვით, მათი მოქმედების მულტიპლიკაციური ეფექტით ეროვნულ კონომიკაზე.

თანამედროვე საბაზრო ეკონომიკისთვის დამახასიათებელია საქმაოდ აქტიური სახელმწიფო ჩარევა. ამიტომაც, ციკლების ახალი თეორიები ეკონომიკურ რყავებს სხინის სახელმწიფოს მაკროეკონომიკური პოლიტიკის შედეგებით, რაც მოიცავს მათ მიერ დაშეგძლი შეკვეთების შეფასებას.

საერთო შედეგი, რომელიც ციკლებისა და კრიზისების შესახებ  
თქორიებიდან გამომდინარეობს, შემდეგია: მაკროეკონომიკური  
წონასწორობის დარღვევისა და შემდგომი აღდგენის თვალსაზრისით,  
ნებისმიერი კონკრეტული ციკლი და თითოეული კონკრეტული  
კრიზისი საჭიროებს დიფერენცირებულ ანალიზს, რომელიც  
მოიცავს შინაგან და გარეგან ფაქტორებს.

## **ნაზირების მაკული**

---

ყველა ზემოხსენებული მოდელი აქტუალური იყო XX საუკუნის 70-იან წლებამდე თანამედროვე ფინანსური და ეკონომიკური კრიზისი სრულიად განსხვავდებული შინაარსის მატარებელია. იგი, ფაქტობრივად, შეიძლება ითქვას სისტემური კრიზისია და ჩვენი აზრით, ამ კრიზისის დაძლევის გზები ეკონომიკური განვითარების ნეოკეინზიანურ მოდელში უნდა ვეძებოთ, რომელიც მომხმარებელთა სტიმულირებას უკრძობა და სიღარიბის დაძლევის საუკეთესო თეორიაა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ამ თეორიამ, ფაქტობრივად, შექმნა კეთილდღეობის ძლიერი სტიმულები, ხოლო მომავალში, ვფიქრობთ, შექმნის ობიექტურ წამანძღვრებს იმისთვის, რომ მსოფლიო გადავიდეს ახალ საზოგადოებრივ წყობაზე, რომლისთვისაც კაპიტალის დაგროვების სტიმულირება არ იქნება განვითარების აუცილებელი და განმსაზღვრელი პირობა.

### **THEORIES OF ECONOMIC FLUCTUATIONS WITH ECONOMIC ASPECTS OF CRISIS**

**N. Kakulia**

The article discusses one of the main signs of the market economy – periodic fluctuations of economic activity. The article gives analysis of reasons of fluctuation, the theoretical concepts regarding the causes of crisis. It identifies three most important theoretical positions: 1. Fluctuation and the scientific - technological progress; 2. Fluctuation and the money-credit factors; 3. Market fluctuation and the bipolar structure.

The article analyzes Kitchin's short cycles, Juglar's medium-term cycles, and Kondratiev's long waves. In response to the directions explaining the reasons for fluctuation of the market, the article analysis the different characters of the current crisis.



**დავით ნიშანაშვილი,  
ივანე ჯავახიშვილის სახ. თხუ-ის დოქტორანტი**

გლობალური კონკურენტულიანობის მიღწევისათვის ბრძოლაში მრავალეროვნეული კომპანიების (მკები) მთავარი იარაღია ინოვაციური პროცესების უწყვეტობა. მეცნიერები ამასთან დაკავშირებით გამოყოფენ ინოვაციების წარმოების სამ ძირითად ნიშანთვისებას, რომელიც უნდა ახასიათებდეს კომპანიას, რათა წარმატებით გაართვას თავი საერთაშორისო ბაზრის ახალ რეალობებს. ესენია: ხედვა, ბენზმარკინგი და პროდუქტების ახალი ვერსიების წარმოება.<sup>1</sup>


**ხედვა.** დაკვირვების შედეგად შეიძლება მივიღეთ იმ დასკვნამდე, რომ სხვადასხვა წარმატებული მკების მიღგომა პროდუქციის ხარისხთან მიმართებით, საკმაოდ მსგავსია. ერთ-ერთი მიღგომა, რომელიც დღესდღეობით ინოვაციებში გამოიყენება, ეს არის ხედვა. იგი მომავლის ის სურათია, რომელსაც კომპანია იდეაში ქმნის და რომელიც იძლევა წარმოდგენას იმის შესახებ, თუ როგორი იქნება ამა თუ იმ პროდუქციის ბაზარი მომავალში. ამის შემდეგ კომპანია ქმნის მომავლის ხედვაზე დამტარებულ ინოვაციურ პროდუქტს. ამის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ცნობილი იაპონური მკ „ქენონი“. მან შეიმუშავა ისეთი მომავლის ხედვა, სადაც ასლის გადამდები მანქანები იქნებოდა პატარა, იაფი და ყველგან ხელმისაწვდომი აპარატები და ამის შემდეგ გამოიყენა საკუთარი ხედვა პროდუქციის სტრატეგიის განვითარებისთვის. ამ კუთხით აღსანიშნავა, რომ აშშ-ს ტექნოლოგიების კვლევისა და ბიზნესლიდერობის ცენტრის 2011 წლის სტატისტიკური მონაცემებით, „Canon U.S.A., Inc“, რომელიც აღნიშნულ სეგმენტზე

1 Hotget R.M., Luthans F., *International Management: Culture, Strategy and Behavior*, 2002, p. 55-56.

## ლავში ნიურამა

აშშ-ს ბაზრის 18,6 %-ის მფლობელია, ასლგადამდები მანქანების გაყიდვების მოცულობის მიხედვით (იხ. დიაგრამა1)<sup>1</sup> პირველ ადგილზე აშშ-ში მომუშავეს კომპანიებს შორის<sup>2</sup> დაასახელა.

**დიაგრამა 1**  
**კომპანია „ქენონის“ ასლგადამდები მანქანების**  
**გაყიდვები 2010 წ. (მდრდ იენი)**



**ბენჩმარკინგი.** კიდევ ერთი მიღელიც ზოგადად გამოიყენება თანამედროვე მრავალეროვნული კომპანიების მიერ, არის ბენჩმარკინგი. იგი ინფორმაციის შეგროვებისა და ანალიზის პროცესია იმის შესახებ, თუ რას აკეთებენ მოწინავე კონკურენტები. ამ ინფორმაციის საფუძველზე ხდება ახალი გაუმჯობესებული პროდუქციისა და მომსახურებს შემუშავება. ამ ხერხს თითქმის ყველა წამყვანი მკ მიმართავს.

**როდუქტების ახალი ვერსიები.** ინფარმური მიღელის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია პროდუქტების ახალი ვერსიების წარმოება, ანუ პოლიფერაცია. ამ დროს კომპანია აწარმოებს პროდუქტების დიდი რაოდენობას, რომელთა იმიტირებასა და გამოშვებას კონკურენტები მოკლე დროში

<sup>1</sup> [www.gartner.com](http://www.gartner.com)

<sup>2</sup> Canon Inc., First Quarter Results, 2011, p. 13-14.

ვერ მოახერხებენ. ამის მაგალითად შეიძლება დავასახელოთ საყოფაცხოვრებო ტექნიკის მწარმოებელი იაპონური კომპანია „პანასონიკ ელექტრიკს”, რომელიც დაარსდა 1918 წელს და დღემდე ძირითადად საქუთარი მართვის ფილოსოფიით ხელმძღვანელობს, რომლის არსია ის, რომ კომპანიის ძირითადი გლობალური მისიაა თავისი საქმიანობით ხელი შეუწყოს მსოფლიოს მოსახლეობის განვითარებასა და კეთილდღეობის ამაღლებას.<sup>1</sup> სტრატეგიის უკეთ განსახორციელებლად, რომელიც პროდუქციის ახალი გერსიების გამოშვებას გულისხმობს, პანასონიკმა 2010 წელს დააარსა შვილბილი კომპანია „სანიო ელექტრიკი“<sup>2</sup> და დღემდე წარმატებით აწარმოებს და არეგულირებს ინოვაციურ პროდუქტებს მსოფლო მასშტაბით. დესდევობით პანასონიკი ძირითადი საქმიანობა მოიცავს ექვს ძირითად ბიზნესმიმართულებას:

1. ენერგეტიკული სისტემები;
2. გათბობისა და კონდიცირების სისტემები;
3. საყოფაცხოვრებო ტექნიკა;
4. სამედიცინო მოწყობილობები;
5. უსაფრთხოების სისტემები;
6. განათების სისტემები.

პანასონიკის პროდუქციის მრავალი სახეობის წარმოების შეალებული სტრატეგია კი მოიცავს 3 ძირითად მიმართულებას (იხ. ცრილი 1). ესენია:

- საქმიანობის ექვსი მიმართულებისათვის გასაღების ბაზრის გაფართოება;
  - განვათარებად ქვეყნებში ბიზნესის წილის გაფართოება;
  - გადაწყვეტილებებისა და სისტემების ბიზნესის გაძლიერება.

<sup>1</sup> Hotget R.M., Luthans F., *International Management: Culture, Strategy and Behavior*, 2002, p. 56-57.

<sup>2</sup> [www.pamasonic.com](http://www.pamasonic.com)

## ლაპით ნიშანამე

აღნიშნული სტრატეგიის განხორციელებაში კი მნიშვნელოვანი რგოლია შვილობილ ქომპანია ”სანიო ელექტრიკოან“ აქტიური თანამშრომლობა.

### კომპანია ”პანასონიკის“ ჯგუფის შუალედური სტრატეგია ცხრილი 1

ბიზნესსაქმიანობის  
6 ძირითადი  
მიმართულების  
განვითარება

განვითარებად  
ქვეყნებში  
ბიზნესის წილის  
გაფართოვება

გადაწყვეტილებებისა  
და სისტემების  
ბიზნესის  
გაძლიერება

### აქტიური თანამშრომლობა შვილობილ ”სანიო ელექტრიკოან“

საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიანობის შესანარჩუნებლად მკები იყენებს სხვადასხვა სტრატეგიას, რომლებიც შეიძლება განხილულ იქნეს სამსაფეხურიანი პარადიგმის სახით (იხ. დაიგრამა 2), რომელიც უნდა გაიაროს გლობალურმა კომპანიამ, რათა დარჩეს კონკურენტუნარიანი. აღნიშნულ სამ პარადიგმას მიეკუთვნება: ადაპტური ორგანიზაციები, მოსწავლე ტრანსფორმაციები და მსოფლიო კლასის ორგანიზაციები.


**ადაპტური ორგანიზაციები.** ეშირად მკები, რომლებიც აღწევს წარმატებას და პროდუქციის ტოტალურ ხარისხს, ვერ ინარჩუნებს კონკურენტუნარიანობას იმიტომ, რომ ვერ უწყობს ფეხს სწარაფ ცვლილებებს და წინასწარ ვერ განჭვრებს მოსალოდნელ შედეგებს. ასეთი ტიპის ორგანიზაციებს უწოდებენ ადაპტურ ორგანიზაციებს, რომლებიც ხასიათდება უკვე მომხდარ მოვლენებზე რეაგირებით.

**მოსწავლე ორგანიზაციები.** ამ ტიპის ორგანიზაციებს შესწევს უნარი გარდაიქმნას მოსალოდნელი ცვლილებების გათვალისწინებით და პროდუქტებისა და სერვისების შექმნის ახალი გზე-

ბის შემუშავებით. ასეთმა ორგანიზაციებმა აითვისა თუ როგორ უნდა ისწავლოს, თუნდაც სხვების მაგალითზე, როთაც ცდილობს შეინარჩუნოს კონკურენტუნარიანობა მოცემულ ბაზარზე.

### **მკების კონკურენტუნარიანობის სამსაფეხურიანი პარადიგმა**

**დიაგრამა 2**



**მსოფლიო კლასის ორგანიზაციები.** დღესდღეობით საუკეთე-  
სო მკები უფრო შორს მიდის, ვიდრე მოსწავლე თრგანიზაციები და  
ისინი წარმოადგენს ეწ. ”მსოფლიო კლასის” კომპანიებს, რომელთაც  
შესწევს უნარი კონკურენცია გაუწიოს ნებისმიერ თრგანიზაციას,  
ნებისმიერ დროს. ხშირ შემთხვევაში, მსოფლიო კლასის ორგა-  
ნიზაციები წარმატებით საქმიანობს მთელი მსოფლიოს მასშტაბით,  
მაგლოთად: ”აიბიემი”, ”სონი”, ”ჯენერალ ელექტრიკი”, ”ტოიოტა”  
”მაკონადდისი”, ”კოკა კოლა” და სხვა. ზოგიერთ შემთხვევაში  
ისინი საქმიანობს შერჩეულ რეგიონში. ნებისმიერ შემთხვევაში  
მათ ძალუმს ეფექტიანი კონკურენცია გაუწიოს ნებისმიერ ფირმას,  
როგორც უცხოურს, ასევე ადგილობრივს. მაგალითად, ”კოკა კოლა  
ბოლერს ჯორჯია”, როგორც უმსხვილესი მკის წარმომადგენ-  
ლობა საქართველოში, წარმატებით უწევს კონკურენციას როგორც  
ადგილობრივი გამაგრილებელი სასმელების მწარმოებელ კომ-  
პანიებს, ასევე საქართველოში მოქმედ უცხოურ კონკურენტებსაც

## დავით ნიშარაძე

მაგალითად „ნატახტარს”, „ყაზბეგს”, „პეპსის” და ა.შ.

იმისთვის, რომ მკ გადაიქცეს მსოფლიო კლასის ორგანიზაციად, მან წარმატებას უნდა მიაღწიოს მარგალ სხავადასხევა ბიზნეს-განზომილებაში, რათა გადავიდეს განვითარების ახალ დონეზე. მსოფლიო კლასის ორგანიზაციების საფუძველს ქმნის შემდეგი კომპონენტები (იხ. ცხრილი 2): 1) ფოქუსი მომსმარებელზე; 2) მუდმივი გაუმჯობესების პროცესი; 3)მოქნილი ან ვირტუალური ორგანიზაცია; 4)კადრების შემოქმედებითობის უნარი 5) ეგალიტარული (თანასწორუფლებიანობის) კლიმატი; 6) ტექნოლოგიური მხარდაჭერა.<sup>1</sup>

### მსოფლიო კლასის ორგანიზაციებისათვის

#### დამახასიათებელი ნიშნები

#### ცხრილი 2

მსოფლიო კლასის ორგანიზაციები					
ფოქუსი მიმმარტველზე	მუდმივი გაუმჯობესების პროცესი	მოქნილი ან ვირტუალური ორგანიზაცია	კადრების შემოქმედებითობის უნარი	ეგალიტარული კლიმატი	ტექნოლოგიური მარადაჭერა

**მომსმარებელზე თრინეტაცია.** მსოფლიო კლასის ორგანიზაციები არის მთლიანად მომსმარებელზე თრიენტირებული სტრუქტურები. თითოეული მათგანი იცნობს თავის შიგა და გარე მომსმარებლებს და განსაზღვრული აქვს თუ როგორ უნდა მოქმედობოს მათ ეფექტიანად. მაგალითად, ასეთია კომპანია „მაკდონალდსი”, რომელმაც შესანიშნავად იცის თუ როგორი ხარისხის მომსახურება სჭირდება მის მომსმარებელს მსოფლიოს სხვადასხვა

<sup>1</sup> Hotget R.M., Luthans F., International Management: Culture, Strategy and Behavior, 2002, p. 58-60.

ქვეყანაში. აღნიშნულისათვის, მსოფლიო კლასის ორგანიზაციებს გააჩნიათ პორიტონტალური სტრუქტურები, რაც ხელს უწყობს მომხმარებელთან სიახლოეს.<sup>1</sup>

**მუდმივი გაუმჯობესების პროცესი.** კონკურენტებისაგან განსხვავდით, მსოფლიო კლასის ორგანიზაციებს შეუძლია გაუმჯობესების პროცესების განხორციელება უფრო სწრაფად და ეფექტურად.<sup>2</sup> მაგალითისათვის შეიძლება მოვიყვანოთ ”ფორდი მოტორსი”. თუ ადრე იგი შეკვეთების დამუშავებას ანდომებდა 2 კვირას, პროცესის უფრადდებით შესწავლისა და შესაბამისი დონისძიებების გატარების შემდეგ, კომპანიამ შესძლო ამ დროს 90%-ით შემცირება. გარდა ამისა, კომპანიის ინოვაციური გამოწვევა, რომლსაც ახორციელებს მომავლის ავტომობილების საწარმოებლად, მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:

- ✓ **დიზაინი** - ავტომობილების გლობალური ფერი, ექსტერიერის დიზაინი, მდიდრული ინტერიერი;
- ✓ **უსაფრთხოება** - ავტომობილებისათვის უკანა სავარძლის გასაბერი ქამრების დამონტაჟება, სენსორული მონიტორების დაყენება;
- ✓ **ტექნოლოგია** - ენერგოეფექტურის ამაღლება, ციფრული მონიტორების დამონტაჟება;
- ✓ **გარემოს დაცვა** (ავტონამქანის ნაწილობრივ ელექტროენერგიაზე მუშაობა და მზის სხივების ენერგიად გარდაქმნის მოწყობილობების დანერგვა);
- ✓ **მაღალი სარისხი.**<sup>3</sup>

**მოქნილი ან ”გირტუალური” ორგანიზაცია.** ეს არის საქმიანობის ისეთნაირად წარმრთვა, როდესაც კომპანია ჩანს უფრო დიდი ზომის, ვიდრე იგი სიმნამდვილეშია. ამ დროს კომპანია შედგება რამდენიმე საწარმოსაგან, რომელიც მისი ძირითადი ბირთვია, ხოლო წარმოების დიდი ნაწილი გადაცემული აქვს კონტრაქტორებისათვის აუთსორსინგის გზით. მაგალითად, კომპანია ”მოტოროლა”, რომელიც თავის მხრივ, შედგება ორი მსხვილი კომ-

<sup>1</sup> [www.Mcdonalds.com](http://www.Mcdonalds.com)

<sup>2</sup> Hotget R.M., Luthans F., International Management: Culture, Strategy and Behavior, 2002, PP. 61-63.

<sup>3</sup> [www.ford.com](http://www.ford.com)

## **დავით ნიშარაძე**

პანისისაგან ”Motorola Mobility” და Motorola Solutions”, მისი ფილიალები კი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაშია წარმოდგენილი (იხ. ცხრლი 3), აუთსორსინგს (საწარმოო პროცესების ან მისი ნაწილის გარეშე მწარმოებლისათვის გადაცემა)<sup>1</sup> უკეთებს თავისი მობილური ტელეფონების, პეიჯერების, გადამრთველების წარმოებას და ამისათვის იუნებს სინგაპურში არსებულ კომპანია „ულეშტრონიკ ინტერნეტშენალს”, რომელსაც შეუძლია „მოტოროლაზე” იაფად აწარმოოს პროდუქცია და სწავად მიაწოდოს საერთაშორისო ბაზარს.<sup>2</sup>

### **კომპანია „მოტოროლას“ საწარმოები მსოფლიოს მასშტაბით**

#### ცხრილი 3

№	ქვეყანა	საწარმოების რაოდენობა
<b>1</b>	აშშ	<b>6</b>
<b>2</b>	ჩინეთი	<b>3</b>
<b>3</b>	ინდოეთი	<b>2</b>
<b>4</b>	ტაივანი	<b>1</b>
<b>5</b>	სამხრეთ კორეა	<b>1</b>
<b>6</b>	ბრაზილია	<b>1</b>
<b>7</b>	მექსიკა	<b>1</b>

**შემოქმედებითი უნარის მქონე პერსონალი.** მსოფლიო კლასის ორგანიზაცია ყოველთვის ზრუნავს თავისი პერსონალის კვალეფიკაციის ამაღლებაზე, გადამზადებაზე, წინსვლაზე და შესაბამისი კვალიფიკაციის მიღების შემდეგ მათვის ძალაუფლებისა და ინიციატივის გადაცემაზე. მაგალითისათვის ისევ გამოდგება კომპანია „მაკდონალდსი“, სადაც დასუფთავების თანამშრომელმა გადამზადებისა და სხავადასხვა საფეხურზე მუშაობის შემდეგ, შეიძლება მენეჯერის თანამდებობაც კი დაიკავოს.

**უგადიტარული კლიმატი.** მრავალეროვნული ფირმა ქმნის თანაბარუფლებიანობის და თანაბრად დაინტერესებულობის კლიმატს თავისი კომპანიაში და ზრუნავს იმაზე, რომ ყველა დაინსტერ-

<sup>1</sup> Quin B. J., Hilmer F.G., strategic Outsourcing , 1994, p. 43-55.

<sup>2</sup> *Motorola Mobility Corporate Responsibility Summary Report*, Innovating For a Sustainable future, 2010 , p. 1-4.

## **მიქრო-მაკროეკონომიკა**

ესებული მხარე – თანამშრომლები, მომხმარებელები, მფლობლები, მომწოდებლები და საზოგადოება – იყვნენ, რაც შეიძლება თანაბარ მდგომარეობაში და მათ დირსეულად და პატივისცემით ეპყრობოდნენ.

კომპანია მაკრონალდის 2010 წლის კორპორიული მიღწევები ცხრილი 4	
გამოცემა	კატეგორია
<b>Forbes</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>• წლის ყველაზე ღირებული ბრენდი;</li> <li>• წლის ყველაზე სასურველი კომპანია შეოფლიოში;</li> <li>• წლის ყველაზე გავლენიანი ბრენდი.</li> </ul>
<b>Fortune</b>	<p>№ 1 კომპანიებს შორის "უწყვეტესის ხარისხის მიხედვით";  № 1 კომპანიებს შორის "გლობალური კონკურენციანობის მიხედვით";  № 1 კომპანიებს შორის "კორპორაციული აქტივების მიხედვით";  № 2 კომპანიებს შორის "საუკეთესო საინვესტიციო საქმიანობის მიხედვით";  № 3 კომპანიებს შორის "ფინანსური შედეგების მიხედვით".</p>
<b>Interbrand</b>	№ 6 გლობალური ბრენდი;
<b>Businessweek</b>	წლის №20 კომპანია ლიდერობის თვალსაზრისით.
<b>Barron's</b>	ჯიმ სკინერი დასახელდა მსოფლიო 30 საუკეთესო აღმასრულებელ ოფიცირს შორის.

**ტექნოლოგიური მხარდაჭერა.** ყველაზე შემოქმედებითი, ინოვაციური ტიპის და ეფექტური მიღვიმები, რომელთაც მსოფლიო კლასის მკი იყენებს, საჭიროებს ტექნოლოგიურ მახრდაჭერას. ამის მაგალითები მოიცავს კომპიუტერულ დიზაინსა და კომპიუტერულ სისტემებზე აგებულ საწარმოო პროცესებს, ტელესაკომუნიკაციო ქსელებს, საექსპორტო და ინტელექტუალურ სისტემებს. აქაც შეიძლება მოვიყენოთ „მაკრონალდსის“ მაგალითი, რომელიც სწრაფი კვების ობიექტებში მომხმარებლებს ემსახურება უახლესი სენსორული ტიპის კომპიუტერებით, რომელის ორივე მხარეზე ჩანს მენიუს დასახელება, ფასი და გადასახდელი თანხა, რაც მომხმარებელთა კმაყოფილებას იწვევს (იხ. ცხრილი 4).

მრავალჯერ ხსენებული კომპნია „მაკრონალდსი“ რომ მსოფლიო კლასის ორგანიზაციების რიცხვს მიეკუთვნება, ამაზე

## **დაკვირვებული მოწვევები**

---

მეტყველებს ცნობილი გამოცემის (Forbes, Fortune, Interbrand, Businessweek, Newsweek და ა.შ) მიერ მისი დასახელება სხვადასხვა ნომინაციაში, მათ შორის გლობალური კონკურენციარიანობის მიხედვით (იხ. ცხრილი 4).<sup>1</sup>

ამრიგად, მკებმა გლობალური ჭრილით კონკურენციარიანობის მიღწევისა და მისი შენარჩუნებისათვის მუდმივად უნდა იზრუნოს ინოვაციური პროცესების განვითარებაზე და მხედველობის არედან არ უნდა გამორჩეს ისეთი სტატეგიული მიმართულებები, როგორიცაა: ხედვა, ბენგარკინგი და პროდუქციის ახალი ვერსიების დამუშავება.

აღნიშნულ სტრატეგიების ეფექტიანი და გონივრული გამოყენებით საერთაშორისო ბაზარზე მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწიეს ცნობილმა გლობალურმა ფირმებმა: “პანასონიკი”, „ქენონი“, „მაკლონალდსი“, „კოკა კოლა“, „ტოიოტა“, „ფორდი“, „მოტოროლა“ და ა.შ. შესაბამისად, მათ დირსეული ადგილი დაიმკვდრეს მსოფლიო კლასის ორგანიზაციებს შორის.

### **COMPETITIVENESS OF MULTINATIONAL COMPANY ON A GLOBAL SCALE**

*D. Nizharadze*

The article considers the constant process of producing innovations by multinational companies as a means of achieving and maintaining competitive advantage on international market and correspondingly provides the definite examples of activities carried out in this direction by different companies. From this point of view, a special emphasis is made on the three basic characteristics a multinational company should be characterized by. These are: view, benchmarking and working on new products. Due to the right and effective usage of these three components a number of world famous global companies, such as “Panasonic”, “Canon”, “MacDonald’s”, “Coca-Cola”, “Toyota”, “Ford”, “Motorola” and others have already achieved success.

The article also discusses the three level paradigm of achieving competitive advantage by multinational companies, which includes adapted, small and worldwide organizations.

---

<sup>1</sup> [http://www.aboutmcdonalds.com/mcd/our\\_company/corporate\\_accolades.html](http://www.aboutmcdonalds.com/mcd/our_company/corporate_accolades.html)  
[www.Aboutmcdonalds.com](http://www.Aboutmcdonalds.com)



*Толордава Жанна  
Академический доктор  
экономики, ассоц.профессор ТГУ*

Современная экономическая наука претерпевает видоизменения, что свидетельствует о ее динамичном развитии, как науки и это требует соответственного изучения сформировавшихся тенденций. В этом смысле можно выделить такие направления экономики, как информационная, экспериментальная и наноэкономика.

Сегодня существует разная интерпретация термина «информационная экономика.» Так, на Западе информационную экономику склонны рассматривать как часть экономики, относящуюся к работе с информацией и компьютерной индустрией, что само по себе неверно, ибо спектр этой области гораздо шире и предусматривает не только сферу реального производства, но и сферу производства информации и знаний.

Таким образом, «информационную экономику» следует трактовать как новый уровень экономических отношений и бизнес-процессов, обеспеченный развитием и внедрением в экономику информационного (IT) сектора и обеспечивающий рост качества жизни общества, благосостояния страны в целом, которого невозможно было достигнуть при прошлом технологическом укладе.

IT- сектор должен не просто присутствовать в структуре отраслей страны, но и быть интегрирован в национальную эко-

номическую систему и обеспечивать ее развитие.

Для того, чтобы экономика стала информационной, необходимо выполнение 3 условий:

1. Наличие собственного ИТ-сектора экономики;
2. Интеграция ИТ-сектора в экономику, использование бизнесом ИТ-технологий в хозяйственной деятельности;
3. Способность бизнеса и общества в целом использовать ИТ для развития и роста, для обеспечения качества бизнеса.

**Информационная экономика** – это наука, исследующая хозяйственную деятельность человека, которая предусматривает широкое применение электронных (информационно-коммуникационных) технологий в процессах общественного производства, распределения и потребления общественных благ. Важнейшее значение приобретает информационное производство, в котором исходным ресурсом выступают информация и знания, а также применение информации и знаний для эффективного функционирования фирм, повышения их конкурентоспособности.

Информационная экономика, решая свою главную задачу - выработки рекомендаций по эффективному применению принципов информационной технологии в конкретных областях жизнедеятельности общества, неразрывно связана с практикой стратегического планирования структурной перестройки производства. Таким образом, практическое применение знаний информационной экономики всесторонне связано с перспективами развития современного технологического потенциала общества, с ведущими отраслями, обеспечивающими экономический рост и благосостояние населения.

Особенностью информационной экономики является глобальный характер хозяйственного взаимодействия, а также распределения созданных благ среди потребителей в глобальном масштабе.

Главные задачи информационной экономики<sup>1</sup>:

- на макроуровне – это выбор направления хозяйственного развития в рамках происходящих глобальных процессов и соответственное качественное изменение своей структуры. В качестве примера можно привести реализацию информационно-экономического взаимодействия на базе информационных обществ, электронных министерств, электронных регионов, электронных групп по интересам;
- на микроуровне – это создание субъектами предпринимательства способов и алгоритмов хозяйствования, направленных на создание рабочих мест, а функция микроуровня путем информационно-экономического взаимодействия реализуется через электронный офис участника сети.

Доля информационного сектора в экономике увеличивается, растет доля затрат на информацию в себестоимости продукции. Число занятых в области работы с информацией растет все больше потребность в высококвалифицированных кадрах. Это связано развитием системы коммуникаций, где появляются концепции информатизации органов государственной и муниципальной власти, которые интегрируются во всемирную сеть, а также созданием типовых концепций информатизации деятельности.

**Экспериментальная экономика** – это сравнительно новая наука, которая интенсивно стала развиваться в 1980-х годах. Основателем ее считается Вернон Смит, получивший в 2002г Нобелевскую премию по экономике за работу по исследованию альтернативных рыночных механизмов для сетевых рынков методами экспериментальной экономики.

Одно из преимуществ такого метода – возможность четко сформулировать стоящий перед испытуемым выбор модели по-

---

<sup>1</sup> Шуто О.Н. Информация и направления ее использования в экономике. журн.Проблемы современной экономики, 2003, № 3-4.

ведения в данной экономической ситуации, исследуя при этом процедуру принятия решения и факторы, определяющие окончательный выбор именно этого варианта из существующего многообразия вариантов, стоящих перед экономическим агентом в реальной ситуации.

В основе методологии экспериментальной экономики лежит использование экспериментальных методов для проверки обоснованности экономических теорий, что сегодня становится неотъемлемой частью научных исследований. Проведение экспериментов в экономике имеет ряд принципиальных особенностей по сравнению с экспериментированием в естественных науках. Экспериментальную экономику можно охарактеризовать как проверку положений экономической теории действиями людей, являющимися прототипами должностных лиц, реально причастных к решению тех или иных вопросов в контролируемых ситуациях. Этот подход тесно примыкает к методу деловых игр, где также в аналогичной ситуации в опытах участвует человек и его действия обусловлены присущей ему индивидуальностью, что обуславливает то, что при таких обстоятельствах почти невозможно достичь абсолютной повторяемости опыта или предсказуемости последствий.

Основанное В. Смитом новое направление науки прошло путь от отдельных имитационных моделей учебного назначения к важному инструменту исследования динамики сложных экономических систем, который позволяет как анализировать их динамику, так и получать прогнозы поведения таких систем и процессов

В настоящее время в экспериментальной экономике интенсивно развивается крупная отрасль, где указанных ограничений нет – это компьютерное экспериментирование, где перспективы этой сферы чрезвычайно широки.

В. Смит превратил исследовательские лабораторные экс-

перименты в инструмент эмпирического экономического анализа (особенно, в изучении альтернативных рыночных механизмов), и это убедило его в том, что экономика, как и другие науки, допускает эксперименты, и их результат зависит от свойств конкретного объекта, а не только от установленных научных постулатов.

В 1994 г. в своей работе «Экономика в лаборатории»<sup>1</sup>, В. Смит сформулировал причины, в силу которых экономисты имеют потребность в экспериментировании:

1. Проверить теорию или оценить ее по сравнению с другими теориями;
2. Разобраться и понять, почему теория оказалась неудачной;
3. Установить эмпирические регулярности в качестве исходного пункта для новых теорий;
4. Сопоставить разные начальные условия (то есть первоначальные запасы агентов, преимущества и затраты, влияющие на динамику рынка);
5. Сопоставить институции (под которыми он изначально понимает правила и нормы обмена, а также язык рыночных коммуникаций);
6. Иметь возможность оценивать рекомендации в области экономической политики.

Научные разработки В. Смита привели к тому, что современные экспериментальные методы в экономике начали признаваться и широко распространяются, как в сфере науки, так и в сфере образования. И для этого есть обоснованные причины, заключающиеся в том, что эксперименты позволили по-новому поставить многие методологические проблемы экономической науки, и прежде всего - верификации гипотез, что распространя-

<sup>1</sup> Smith V. L. Economics in the laboratory. "Journal of Economic Perspectives" Vol. 8, N 1, 1994, p. 114.

няется и на проверку той или иной экономической теории или устоявшихся взглядов на определенные явления экономической деятельности.

**Наноэкономика** – это теория экономического поведения индивидуальных экономических агентов в рыночных и нерыночных условиях. Термин предложен в 1987 году К. Эрроу (Kenneth J. Arrow). В 2004 году российский ученый, академик Г. Клейнер<sup>1</sup> уточняет понятие «наноэкономика», согласно которому, теория наноэкономики описывает поведение «частично иррационального в общем случае агента, имеющего творческий дар и склонного не только к расчетам наилучшего результата, но и к внелогическому поиску экономической истины». Г. Клейнер рассматривал наноэкономику как соответствующую часть экономической теории, а также и все работы описывающие поведение менеджеров, президентов корпораций, индивидуальных потребителей, по его классификации, относятся к наноэкономике.

Работник - это физически и идеологически неделимый индивидум, а коллектив – это организация, где принятием и исполнением решений занимаются нередко многие сотни тысяч индивидов, работников данной фирмы и акционеров.

Между тем, очевидно, что для объяснения поведения индивидуального и коллективного экономических агентов должны привлекаться, как различные экономические дисциплины, так и, соответственно, различные теории. Для индивидуального агента такой дисциплиной является наноэкономика, которая представляет собой не только особый раздел экономической теории, но и сферу хозяйственной практики, а также государственной, корпоративной и международной политики. Принятие акторами решений о факторных комбинациях и соотношениях затрат на

---

1 Клейнер Г.Наноэкономика. журн. „Вопросы экономики“, 2004, №12.

факторы становятся главным содержанием наноэкономики.

Таким образом, задача наноэкономики – объяснять и прогнозировать экономическое поведение человека, определять внутренние и внешние детерминанты и факторы его поведения в различных экономических ситуациях, в том числе – с точки зрения рациональности/иррациональности.

Благодаря наноэкономике возможно выявить влияние деятельности отдельных физических лиц на поведение микроэкономических объектов – предприятий, организаций, определить внутренние и внешние факторы поведения покупателей. В этом смысле наноэкономика естественным образом дополняет микроэкономику. Соответственно, одно из органичных свойств наноэкономики – анализ возможностей мотивации и определение алгоритма поведения работников и менеджеров предприятия .

Развитие наноэкономики становится актуальной задачей экономической науки и практики в целом. Экономика любой страны растет сnanoуровня, где заложены и препятствия, и стимулы экономического роста. Поэтому, необходимо формирование различных концепций теории экономического индивидуума, подобных концепциям теории предприятия (фирмы), а также моделирование наноэкономических процессов регулирования экономики и учет наноэкономических аспектов при подготовке, обосновании и принятии решений во всех областях и на различных уровнях экономики.

Таким образом, становится очевидным, что необходимо развивать перечисленные направления в экономике и использовать в практике управления предприятиями, организациями теоретические разработки этих областей.

କାନ୍ତ ପରିଷଦଙ୍କ ବିଷୟ

ახალი მიმართულებები ეკონომიკურ მეცნიერებაში

J. ოოლორდავა

თანამედროვე ეკონომიკურ მეცნიერებაში პერმანენტულად ხდება ცვლილებები, რაც მის დინამიკურ განვითარებაზე მეტყველებს. ამის მაგალითია ეკონომიკის ისეთი ახალი მიმართულებების აღმოცენება და განვითარება, როგორიცაა ინფორმაციული, ექსპერიმენტული ეკონომიკა და ნაწილობრივი კა. სტატიაში განხილულია ინფორმაციული ეკონომიკა ბიზნესის განვითარებისა და მისი ხარისხის ამაღლების კონტექსტი; ექსპერიმენტული ეკონომიკა როგორც რთული ეკონომიკური სისტემების გაანალიზებისა და დასაბუთების ლაბორატორიული ექსპერიმენტების საშუალება და ნაწილობრივი კა, როგორც პირვენების, რომელსაც, ხშირ შემთხვევაში დამოკიდებულია ფირმის წარმატება, ქცევის თეორია.

# NEW DIRECTIONS IN ECONOMIC SCIENCE

Zh. Tolordava

There are permanent changes in modern economic science which is a proof of its dynamic development. Formation and development of new directions of economics, such as information, experimental economics and nanoeconomics are the examples of this. The article considers the information economics in the context of business development and raising its level; experimental economics as a means of laboratory experiments for analyzing complex economic systems and nanoeconomic as a theory of behavior of the person, the success of a company often depends on.

ეპრო:  
რეალობა და პროცესუალიზაცია

განხტანდ ჭრაში  
ივანე ჯავახიშვილის სახ.  
თსუ-ის დოქტორანტი

ევროს და შესაბამისად ევროპაგშირის არსებობის ისტორიაში, 2011 წელი ერთ-ერთი ყველაზე კრიტიკული იყო. ეს იმ პრობლემებით იყო გამოწვეული, რაც ევროს შემოღებიდან თანდათანობით გროვდებოდა მთელი ბოლო ათწლეულის განმავლობაში და ახლა კრიტიკულ ზღვარს მიაღწია. ყველასათვის ნათელია, თუ რა გნებათადელვა გამოიწვია ევროპაგშირში და არამარტო იქ, საბერძნეთში განვითარებულმა მწვავე ეკონომიკურმა კრიზისმა, ხოლო იმედი, რომ საბერძნეთი სხვადასხვა დონორი ორგანიზაციის და ქვეყნების დახმარებით შეძლებდა ამ კრიზისთან გამქლავებას, ისევე გაქარწყლდა როგორც ის 110 მლრდ ევრო, რომელიც გამოყოფილიქნა საერთაშორისო საგადურო ფონდის მიერ საბერძნეთისათვის მისი მიმდინარე პრობლემების გადასაჭრელად. კრიზისული პროცესების გამწვავებას ქვეყნის იმუამინდელი პრემიერ-მინისტრის, პაპანდირეუს და შემდგომ მისი შემცვლელის (მანამდე კი მისივე ეკონომიკური მრჩევლის) პაპადემოსის მთავრობის მიერ საბიუჯეტო და შესაბამისად სოციალური ხარჯების შემცირება და რიგ შემთხვევაში საერთოდ გაუქმება მოჰყვა, რამაც თავის მხრივ, ნეგატიური ასახვა პოოვა მოსახლეობაში და ხშირად უმართავი საპროტესტო აქციები გამოიწვია<sup>1</sup>.

ნაკლები ყურადღება დაეთმო 2011 წელს, მაგრამ არანაკლები კრიზისი მწვავდება ირლანდიაში (მე-15 ეკონომიკა ევროპაგშირში), პორტუგალიაში (მე-14 ეკონომიკა ევროპაგშირში),

<sup>1</sup> [www.grekerisis.net](http://www.grekerisis.net)

## განატანი ჰარაია

ესპანეთსა (მე-4 ევონომიკა ევროკავშირში) და იტალიაში (მე-5 ეკონომიკა ევროკავშირში), რაც ცხადყოფს, რომ ამ კრიზისმა უბეჭდი მიიღო სისტემური ხასიათი და საფრთხეს უქმნის როგორც ევროს, ასევე ევროკავშირის არსებობასაც, რაც თავის მხრივ, იწვევს ამ ორი ინსტიტუტისადმი მზარდ უნდობლობას. აქევე გთავაზობთ ევროკავშირის დანარჩენი წევრი ქვეყნების მდგომარეობასაც 2011 წლის მონაცემებით (ცხრილი 1), სადაც ნაჩვენებია, რომ სახელმწიფო გალი მშპ-თან მიმართებით ყველაზე მაღალია საბერძნეთში, ხოლო საბიუჯეტო დეფიციტი კი – ირლანდიაში.

2012 წელი ევროსა და ევროკავშირისათვის ახალი გამოწვევებით დაიწყო და მოსალოდნელია, რომ მათ აქვთ და არნახული მასშტაბის პრობლემებთან მოუწევთ გამკლავება, რაც არცთუ ბოლომდე ერთსულოვანი ევროკავშირისათვის დიდი გამოცდა იქნება. ნაკლებად მოსალოდნელია, რომ დღევანდელ კრიზისი ევროკავშირისათვის მაღალ დასრულდება, რადგანაც მან უკვე ფსიქოლოგიური ხასიათიც მიიღო. პრობლემა იმდენად დიდია, რომ თვით უბერებელი და დაუმარცხებელი, იტალიის პრემიერ მინისტრი სილვიო ბერლუსკონიც კი შეიწირა ამ პროცესებს.

აღსანიშნავია, რომ ამ კრიზისის გარკვეულწილად მოგვარება თავიდანვე იყო შესაძლებელი, კერძოდ, თუ ევროპა დაეთანხმებოდა ჩინეთის სამი წინადაღებიდან ერთ-ერთს: 1. საერთაშორისო სავალუტო ფონდში ჩინეთის ძალაუფლების გაფართოება; 2. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში ჩინეთისათვის ახალი სტატუსის მინიჭება – “საბაზრო ეკონომიკის ქვეყანა”; 3.

1989 წელს ევროკავშირის მიერ იარაღზე დაწესებული ემბარგოს მოხსნა ჩინეთისათვის. ჩინეთი თანახმა იყო, რომ გამოესყიდა პრობლემური ქვეყნების ობლიგაციების დიდ ნაწილი; თუმცა, ევროკავშირმა ეს წინადაღება დამამცირებლად და მიზანშეუწონდად ჩათვალა და გარიგებაც ჩაიშალა. იყო მეორე წინადაღებაც, ჩინეთი დააფინანსებდა ევროკავშირს საჭირო თანხებით, თუ მისი ლიდერი ქვეყნები საფრანგეთი და გერმანია მას მისცემდნენ სახელმწიფოებრივ გარანტიებს ვალების დაბრუნების შესახებ, რაზეც გერმანიამ მაღევე უარი განაცხადა იმ მიზეზით, რომ თუ იგი თავის თავზე აიღებდა ევროკავშირის ვალების

## მარკეტინგი, მარკეტინგი, ტურიზმი

გასტურინგის, მაშინ გერმანია ისედაც შეძლებდა საჭირო თანხების  
ევროზონის წევრი ქვეყნების 2011 წლის ეკონომიკური  
მონაცემები.

ცხრილი 1

ქვეყნები	მდგრ. მდგრ. მდგრ.	მდგრ. მდგრ. მდგრ.	მასპიც მდგრ. მდგრ. მდგრ.	საბუღალო მდგრ. მდგრ. მდგრ.	საბუღალო მდგრ. მდგრ.	ინფლაცია (%)	აბილუტური (%)
ევრო-კავშირი	<b>12,268,387</b>	24,400	80.1	-6.4	3.1	4.9	
გერმანია	2,570,000	28,800	83.2	-3.3	2.5	4.9	
საფრანგეთი	1,987,699	26,300	82.3	-7.0	2.3	4.9	
იტალია	1,586,209	24,600	118.4	-4.6	2.9	4.9	
ესპანეთი	1,074,940	24,500	61.0	-9.2	3.1	<b>22.9</b>	
პოლანდია	607,435	32,500	62.9	-5.4	2.5	4.9	
ბელგია	370,436	29,000	96.2	-4.1	3.5	7.2	
ავსტრია	300,891	30,800	71.8	-4.6	3.6	<b>4.1</b>	
საბერძნეთი	217,828	21,900	<b>144.9</b>	-10.5	3.1	19.2	
ფინეთი	190,257	28,200	48.3	-2.5	3.3	7.6	
პორტუგალია	171,632	19,500	93.3	-9.1	3.6	13.6	
ირლანდია	153,938	31,100	92.5	<b>-32.4</b>	<b>-1.6</b>	14.5	
სლოვაკეთი	41,778	18,000	41.0	-7.9	4.1	13.4	
ლუქ-სექსუალი	41,597	<b>66,300</b>	19.1	-1.7	3.7	5.2	
სლოვენია	36,446	20,700	38.8	-5.6	2.1	8.2	
კვიკროსი	17,928	24,200	61.5	-5.3	3.5	9.3	
ესტონეთი	16,011	<b>15,700</b>	<b>6.7</b>	<b>0.1</b>	5.1	11.3	
მალტა	6,440	20,200	44.7	-3.6	2.4	6.5	

შედგენილია აგზორის მიერ ევროპის ცენტრალური ბანკის მონაცემებზე  
დაყრდნობით.

მოძიებას მოელი მსოფლიოდან და ჩინეთის “დახმარება” სულაც არ იქნებოდა საჭირო.

**გერმანია და საფრანგეთი, ევროპავშირის გადამრჩენები?** - საბერძნეთის და სხვა ზემოთ აღნიშნული ქვეყნების გადარჩენის და შესაბამისად ეკროსა და ევროპავშირისადმი ნდობის დაბრუნების პერსპექტივა, უფრო და უფრო ფერმკრთალდება, როდესაც განვიხილავთ ევროპავშირის ლიდერი ქვეყნების ეკონომიკების მაჩვენებლებს, რაც მართალია, მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესებია, მაგრამ ყველაფერს აქვს თავისი საზღვარი...

“სტანდარტ ენდ პუურს”-ის (Standard & Poor's) 2012 წლის 14 იანვრის მონაცემებით, ევროპავშირის ნომერ მეორე ეკონომიკას – საფრანგეთს, სარეიტინგო მაჩვენებლებები AAA-დან AA+-მდე ჩამოუკვეთდა, მისი მომდევნო 33%-იანი ჩამოქვეითებით შემდგომი 2 წლის განმავლობაში. საფრანგეთთან ერთად უმაღლესი რეიტინგი დაკარგა ავსტრიამ, ხოლო დამატებით ევროპავშირის 10-მდე ქვეყანამ 1 საფეხურით ქვემოთ ჩამოინაცვლა (მთლიანობაში კი შეიძლება ითქვას, რომ სულ მცირე ხნის წინ ევროზონის წევრი უმაღლესი რეიტინგის მქონე 7 ქვეყნიდან დღეს ეს მაჩვენებელი მსოფლიო სამს შემორჩა (ინდექტ ცხრილი 2). დროში ეს მოვლენები ემთხვევა სულ ახლახან მიღებულ გადაწყვეტილებებს საფრანგეთის და გერმანიის მხრიდან “ფინანსური სტაბილურობის ევროპული ფონდის” (EFSF) გაფართოებისა და მისი 460 მლრდ ევროდან 2 ტრლნ ევრომდის ზრდის შესახებ.

რაც შეეხება გერმანიას, თუ ის აქამდე ახერხებდა მთელი ევროპის “ზურგზე თრევის” შემდეგაც შეენარჩუნებინა თავისი ბიუჯეტის დაფიციტი სტაბილურ 3%-იან დონეზე, 2011 წლის მონაცემებით (იხ. ცხრილი 1), ადგილობრივი ბაზრიდან მოპოვებული უმცირესი საპროცენტო განაკვეთებიანი სესხების მოზიდვით, წელს უკვე მოსალოდნელია, რომ ის ამ ნიშნულს გასცდება.<sup>1</sup> ევროპის ნომერ მეორე ეკონომიკის მქონე საფრანგეთის, მისი ბიუჯეტის დაფიციტი 7%-ს აღემატება და სავარაუდოდ, კიდევ უფრო

<sup>1</sup> [http://www.breitbart.com/article.php?id=D9GVFAO00&show\\_article=1](http://www.breitbart.com/article.php?id=D9GVFAO00&show_article=1) – გერმანიის ბიუჯეტის დაფიციტი.

## მარკეტინგი, მარკეტინგი, ტურიზმი

გაიზრდება. გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ საფრანგეთში წელს საპრეზიდენტო არჩევნებია და ეს ნამდვილად არ შეუწყობს სტაბილურობას ხელს. ამას თუ დავუმატებთ ინგლისის და სხვა უფრო მცირე ეკონომიკის ქვეყნების (ბულგარეთი, პოლონეთი, ლატვია, რუმინეთი...) ბიუჯეტის გარღვევებს, აშკარაა, რომ კრიზისი უფრო გამწვდება.

ევროზონის წევრი ქვეყნების 2012 წლის რეიტინგი  
“სტანდარტ ენდ პურს”-ის მონაცემებით!

ცხრილი 2

ქვეყანა	ადგილობრივი გალუბის რეიტინგი	უცხოური გალუბის რეიტინგი	ტრანსფერები და კონვერტაბელურობა
გერმანია	AAA	AAA	AAA
საფრანგეთი	AA+	AA+	AAA
იტალია	BBB+	BBB+	AAA
ესპანეთი	A	A	AAA
პოლანდია	B	B	BB-
ბელგია	AA	AA	AAA
ავსტრია	AA+	AA+	AAA
საბერძნეთი	CC	CC	AAA
ფინეთი	AAA	AAA	AAA
პორტუგალია	BB	BB	AAA
ირლანდია	BBB-	BBB-	BBB-
სლოვაკეთი	A	A	AAA
ლუქსემბურგი	AAA	AAA	AAA
სლოვენია	A+	A+	AAA
კვიპროსი	BB+	BB+	AAA
ესტონეთი	AA-	AA-	AAA
მალტა	A-	A-	AAA

<sup>1</sup> ცხრილი შედგენილია ავტორის მიერ, “სტანდარტ ენდ პურს”-ის ვებგვერდის მონაცემების საფუძველზე.

## განათანა ჰარაია

აქვე აუცილებლად იმსახურებს კურადღებას ის ფაქტი, რომ საფრანგეთისა და გერმანიის საბანკო სექტორები კ.წ. PIIGS ქვეყნების (პორტუგალია, ირლანდია, იტალია, საბერძნეთი, ესპანეთი) ერთ-ერთი უველაზე დიდი დამფინანსებლებია და შესაბამისად დიდი წნევის ქვეშ იმყოფებიან, რომ დააქმაყოფილონ თანამედროვე გამაცრებული სტანდარტები საქმარისი კაპიტალის ფლობის მხრივ. ცნობისათვის: გერმანიის ფინანსურ სექტორს PIIGS ქვეყნებმა 100 მლრდ ევროზე (PIIGS მთლიანი ვალი გერმანიისათვის 652 მლრდ ევრო) მეტი ოდენობის ვალი უნდა დაუბრუნონ, ხოლო საფრანგეთს - კიდევ უფრო მეტი - დაახლოებით 160 მლრდ ევრო (PIIGS მთლიანი ვალი საფრანგეთისათვის - 843 მლრდ)<sup>1</sup>.

**“ფინანსური სტაბილურობის ევროპული ფონდი” (EFSF) - 2010 წლის იგნისში დაარსდა ევროკავშირის წევრი ქვეყნების მიერ და მისი მიზანია კრიზისულ ვითარებაში მყოფი ევროკავშირის წევრი ქვეყნების დახმარება. გერმანიის და საფრანგეთის ინიციატივის თანახმად, მისი ბიუჯეტი 2012 წელს გაოთხმავდება და 2 ტრილი ევროს გაუტოლდება. “ფინანსური სტაბილურობის ევროპული ფონდი” რომელიმე წევრი ქვეყნიდან არ არის პირდაპირი წესით დაფინანსებული, ფონდი ეძებს დაბალგანაკვეთიან (დაახლოებით 0.27% წლიური, ნახვარწლიანი ობლიგაციებისათვის) სახსრებს და ბაზარზე, წევრი ქვეყნების თავდებით. ასე, მაგალითად, გერმანიის ეკონომიკის მინისტრმა ვოლფგანგ შაუბლერმ განაცხადა, რომ მისი ქვეყანა მზად არის EFSF-ს მისცეს 211 მლრდ ევროს გარანტია ამ პროექტის აქტუალურობიდან გამომდინარე, თუმცა, S&P-მა 2012 წლის დასაწყისში EFSF საკრედიტო რეიტინგი AAA ერთი საფეხურით ჩამოჟევითა,<sup>2</sup> რაზეც გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმა პასუხი გასცა, რომ ის ვერ ხედავს იმის საჭიროებას, რომ EFSF-ს აუცილებლად უმაღლესი რეიტინგი ჰქონდეს. სამაგიეროდ, ევროკომისიას სულ სხვა მოსაზრება და პრეტენზიები გაუწინდა და განაცხადა, რომ S&P-ის ადეკვატურად ვერ შეაფასა ევროკავშირის მცდელობები და თუნდაც ის, რომ წელს მოსალოდნელია ჯამური საშუალო დეფიციტის 4.1%-დან 3.4%-მდე შემცირება, რაც, თავის**

<sup>1</sup> “European Sovereign Debt Remains Largely a European Problem” – The Regional Economist, 10/2010.

<sup>2</sup> <http://www.efsf.europa.eu/about/index.htm> - EFSF მფიციალური ვებგვერდი. 130

მხრივ, იმას ნიშნავს, რომ ევროპავშირი გამოდის კრიზისიდან და ჩვეულ ფორმას უბრუნდება ნელი, მაგრამ მყარი ნაბიჯებით.

**პრობლემის გადაჭრის გზები და ევროპანქის როლი.** ეველაზე დიდი პრობლემა ამ საკითხის გადაწყვეტაში, მრავალი ექსპერტის თვალსაზრისით, არის პოლიტიკური სურვილის არქონა. სხვა არაფრით შეიძლება აისხნას ის ფაქტი, რომ არც ერთ, ერთმანეთის მიყოლებით ჩატარებულ “ისტორიულ” ანტიკრიზისულ სამიტზე არ იქნა მიღწეული საბოლოო გადაწყვეტილებით, რიგ შემთხვევაში კი, უკვე მიღებული გადაწყვეტილებით ექვემდებარებოდა გადახედვას.

ერთ-ერთ ასეთ “ისტორიულ” სამიტზე (სულ რვა ჩატარდა) მსჯელობა იყო ევროპავშირის ახალი ფინალური კავშირის შექმნაზე, რაღაც მეტყველება (ზრდისა და განვითარების პაქტი) უკვე ამოწურა თავისი შესაძლებლობები და ვერ უმკლავდება თანამედროვე გამოწვევებს, თუმცა, ინგლისმა თავისი თავი ამ პაქტს გარეთ დატოვა, რითაც მას მნიშვნელოვნად შეურყია საფუძველი. ახალი პაქტი მოუწოდებს ქვეყნებს შეინარჩუნონ ბიუჯეტის დაფიციტი 3%-ის დონეზე, ხოლო სახელმწიფო ფალი არ უნდა აღემატებოდეს 60%-ს.<sup>1</sup>

პრობლემების გადაწყვეტის ერთი გზა 2012 წელს შეიძლება იყოს საბერძნეთის ევროზონიდან გარიცხვა და მისი დაბრუნება ეროვნულ ვალუტაზე. ამ შემთხვევაში ევროზონა და ევრო შეძლებს თავისი პრესტიჟის დაბრუნებას, თუმცა, საკითხებია რამდენი ხნით, რაღაც საბერძნეთის სტატუსის დაკავშირის პრეტენდენტები საკმარისადა ევროზონაში. მეორე მხრივ კი, ეს იქნება ევროპავშირის მიერ თავისი წევრი ქვეყნის განწირვის მაგალითი, მისთვის რთულ მომენტში. მოვლენათა ამგვარი განვითარების შემთხვევაში საბერძნეთი უკიდურესად წამგებიან მდგომარეობაში აღმოჩნდება.

საფრანგეთი გამოსავალს ხედავს იმაში, რომ “ფინანსური სტაბილურობის ევროპულ ფონდს” უნდა მიეცეს საბანკო ლიცენზია და მას შეეძლოს თავად აიდოს კრედიტები მსოფლიო ბანკისგან, ევროპანკისგან თუ სხვა საერთაშირისო ორგანიზაციებიდან და არ

<sup>1</sup> [www.reuters.com/article/2011/12/09/us-eurozone-idUSTRE7B30AO20111209](http://www.reuters.com/article/2011/12/09/us-eurozone-idUSTRE7B30AO20111209) - როიტერის ვებგვერდი.

## გახტანდ ჰარაია

იყოს დამოკიდებული მხოლოდ ევროკავშირის წევრი ქვეყნების მიერ გამოშვებული დაბალპროცენტიანი ობლიგაციებიდან მოზიდულ სახსრებზე, თუმცა, ამ პოზიციას არ იზიარებს ბერლინი.

ექსპერტების აზრით, ევროზონის გადარჩენის სადაცები დღეს ევროპის ცენტრალური ბანკის ხელშია (ECB). საფრანგეთის პრემიერ-მინისტრის, ფრანსესა ფიორინის განცხადებით, ევროზონის კრაშმა შეიძლება გამოიწვიოს მშპ-ს 25%-იანი კლება ევროკავშირის ძლიერი ეკონომიკებისათვის და 50%-მდე - მცირე ეკონომიკებისათვის. მიტომ, ECB ყველა ზომას მიიღებს ევროზონის დასაცავად. საერთაშორისო სავალუტო ფონდის უფროსის, ქრისტინა ლაგარდის აზრით კი, ევროკავშირი შეძლებს ყველა პრობლემის დაძლევას 2012 წელს და თავიდან აიცილებს რეცესიას. ასეა თუ ისე, ყველა თანხმდება, რომ 2012 წელი ECB-სთვის ძალიან დაბატული იქნება, მას მოუწევს მთელი რიგი ახალი, ინოვაციური ღონისძიების გატარება.

მოსალოდნელია, რომ ევროს გადასარჩენად ECB იძულებული იქნება მრავალი ღონისძიება განახორციელოს, რომელთა შორის აღსანიშნავია შემდეგი:

- Morgan Stanley-ს ანალიტიკოსების აზრით, ECB იძულებული იქნება რეფინანსირების საპროცენტო განაკვეთი, რეცესიის ფონზე, ისედაც რეპორტული 1%-დან დაწიოს 0.5%-მდე;
- ევრობანკს შეუძლია თავად გამოისყიდოს პრობლემატური ქვეყნების ობლიგაციები იმ დოზით, რა დოზითაც ის ჩათვლის საჭიროდ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ევრობანკს აქვს უფლება შეისყიდოს პრობლემური ობლიგაციები მის მიერვე დადგენილი მონეტარული პოლიტიკის ფარგლებში;
- სავარაუდოდ, ევრობანკს აგრეთვე მოუწევს ახალი არასტანდარტული გადაწყვეტილებების მიღება პრობლემური ბანკების დასახმარებლად, როგორც მან ეს უკვე გააკეთა 2011 წელს, როდესაც პრობლემურ ბანკებს შესთავაზა 3-წლიანი ულიმიტო ოდგნობის სახსრები (მოთხოვნამ 500მლრდ ევრო შეადგინა, საიდაც სოლიდური ნაწილი 120 მლრდ ევრო იტალიურმა ბანკებმა გაინაწილეს);<sup>1</sup>
- ევრობანკის განცხადებებიდან გამომდინარე, მოსალოდნე-

<sup>1</sup> “Banks borrow almost €500 billion from ECB” - RTE NEWS, 21 December 2011.

## **მარკეტინგი, მარკეტინგი, ჰურიზონ**

ლია, რომ ის თავად გაამქაცრებს ევროზონის წევრი ქვეყნების საბიუჯეტო დეფიციტის საჯარიშო სანქციებს, პრევენციის სახით, რაღანაც მისი აზრით, ევროპელი ლიდერების მიერ მიღებული ხელშეკრულებები ვერ უზრუნველყოფს საკმარის გარანტიებს და სტიმულებს საბიუჯეტო გარღვევების შემთხვევაში;

• ევროპის ბანკთაშორის ბაზარზე არსებული რეალობიდან გამომდინარე ბანკები ერიდებიან ერთმანეთისთვის კრედიტების მიწოდებას და არჩევენ სულ რაღაც წლიური 0.25%-ის სარგებლის სანაცვლოდ თავისუფალი სახსრები შეინახონ ევროპანკის “ოკერნაიო” დეპოზიტებში (ECB-ის 2012 წლის იანვრის მონაცემებით ამ ტიპის დეპოზიტებზე განთავსებულია უპრეცედენტოდ დიდი - 463.6 მლრდ ევრო).<sup>1</sup> ევროპანკმა შეიძლება კიდევ უფრო დაწიოს ან სულაც გაანულოს ამ ტიპის სადეპოზიტო განაკვეთები, რითაც ის “წახასალისებს” ბანკებს თავისუფალი სახსრები მიმართონ სხვა მიმართულებით, თუნდაც “ფინანსური სტაბილურობის ევროპული ფონდის” სახელით სხვადასხვა ქვეყნის მიერ გამოშვებული ობლიგაციების შესაძენად;

• ერთ-ერთი გზა შეიძლება იყოს “რაოდენობრივი შერბილების პროგრამა” (QE), რაც გულისხმობს ნადირი ფულის რაოდენობის მატებას ბაზარზე იმ მიზნით, რომ მას მოჰყვება მოთხოვნის და შესაბამისად წარმოების გაფართოება. ამ ტიპის ქმედებას მაშინ აქვთ ადგილი, როდესაც ქვეყნის (ევროზონის) საპროცენტო განაკვეთი იმდენად დაბალია, რომ შეუძლებელია მისით ნაციონალური ვალუტის (ევროს) კურსის შემცირება და ფულადი მასის გაზრდის სხვა საშუალება არ არსებობს. ამ პროექტის უარყოფითი შედეგია ის, რომ მას თან სდევს მაღალი ინფლაციური მოვლენები, რაც ეპროკავშირისათვის ერთ-ერთი ვეკლაზე მტკიცნეული და სათუთი საკითხია. ადსანიშნავია, რომ ამ პროექტის წანააღმდეგ გამოდის გერმანია. და მაინც, თუ ევროპანკი ამ დონისძიების გატარებას გადაწყვეტს, მქსევრტების აზრით, მოხალოდნელია ევროს კურსის დაცემა რეეორდულ მაჩვენებლამდე – 1 ევრო შეიძლება 1 დოლარს გაუტოლდეს.

<sup>1</sup> “ECB Says Banks’ Overnight Deposits Increased to Record High” – By Gabi Thesing. Bloomberg. 09.01.2012.

## განტანდ ჰარაია

მთლიანობაში შეიძლება ითქვას, რომ ევროს კრიზისი არ არის მარტივი მოვლენა. ევროს კრიზისის გადრმავებამ შეიძლება ახალი, აქამდე არნახული მსოფლიო კრიზისი გამოიწვიოს ამიტომ, მის მოგვარებაზე არამხოლოდ ევროკავშირი და მისი 27 წევრი ქვეყანა უნდა ზრუნავდეს, არამედ, თითქმის მთელი ცივილიზებული სამყარო. ამაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ 2012 წლის დავთხის კონფერენციის ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური საკითხი იყო სწორებ ევროკავშირში შექმნილი ვითარება. მთლიანობაში, ექსპერტთა უმრავლესობა თანხმდება, რომ ოპტიმიზმის საფუძველი ამ შექრებამ ნაკლებად დატოვა და მოხდა რეალობისათვის თვალის გასწორება; თუმცა, აღსანიშნავია, რომ მიღწეულ იქნა მთელი რიგი შეთანხმება, რომელიც ჩიხიდან გამოსავლის ძებნას ისახავს მიზნად. მაგ.: საერთაშორისო სავალუტო ფონდმა განაცხადა, რომ ის დამატებით 500 მლრდ ლოდარს გამოჰყოფს პრობლემური ქვეყნების ეკონომიკების დასახარებლად; მიღწეულ იქნა შეთანხმება მომავალში “ფინანსური სტაბილურობის ევროპული ფონდის” კიდევ უფრო გაფართოების შესახებ და მრავალი სხვ.<sup>1</sup> კრიზისის მასშტაბებიდან გამომდინარე, პრობლემა კიდევ დიდ სანს შეაწესებს მასში მონაწილე ყველა სუბიექტს, მაგრამ, ოპტიმისტური დასკვნით, დაღმავლობას აღმავლობის ეტაპი შეცვლის.

### EURO: REALITY AND PERSPECTIVES

V. Charaia

This article discusses the hardest period in the history of Euro and subsequently of the European Union – critical circumstances of 2011 and explains its causes. On the background of this situation, the article discusses the possible ways for solving the problem. Therefore, it is emphasized that overcoming the Euro crisis is a common problem not only for the European Union, but for the whole civilized world.

<sup>1</sup> “Eurozone debt crisis dominated Davos forum,” The Associated Press – 01.29.2012.



**ნუზგარ პრიჭაძე  
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,  
თსუ-ის ასოცირებული პროფესორი**

დღეს, მსოფლიოში მზარდი გლობალური კონკურენციის პირობებში, ეროვნული კონკურენტუნარიანობის მთავარი ფაქტორია ადამიანური რესურსები და სამეცნიერო ბაზა. ადამიანური რესურსების ეფექტიანი გამოყენება კი შეუძლებელია მისი მართვის თანამედროვე მეთოდების გამოყენების გარეშე, რომელიც უნდა განახორციელონ ადამიანური რესურსების მართვის სპეციალისტებმა. აქედან გამომდინარე, დიდია ეკონომიკური პროფილის და, მათ შორის, ადამიანური რესურსების მართვის სპეციალისტთა როლსა და მომზადებასთან დაკავშირებული საკითხების კვლევის მნიშვნელობა.

ეკონომიკური კადრების სწავლებისა და მომზადების ცალკეულ საკითხებზე სამეცნიერო შრომები და სტატიები გამოქვეყნებული აქვთ ეცონომისტ-მეცნიერებს – პ. გუგუშვილს, მ. ტუხაშვილს, მ. არმსტრონგს, ვ. ვესნინს და სხვ<sup>1</sup>. ოუმცა, მათში ნაკლებად ან საერთოდ არაა განხილული ადამიანური რესურსების მართვის სპეციალისტთა როლსა და მათ მომზადებასთან დაკავშირებული საკითხები. სწორედ ამ ხარვეზის, ოუნდაც ოდნავი, გამოსწორების ერთგარი ცდაა წინამდებარე სტატია. მასში განხილულია ეკონომიკის განვითარების დღევანდელ ეტაპზე ადამიანური რესურსების მართვის სპეციალისტთა როლსა და მნიშვნელობასთან დაკავშირებული საკითხები, მო-

<sup>1</sup> პ. გუგუშვილი. ეკონომიკური მეცნიერების განვითარებისა და ეკონომიკური კადრების მომზადების ზოგიერთი საკითხი, ჟურნ. „საქართველოს ეკონომიკისტი“, 1966, № 6, მ. ტუხაშვილი. საქართველოს შრომითი პოტენციალი, თბ., 1998, М.Армстронг. Практика управления человеческими ресурсами.Перевод с английского, М., 2007. В. Веснин. Управление персоналом, М., 2008.

## **ნუზარ პარამეტრები**

---

ცემულია საქართველოში მათი მომზადების მოკლე ანალიზი და დასახულია მისი სრულყოფის ზოგიერთი ღონისძიება.

ადამიანური რესურსების მართვის სპეციალისტთა მთავარი მოვალეობაა მომსახურება გაუწიონ ორგანიზაციის ხელმძღვანელობას, ხაზობრივ მენეჯერებს, სხვადასხვა ჯგუფის ხელმძღვანელებსა და ა. შ., პერსონალის მართვისა და განვითარების სფეროში. მათ მიერ გაწეული მომსახურება უმეტესად კომპლექსური ხასიათისაა და მოიცავს ადამიანური რესურსების მართვის ყველა ასპექტს: ადამიანური რესურსების დაგეგმვას, შერჩევასა და დაქირავებას, შრომის ანაზღაურების მართვას, პერსონალის განვითარებას, მომუშავეთა შორის ურთიერთობას, ატესტაციას, შრომის ნორმირებასა და ორგანიზაციას, შრომის დაცვასა და უსაფრთხოების ტექნიკას, სოციალურ უზრუნველყოფისას და სხვ.

ადამიანური რესურსების მართვაში დასაქმებული მუშაკები მონაწილეობენ ორგანიზაციათა მართვაში. ისინი კომპანიების, ფირმების და ა. შ. უმაღლეს ხელმძღვანელობას აძლევენ არსებული პრობლემების ანალიზისა და დიაგნოსტიკის საფუძველზე დამუშავებულ, რეკომენდაციებს ადამიანური რესურსების განვითარების სტრატეგიებზე. აღნიშნული მუშაკები თავიანთი ფუნქციების რეალიზაციას ძირითადად ადამიანებზე გავლენის მოხდენით აღწევენ. როგორც მართვის ცნობილი სპეციალისტები დ. გესტი და კ. ხოკი მიუთითებენ, ისინი “თავიანთი გავლენით ხელს უწეობენ ადამიანური რესურსების სტრატეგიისა და პრაქტიკის სტრუქტურის ფორმირებას”<sup>1</sup>. მართალია, ყოველდღიური გადაწყვეტილებები მიიღება ხაზობრივი მენეჯერების მიერ, მაგრამ ადამიანური რესურსების მართვის სპეციალისტებისათვის ადამიანებზე გავლენის მოხდენის უნარი მაინც აუცილებელია. დიდი მნიშვნელობა აქვს, თუ როგორია ორგანიზაციების თანამშრომლებისა და, უპირველეს ყოვლისა, ხელმძღვანელებისა და ხაზობრივი მენეჯერების დამოკიდებულება ადამიანური რესურსების სპეციალისტების მიერ წამოჭრილი იდეებისადმი. სინამდვილეში, ხელმძღვანელებსა და სხვა

<sup>1</sup> М.Армстронг. Практика управления человеческими ресурсами. Перевод с английского.М., 2007, с. 97.

მუშაქებს შეუძლიათ ამ დროს შექმნან გარკვეული სერიოზული წინააღმდეგობები. პერსონალის მართვის შემოთავაზებული სიახლეთა დანერგვისას მათგან მხარდაჭერისა და ერთგულების მოპოვება ადვილი არაა. მენეჯერები ხშირად ეჭვქვეშ აყენებენ პერსონალის მართვის სპეციალისტთა მიერ შემოთავაზებული წინადაღებების პროგრესულობას, თუ მათ არ დაარწმუნებენ, რომ ის მოუტანს სარგებლობას ორგანიზაციასაც და პირადად მათაც, მისაღები დანახარჯების პირობებში. ორგანიზაციის თანამშრომლები, როგორც წესი, ეწინააღმდეგებიან შემოთავაზებულ სიახლეებს, თუ ის არ პასუხობს მათ პირად ინტერესებს. ისინი, არც ისე უსაფუძვლოდ, სკეპტიკურად ეკიდებიან ფრაზას-“რაც კარგია ორგანიზაციისათვის, ის კარგია მათთვისაც”.

უმაღლესი ხელმძღვანელობის მხრიდან პერსონალის მართვის საიახლეთა რომელიმე ქურსის მხარდაჭერისათვის საჭიროა ამ უანასკნელთა დარწმუნები იმაში, რომ: ა) ეს კურსი აკმაყოფილებს როგორც ორგანიზაციის მოთხოვნილებებს, ასევე მისი ხელმძღვანელობის პირად ინტერესებს; ბ) დანერგილი წინადაღებებისაგან მიღებული შემოსავლები მნიშვნლოვნად აჭარბებს მის განხორციელებაზე გაწეულ დანახარჯებს; გ) ჩატარებული საცდელი პროექტის მიხედვით შემოთავაზებული სიახლე წარმატებით იმუშავებს ორგანიზაციაში ან იგი არის “საუკეთესო პრაქტიკული გამოცდილება”, რომელიც შეიძლება გადატანილ იქნეს მოცემულ ორგანიზაციაში; დ) შემოთავაზებული სიახლე გაზრდის კონკურენტულ უპირატესობას და იგი არ მოითხოვს განსაკუთრებულ ძალისხმევას; ე) შეუძლია გააუმჯობესოს კომპანიის იმიჯი და ა. შ. ამასთან ერთად, შემოთავაზებული წინადაღება უნდა იყოს ლაკონური, დამაჯერებელი და მოკლე.

ხშირად, ხაზობრივი მენეჯერების მხარდაჭერის მოპოვება უფრო რთულია, ვიდრე უმაღლესი ხელმძღვანელობისა. ისინი, არც ისე იშვიათად, ზოგჯერ სრულიად დასაბუთებულად, სკეპტიკურად უყურებენ შემოთავაზებულ სიახლეებს, რადგან აქვთ მწარე გამოცდილება, როცა შემოთავაზებულმა მსგავსმა წინადაღებებმა ხაკლებად ან საერთოდ არ იმუშავეს. ხაზობრივი მენეჯერების მხარდაჭერის მოსაპოვებლად, აუცილებელია

## ნებისმიერ კანონი

პასუხი გაეცეს კითხვას- “რა არის ამაში ჩემთვის სასარგებლო“, ანუ ეს სიახლეები დაქმარება თუ არა მათ სასურველი შედეგის მიღწევაში. მათი მხარდაჭერის მოსაპოვებლად საჭიროა, აგრეთვე, ბაზრისა და მომუშავეთა სოციალური ურთიერთკავშირის გამოყვლევა. აუცილებელია მენეჯერებისათვის სისტემატური შეხსენება მათ მოთხოვნილებებზე და შემოწმება- როგორ რეაგირებენ ისინი ახალ იდეებზე. ყოველივე ამის მიზანია ისეთი ინფორმაციული სტრუქტურის აგება, რომელიც მიუთითებს ყველაზე მისაღებ მიღომებს ან, უკიდურეს შემთხვევაში, მიანიშნებს განსაკუთხებული ყურადღების მქონე სფერობს. ეს კი ხაზობრივ მენეჯერებს ეხმარება დარწმუნდნენ სიახლეების განხორციელების აუცილებლობაში. სასურველია, დიდ ორგანიზაციებში შეიქმნას გავლენიან მენეჯერთა ჯგუფი, რომელიც შეისწავლის შემოთავაზებულ წინადაღებებს და, მისი მოწონების შემთხვევაში, გამოვა არა მარტო მათ მხარდასაჭირად, არამედ აქტიურ მონაწილეობას მიიღებს მის სასინჯგამოცდაში. საერთოდ, ადამიანური რესურსების მართვის სიახლეთა გახორციელებაში ხაზობრივ მენეჯერთა მხარდაჭირისა და ერთსულოვნების მიღწევა უფრო ადვილია, როცა ისინი ხედავენ, რომ მათ უსმენენ და მათ რჩევებს იყენებენ პრაქტიკაში. ერთ-ერთი საუკეთესო ვარიანტია, თუ ისინი ჩართულები იქნებიან პერსონალის მართვის სიახლეთა სპროექტო და მიზნობრივ პროგრამებში.

პერსონალის მართვის სიახლეთა დანერგვაზე მომუშავები ძირითადად ისე რეაგირებენ, როგორც მენეჯერები. მათი სურვილია იცოდნენ, ჯერ ერთი, “რას მიიღებენ აქედან?“ და, მეორე— კომპანიას სინამდვილებში სურს შემოიღოს პერსონალის მართვის ახალი სისტემა, რომელიც გამოყენებული იქნება მისი სრულყოფისათვის, თუ იგი დამქირავებელს უზრუნველყოფს შესამცირებელი მუშაკების ამოსარჩევი ინფორმაციით. აუცილებელია, შესძლებისდაგვარად, წინასწარ გაეცეს პასუხი ამ ტიპის კითხვებს. მომუშავეთა სურვილის გასაგებად, ატარებენ მათი მოსაზრებების გამოყვლევას. ამ მიზნით, მომუშავეთა სხვადასხვა ჯგუფი თემატურად გამოიკითხება. კარგად ჩატარებულ ასეთ გამოკითხვას შეუძლია საიმედო ინფორმაციის

## **მანეჯმენტი, მარკეტინგი, ტურიზმი**

მოცემა მუშაკთა დამოკიდებულებაზე რომელიმე კონკრეტულ ინიციატივასთან და მასზე მათ შესაძლებელ რეაქციაზე. ცხადია, სიახლეთა დანერგვაში მომუშავეთა მხარდაჭერა და ერთსულოვნება უფრო ძლიერი იქნება, თუ ისინი ოვითონ მიიღებენ მასში მონიშვილეობას და ეცოდინებათ, რომ მათ წინადაღებებს მიესალმებიან და იყენებენ პრაქტიკაში.

როგორც უკვე აღინიშნა, ადამიანური რესურსების მართვის მუშაკთა სპეციფიკური მოვალეობანი გულისხმობს მათ მიერ სხვადასხვა როლის შესრულებას, რომლის თავისუფლების ხარისხი დამოკიდებულია ორგანიზაციაში მუშაკთა მდგომარეობაზე, ხელმძღვანელობის მოლოდინებზე მათი მუშაობიდან და მათ საჯუთარ უნარზე- გავლენა მოახდინონ სხვებზე და დაარწმუნონ ისინი თავიანთი საქმიანობის სარგებლობაში. ადამიანური რესურსების განყოფილების მუშაკები მართვაში მონაწილეობისას ასრულებენ სხვადასხვა როლს, როგორიცაა: პარტნიორი, სტრატეგი, ინტერვენტი, ნოვატორი, კონსულტანტი, კონტროლიორი, მრჩეველი და სხვ.

პერსონალის მმართველთა ერთ-ერთი მნიშნელოვანი როლია - **საქმიანი პარტნიორობა.** წარმატების უზრუნველსაყოფად, ადამიანური რესურსების განყოფილების მუშაკები, საქმიანი პარტნიორობის ფორმით, თავის კოლეგებთან ინაზილებენ მოვალეობებს ხაზობრივი მმართველობითი რგოლიდან. ასევე, ადამიანური რესურსების სპეციალისტები, როგორც საქმიანი პარტნიორები, ჭიდროდ აკავშირებენ თავიანთ საქმიანობას უმაღლესი ხელმძღვანელობის საქმიანობასთან და ეხმარებიან მათ გრძელვადიანი მიზნებისა და ორგანიზაციის საბაზრო შესაძლებლობების განსაზღვრაში. როგორც საქმიანი პარტნიორები, ადამიანური რესურსების მართვის მუშაკები კარგად უნდა ერკვეოდნენ ორგანიზაციის ბიზნეს- სტრატეგიაში, მის შესაძლებლობებსა და მოსალოდნელ საშიშროებებში. მათ უნდა შეეძლოთ ორგანიზაციის ძლიერი და სუსტი მხარეების გაანალიზება და მათ წინაშე მდგომი პრობლემების შეფასება. ამასთან, ისინი კარგად უნდა ერკვეოდნენ წარმატების გადამწყვეტი ფაქტორებში, რომლის გარეშე შეუძლებელია პერსონალის მართვის სიახლეთა დაგეგმვა და მისი პრაქტიკული განხორ-

ციელები.

**სტრატეგთა როლში** ადამიანური რესურსების მართვის მუშაკები დაკავებულია მომუშავეთა მართვითა და პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული საკითხებით, აგრეთვე, მათ შრომით ურთიერთდამოკიდებულებებთან დაკავშირებული საკანგარი გრძელვადიანი პრობლემებით. ისინი, ერთი მხრივ, თავიანთი საქმიანობისას ხელმძღვანელობენ ორგანიზაციის ბიზნეს-გეგმებით და, მეორე მხრივ, თვით მონაწილეობენ მათ შედგენაში. განსაკუთრებით ეს ასეა იმ შემთხვევაში, როცა უმაღლესი ხელმძღვანელობა ამ გეგმებში ყურადღების ცენტრში აყენებს ადამიანური რესურსების გამოყენებასთან დაკავშირებულ საკითხებს. თავის მხრივ, სტრატეგების როლში მყოფი ადამიანური რესურსების მუშაკებია უმაღლესი ხელმძღვანელობა უნდა დაარწმუნონ ისეთი გეგმების შემუშავების აუცილებლობაში, რომლებშიაც მაქსიმალურადაა გათვალისწინებული ორგანიზაციის ადამიანური რესურსების პოტენციური შესაძლებლობები. პერსონალის მართვის მუშაკები აქტიურად მონაწილეობენ ადამიანური რესურსების სტრატეგიულ მართვაში. ისინი აქტიურად ცდილობენ მიაღწიონ სტრატეგიულ ინტეგრაციასა და შეთანხმებულობას. სტრატეგიები კი, როგორც ცნობილია, შეიძლება იყოს ვერტიკალური და ჰორიზონტალური. როცა ადამიანური რესურსების სტრატეგიია ერთიანდება კომერციულ სტრატეგიებთან და მხარს უჭერს მას, ადგილი აქვს ვერტიკალურ გაერთიანებას, ხოლო, როცა იქმნება რიგი ურთიერთდაგავშირებული და ერთმანეთის შემაგვსებელი და გამაძლიერებელი ადამიანური რესურსების სტრატეგიები, მიიღწევა ჰორიზონტალური გაერთიანება. სტრატეგიული შეთანხმებულობა კი გულისხმობს კომერციული საქმიანობისა და ადამიანური რესურსების სტრატეგიების ისეთ შეთავსებას, რომლითაც მიიღწევა ორგანიზაციის არსებობისა და განვითარების ოპტიმალური პირობები.

**ინტერვენტის როლის** რანგში მომუშავე ადამიანური რესურსების განყოფილების მუშაკები, მართვის პროცესში ცვლილებების შეტანის მიზნით, ჩაერთვებიან მართვასთან დაკავშირებული ცალკეული მოვლენის მსგლელობაში. ასეთი ჩარევა ეკონო-

მიურ ლიტერატურაში ცნობილია სახელწოდებით- “ინტერვენცია”. მასში იგულისხმება მოქმედება ან მოვლენა კონკრეტული მიზნის მისაღწევად. ადამიანური რესურსების განყოფილების მომუშავეთა სამსახურებრივი მდგომარეობა მოხერხებულია ორგანიზაციაში მიმდინარე პროცესების სამეთვალყურეოდ და გასაძლიერდებოდ. მათ დამოუკიდებლად შეუძლიათ შეაფასონ რა ხდება ორგანიზაციულ პროცესებთან მიმართებით და ორგორ მოქმედებს იგი მომუშავებზე. სათანადო ანალიზით, მათ შეუძლიათ ნებისმიერი პრობლემისა და მათი მზეზის გამოვლენა და თავიანთი გადაწყვეტილებების შეთავაზება. ინტერვენცია შეიძლება უკავშირდებოდეს ისეთ ორგანიზაციულ პროცესებს, როგორიცაა: ურთიერთქმედება განყოფილებებსა და მუშაქებს შორის, ჯგუფური მუშაობა და სტრუქტურული ცვლილებები, სამუშაოთა დაგეგმვის თაობაზე წინადადებები, გუნდის შექმნა, სწავლება, სიახლეთა დანერგვა, მუშაობის მეთოდების სრულყოფა და ა.შ. ორგანიზაციაში მიმდინარე შესაბამის პროცესებში ადამიანური რესურსების მართვის მუშაქების ჩარევა მიზანშეწონილია მხოლოდ მაშინ, როცა ისინი დარწმუნდებიან პერსონალის მართვის მოცემული კონკრეტული პროცესის გაუმჯობესების ან შეცვლის აუცილებლობაში. მათ შეუძლიათ შეამჩნიონ ეფექტუანობასთან, მწარმოებლურობასთან, მოტივაციასთან, კადრების დენადობასთან, კონფლიქტებთან და ა.შ. დაკავშირებული პრობლემები და წამოაყენონ თავიანთი იდეები. მათ, აგრეთვე, შეუძლიათ შეამჩნიონ სამუშაოდან თანამშრომელთა უსამართლოდ გათავისუფლების შემთხვევები, დაბალი მორალის სხვადასხვა გამოვლინება და სხვ., დაადგინონ ამის მიზეზები და, შექმნილი მდგომარეობის გამოსწორების მიზნით, შეიტანონ წინადადებანი საჭირო განსახორციელებელ ცვლილებებზე ისეთ სფეროებში, როგორიცაა: პერსონალის შერჩევა, სწავლება, შრომის ანაზღაურება, ხაზობრივი მენეჯერებისათვის დამატებითი კონსულტაციების ჩატარება და ა. შ. არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება პერსონალის მართვასთან დაკავშირებულ პროცესებში ჩარევა, ანუ კ. წ. ინტერვენცია გადავზარდოთ ორგანიზაციის ხორმალური მუშაობის ხელშეშლაში. ინტერვენციის როლის შესრულება საჭიროა დელიკატურად. დასაწყისში

## **ნებარ კაიშამი**

აუცილებელია შეიქმნას კარგი სამუშაო ატმოსფერო, ხოლო შემდეგ თანდათანობით მოხდეს ადამიანების განწყობა ცვლილებისათვის და მათვის დახმარების გაწევა პრობლემების მიზეზების გაგებაში. განსაკუთრებით კარგ შედეგს იძლევა, როცა გადაწყვეტილებათა შემუშავებაში მონაწილეობენ ის რიგითი მუშაკები, რომლებიც პრაქტიკულად ახორციელებენ სიახლის დანერგვასთან დაკავშირებულ სამუშაოებს, ადმინისტრი რესურსების განყოფილების მუშაკთა დახმარებითა და კონსულტაციით.

ადამიანური რესურსების მართვისადმი ნოვატორული მიღობა გულისხმობს პერსონალის მართვის სპეციალისტების მიერ ინოვაციების განხორციელების, ანუ პერსონალის მართვის ახალი პროცესებისა და პროცედურების შემოღებას, რაც, მათი გაგებით, ამაღლებს ორგანიზაციის ეკონომიკურ ეფექტიანობას. ინოვაციების საჭიროების დასადგენად, ახდენენ საქმიანობის მოცემულ სფეროში არსებული მდგომარეობის ანალიზსა და დიაგნოსტირებას, რომლის დახმარებითაც ავლენენ პერსონალის მართვის სრულყოფასთან დაკავშირებულ მოთხოვნილებებსა და პრობლემებს. სიახლეებმა უნდა დააგმაყოფილოს კონკრეტული ორგანიზაციის სპეციფიკური მოთხოვნილებები. აუცილებელია იმის ჩვენება, რომ სიახლეები საჭიროა, მომგებიანია, განხორციელებადია და მათი შემოღება არ იქნება დაკავშირებული ისეთ დიდ სიძნელეებთან, როგორიცაა წინააღმდეგობა იმათგან, ვისაც ისინი უშალოდ ეხება ან შრომისა და ფინანსური რესურსების გაუმართდებელი დანახარჯები. შესაძლებელია სხვა ორგანიზაციაში უკვე გამოყენებული “უკეთესი პრაქტიკის” გადმოღება. თუმცა, ამ დროს უნდა გვახსოვდეს, რომ ნებისმიერი ორგანიზაციის სპეციფიკური მოთხოვნილებები, თითქმის ყოველთვის, განსხვავებულია სხვა ორგანიზაციების მოთხოვნილებებისაგან. ამიტომ, მოცემულ შემოხვევაში, გ. წ. “უკეთესი პრაქტიკაში”, აუცილებელია გარკვეული კორექტივების შეტანა, ადგილობრივი პირობებიდან გამომდინარე.

**ქოსულტანტის როლში** მომუშავე ადამიანური რესურსების მართვის სპეციალისტები ავლენენ და აანალიზებენ პრობლემებს, სთავაზობენ თავიანთ წინადადებებს. პროლემები,

რომელთა გადაწყვეტაში ისინი იღებენ მონაწილეობას, დაკავშირებულია ადამიანური რესურსების მართვის სფეროში პროცესების ან სისტემების გაუმჯობესებასთან. ასეთებია: შრომითი მაჩვენებლების მართვა, შრომის ანაზღაურების ახალი სისტემის შემოღება, გუნდის ჩამოყალიბება და ა. შ. პერსონალის მართვის პროცესებზე კონსულტაცია კონსულტანტის საქმიანობის უკლაშე როგორი სფეროა, რამდენადაც მოითხოვს როგორც მაღალ კვალიფიკაციას, ასევე, მაღალ საიმე დოობას. კონკრეტულ ორგანიზაციაში მომუშავე ადამიანური რესურსების მართვის სპეციალისტები არ უნდა ელოდონ, სანამ მათ სთხოვენ კონსულტაციის გაწევას, როგორც ეს ხდება გარე კონსულტანტების შემთხვევაში. ამასთან, მართვაზე კონსულტაცია მოითხოვს მაღალ კვალიფიკაციას და შიგა კონსულტაციისას იგი უნდა იყოს უფრო მაღალიც კი, ვიდრე გარე კონსულტაციისას. შიგა კონსულტანტებისადმი წაყენებული ძირითადი მოთხოვნებია: ა) ორგანიზაციის სტრატეგიული მოთხოვნილებების, მისი კომერციული საქმიანობის გეგმების, ირგვლივ მყოფი გარემოსა და კულტურის კარგი ცოდნა და მათ მიერ მოცემული რეკომენდაციების სრული შესაბამისობა ყველა დასახელებულ მათგანთან; ბ) გააჩნდეთ ანალიზური და დიაგნოსტიკური უნარი; გ) შეეძლოთ პროექტების მართვა, ფლობდნენ დაგეგმვისა და სამუშაოს განაწილების უნარს, სიახლის შემოღების ყველა სტადიაზე; დ) ესმოდეთ თავისი შიგა კლიენტების მოთხოვნილებები და შეეძლოთ მათთან ერთად რეკომენდაციების შემუშავება ისე, რომ შეინარჩუნონ დამოუკიდებლობისა და ობიექტურობის განსაზღვრული ხარისხი და შესაძლებლობა პქონდეთ გამოიყენონ თავიანთი სპეციალური ცოდნა კონკრეტული პრობლემების გადაწყვეტისას და ა. შ.

### **კონტროლიორის როლი დელიკატური და რთულია.**

ადამიანური რესურსების მართვის სპეციალისტები აკონტროლებენ როგორ ხორციელდება ადამიანური რესურსების სფეროში სტრატეგიები და პროცედურები, აგრეთვე, იმას, თუ როგორი ხარისხისაა ორგანიზაციის ფასეულობებზე ზრუნვა მომუშავეებთან დამოკიდებულებით. ადამიანური რესურსების სპეციალისტები ამას აკეთებენ არა ზედამხედველობის გასაწ-

## თიბისურავ პოზიცი

ეგად, როგორც ამას ხაზობრივი მენეჯერები აკეთებენ, არამედ მათ სურო უზრუნველყონ პერსონალის მართვის სტრატეგიებისა და პროცედურების საკმარისი თანმიმდევრობით განხორციელება. აქვე აღსანიშნავია, რომ ამჟამად არსებობს ადამიანური რესურსების მართვის საკითხებში ბევრი უფლებამოსილების ხაზობრივ მენეჯერებზე გადაცემის ტენდენცია. ცხადია, ეს უკანასკნელები ვალდებულებია დაიცვან კომპანიის სტრატეგია, თანასწორობის პრინციპი, შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ტექნიკა, დასაქმების ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები და ა. შ. სხვა სიტყვებით რომ ვთქათ, აუცილებელია წონასწორობის დაცვა მმართველთა მოქმედებებში თავისუფლებასა და სამართლებრივ უფლებებს შორის. მაგალითად, ხაზობრივ მენეჯერებს შეუძლიათ მიიღონ მათდამი დაქვემდებარებული თანამშრომლებისათვის, ბიუჯეტის ფარგლებში, ხელფასის გაზრდის უფლებამოსილება. ამასთან, ადამიანური რესურსების მართვის განყოფილებას შეუძლია გააკონტროლოს მათ მიერ შემოთავაზებული წინადადება თანამშრომელთაოვის ხელფასის გაზრდის თაობაზე და, სეროზული სათანადო არგუმენტების არსებობისას, ხაგჭოდ მიიჩნიოს იგი. ადამიანური რესურსების განყოფილების მუშაკებს შეუძლიათ, აგრეთვე, იმოქმედონ როგორც მომუშავებითა დაკავშირებულ ფასეულობათა დამცემი. სწორედ ისინი მიუთითებენ, როცა ცალკეულ ადამიანთა ქმედება კონფლიქტში შედის ამ ფასეულობებთან. კონტროლირის როლი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შრომით კანონმდებლობასთან მიმართებით. ადამიანური რესურსების განყოფილების მუშაკებმა უნდა უზრუნველყონ ადამიანური რესურსების სტრატეგიებისა და მართვასთან დაკავშირებული პროცედურების კანონმდებლობის ფარგლებში განხორციელება და ხაზობრივ მენეჯერთა მხრიდან მისი დარღვევის დაუშვებლობა.

**პერსონალის მართვის მუშაკთა როლი შეიძლება იყოს პასიური და აქტიური.** პირველ შემთხვევაში, ისინი აკეთებენ იმას, რასაც მათ ეუბნებიან ან იმას, რასაც მას სოხოვენ. ისინი რეაგირებენ მათ წინაშე წამოჭრილ სხვადასხვა მოთხოვნილებაზე.

მას ხშირად ეძახიან **არჩარევის პოზიციას**, როცა ადამიანური

რესურსების განყოფილების მუშაკები ძირითადად ასრულებენ სამუშაოს, რომელიც აკმაყოფილებს ხაზობრივი მენეჯერების მოთხოვნილებას. მართვის უფრო მაღალ სტრატეგიულ ღონებებს, ადამიანური რესურსების მართვის სპეციალისტები ასრულებენ არა პასიურ, არამედ აქტიურ როლს. მოცემულ შემთხვევაში ისინი მოქმედებენ როგორც საქმიანი პარტნიორები, ამუშავებენ ადამიანური რესურსების სტრატეგიებს, შემოაქვთ ინვაციები, მოქმედებენ როგორც შიგა კონსულტანტები და საკუთარი ინიციატივით წყვეტენ ადამიანური რესურსების მართვასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან საკითხებს.

არსებობს ადამიანური რესურსების მართვაში დასაქმებული მუშაკების მოვალეობათა სხვადასხვა მოდელი. თუმცა არცერთი არაა უნიკერსალური და სავალდებულო. ისინი იძლევა ზოგად წარმოდგენას მოვალეობათა სახეებზე, რომლითაც შეიძლება იხელმძღვანელოს ორგანიზაციებმა, ადგილობრივი პირობებიდან გამომდინარე. მოკლედ ზოგიერთი მათგანის შესახებ:

**I. ტაისონისა და ფელის** მიხედვით, არსებობს მართვის სამი მოდელი: 1. **მოდელი “შემსრულებელი”**—ადამიანური რესურსების ახალი სტრატეგიები იქმნება, როცა წარმოიშობა მომდვერო მოთხოვნილება. სტრატეგიები არაა ინტერგრირებული კომერციულ საქმიანობასთან. არის მოკლევადიანი და ორიენტირებულია მოცემულ მომენტზე. ძირითადი უფლებებით აღჭურვილია ხაზობრივი მენეჯერები, ხოლო ადამიანური რესურსების განყოფილების მუშაკთა საქმიანობა ფორმალურია, რაც გამოიხატება თანამშრომელთა სამუშაოზე მიღებასთან დაკავშირებული საკითხების გაფორმებასა და ყოველდღიური საქმიანობის წარმოებაში; 2. **მოდელი “მენეჯერი შეთანხმებით”,** რომლითაც დამახასიათებელია ხელმძღვანელობასა და მომუშავეებს შორის ურთიერთობებზე დამყარებული სტრატეგიები.

ადამიანური რესურსების განყოფილება იუნიტებს საკმარისად რთულ სისტემებს, განსაკუთრებით— მუშაკებს შორის ურთიერთობის სფეროში. მომუშავეებსა და ხელმძღვანელობას შორის ურთიერთობის სფეროში მომუშავე ადამიანური რესურსების მენეჯერი არის პოფენიონალი ან ძალიან გამოცდილი სპე-

ციალისტი. იგი არ შედის ფირმის გამგებლობაში, თუმცა, აქვს „ზედამხედველობის“ ზოგიერთი უფლება სტრატეგიათა განხორციელებაზე. იგი, უმეტესად, თამაშობს ინტერპრეტატორის და არა შემოქმედისა და ნოვატორის როლს; **3. მოდელი „შემქნელი“.** მოცემული მოდელისას, ადამიანური რესურსების სტრატეგია ნათლადაა გამოხატული და არსებობს როგორც კორპორაციული სტრატეგიის ნაწილი. ადამიანური რესურსების დაგეგმვა და განვითარება მნიშვნელოვანია და განიხილება გრძელვადიან პერსპექტივაში. მართვის სისტემები როგორც ადამიანური რესურსების განყოფილების ხელმძღვანელი შეიძლება იყოს გამგებლობის წევრი. მისი ძალაუფლება ემყარება პროფესიონალიზმსა და ბიზნესში მის წვლილს.

**II.კარენ ლეგეს მოდელი.** ამ მოდელში გამოყოფილია მენეჯერების ორი ტიპი: **1.შემათანხმებელი ნოვატორები,** რომლებიც მხარს უჭერენ თრგანიზაციულ მიზნებს და მას უხამგებენ მუშაობის თავიანთ მეთოდებს;

**2. უარყოფისადმი მიღრეგილების მქონე ნოვატორები.** ისინი ცდილობენ ორგანიზაციის საერთო მიზნებზე გადენა იქონიონ ადამიანური რესურსების მართვაში წარმატებულობის შეფასების სხვადასხვა ახალი კრიტერიუმის თანდათანობით შემოღებითა და ამ პროცესში მათი პირადი მონაწილეობით.

**III. ჯონ სტორის მოდელი.** ამ მოდელით შემოთავაზებულია ორგანიზაციების სქემა: **ჩარეგა /არჩარეგა და სტრატეგია /ტაქტიკა.** აქვდან გამომდინარე, მასში გამოიყოფა ოთხი სხვადასხვა როლი: **1. რეფორმატორები (ჩარეგა /სტრატეგია);** **2. კონსულტანტები (ჩარეგელობა/სტრატეგია).** შიგა კონსულტანტების როლით მოქმედ პერსონალის მართვის მუშაკთა სამუშაოს დიდ ნაწილს უტოვებენ ხაზობრივ მენეჯერებს;

**3. მარეგულირებლები (ჩარეგა /ტაქტიკა),** რომლებიც მართავნ, შრომის ნორმების დამუშავებით ან მათზე კონტროლით გამოწვეულ უკმაყოფილებას;

**4. მომსახურებები (ჩარეგა /ტაქტიკა),** რომლებიც უბრალოდ ასრულებენ სამუშაოს ხაზობრივი მენეჯერების მოთხოვნების დასაქმაყოფილებლად.

**IV.კეტლინ მონქსის მოდელები.** კეტლინ მონქსის მიხედვით, განიხილება ოთხი მოდელი, რომლებიც აფართოებს ტაი-

## **მანეჯმენტი, მარკეტინგი, ტურიზმი**

სონისა და ფელეს მოდელებს. ესენია: 1. **ტრადიციული /ად-მინისტრაციული.** ამ მოდელისას ადამიანური რესურსების განყოფილების მუშაკები ძირითადად ასრულებენ მხარდამჭერ ფუნქციას, კონცენტრირდებიან ადმინისტრაციულ საკითხებზე—საქმის წარმოებაზე, მიღებული წესებისა და ინსტრუქციების მკაცრ დაცვაზე; 2. **ტრადიციული /მომუშავეებსა და ხელმძღვანელობას შორის ურთიერთდამოკიდებულება/** მოცემულ შემთხვევაში განყოფილების მუშაკების მთელი უურადღება მიჰყრობილია მომუშავეებსა და ხელმძღვანელობას შორის ურთიერთდამოკიდებულებაზე და ნაკლები უურადღება ექცევა მათ სხვა მოვალეობებს; 3. **ნოვატორული-პროფესიონალური,** რომლითაც პერსონალის მართვის სპეციალისტები არიან მაღალი დონის პროფესიონალები ან ექსპერტები. მათი მიზანია ტრადიციული პრაქტიკიდან გაუმჯობესებულ დაგეგმვასა და დაქირავებაზე, ადამიანური რესურსების განვითარებაზე, სტრატეგიაზე და წახალისების ახალ მეთოდებზე გადასვლა; 4. **ნოვატორული /რთული.** ამ მოდელის შემთხვევაში ადამიანური რესურსების მართვის სპეციალისტები შედიან კომანიის მმართველობაში და მონაწილეობენ ადამიანური რესურსების სტრატეგიათა დამუშავებასა და კომერციულ საქმიანობაში. მათ მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ ორგანიზაციის წარმატებაში. ისინი ამუშავებენ და ნერგავენ რთულ პროექტებს ადამიანურ რესურსებთან მუშაობის ყველა სფეროში.

ადამიანური რესურსების მართვის სპეციალისტების მუშაობაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ორგანიზაციის მომუშავეთა მხრიდან ეთიკური ნორმების დაცვას. იგი დაკავშირებულია მომუშავის პროფესიულ ეთიკასა და ორგანიზაციის ეთიკურ ნორმებთან. პერსონალის მართვის სპეციალისტებს ეთიკური პრობლემების მოწესრიგებაში თავისი წვლილის შეტანა შეუძლიათ სხვადასხვა გზით, როგორიცაა: ეთიკური ნორმების სტრატეგიების დამუშავება— გავრცელება და მასზე საპასუხო რეაქციაზე თვალყურის დევნება; ეთიკურ ნორმებზე მომუშავეთა სპეციალური სწავლების ორგანიზაცია; მონაწილეობის მიღება კომპანიის სტრატეგიის ფორმირებაში, განსაკუთრებით მის ისეთ ნაწილში, რომელიც ეხება ორგა-

## ნუზგარ პაიჭამე

ნიზაციის მისიასა და ფასეულობას; პატიოსნებაში, მიუკერძოებლობასა და კონფიდენციალურობის დაცვაში პირადი მაგალითის მიცემა და ა.შ.

ადამიანური რესურსების მართვის სპეციალისტები, როგორც უკვე აღინიშნა, მონაწილეობები ორგანიზაციის მართვაში. თავისი პროფესიული კომპეტენციის ფარგლებში, მათ უნდა გამოოქვან თავიანთი მოსაზრება ან გაუწიონ წინააღმდეგობა ისეთ გეგმებსა და მოქმედებებს, რაც ეწინააღმდეგება ორგანიზაციის ფასეულობებს. მათ უნდა გააკეთონ ყველა შესაძლებელი, რომ შეიცვალოს ის, რაც მათი აზრით, აუცილებელია შეიცვალოს. მათ არ უნდა მოითმინონ უსამართლობა. იმ შემთხვევაში, თუ, წარმოებრივი აუცილებლობით გამოწვეულ დანახარჯთა შემცირების გამო, გარდაუვალია მომუშავეთა შემცირება, ადამიანური რესურსების მართვის სპეციალისტებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ორგანიზაციათა ხელმძღვანელებმა გააკეთონ მაქსიმუმი მომუშავეთა უკმაყოფილების შესამცირებლად. მაგალითად, პირველ რიგში, გაითვალისწინონ მომუშავეთა ბუნებრივი გადინება და გათავისუფლება საკუთარი სურვილით, ხოლო, თუ მაინც საჭირო იქნება მომუშავეთა გათავისუფლება მათი სურვილის მიუხედავად, დაქმართონ მათ ახალი სამუშაოს მოძიებაში.

ადამიანური რესურსების მართვისადმი წაყენებული ერთეულთი მთავარი მოთხოვნაა— მისი მაღალპროფესიონალურად შესრულება, ანუ იგი უფრო მეტად უნდა ექრდნობოდეს პრაქტიკულ გამოცდილებასთან დაკავშირებულ ფუნდამენტურ ცნებებს, და არა იმპროვიზებულ რეაქციას მოვლენებზე ან დაღგენილი პროცედურების შესრულებაზე. ყველაფერ ამას აუცილებელია ახლდეს პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა და ქცევის საყოველთაოდ მიღებული ნორმებისადმი ერთგულება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დღეს ადამიანური რესურსების ეფექტიანი მართვა შეუძლებელია პერსონალის მართვის მაღალკვალიფიციური სპეციალისტების გარეშე. ეს კი, თავის მხრივ, მოითხოვს მათ სათანადოდ მომზადებას. სწორედ ამ მიზნით, აღნიშნული პროფილით კადრების მომზადება საქართველოში დაიწყო ჯერ კიდევ XX საუკუნის 60-იან

წლებში ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკურ ფაკულტეტზე „შრომის ეკონომიკის“ სპეციალობის შემთხვებით. მომდევნო წლებში იგი კიდევ უფრო გაფართოვდა და XXI საუკუნის დასაწყისში პერსონალის მართვითი საქმიანობის სფეროში სპეციალისტები, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და საქართველოს ზოგიერთ სხვა სახელმწიფო და არასახელმწიფი უმაღლეს სასწავლებელში, მზადდებოდა შემდეგი 3 სპეციალობით: „შრომის ეკონომიკა“, „პერსონალის მართვა“, „შრომითი რესურსების მართვა“. ბოლო წლებში, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლასთან დაკაშირებით, კიდევ უფრო გაიზარდა ადამიანური რესურსების მართვის სპეციალისტთა როლის მნიშვნელობა. ეს კი მოიხსოვდა აღნიშნული პროფილის სპეციალისტთა მომზადებისათვის უფრო მეტი ყურადღების მიქცევას. მოხდა კი პირიქით-დღეს საქართველოში, სამწეულოდ, ყურადღება არ ექცევა ადამიანთა საქმიანობის მოცემულ სფეროში სათანადო ცოდნით აღჭურვილი კადრების მომზადებას. კმაყოფილდებიან მხოლოდ რამდენიმე მაგისტრის მომზადებით, რაც სრულდებითაც არაა საქმარისი. სწორედ ამიტომაა, რომ დღეს სახელმწიფო ოუ არასახელმწიფო ორგანიზაციებში ადამიანური რესურსების მართვის სამსახურებში მათი ხელმძღვანელებისა და რიგითი მუშაკების დიდ ნაწილს არ აქვს არა მარტო სპეციალური განათლება, არამედ ზოგადეკონომიკური ან იურიდიული განათლებაც კი. შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში ამ მხრივ ბოლო წლებში მდგრადარეობა არა თუ არ გაუმჯობესებულა, არამედ გაუარესდა კიდეც. ვფიქრობთ, ადამიანური რესურსების მართვის სრულყოფის ინტერესებიდან გამომდინარე, სასურველია და აუცილებელიც საქართველოს შესაბამის უმაღლეს სასწავლებლებში, მათ შორის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სპეციალისტთა კადრები მომზადეს შრომის ეკონომიკისა და ადამიანური რესურსების მართვის სპეციალობებით, თუნდაც სპეციალიზაციების სახით<sup>1</sup>. ეს კი მიუთითებს მოცემული პრობ-

<sup>1</sup> შემთხვევითი არაა, რომორივე ზემოაღნიშნული სპეციალობა- „შრომის ეკონომიკა“ და „ადამიანური რესურსების მართვა“, „შეტანილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დამტკიცებულ, ამჟამად მოქმედ სპეციალობათა კლასიფიკაციაში.

ლემის კვლევის, ასევე, სახელმწიფოსა და შესაბამისი უმაღლესი სასწავლებლების მხრიდან აღნიშნული პროფილის სპეციალისტთა მომზადებისათვის მეტი ყურადღების მიქვევის აუცილებლობაზე.

## **THE ROLE OF HUMAN RESOURCE MANAGEMENT SPECIALISTS AND THE NECESSITY TO PREPARE THEM**

**N. Paitchadze**

The article discusses the issues regarding the role of the human resource management specialists on the current stage of economic development. It discusses and analyzes the relation of human resource management specialists with the management of the organization, line managers and ordinary employees in the process of managing human resources. It also gives analysis of the roles of human resource management specialists, such as business partnership, strategist, interventionist, novator, consultant and controller.

The article discusses four models of the responsibilities of the people working in human resource management. These are: 1) Tyson's and Pell's; 2) Karen Lage's; 3) John Store's and 4) Kathlin Monsk's.

Finally, the article shortly reviews the situation regarding preparation of human resource management specialists in Georgia and gives several suggestions of how it could be improved.

სამუშაო პალის ხმირი გადაცე-  
ბის მიზანით სამომხმარევო და  
სასტუმრო ინდუსტრიაში

ვლადიმერ ღლონტი  
ექონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,  
ბათუმის რუსთაველის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის სრული პროფესორი,  
სოჭიკო მემკელიშვილი  
დოქტორანტი

სამუშაო ძალის გადინების კოეფიციენტი წარმოადგეს ერთ-ერთ უმთავრეს პრობლემას სასტუმრო ინდუსტრიაში. ამ კოეფიციენტმა შეიძლება ზოგიერთ თანამდებობაზე 200 და 300%-ს მიაღწიოს, ხოლო მენეჯმენტში, განსაკუთრებით საოპერაციო ნაწილში 100%-ს გადააჭარბოს. უმუშევრობის დაბალი დონე განსაკუთრებით საშიში ხდება სასტუმრო და მომსახურების ინდუსტრიისათვის, რამდენადაც, ჯერ ერთი, ამ სფეროში დასაქმებულთა რაოდენობა განსაკუთრებით ეცემა და მეორე, უკეთესი დასაქმების მოლოდინში მომსახურების სფეროში ბევრი დასაქმებული ტოვებს სამუშაოს და უკეთესი სამსახურის მომლოდინეთა რიგებში გადაინაცვლებს. უკეთესი სამსახურის შესახებ არეგულზია კი შეიძლება მხოლოდ განსაკუთრებული ტალანტის და ნიჭის მქონე ადამიანს გაუზინდეს და არა ყველას, თუმცა, ამას ადამიანები გვიან აანალიზებენ და რეალურად კარგავენ იმ სტატუსს და თანამდებობას რომელიც უკვე აქვთ.

სასტუმროსა და მომსახურების ინდუსტრიაში სამუშაო ძალის დინების კოეფიციენტი ქრონიკულად მაღალია და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ბოლოდოროინდელმა გამოკვლევებმა მკაფიოდ დაადასტურა ურთიერთკავშირი დასაქმებულთა კმაყოფილების ინდექსსა და ბიზნესის საერთო მომგებიანობას შორის.

დასაქმებულთა გადინება ხდება ორგანიზაციიდან როგორც ნებაყოფლობით, ასევე იმულებით<sup>1</sup>. სამუშაოდან დათხოვნა, რომელსაც ხშირი ხასიათი აქვს, შეიძლება გარკვეულ


Michael J O'Fallon, Denney G. Rutherford (Jan 12, 2010), Hotel Management and Operations, 5<sup>th</sup> edition, Published by John Wiley and sons Inc., Hoboken, New Jersey, p. 512.

პრობლემებთან იყოს დაკავშირებული. ამ შემთხვევაში უფრო საინტერესო იქნება განვითილოთ ნებაყოფლობითი გადინება კოლექტივიდან, რაც გულისხმობს პერსონალის საკუთარი სურვილით წასებლას სამსახურიდან.

ისტორიულად ცნობილია, რომ სამუშაო ძალის ხშირი გადინება დაკავშირებულია სასტუმრო და მომსახუების ბიზნესის მიერ ხარჯების დაზოგვის პოლიტიკასთან, რაც პირდაპირი მნიშვნელობით გულისხმობს ჭარბი პერსონალის შემცირებას და ხარჯების მინიმიზებას. ბევრი დამსაქმებელი ფიქრობს, რომ სამუშაო ძალის გადინება და ცვლა სულაც არ წარმოადგენს არასასურველ ქმედებას იმის გათვალისწინებით, რომ სამუშაოს შესრულების ხარისხს და ხანგრძლივობას უარყოფითი ტიპის კავშირი ახასიათებს, რაც გულისხმობს იმას, რომ სამუშაოს შესრულების ხარისხის ზრდას აქვს მოკლევადიანი ეფექტი და საგრძნობლად კეტმა და სტაგნაციას განიცდის გრძელვადიან პერიოდში (გრაფიკი 1). საქმე ისაა, რომ, რაც უფრო დიდხანს რჩება პერსონალი ერთი და იმავე თანამდებობაზე, ჯერ ერთი, მთელ უფრო კეტმა მის მიერ სამუშაოს შესრულების ხარისხი და მეორე, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მთელ უფრო იზრდება მისი შენახვის ხარჯები.

სამუშაოს შესრულებისა და სამუშაოზე ყოფნის ხანგრძლივობის ურთიერთდამოკიდებულება

გრაფიკი 1.



სამუშაოზე ყოფნის ხანგრძლივობა

დამსაქმებელთა უმრავლესობა მიზანმიმართულად ცდილობს არათუ შეაძლიოს სამუშაო ძალის გადინების კოეფიციენტი, არამედ რაციონალურ ღონებრდე და პროპორციამდე დაიყვანოს. ასეთი მიღებობა არსებითად მნიშვნელოვნია სასტუმრო და სამოწმარებლო ინდუსტრიის განვითარებისათვის, თუმცა, იმ განსხვავებით, რომ მას გააჩნია გარკვეული შეზღუდვები და ლიმიტები, რაც გამოიხატება იმით, რომ მეცნიერები ამ მოვლენას უმურიებენ როგორც ფერმენტს და არა პროცესს. სწორედ

## **მარკეტინგი, მარკეტინგი, ტურიზმი**


ესაა მთავარი პრობლემა - მენეჯერის პირდაპირი მოვალეობაა კონტროლი, ვიდრე მოქმედება. უკელაზე უფრო ფასეული და ეფექტურიანი მიზომა არ ფოკუსირდება სამუშაო ძალის გადინებაზე. ის მომდინარეობს პროცესუალურად თანმიმდევრული ჯაჭვის პრინციპით, თუმცა, მანმადე საჭიროა განვიხილოთ რა იწვევს სამუშაო ძალის ხშირ გადინებას სამომხმარებლო და სასტუმრო ბიზნესში.

ბევრი მეცნიერარი თვლის, რომ დასაქმებულთა ცვლილება-გადინება გამოწვეულია იმ ფაქტორებით, რომელიც გავლენას ახდენენ დასაქმებულის დამოკიდებულებაზე სამუშაოს მიმართ, რაც საბოლოოდ აისახება დასაქმებულის ქცევაზე. არსებული მოდელი დიდად ამარტივებს აღნიშნულ პროცესებს, თუმცა, საჭიროა არსებული რეალობის თუნდაც დაახლოებით წარმოდგენა და რაც მთავარია, დაეხმაროს მენეჯმენტს მოსალოდნელი შედეგების გაანალიზებაში.

წარმოდგენილ მოდელში (გრაფიკი 2) “წასვლის მსურველები” სამსახურიდან რელურად წამსვლელთა რაოდენობაა. “წასვლის მსურველი” - ესაა სურვებული ან მონაცემებითი საზომი.<sup>1</sup>

სამუშაო ძალის მოძრაობის მოდელი

გრაფიკი 2



როგორც ამ მოდელიდან ჩანს, ის საბოლოო მაჩვენებელი, რაც განაპირობებს სამსახურში დარჩენის თუ წასვლის სურვილს, დამოკიდებულია ორ მნიშვნელოვან ფაქტორზე: დასაქმებულის მიერ დაკისრებული სამუშაოს შესრულების კმაყ-

<sup>1</sup>Michael J O'Fallon, Denney G. Rutherford (Jan 12, 2010), Hotel Management and Operations, 5<sup>th</sup> edition, Published by John Wiley and sons Inc., Hoboken, New Jersey, p. 512

ოფილების ინდექსზე და დასაქმებულის დამოკიდებულებაზე შესრულებული სამუშაოს მიმართ. შესრულებული სამუშაოს კმაყოფილების ინდექსი დამოკიდებულია იმ სამუშაოს ტიპზე, რომელსაც ასრულებს ესა თუ ის დასაქმებული. თუ დასაქმებული კმაყოფილია არსებული სამუშაოს შესრულებით, მისი დამოკიდებულება ამ სამუშაოს მიმართ დადგებითად აღმატებულია. ეს ფაქტი თავისთავად ამცირებს იმის შესაძლებლობას, რომ დასაქმებულმა შეიძლება დატოვოს დაპავებული თანამდებობა; მეორე მხრივ, თუ დასაქმებული უკმაყოფილოა თავისი სამუშაოთი, მას არ მოსწონს რასაც აკეთებს, დამოკიდებულება და შესრულების ხარისხიც შესაბამისად იქნება დაბალი და დასაქმებულს კველა მიზეზი აქვს დატოვოს სამსახური, რაც უკვე ახალ მოკვლევას საჭიროებს.

დასაქმებულთა მოძრაობის, ანუ შრომის გამოცვლის უფრო კომპლექსური მოდელი ამ პროცესს განიხილავს, როგორც აღვნიშნეთ, არა იზოლირებულად, არამედ რიგი ფაქტორების ერთობლიობით, რასაც შეიძლება მოყვეს როგორც დადგებითი, ასევე უარყოფითი შედეგები, როგორც დასაქმებულთა, ასევე დამქირავებლების მხრიდან. სამუშაო ძალის გადინება მომდინარეობს ორგანიზაციის არააღმაგატური ქმედებიდან და მხოლოდ იმ შემთხვევაში ხდება ხილვადი, როდესაც დასაქმებულს შესაძლებლობა ეძლევა დატოვოს სამსახური. სამსახურიდან წამოსვლა კი დასაქმებულს მხოლოდ მაშინ შეუძლია, როდესაც სხვა სამსახურში გადასვლის და თავისუფალი არჩევანის გაკეთების საშუალება ეძლევა ან სულაც არ სჭირდება, ან არ აინტერესებს სამსახური (გრაფიკი 2). იმ შემთხვევაში, როდესაც დასაქმებული ვერ ახერხებს სამუშაოს გამოცვლას და ლიმიტირებული აქვს სამუშაოს შერჩევის არჩევანი, მისი ინტერესი არსებული სამუშაოს მიმართ ეცემა, ხშირად გამოთქვამს უკმაყოფილებას, დაბალია სამუშაოს შესრულების ხარისხი და პროდუქტიულობა, რაც საბოლოოდ იწვევს მომხმარებელების უკმაყოფილებას, ისინი საყვედურს გამოთქვამენ მომსახურების დაბალ ხარისხსა და და მომუშავე პერსონალის უყაირათობაზე. აქედან გამომდინარე შრომითი პროცესიდან ინდივიდის გასვლა კმაყოფილების ინდექსით განისაზღვრება და პირდაპირ დამოკიდებულებაშია სამუშაოს არჩევანის თავისუფლებაზე – თუ შრომის ბაზარი მრავალფეროვანია და დასაქმებულს ეძლევა საშუალება თავისულად გადაადგილდეს დასაქმების სეგმენტებს შორის, მუდამ იქნება სამუშაო ძალის გადინების ალბათობა და

რაც უფრო განვითარებულია ესა თუ ის ქვეყანა მრავალფეროვანი წარმოების დარგებით, მით მაღალია სამუშაო ძალის გადაადგილება და შრომის მაძიებელს მრავალფეროვანი არჩევნის გაკეთების შესაძლებლობა ეძლევა. განსაკუთრებით ხშირია სამუშაო ძალის ცვლა სასტუმროსა და მომსახურების სფეროში, რომელიც კომპლექსურად აერთიანებს სხვადასხა რანგის, პროფესიისა და შესაძლებლობების ადამიანებს. ამასთანავე, ყველა ადამიანს აქვს თავისუფალი არჩევანის უფლება და შესაძლებლობა ნახოს მისთვის მისაღები ალტერნატიული სამსახური.

მიუხედავად იმისა, აქვს თუ არა სამუშაო ძალის გადინებას დადებითი შედეგი როგორც დასაქმებულის, ასევე დამტკირავებლის მხრიდან, ცნობილია, რომ უარყოფითი შედეგები უფრო სჭარბობს. ამ შედეგების უკათ გასაანალიზებლად, საჭიროა განვიხილოთ რა გავლენას ახდენს ის, როგორც დასაქმებულზე ასევე დამსაქმებლებზე მოკლევადიან და გრძელვადიან პერიოდში (იხ. ცნობილი). როგორც ცნობილიდან ჩანს, ორგანიზაციებიც და დასაქმებულებიც, თითქმის ერთნაირად განიცდიან სამუშაო ძალის გადინებას წარმოებიდან, რაც დაკავშირებულია დასწრებადობაზე, კოპერირების დონის დაცემასა და სამუშაოს შესრულების ხარისხის დაქვეითებაზე, რასაც შეიძლება საბორტაჟიც მოჰყევს. გრძელვადიან პერიოდში უფექტი უფრო დამამძიმებელია. სისტემური პრობლემები, რომლებიც თავს იჩენს ორგანიზაციაში, პირდაპირ გავლენას ახდენს კომპანიაში მომხმარებელების რაოდენობის შემცირებაზე და საბოლოო ანგარიშით, ამას თან ახლავს დანაკარგები და ზარალი. სამუშაო ძალის ხშირი გადინების შემთხვევაში ყველაზე მთავარია არა ის, თუ ვინ მიდის, არამედ ის, თუ ვინ რჩება. ხშირ შემთხვევაში, ის ადამიანები რომლებიც არ აპირებენ სამუშაოდან წასვლას, წარმოადგენენ კი იმ ძალას, რომლის დატოვებასაც გეგმავს ორგანიზაცია, თუ პირიქით. თანამშრომელთა სელექცია წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე მტკიცნეულ საკითხს ნებისმიერ ორგანიზაციაში, რადგან არსებობს პერსონალთა ის კავეგორია, ვისთვისაც უმოქმედო გარემო მისაღებია და სიამოვნებით დარჩებიან წარმოებაში მის საბოლოო დახურვამდე, რადგან მათ სხვა არჩევანი არ გააჩნიათ, რაც, რასაკვირველია, უფრო ნაკლებად ეხება მაღალკვალიფიციურ პერსონალს, რომელსაც ადვილად შეუძლია ახალი სამსახურის მოქმება.

სამუშაოთა გადინების ეფექტი სასტუმრო და სამომხმარებლოთ ინდუსტრიაში


დასაქმებულის ეფექტი	დაშიაქმებულის შემცირების ეფექტი	სისტემის გამოწვევის დაშიაქმებულის შემცირების ეფექტი
წახლილის დამოტკიცებულება დალი ქვეყნის შემცირები	წახლილის შემცირები გადაღებულების შემცირები	წახლილის გამოწვევის დაშიაქმებულის შემცირების ეფექტი დაშიაქმებულის გამოწვევის დაშიაქმებულის შემცირების ეფექტი
სამუშაოთი ქმედ-ოფენსიური მექანიზმის შემცირები	აუდიტორიული შემცირები აუდიტორიული შემცირები	შემცირების გადაწყვეტილების განვითარების და დაწყე- ნარის შემცირების უძრა- ვითად
ორგანიზაციის მიმწრო დაზიან- იებებულების შემ- ცირება	დასწრებულობა მიმწრო დაზიან- იებებულების შემ- ცირება	შემცირების განვითარების და დაწყე- ნარის შემცირების უძრა- ვითად
სამუშაოდან წას- ვლა	დაგვანაგდა სასმისა- ურიან	მოწიფერებული მუნიციპალიტეტის ნაკ- ლელის მიმწრო დაზიან- იებების სასარგე- ოდან
	კოოპერირების ნაკ- ლელისადამ	სამუშაოდან წას- ვლის მიმწრო დაზიან- იებების ნაკლელი
	სამისამართი გულ- ირილობა	ნირშეწი და მი- კვები
	სამისამართი გულ- ირილობა	თვითმიმდევრული მუნიციპალიტეტის მიმწრო დაზიან- იებების გადა- წყვეტილები
	სირსეს და მსოსნ დაგამოიყენებული სისტემი	გადაწყვეტილების მილი- არი პრიო-
	წესის უკარა- ტობის მიმართ უკარატობის მიმართ	ბალის და ტექნიკა

<sup>1</sup>Hallowell, R. 1996. The relationships of customer satisfaction, customer loyalty, and profitability: an empirical study. *International Journal of Service Industry Management*. vol. 7. no.4. pp. 27-47.

როგორც აღვნიშნეთ, სამუშაო ძალის მასობრივ გადინებას ნებატიური ზეგავლენის მოხდენა შეუძლია ორგანიზაციის რენტაბელობასა და მომგებიანობაზე. ბოლო პერიოდის გამოკვლევებმა განსაკუთრებული განხილვის საგნად აქცია მომხმარებელთა ლოიალობა და მომხმარებლის მნიშვნელობა ორგანიზაციის წარმატებაში. განსაკუთრებული აქცენტირება კეთდება ლოიალური მომხმარებლის დამკვიდრებაზე. სასტუმრო და სამომხმარებლო ბიზნესისთვის ყოველთვის პრიორიტეტულია შეინარჩუნოს მუდმივი მომხმარებელი და მისგან მიიღოს კეთილდღეობა, ვიდრე შეიძინოს ახალი, რაღაც მუდმივი და ერთგული მომხმარებელი ყოველთვის ლოიალურია ფასის ცვლილების მიმართ და ერთგულების შესანარჩუნებლად სასტუმრო ყველანირად ცდილობს მოიპოვოს მათი კეთილგანწყობა. კეთილგანწყობილი მომხმარებელი ქმნის სასტუმროს უმთავრეს პროდუქტს და ადასტურებს, რომ იქ მომუშავე პერსონალი ასევე კეთილგანწყობილია დამსაქმებლის მიმართ, ამიტომაცაა მნიშვნელოვანი სასტუმროს და სამომხმარებლო ინდუსტრიის მენეჯმენტი ზრუნავდეს დასაქმებულთა კმაყოფილებაზე, რასაც თავისთავად მოყვება კეთილგანწყობილი და ლოიალური მომხმარებელი, რაც, თავის მხრივ, შემოსავლების უწყვეტობის და რენტაბელობის მყარ გარანტიებს აძლევს ნებისმიერ დამსაქმებელს. ამდენად, არსებობს ძალიან მყარი და ჯაჭვური ურთიერთდამოკიდებულება დასაქმებულთა კმაყოფილების, მომხმარებელთა ლოიალობასა და ორგანიზაციის მომგებიანობას - რენტაბელობას შორის. ამ კონცეფციას მკველვარები “მომსახურება-მოგების ჯაჭვებს” (“service-profit chain”) უწოდებენ (იხ. გრაფიკი 3), სადაც კმაყოფილი და გამოცდილი პერსონალი არის უმთავრესი დრაივერი მომხმარებლების (“კლიენტების”) შენარჩუნებისა და ამავე დროს არის უმთავრესი ფაქტორი ორგანიზაცია იყოს მომგებიანი და წარმატებული იმდენად, რამდენადაც მაღალი გადინება სამუშაო ძალების არამომგებიანია, როგორც დასაქმებულის, ასევე დამსაქმებლისათვის, ამიტომ, უნდა მოიძებნოს გზები სამუშაო ძალის გადინების კოეფიციენტის შესამცირებლად.

დამოუკიდებლობის მთვარების ჯაჭვი

გრაფიკი 3



სამუშაო ძალის გადინების შესახებ გამოკვლევებმა სასტუმრო და სამომხმარებლო ბიზნესიდან ცნობილი გახადა ის მიზეზები, რაც იწვევს დასაქმებულთა გადინებას, ესენია:

1. დამხაქმებელთა და მენეჯერთა მხრიდან დაბალი იერარქიის საფეხურზე მდგომი თანამშრომლების უთანასწორობის პირობებში მოქცევა;

2. გადატენირობული სამუშაო გრაფიკი და ზედმეტი ნამუშევარი საათები;

3. სტრესის და წნევის ქვეშ მუშაობა;

4. გრაფიკის მიხედვით და ცვლაში მუშაობა;

5. ტრეინინგები;

6. დამატებითი ბონუსების პაკეტები;

7. ახალი სამსახურის ალტერნატივა;

8. ფიზიკური შრომა.

ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზებიდან გამომდინარე, რის გამოც თანამშრომლები ადვილად ტოვებენ სამსახურს, სამომხმარებლო და სასტუმროს მენეჯმენტმა საჭიროა შეიმუშაოს სამართლიანი სამუშაო გრაფიკის სქემა, რათა ყველა თანამ-

<sup>1</sup>Fred Reichheld ,*The Loyalty Effect: The Hidden Force Behind Growth, Profits, and Lasting Value* (Harvard Business School Press, 1996), Business & Economics , p. 323

შორმელი თანაბარ სამუშაო პირობებში იყოს და სამართლი-ანად შემსუბურებელი სამუშაო პირობები და გამოიცეს უფრო საინტერესო ბონუს პაკეტები, რაც შესაძლებლობას მისცემს მას შეინარჩუნოს დასაქმებულები და დააინტერესოს ისინი არ-სებული სამსახურით. თუმცა, ასეთ სქემას მოკლევადიანი ეფექტი აქვს და წინ ვერ აღუდგება დასაქმებულების აგრესიულ გადინებას, მაგრამ გარკვეულწილად შეანელებს მას და დაეხმარება დამსაქმებლებს სასურველი კარდების შენარჩუნებასა და მოტივირებაში.

ურედერიკ პერცბერგი ამტკიცებდა, რომ ადამიანთა უკ-მაყოფილებას იწვევს ე.წ. “ჰიგიენური ფაქტორების” სიმციორე, რაც საბოლოოდ გავლენას ახდენს პერსონალის მოტივაციაზე. იმ შემთხვევაში, როდესაც არ არის აუცილებელი არსებობდეს საორგანიზაციო სტრუქტურაში ურთიერთკავშირი სამუშაოთი კმაყოფილებასა და სამუშაოს შესრულების ხარისხს შორის, კმაყოფილი თანამშრომელი ლებულობს დამსაქმებელი ორგანიზაციის მოთხოვნებს. პერცბერგის აზრით, “ჰიგიენური ფაქტორები”, რაც იწვევს დასაქმებულის უკმაყოფილებას, შეიძლება იყოს: შრომის ანაზღაურება, სამუშაო პირობები, დამატებითი ბონუსპაკეტები და სამუშაო უსაფრთხოება. როდესაც დამსაქმებელი იხდის სამართლიან ხელფასებს, ქმნის უსაფრთხო შრომის პირობებს, ეს იწვევს პერსონალის უკმაყოფილების შემცირებას, რაც სულაც არ ნიშნავს იმას, რომ პერსონალი სავსებით კმაყოფილია. მოტივაციორები და სტიმულაციორები, რაზედაც პერცბერგი ყურადღებას ამასხილებს, არ მოიცავს მხოლოდ ხელფასით და უსაფრთხო პირობებით დაკმაყოფილებას, არამედ მოითხოვს დამსაქმებლისგან პერსონალის აღიარებას, მიღწევების დემონსტრირებას, საინტერესო სამუშაოს შეთავაზებას, პასუხისმგებლობის დაკისრებასა და დაწინაურებას. ამ ფაქტორების ამოქმედებით შესაძლებელია სასტუმროს ჟყვავეს მოტივირებული და კმაყოფილი პერსონალი, რასაც საბოლოოდ მივყავართ “მომსახურება-მოგების ჯაჭვთან” და გვაძლევს ლიოალურ მომხმარებელს და გაზრდილ მოგებას. სწორედ ამ ფაქტორების წინ წამოწევა და გათვალისწინება წარმოადგენს მენეჯმენტის უმთავრეს მიზანს პერსონალთან ურთერთობის დროს და არა მხოლოდ ნორმალური ხელფასის გადახდა და უსაფრთხო სამუშაო პირობების შექმნა დასაქმებულთათვეს.

გამომდინარე იქიდან, რომ სამუშაო ძალის ხშირი გა-

დინება კველაზე მეტად დამახასიათებელია სასტუმროსა და მომსახურების ინდუსტრიისათვის, მთავარი აქცენტი სწორედ საჭირო კადრების შერჩევაზე კეთდება, არ არის აუცილებელი მაღალკვალიფიცირებული პერსონალის დაქირავება, მთავარია სპეციფიკურ სამუშაოს მორგებული მუშაკის მოძიება, რომელსაც სასტუმრო ინდუსტრია თავად მისცემს შესაძლებლობას აიმაღლოს შრომითი კალიფიკაცია. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ყველაზე რთული უკვე გამოცდილი პერსონალის შენარჩუნებაა და პირველადი ფაქტორების – ხელფასისა და სამუშაო პირობების მოწესრიგების შემდეგ, განსაკუთრებული ყურადღება ესაჭიროება მოტივაციური ელემენტების წინ წამოწევას, როგორიცაა: პერსონალის აღიარება, წახალისება და დაწინაურება. საბოლოოდ, ე.წ. “ჰიგიენური ფაქტორების” დაკმაყოფილების შემდეგ, გაცილებით ნაკლები იქნება სამუშაო ძალის გადინების მაჩვენებელი სასტუმრო ინდუსტრიაში.

## **THE REASONS OF INCREASED OUTFLOW OF WORK-FORCE FROM THE HOTEL AND SERVICE INDUSTRY**

V. Glonti,  
S. Megrelishvili

The Article provides theoretical explanation of increased outflow of work force from hotel and service industry. In accordance with the “service-profit chain” concept, increased frequency of outflow of work force in the hotel industry is not profitable for hotel business and directly causes reduction of customer loyalty and decrease of profit. In order to decrease the frequency of workforce outflow from hotel business, in line with Herzberg “Hygienic Factors” the management should focus not only on satisfaction of personnel with salary and safe working conditions, but also on recognition of employees and their successes, offering interesting jobs to them, increasing sense of responsibility and promoting them. In case of existence of all the above listed circumstances, management of the hotel can achieve high level of guest satisfaction which finally will lead to the “service-profit chain” and loyal employee, loyal customer and consequently the increased profit.

## ურბანული მენეჯმენტის აქტუალური საკითხები

იოსებ გასპრავილი  
ეკონ. დოქტ., პროფესორი

საქართველოში დღეისთვის მიმდინარეობს მართლზომიერი პროცესი დედაქალაქის ურბანული განტვირთვის პოლიტიკასთან მიმართებით – კანონზომიერად მიგავაჩნია სამთავრობო სტრუქტურების გადანაწილება ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში<sup>1</sup>. XX საუკუნის განმავლობაში მსოფლიოს ეკონომიკურმა ისტორიამ დაგვანახა, რომ ეკონომიკური პროგრესი მჭიდროდ არის დაკავშირებული ურბანიზაციის პროცესთან. მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში, პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარების „აფეთქება“ ადამიანების, ცოდნის, ტექნოლოგიებისა და კაპიტალის მოძრაობის, ერთდღოულად მიზეზიც იყო და შედეგიც.

მსაგავსად ადრინდელი პერიოდისა, ამგვარი საქმიანობა მიმართული იყო მსხვილი და მცირე ქალაქების კუნძული ქვეყნების გამოცდილება ყველა რეგიონში გვიჩვენებს, რომ ურბანიზაცია მჭიდროდ არის დაკავშირებული შემოსავლების მზარდ დონესა და სოციალური ინდიკატორების გაუმჯობესებასთან, როგორიცაა: სიცოცხლის მოსახლოდნელი ხანგრძლივობა, განათლების დონე, ბავშვთა ჯანმრთელობა და საერთოდ ინფრასტრუქტურისა და სოციალური მომსახურების ხელმისაწვდომობა.

სხვა ქვეყნებთან შედარებით, ურბანიზებული ქვეყნები ხასიათდება შემოსავლების უფრო მაღალი დონით, სტაბილური ეკონომიკით, ძლიერი ინსტრუქტებით და უნარით, გაუძლონ მსოფლიო ეკონომიკის „რყევებს“<sup>2</sup>. ქალაქის მოსახლეობის წილი იზრდება მოსახლეობის ერთ სულზე შემოსავლებთან ერთად. ამ წილს, აგრეთვე, ზრდის ინდუსტრიალიზაცია, ვაჭრობაზე ორიენტაცია და უცხოური კაპიტალის შემოსვლა.

ქალაქები, განსაკუთრებით – უმსხვილესი, უზრუნველყოფს უფრო

<sup>1</sup> ს.მასურაშვილი. საქართველოს საქალაქო მეურნეობის ტრანსფორმაციის ძირითადი მიმართულებები საქართველოში, მონოგრაფია, თსუ. 2005.

<sup>2</sup> <http://www.unhabitat.org/list.asp?typeid=15&catid=657>

## იოსებ მასპრაშვილი

მაღალ მწარმოებლურობას და მოსახლეობის ერთ სულზე უფრო მაღალ შემოსავალს. ეს შედეგები ახასიათებს განსხვავებული ეკონომიკური სისტემების ქვეყნებს და ვერ აიხსნება უბრალოდ იმით, რასაც ზოგიერთი უწოდებს თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის არათანაბარი განვითარების მოდელებს. XXI საუკუნეში ქალაქები რჩება ეკონომიკური და სოციალური ცვლილებების ადგილებად, განურჩევლად ამა თუ იმ იდეოლოგიისა.

ცნობილია, რომ ქალაქებში კონცენტრირებული ეკონომიკა თითქმის ყველა ქვეყანაში ქმნის მშპ-ის 50%-ზე მეტს. ეს წილი 80%-ს უახლოვდება ლათინური ამერიკის (განსაკუთრებით ურბანიზებულ) ქვეყნებში და 91% – ევროპაში. მაგალითად, მექსიკის 10 უმსხვილესი საქალაქო აგლომერაცია, სადაც ქვეყნის მოსახლეობის მესამედი ცხოვრობს, იძლევა ქვეყანაში წარმოებული დამატებული ღირებულების 62%-ს<sup>1</sup>. ასეთი დიდი წილი, რაც ეკონომიკისათვის ქალაქთა მნიშვნელობის დადასტურებაა, როგორც წესი, ხშირად უგულებელყოფილია; ეს კი თავის მხრივ გარკვეული რისკის შემცველია. სხვადასხვა ზომის ქალაქი არა მხოლოდ წარმოების ადგილია, არამედ გლობალიზაციის უმნიშვნელოვანები გავლენის კერაც და, ამდენად ცვლილებისა და მომავლის ადგილიც. ქალაქების ამ როლის დაუფასებლობას შეუძლია ძალაუნებურად რისკის ქვეშ მოაქციოს ქვეყნების ეკონომიკა და სოციალური მომავლი. ამიტომაც, გლობალიზაციასა და ქალაქებს შორის მრავალმხრივი ურთიერთქმედების გაცნობიერებას შეუძლია ხელს შეუწყობს ქალაქებისა და ქვეყნების ეკონომიკის დაცვისა და მხარდაჭერის ახალი, გრძელვადიანი სტრატეგიების დადგენას.

ისევე როგორც ურბანული, აგრეთვე ზოგადად ეროვნული მეურნეობის ყველა დარგის განვითარებისკენ, მოსახლეობის საბინაო-კომუნალური, კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სოციალური პირობების გაუმჯობესებისაკენ არის მიმართული სამშენებლო საქმიანობა საქართველოში და თავის მხრივ წარმოადგენს დარგთაშორის საქმიანობას.

სამშენებლო საქმიანობა ხორციელდება როგორც სახელმწიფო კაპიტალური ხარჯებით, ასევე კერძო და ერთობლივი კაპიტალური ხარჯებით და კანონმდებლობით ნებადართული სხვა სახსრებით.

<sup>1</sup> <http://www.weforum.org>; <http://www.unhabitat.org/categories.asp?catid=9>

## მაცხოველი, მარკეტინგი, ტურიზმი

სამშენებლო საქმიანობა საქართველოში (2004–2011 წწ.)<sup>1</sup>  
(მლნ ლარი)


ცხრილი 1

მაცხოველი	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010	I 2011	II 2011	III 2011
ბრუნვა	387.4	778.8	1125.3	1604.6	1412.0	1736.3	1694.5	182.5	312.4	500.0
გამოშვებული პროდუქცია	383.7	768.9	1186.0	1718.2	1434.7	1752.6	1728.5	189.2	317.8	502.0
დამატებული დირექტულება	127.1	246.0	401.4	630.6	482.3	605.2	618.1	...	...	...
შეადგეური მოსარგბა	256.5	523.0	784.5	1087.6	952.4	1147.5	1110.4	...	...	...
ფიქსირებული აქტივები	127.2	258.7	474.9	635.1	652.2	723.8	799.1	...	...	...
დასაქმებულთა რაოდენობა	21344	38560	46681	52572	38109	43452	40303	22188	27366	34105
დასაქმებულთა შრომის საშეადგი თვიური ანაზღაურება, (ლარი)	237.9	292.3	391.0	495.1	600.9	629.0	674.6	686.6	820.1	918.1

მშენებლობის სექტორში (ბიზნესრეესტრის მონაცემებით) 2011 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით საქართველოში რეგისტრირებული იყო 6699 სუბიექტი ([www.geostat.ge](http://www.geostat.ge)).

მშენებლობაში თანხების ბრუნვის მაჩვენებელი საქართველოში ვარდების რევოლუციის შემდეგ, ნაჩვენებია ცხრილში (1): 2005 წელს მან შეადგინა 387,4 მლნ ლარი, 2005 წელს – 2011-ით მეტი ვიდრე 2004 წელს, 2006 წელს – 290%-ით მეტი, ხოლო 2010 წელს კი – 437%-ით მეტია:

სქემა 1. მშენებლობის დარგის ბრუნვისა და პროდუქციის  
გამოშვების მაჩვენებლები



<sup>1</sup> საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, [www.geostat.ge](http://www.geostat.ge)

## იოსებ მარტივიშვილი

მაშასადამე, 2008 წლამდე ეს მაჩვენებლები იზრდებოდა. 2008 წელს საქართველოს წინააღმდეგ რუსეთიდან დაწყებულმა ომმა გავლენა მოახდინა მშენებლობაში თანხების ბრუნვის მაჩვენებელზეც. ხოლო 2009 წლიდან ისევ დაიწყო მატება აღნიშნულმა მაჩვენებელმა (იხ. სქემა 1).

უსახსრობის გამო, 2008 წელს საქართველოში (ყველაზე მეტად დედაქალაქში) მშენებლობები მასობრივად შეჩერდა. რამდენადაც დეველოპერული კომპანიების ძირითადი დაკრედიტება ხდებოდა ქართული ბანკებიდან, ხოლო მსოფლიოში განვითარებულმა კრიზისმა აღნიშნულ საფინანსო ინსტრუმენტს სერიოზული პრობლემები შეუქმნა. ყოველივე ამან თავის მხრივ გავლენა მოახდინა მშენებლობებზეც. ქ. თბილისის მთავრობის მიერ შემოღებულ იქნა პრევენციული ღონისძიებები – დეველოპერების სტიმულირების მიზნით შუამავლის როლი იკისრა საბანკო სექტორთან ურთიერთობაში – გამოცხადა რა, რომ დასრულებულ მშენებლობებს მერია თავად შეიძენდა და ყოველ 1მ<sup>2</sup> თეთრ კარვასში გადაიხდიდა 400 დოლარს (შემდგომში რეალიზაცის მიზნით).


ამან გარკვეული ზეგავლენა იქონია არსებულ სიტუაციაზე და დღეისათვის დედაქალაქში სახეზე გვაქვს მშენებლობების ნაწილობრივი „გამოცოცხლების“ ფაქტები.

რაც შეეხება გამოშვებული პროდუქციის მაჩვენებელს, 2004-2010 წლებში იგი სტაბილურად იზრდებოდა (გამონაკლისს წარმოადგენს აქაც 2008 წელი); 2004 წელს გამოშვებულ იქნა 383,7 მლნ ლარის სამშენებლო პროდუქცია, 2005 წელს ეს ციფრი უკვე 2-ჯერ გაიზარდა; 2006 წელს – 309%-ით; 2007 წელს – 448%-ით გაიზარდა; 2008 წელს კი ზრდა შედარებით ნაკლები იყო წინა წელთან შედარებით – მან შეადგინა 374%-ით მეტი ვიდრე 2004 წელს; 2009 წელს – უკვე გაიზარდა 457%-ით; 2010 წელს კი – 450%-ით (იხ. სქემა 1).

მშენებლობის მოცულობის ზრდაზე მეტყველებს აგრეთვე ამ სფეროში დასაქმებულთა რაოდენობრივი მაჩვენებელი 2004-2010 წლებში. როგორც 1-ლი ცხრილიდან ჩანს, 2004 წელს მან შეადგინა – 21344 კაცი, 2005 წელს – 181%-ით მეტი ვიდრე 2004 წელს, 2007 წელს – 246%-ით მეტი, 2008 წელს – 179%-ით მეტი, ვიდრე 2004 წელს და 72%-ით ნაკლები, ვიდრე წინა 2007 წელს), ხოლო 2010 წელს – 189%-ით მეტი 2004 წელთან შედარებით (იხ. სქემა 2).

## მარკეზის მარკეზი, ტურიზმი

მშენებლობის დარგში დასაქმებულთა რაოდენობის მაჩვენებელი  
სქემა 2.



ბოლო ოცდაათ წელიწადში მსოფლიო ეკონომიკის ტრანსფორმაცია შესაძლოა ჩაითვალოს გლობალიზაციის ყველზე მნიშვნელოვან შედეგად, რადგან მან ხელი შეუწყო გლობალური კულტურის გავრცელებას და ქვეყნებსა და ქალაქებში გამოიწვია ღრმა და ყოვლისმომცველი ცვლილებები. კაპიტალის, შრომითი რესურსების, ტექნოლოგიებისა და ინფორმაციის ნაკადებმა განაპირობა მსოფლიო მასშტაბით ვაჭრობის 11–ჯერ ზრდა – 579 მლრდ დოლარიდან (1980 წელს), 6272 ტრლნ დოლარამდე 2009 წელს. საქონლით ვაჭრობა იქცა ეროვნული ეკონომიკების მშპ-ის მზარდ სექტორად – 32,5%-დან 1990 წელს, გაიზარდა 40,0%-მდე 2010 წელს<sup>1</sup>. საქონლისა და მომსახურების ვაჭრობით დაწყებულ ტენდენციას დაემატა კაპიტალის ნაკადები და ვალუტით ვაჭრობა მსოფლიოს საფინანსო ბაზრებზე, რაც ყოველდღიურ რიცხობრივ გამოხატულებაში უტოლდება ბევრი ქვეყნის მშპ-ს (შედარებისათვის თუ ავიღებთ, ეს უფრო მეტია, ვიდრე აფრიკისა და ლათინური ამერიკის ქვეყნების ერთობლივი მაჩვენებელი). ინფორმაციულმა ტექნოლოგიებმა წარმოშვა კაპიტალდაბანდებებიდან მოგების მსოფლიო მასშტაბით მიღების შესაძლებლობა და კაპიტალდაბანდებების მზარდი „გადადინება“ ახალ ბიზნესებში, როგორც მოკლე, ასევე გრძელვადიანი ფინანსური მოგების მისაღებად.

ზემოთ აღნიშნულ ცვლილებებს ხელი შეუწყო 1990-იანი წლების შუა პერიოდში დაწყებულმა ვაჭრობისა და საფინანსო სფეროს

<sup>1</sup> <http://www.weforum.org>

## იოსებ მასერაშვილი

ლიბერალიზაციის პროცესმა, რადგან მთავრობებმა და საერთაშორისო ორგანიზაციებმა მიიჩნიეს, რომ „დია ბაზრებს“ უნდა მიეზიდათ ინვესტიციები და უზრუნველეყოთ ეკონომიკური ზრდა. მაშინ, როდესაც პოლიტიკის ამგარმა ცვლილებებმა ზოგიერთ ქვეყანას ბევრი სიკეთე მოუტანა, სხვებმა ფეხი ვერ აუწყო ცვლილებათა ტემპს. ქვეყნებს შორის ეკონომიკური უთანაბრობა ამ პერიოდში იზრდებოდა. ამან კი ეკონომისტები მიიყვანა დასკვნამდე, რომ გლობალიზაციის შედეგი ყველას თანაბრად არ გადაუნაწილდა.

განვითარებისა და ურბანიზაციის თაობაზე მიმდინარე მსჯელობამ მიგანიშნებს, რომ „კულტურა“ არის ქალაქური ცხოვრების მნიშვნელოვანი, მაგრამ ხშირად უგულებელყოფილი ნაწილი. ბოლო წლებში მირმედელი ტრადიციების, ადგილობრივი ეთნიკური თვითშეგნებისა და ხალხური ხელოვნების გადაფასება კავკასიის რეგიონში ძლიერ აღმავლობას განიცდის, სულ უფრო და უფრო ნათელი ხდება, რომ სივრცით მოწყობას აყალიბებს არა მარტო ეკონომიკური განვითარების პირობები, არამედ ადგილობრივი კულტურის ფაქტორებიც. პოსტ-ინდუსტრიული წარმოების ტექნოლოგიურმა ინოვაციებმა გამოიწვია ეკონომიკური და ურბანული განვითარება და შემოიტანა აშვარად მოდერნისტული, ბაზარზე ორიენტირებული, მსოფლიოში გავრცელებული კულტურა, რომელიც ხშირად მოიხსენიება, როგორც ამერიკანიზაცია<sup>1</sup>. მთელ მსოფლიოში სწორედ ქალაქებია ის ადგილი, სადაც ეს გლობალური და ადგილობრივი კულტურები პირველად ხვდება ერთმანეთს და ურთიერთქმედებას იწყებს. საბოლოო შედეგი კი ხშირად დინამიკური, ღია ურთიერთობა წარმოადგენს.

კავკასიის რეგიონი უფრო ღრმად, ვიდრე ვიდესმე, ჩართულია წარმოებისა და ვაჭრობის მსოფლიო ქსელში, მაგრამ გლობალური კორპორაციების მიერმართულინდუსტრიულ-ურბანიზაციულპროცესებს მივყავართ არა მარტო ახალი ტექნოლოგიების გაბატონებისკენ, არამედ კულტურის ერთგვაროვნების დაჩქარებისკენაც. იმ დროს, როდესაც სხვადასხვა ქვეყნების მოსახლეობის ნაწილი გლობალურ კულტურას დიდი ხალისით ხვდება და მათთვის ეს ყოველივე სავსებით მისაღებია, ამ დროს აქტუალობას ინარჩუნებს ადგილობრივი კულტურის საფუძვლებისა და წარმომავლობის იდენტიფიცირების გაცნობიერებისადმი ყურადღების გამახვილება. ჩვენთან ურბანიზაცია იმ მდგომარეობაშია, როდესაც გლობალურ და ადგილობრივ კულტურებს შორის ჭიდილის პირობები და შედეგები ურბანული სივრცის ჩამოყალიბების გადამწყვეტ ფაქტორებს

<sup>1</sup> [http://nccr-ns.epfl.ch/prem\\_niv/english/research.asp](http://nccr-ns.epfl.ch/prem_niv/english/research.asp)

## მარკეტინგი, მარკეტინგი, ტურიზმი

## წარმოადგენს.

ქალაქები, რომლებშიც შემოსულია უცხოური კაბიტალი და ტექნოლოგია, გლობალური კავშირების მქონე მსოფლიო ქალაქებად იქცა. ამ ინექციებმა წარმოშვა უცხოურ და ადგილობრივი ბიზნესს შორის კონკურენცია, რასაც რეგულარულად მოჰყვება ადგილობრივი მხარის დამარცხება. ეს ყოველივე სახელმწიფოს მიერ უნდა იქნეს რეალურად აღქმული და საჭიროებს ადგილობრივი ბიზნესის საკანონმდებლო ხელშეწყობას.

ქალაქების დინამიკაში იკვეთება ძლიერი ბრძოლა ისეთ ფაქტორებს შორის, როგორიცაა უცხოური კაპიტალი და ადგილობრივი შრომითი რესურსები, სახელმწიფო და საზოგადოება, ტრადიციული ელიტები და ტრანსნაციონალური სტრუქტურები, ოჯახური საწარმოები და საერთაშორისო კორპორაციები და თუნდაც როკ-გიტარა და ქართული ჩონგური. ამ ეკონომიკურ, სოციალურ, პოლიტიკურ და კულტურულ კონტექსტში, გლობალური მასშტაბით დაკავშირებული ქალაქები ურბანული სივრცეების მუდმივ გარდაქმნას განიცდის.

სხვადასხვა ქეყვანაში საინვესტიციომიზმზე დაგელბაში განსხვავებამ თავი იჩინა უცხოური პირდაპირი ინვესტიციების (უპი) კონცენტრაციაში (ჩინეთის, ბრაზილიის, მექსიკის, ინდონეზიისა და ტაილანდის ჩათვლით) და სხვა ქეყვების თითქმის სრულ უგულებელყოფაში.

საქართველოში კი უპი-ს რეალური მაჩვენებელი მშენებლობის და უძრავი ქონების მაგალითზე ასე გამოიყურება (იხ. ცხრილი 2):

მშენებლობასა და უძრავ ქონებაში განხორციელებული

უპი საქართველოში 2007–2011 წწ. (ათასი დოლარი)<sup>1</sup>

ცხრილი 2

30543,9	171891,8	2007
277837,7	56725,3	2008
147410,3	105218,8	2009
1119253,0	4705,9	2010
7048,1	14364,5	2011წ. 1 33-
48960,3	12544,7	2011წ. 1 1 33-
21529,6	4245,1	2011წ. 1 1 1 33-

<sup>1</sup> საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, [www.geostat.ge](http://www.geostat.ge).

## **მოსება მასპრაგვილი**

---

33%-მდე, 2009 წელს კი ამ მაჩვენებელმა 2008 წელთან შედარებით მოიმატა 185%-ით.

რამდენადაც ინვესტიციები პირდაპირ ზემოქმედებს ქვეყნების ეკონომიკურ განვითარებასა და ზრდაზე, ამდენად, განვითარების სხვადასხვა დონეზე მყოფ ქვეყნებში ინვესტიციები სხვადასხვა როლს ასრულებს. მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის პროცესში საერთაშორისო საინვესტიციო კაპიტალის ნაკადები თამაშობს უფრო მნიშვნელოვან როლს, ვიდრე, ვთქვათ, საერთაშორისო ვაჭრობა. ეს ყოველივე თავისთავად აისახება ურბანულ განვითარებაზე<sup>1</sup>.

დღეს მსოფლიო უარს ამბობს ურბანული განვითარების ერთიანი, საყოველთაო მოდელის შემუშავების მცდელობაზე. ყველა ქვეყანა, მეტიც – ყოველი ქალაქი, ურბანიზაციის პროცესის უნივერსალურ კანონზომიერებებზე დაყრდნობით, მოწოდებულიაშეიმუშაოს ურბანული განვითარების ისეთი მოდელი, რომელიც გლობალიზაციის ეპოქაში მას შეუნარჩუნებს აუთენტურობას და შესძენს განვითარების ახალ იმპულსს. თუ გლობალურ პროცესს მზადყოფნაში არ დაუხვდა ადგილობრივი სტრატეგიები და ეფექტური ურბანული მმართველობა, მაშინ გლობალური ეკონომიკური ინტერესები „დაჩრდილავს“ ადგილობრივ საზოგადოებრივ ინტერესებს.

დასკვნის სახით აღვნიშნავთ, რომ დღეისთვის აქტუალურ საკითხად რჩება საქართველოს ქალაქების ურბანული განვითარება საერთაშორისო სტანდარტების დონეზე, რათა მათი ინფრასტრუქტურა მიმზიდველი გახდეს უცხოელი ინვესტიონებისთვის, რაც შესაბამისად, ქვეყნის ერთგვარი ეკონომიკური წინსვლის გარანტიც არის.

### **Actual Issues of Urban Management**

I. Masurashvili

The experience of developed countries in all regions indicate that urbanization is closely connected with the increasing income level and improvement of social indicators. Compared to other countries, urbanized countries are characterized by higher level of incomes, a more stable economy, strong institutions and the ability to overcome „fluctuations“ of the world economy. The share of urban population is increasing with the increase of income per capita. This growth is also caused by industrialization, trade orientation and inflow of foreign capital.

---

<sup>1</sup> Alexander Otgaar, Erik Braun, Leo van den Berg. Urban Management and Economics. Leiderdorp, 2011, p.37.

**საქართველოში 7-8 მლნ  
ტურისტი 2015 წელს - მითი თუ  
რეალობა**

**ლაშა ლაპაშვილი, მარკეტინგის, მაკა ჭითანავა  
იუ. ჯავახიშვილის სახ. თსუ-ის დოქტორანტები**

დღეს ტურიზმზე მსჯელობა სხვადასხვა საინფორმაციო საშუალების ერთ-ერთი წამყვანი თემაა - ზოგი დადგებითად აფასებს ამ სექტორში მიღწეულ შედეგებს, ზოგიც აკრიტიკებს მას, თუმცა, ყველა თანხმდება, რომ ტურიზმის სექტორი მსოფლიოს ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანების კომპონენტი ხდება. იგი ადიარებულია სფეროდ, რომელიც ყველაზე მეტ ეკონომიკურ საქმიანობასთანაა გადაჯაჭვული და მის განვითარებას პირდაპირი კავშირი აქვს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ პროგრესთან. დღეისათვის ტურიზმი მსოფლიო ეკონომიკის ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად განვითარებადი დარღია. მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის მონაცემებით, საერთაშორისო ტურისტების რაოდენობა განვითარებად ქვეყნებში (UNWTO tourism barometer) 2011 წლის პირველ ნახევარში საშუალოდ 4,5% -ით გაიზარდა 2010 წლის იმავე პერიოდთან შედარებით. ამასთან, 9% -იანი ზრდა დაფიქსირდა ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში. ტურიზმის სექტორის განვითარება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანების პრიორიტეტია საქართველოსთვისაც, რაც განსაკუთრებით მკაფიოდ გამოიხატა სახელმწიფოს მიერ სხვადასხვა რეგიონში ბოლო პერიოდში დასრულდებული თუ წამოწევებული ახალი პროექტებით. აღსანიშნავია, რომ ტურიზმი დიდი ხნის განმავლობაში პრიორიტეტულ მიმართულებიად მოიაზრებოდა საქართველოს ოფიციალურ დოკუმენტებში, თუმცა, რეალური ყურადღება მას მხოლოდ ბოლო რამდენიმე წელია მიექცა და სწრაფი განვითარებით ხასიათდება. მცხეთა, სიღნაძი, ქუთაისი, ქველი თბილისი, გუდაური, მესტია, ბათუმი, ანაკლია - ეს იმ ადგილების არასრული ჩამონათვალია, სადაც რეაბილიტაციის, განახლებისა და სხვადასხვა პროექტის განხორციელება რეკორდულ ვადებში დასრულდა ას დასრულების პროცესშია.

მთავრობის ძალისხმევის შედეგი ნათლად არის ასახული

საქართველოს საზღვრის დაცვის პოლიციის მონაცემებში. 2011 წლის მონაცემებით, საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე ჩამოსული უცხოელი მოქალაქეების რაოდენობა, რაც გაიგივებულია ტურისტთა რაოდენობასთან, 2010 წელთან შედარებით, 39%-ით გაიზარდა და 2.8 მლნ-ს გადაჭარბა. მთავრობის მიერ პროგნოზირებული რაოდენობა 2.5-3.0 მლნ ტურისტის შესახებ 2011 წლისთვის, ხმირად გამხდარა კრიტიკის თქმა. მართალია, 2011 წელს საქართველოში ჩამოსული უცხოელი მოქალაქეების რაოდენობა 3 მლნ ვერ გახდა, თუმცა, თავის ისტორიულ მაქსიმუმს მიაღწია და ზუსტად 8-ჯერ მეტ ვიზიტორს უმასპინძლა, ვიდრე 2003 წელს.

2011 წელს, საქართველოში ტურისტთა 63% დასტ-ს სივრცის ქვეყნებიდან ჩამოვიდა, რომელთა შორის ლიდერობენ: აზერბაიჯანი (25%), სომხეთი (25%), რუსეთი (10%) და ურაინა (2%). ევროპის ქვეყნებს შორის კი პირველ ადგილზეა თურქეთი - 25%. ევროკავშირის ქვეყნებიდან გამოირჩევიან პოლონეთი, საბერძნეთი და გერმანია. სამხრეთ აზიის ქვეყნებიდან კი ირანი ლიდერობს, საიდანაც 2011 წლის, 60 ათასზე მეტი ტურისტი შემოვიდა, რაც დაახლოებით 3-ჯერ მეტია წინა წლის მონაცემზე (იხ. ცხრილი 1 და დიაგრამა). ეს ფაქტი, ლოგიკურია, გამოწვეულია 2011 წლის 26 იანვრიდან საქართველოსა და ირანის ისლამურ რესპუბლიკას შორის უვიზო რეჟიმის ამოქმედებით.

ტურიზმის ხელშეწყობისა და განვითარებისთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან დიდადი თანხები იხარჯება. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ტურიზმის ეროვნული სააგენტოს 2011 წლის დაგეგმილი ბიუჯეტი შემცირდა (8,6 მლნ-დან 5,1 მლნ ლარამდე), ტურიზმის ხელშეწყობა ხორციელდება ბევრი სხვა მიმართულებით. მაგალითადდაცული ტურიტორიების სააგენტოს ერთ-ერთი პროგრამა - „ეკოტურიზმის განვითარება“, საქამაო სოლიდურ თანხებს ითვლის (250 მლნ ლარი 2011 წლისთვის გეგმის მიხედვით, იხ. ცხრილი 2), აგრეთვე კრიმინალური თვალსაზრისით გაუმჯობესებული გარემოც ტურიზმის განვითარების უმნიშვნელოვანების წინაპირობაა.

მთავრობის დიდი ძალისხმევის მიუხედავად, რიგი პრობლემა კვლავ არსებობს, რომელთა გადაჭრა აუცილებელია ტურისტთა ნაკადის არსებული ზრდის ტემპის შესანარჩუნებლად. მოგზაურობისა და ტურიზმის კონკურენტუნარიანობის ინდექსის (T&T) მიმდინარე წლის მონაცემების მიხედვით, საქართველო 73-ე ადგილზე იმყოფება 139 ქვეყანას შორის, ანუ სწორედ იმ პოზიციაზეა, რომელსაც იყავებდა 2009 წელს.


## გენერაცია, მარკეტინგი, ტურიზმი

**საქართველოში ჩამოსული უცხოული მოქალაქეების რაოდენობა (ათასობით)<sup>1</sup>**

(გერილი)

	2003	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011
ჩამოსულია რიცხვი, სულ % იმპოტ წელის შედებაზე	313,4	368,4	560,0	763,2	1,051,7	1,290,1	1,500,0	2,031,7	2,820,2
მათ შორის:	174,0	218,5	366,1	634,4	655,7	784,5	950,8	1,286,3	1,787,7
ღიათ-ს ქვეყნებიდან	-1%	26%	67%	73%	3%	20%	21%	35%	44%
ღასაცლელ ქვერიანის და ნრდილიერ აქტივის ქვეყნებიდან	21,7	26,4	34,5	50,7	45,9	46,0	50,4	59,0	74,5
დანარჩენი ქვერიანის და ნრდილიერ აქტივის ქვეყნებიდან	15%	22%	31%	47%	-9%	0%	9%	17%	26%
დანარჩენი ქსოვლითიდან	117,8	123,4	159,5	78,2	350,1	459,6	498,9	686,4	957,9
სულ ჩამოსულია მისამართის % იმპოტ 2003	14%	5%	29%	-51%	348%	31%	9%	38%	40%
სულ ჩამოსულია მისამართის % იმპოტ 2003	100%	118%	179%	243%	336%	412%	479%	648%	900%

<sup>1</sup> საქართველოს გერილის კრიკეტი საბჭები ( <http://www.gnta.ge/> )



ტურიზმის სექტორის სახელმწიფო დაფინანსება  
(ათასი ლარი)<sup>1</sup>.

ცხრილი 2

	2006	2007	2008	2009	2010	2011*
						(გეგმური)
საქართველოს ტურიზმის ეროვნული სააგენტო	1,147.6	4,709.8	6,062.0	2,854.7	8,638.7	5,064.5
პროგრამა „ამოტურიზმის განვითარება“	0	63.5	43.8	239.8	240.6	250.0

ეს იმ დროს, როცა თურქეთი რეიტინგში წინ მიიღვნებს, 2009 წლიდან დღემდე მსოფლიო რეიტინგში 6 საფეხურით წინ წაიწია და ნაცვლად 56-ე ადგილისა, ახლა 50-ე პოზიციაზე იმყოფება, ხოლო ევროპის მასშტაბით, 42 ქვეყნიდან თურქეთს 29-ე ადგილი უჭირავს, მაშინ როცა საქართველო 36-ე პოზიციაზეა. აღნიშნული ინდექსი 14 სხვადასხვა ინდიკატორზე დაყრდნობით იანგარიშება, მათ შორის მსოფლიოს 139 ქვეყნიდან საქართველო უკანა პოზიციებს იკავებს საინფორმაციო და კომუნიკაციური ტექნოლოგიების ინდექსის მიხედვით (82-ე ადგილი), საპარტნერო ტრანსპორტის ინფრასტრუქტურით (105-ე ადგილი) და მთლიანობაში ინფრასტრუქტურის მიხედვით, საქართველოს 94-ე ადგილი უკავია სომხეთს – მე-100-ე ადგილი,

<sup>2</sup> საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მონაცემებით.

## **მარკეტინგი, მარკეტინგი, ტურიზმი**

აზერბაიჯანს – 87-ე, თურქეთს - 55-ე, რესევოს - 53-ე ადგილი<sup>1</sup>.

მსოფლიოს ყველაზე იაფი კურორტების რეიტინგს თუ გადავხედავთ, თურქეთი ამ სიაში ერთ-ერთი ლიდერია. მსოფლიო ბაზარზე ტურიზმის სფეროში გაზრდილი კონკურენციის ფონზე, მით უმეტეს, როცა კონკურენტად ასეთი მეზობელი გვევლინება, მაღალი ფასები საქართველოში ტურიზმის უმთავრეს პრობლემად რჩება და განვითარების გარკვეულ ეტაპზე აუცილებლად შექმნის პრობლემებს. ასევე ადსანიშნავია, რომ საქართველოში ფასები უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე სერვისის ხარისხი. აქედან გამომდინარე შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ დღემდე ტურიზმის სექტორის ზრდა მეტწილად დამოკიდებული იყო საქართველოს საერთაშორისო იმიჯის გამყარებაზე, სხვადასხვა რეიტინგში მოწინავე ადგილის დაკავებასა და შესაბამისად, ქვეყნის მიმართ ცნობადობის ზრდაზე. 2005 წლიდან მოყოლებული, საქართველო გახდა „შეუსწავლელი“, საოცრად მიმზიდველი ეგზოტიკური ადგილი უცხოელი ტურისტებისათვის, რომლებიც მზად იყვნენ სხვა, მათვის ნაცნობი კურორტების ფასებთან შედარებით, მეტი გადაეხადათ ამ ”ახალი ხილის გასასინჯად“. თუმცა, შეუძლებელი იქნება ტურიზმის სექტორის ზრდის იგივე ტემპის შენარჩუნება, თუ ქვეყანა უფრო კონკურენტუნარიანი არ გახდება ტურიზმის სფეროში, თუ კონკურენცია არ გაიზარდა ამ ბაზარზე, რაც შესაბამისად გულისხმობს ფასების დაწევას და სერვისის ხარისხის გაუმჯობესებას. დაბალი კონკურენცია და მაღალი ფასები რისკის ქვეშ აყენებს საქართველოს ტურისტები დანიშნულების ადგილად არჩევას.

ამასთან, მთავარია არა ტურისტთა რაოდენობა, არამედ ის, თუ რამდენს ხარჯავს ტურისტი ქვეყანაში, რამდენ ტურისტს დაიტევს საქართველო და რის საფასურად? უკონტროლო ტურიზმი პოტენციურ საფრთხეს უქმნის ბუნებას მთელ მსოფლიოში. საფრთხეს უქმნის თვით იმ ინფრასტრუქტურასაც, რომელიც ასე მნიშვნელოვანია ამ სექტორის განვითარებისთვის, თუ არ არის შესაბამისად გათვლილი ტურისტთა დიდ რაოდენობაზე. ტურიზმი შეიძლება გამოიწვიოს დაბინძურების იგივე ფორმები, რაც ნებისმიერმა სხვა ინდუსტრიამ (პარის დამაბინძურებელი ემისიების ზრდა, ხმაური, შეარი ნარჩენებით დაბინძურება, ასევე

<sup>1</sup> მოგზაურობისა და ტურიზმის კონკურენტუნარიანობის ანგარიში. მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი. ჟენევა, შვეიცარია 2011. [www.weforum.org/tcr](http://www.weforum.org/tcr)

არქიტექტურული/გიზუალური დაბინძურებაც). აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია საქართველომ აქცენტი გააკეთოს არა ტურისტთა რაოდენობაზე, არამედ შეეცადოს ტურისტები მოზიდოს მსოფლიოს უფრო მდიდარი რეგიონებიდან (2011 წლის მონაცემებით, საქართველოში მთელ ტურისტთა მხოლოდ 2.6% იყო დასავლეთ ევროპიდან და ჩრდილოეთ ამერიკიდან), რისთვისაც მათ უნდა შესთავაზოს განვითარებული ინფრასტრუქტურა, მომსახურების მაღალი ხარისხი და კონკურენტული ფასები.

აქევე უნდა აღინიშნოს ვიზიტორთა აღრიცხვის არასრულ-ფასოვანი მეთოდოლოგიისა და მონაცემთა გამოქვეყნების მეტად მოუხერხებელი სისტემის შესახებ. სამწუხაროდ, საქართველოს ტურიზმის ეროვნული სააგენტოს გვერდზე გამოქვეყნებულ დოკუმენტებში ხშირად დაუსაბუთებდა იცვლება წინა წლების მონაცემები. მაგალითად, 2011 წლის დეკემბერში გამოქვეყნებულ მონაცემებში 2006 წლის ვიზიტორთა მთლიანი რაოდენობა 983 ათასს შეადგენდა, მოგვიანებით ეს რიცხვი 763 ათასამდე შემცირდა. ასევე, უმნიშვნელოდ, მაგრამ მაინც გაიზარდა 2010 წლის მონაცემები (870 ადამიანით). ასეთ ცვლილებებს შესაბამისი კომენტარი და დასაბუთება სჭირდება.

## 7-8 MILLION TOURISTS IN GEORGIA IN 2015 - MYTH OR REALITY

L. Labadze, M. Grigolia, M. Chitanava

The article notes that the tourism sector is an indispensable factor of economic growth in the world. The development of tourism is one of the top priorities for Georgia and it has been paid special attention recently. This is proved by the fact that in 2011 the number of visitors to the country 8 times exceeded the same figures for 2003. The leading countries, based on the number of visitors in Georgia, are: Turkey, Azerbaijan, Armenia (25% each), Russia (10%), Ukraine (2%), etc.

One of the major problems of tourism development in Georgia is the relatively low quality of tourist services and comparatively high prices. The article expresses the opinion that in the future the emphasis must be placed not only on the number of tourists, but also on attracting visitors from richer regions and offering them developed infrastructure, high-quality services and competitive prices. The article also highlights the necessity of improving the system of counting and publicizing the number of visitors.

მეცნიერებელი პროფესია  
მცნობელობის ფიზიკური  
გამოსახვის საკითხებისათვის

კონსტანტინე გეგენალიშვილი  
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის დოქტორანტი

კომპანიის, ორგანიზაციის, ნებისმიერი საწარმოს ეფექტურობა განისაზღვრება იმით, თუ როგორ აღწევს ის დასახულ მიზანს. მიზანი შეიძლება იყოს ნებისმიერი: ფინანსური მოგება, ბაზრის წილის გაზრდა, ცნობადობა, გადარჩენა, განვითარება, საქველმოქმედო პროგრამა. სწორად განისაზღვრული და გააზრებული მიზნის ჩამოყალიბება კომპანიის წარმატების წინაპირობაა. საქმაოდ ხშირად, მისითა და ხედვის ცნებას ერთმანეთში ურევენ, უფრო მეტიც, ამ თრ ცნებას როგორც ურთიერთ შემცვლელსაც მოიხსენებენ, თუმცა, ისინი შინაასრსობრივად განსხვავდება ერთმანეთისაგან. მისია – ეს არის კომპანიის არსებობის მიზეზი,<sup>1</sup> ხოლო ხედვა – რისკენ მიისწრაფის კომპანია. თუმცა, პრაქტიკა და გამოცდილება გვიჩვენებს, რომ კომპანიის წარმატებისთვის არ არის საქმარისი მას კარგად ჩამოყალიბებული მისია ჰქონდეს. არის იაპონური სენტრული: „მისია არაფერია ქმედების გარეშე, ხოლო ქმედება მისის გარეშე არის კოშმარი“.

თუ კომპანიის თანამშრომლები მართლაც წარმოადგენენ მის კველაზე ფასეულ აქტივს, რასაც პარვარდის უნივერსიტეტის პროფესორები ეთანხმებიან,<sup>2</sup> კომპანიის მისია სწორედ მათ ეხებათ. რაც არ უნდა მაღალტექნოლოგიური საწარმო არსე-

<sup>1</sup>Mission statement. Wikipedia. World electronic Encyclopedia. [http://en.wikipedia.org/wiki/Mission\\_statement](http://en.wikipedia.org/wiki/Mission_statement)

<sup>2</sup>Teresa Amabile and Steve Kramer, Harvard Business Review Blog Network. <http://blogs.hbr.org/hbsfauulty/2011/10/valuing-your-most-valuable.html>

## პონსტანციე მეგრელიშვილი

---

ბობდეს, მისი წარმატება მაინც იმ თანამშრომლებზეა დამოკიდებული, ვინც იქ მუშაობს. მისი ჩამოყალიბება საკმაოდ რთული პროცესია, ვინაიდან მისი შინაარსი, გასაგები, აღქმადი და ნათელი უნდა იყოს. მაგრამ ყველაზე რთული, თანამშრომლებამდე ამ მისის დაყვანის პროცესია. რთულია არა მხოლოდ თანამშრომლების ინფორმირების, არამედ მათ მიერ ამ მისის გასისხლეორცების პროცესი. სწორედ აქ იჩენს თავს ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ბერკეტი, რომელიც მენეჯერს გააჩნია – „კომუნიკაცია”. სწორედ კომუნიკაციის მეშვეობით ახორციელებს ხელმძღვანელი თავის მმართველობით ფუნქციებს. კომუნიკაციის გარეშე ვერ განხორციელდება დაგეგმარება, ორგანიზაცია, მოტივაცია და კონტროლი, ის ფუნქციები, რომელიც მართვის საფუძველს წარმოადგენს. ძირითადი პრობლემა კი არის ის, თუ რამდენად გააზრებული აქვთ ხელმძღვანელებს ამ ფუნქციის მნიშვნელობა.

ქართულ კომპანიებზე დაკვირვებამ აჩვენა, რომ კომუნიკაციის ფუნქცია აქ საერთოდ უგულვებელყოფილია. მას არავითარ მნიშვნელობას არ ანიჭებენ არა მხოლოდ თანამშრომლები, არამედ უშუალოდ ხელმძღვანელობაც. ამის მიზეზი შეიძლება იყოს ის ინფორმაციული ვაკუუმი, რომელიც საბჭოთა კავშირში არსებობდა და რომლის დროსაც ზოგიერთი დღევანდელი ხელმძღვანელი იზრდებოდა. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ პოსტსაბჭოთა სივრცეში, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგაც კი მისთვის დამახასიათებელი მეთოდები ბატონობდა. სწორედ ამიტომ უჭირს ბევრ თანამედროვე ხელმძღვანელს ეფექტიანი კომუნიკაციის მნიშვნელობის აღქმა.

ერთ-ერთი საშუალება წარმოვადგინოთ კომუნიკაციის მნიშვნელობა იმ ფორმით, რომელიც გასაგები იქნება ყველასათვის, განუერჩევლად მათი მენტალური განწყობისა, არის მისი წარმოხენა ფიზიკური გამოსახვით.

ფიზიკის დამტკიცებული კანონები წარმოადგენს აქ სიომას, რომელთა საფუძველზეც ხდება ბევრი ახალი თეორიის განმარტება და დამტკიცება. საერთოდ, მათემატიკა, ფიზიკა და

სხვ. ზუსტ მეცნიერებას წარმადგენს. თავის მხრივ, მენეჯმენტის მეცნიერება ეხება სოციალურ-ეკონომიკურ პროცესებს, და შესაბამისად – ადამიანურ რესურსებს. როგორც ცნობილია, ადამიანებთან ურთიერთობა რთული პროცესია, ვინაიდან თითოეული მათგანი განსხვავდება მენტალიტეტით, ხასიათით, საქმისადმი დამოკიდებულებით, უნარ-ჩვევებით და ა.შ.

ეფექტური კომუნიკაციის და მენეჯმენტის მაგალითს განვიხილავ კრილოვის ცნობილი იგავისა და ფიზიკის კანონის ურთიერთშერწყმის მაგალითზე. ყველას კარგად მოეხსენება ი. კრილოვის იგავი გედის, ქარიყლაპიასა და კიბორჩხალას შესახებ. იგავის შინაარსია ის, რომ სამმა მეგობარმა გადაწყვიტა ურმის გადაადგილება, ოუმცა, ვინაიდან გედი ცაში ცდილობდა გაფრენას, კიბორჩხალა უკან-უკან მიღიოდა, ხოლო ქარიყლაპია წყლისკენ გაიწეოდა, არაფერი გამოუვიდათ. კრილოვის ეს იგავი, არსებითად, რუსეთის იმდროინდელი (1777-1825წ.) იმპერატორის ალექსანდრე პირველის დასაცინად იყო დაწერილი, უფრო სწორად კი, მისი პოლიტიკის მიმართ ქვეყნის მოწესრიგების კუთხით.<sup>1</sup> დიდი ძალისხმეულის მიუხედავად, საქმე მაინც არ გამოდიოდა, ვინაიდან ქვეყანა ერთი მიმართულებით არ ვითარდებოდა. შესაბამისად, სახეზე გვაქვს მენეჯმენტის პრობლემა, რასაც ფიზიკური განმარტებაც გააჩნია.


წარმოვიდგინოთ, რომ ურმის გადაადგილება არის კომპანიის, ორგანიზაციის მიზანი, ქარიყლაპია, გედი და კიბორჩხალა - ამ ორგანიზაციის მუშაკები და თანამშრომლები. ამ შემთხვევაში, აღწერილი პროცესის მონაწილე მხოლოდ სამია, მაგრამ, როცა ორგანიზაციაში გაცილებით მეტი თანამშრომელია, მდგომარეობა გაცილებით უფრო რთულდება.

ყველა თანამშრომელი თავისი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, ხელს უწყობს ორგანიზაციას დასახული მიზნისაკენ იმოძრაოს. კონკრეტულ მაგალითზე მხოლოდ სამი ძალა ნაჩვენები, რომელიც ერთ წერტილზე მოქმედებს, ხოლო რეალური კომპანიის შემთხვევაში, ეს შეიძლება 10, 100 ან 1000

<sup>1</sup>Материал из Википедии – свободной энциклопедии; [http://ru.wikipedia.org/wiki/Лебедь,\\_Щука\\_и\\_Рак](http://ru.wikipedia.org/wiki/Лебедь,_Щука_и_Рак).


## პრინციპები მემკელიანობის

სხვადასხვა ძალა იყოს. ნიუტონის კანონის თანახმად,<sup>1</sup> ინერციულ სისტემაში სხეულის მატერიალური წერტილის სიჩაქარის შეცვლის იმპულსი ტოლია მასზე მოქმედი ყველა ძალის ვექტორული ჯამისა. თუ დავუშვებთ, რომ ძალები სხვადასხვა მიმართულებით მოქმედებენ, შესაბამისად, შეიძლება სხეულმა საერთოდ არ იმოძრაოს, თუკი მასზე მოქმედი ძალების ჯამი „ნულს“ უდრის. განვიხილოთ იგავის მაგალითი, სადაც მოქმედი ძალებია: კიბორჩხალა, გედი და ქარიყლაპია. (სქემა 1):



სქემა 1

სხეულის აჩქარების გამოთვლის დროს მასზე მოქმედი ყველა ძალა იცვლება ერთი ძალით, რომელსაც ტოლქმედი ძალა ეწოდება. ეს არის სხეულზე მოქმედი ყველა ძალის გეომეტრიული ჯამია. ორი ვექტორის შეჯამებისას უნდა გამოიყენოთ პარალელოგრამის ან სამკუთხედის წესი. შესაბამისად, მივიღებთ ამ ორი ვექტორული ძალის ერთ ჯამურ ძალას (სქემა 2):



სქემა 2

იმ შემთხვევაში, თუ ძალების სხვადასხვა მიმართულებით მოქმედებენ, და თუ დავუშვებთ, რომ მათი ძალა ერთნაირია,

<sup>1</sup> Newton's Laws on motion; [http://en.wikipedia.org/wiki/Newton's\\_Laws\\_of\\_Motion#cite\\_note-25](http://en.wikipedia.org/wiki/Newton's_Laws_of_Motion#cite_note-25)


## **მაცევებელი, მარკეტინგი, ტერიტორი**

მანქინი სხეულზე მოქმედი ძალების ჯამი შეადგენს „ნულს“ და შესაბამისად, სხეული არ იმოძრავებს:


$$R=F_1+(F_2+F_3)=0$$

მენეჯმენტში რთული შესაფასებელია კომპანიის მოძრაობაზე ამა თუ იმ თანამშრომლის ზემოქმედების ძალა, მაგრამ აშკარაა, რომ თუ კომპანიაში მყოფი ყველა თანამშრომელი ერთიანი მიზნისაკენ მიისწრაფვის, შესაბამისად კომპანია გაცილებით უფრო სწარაფად და ეფექტურად მიაღწევს დასახულ მიზანს (სქემა 3 და 4).

ერთიანი მისიის (მიზნის) გარშემო გაერთიანება კი მოითხოვს სწორედ კომუნიკაციის ასპექტების ცოდნასა და გამოყენებას. ჩვენს მაგალითში – სქემა 3, კომპანიის თანამშრომელთა მდგომარეობაა, როდესაც კომპანიის მიზანი მათთვის უცნობია; სქემა 4 კი – კომპანიის თანამშრომელთა მდგომარეობა, როდესაც კომპანიის მიზანი მათთვის ცნობილია და ყველა ამ მიმართულებით მოძრაობს.



სქემა 3



სქემა 4

ეფექტური მენეჯმენტი თრგანიზაციის წარმატების წინაპირობაა. მართვის ფუნქციების: დაგეგმვის, თრგანიზაციის, ხე-

## **პრესტიჟის მემკვლევილი**

---

ლოდღვანელობა/ლიდერობის, კონტროლის, აღრიცხვის და ა.შ. განხორციელება, სხვა საშუალებებთან ერთად, ძირითადად კომუნიკაციის მეშვეობით ხდება. მენეჯმენტი/მართვა, თავისი შინაარსიდან გამომდინარე, ითვალისწინებს ადამიანური რესურსების გამოყენებას და ხელმძღვანელობას, ხოლო ადამიანებთან ურთიერთობა კი კომუნიკაციის საშუალებით ხორციელდება.

სტატიაში ფიზიკის კანონებზე დაყრდნობით შემოთავაზე ბული კომუნიკაციის ფიზიკური მოდელი კიდევ ერთხელ ადასტურებს მართვის პროცესში ეფექტური კომუნიკაციის როლსა და მნიშვნელობას.

### **Description of Management by Laws of Physics**

K. Megrelishvili

Laws of physics, represents the axiom, based on which a lot of theories are being proved and explained. On its turn, science of management mainly concerns social-economical processes, which accordingly includes human resources. Dealing with people is a complicated process as they differ by mentality, character and attitude.

This article describes the new approach to the necessity and efficiency of communication of mission and vision of the company. The new approach is based on the law of physics, which makes it easier to understand and clearly describes the importance of communication in the process of management.

## იმპერიას დაცული ტერიტორიების

### როლი და მნიშვნელობა

ეპი ლევან

თსუს გეონომიკისა და  
ბიზნესის ფაქულტეტის დოქტორანტი

ბუნების დაცვის ერთ-ერთ უმთავრეს, ქმედით საშუალებას ბუნებრივი, ადამიანის ზემოქმედებით ნაკლებად შეღაესული ტერიტორიების დაცვა წარმოადგენს. ბუნების ცალკეული მონაკვეთისა თუ მონექტის შენარჩუნების პრაქტიკა ჯერ კიდევ ანტიკური ხანიდან არის ცნობილი. იმ დროს (და ნაწილობრივ შემდგომაც) ბუნებრივი წარმონაქმნების გარკვეული სანახების დაცვა მირითადად სახოგაძოვების რელიგიურ წარმოდგენებს უკავშირდებოდა, მაგალითად, ძველი ბერძნები, რომაელები და კალტები უმაკარესად იცავდნენ „წმინდა ტყეებს“. საქართველოში ბუნებრივი ტერიტორიების დაცვას დიდი ხნის ისტორია აქვს. პირველი საკანონმდებლო ხანაწერები ტყეებისა და ბუნების დაცვის შესახებ XII საუკუნით თარიღდება, როდესაც თამარ მეფებმ სამეფო ბრძანება გამოსცა ზოგიერთი ტერიტორიის დასაცავად. XVII საუკუნეში ვახტანგ VI-ის „კანონთა კრგბულში“ ყორულის ტერიტორია მოსხენიებულია, როგორც დაცვის მონექტი, რომელსაც მცველები იცავდნენ. ამ ტერიტორიაზე აკრძალული იყო ხეების მოჭრა და სეირნობა. მთიან რეგიონებში არსებობდა მკაცრი დაცვის ქვეშ მეოფი უგრიოწოდებული „ხატის ტყეები“, რომლებიც მკაცრ დაცვას ექვემდებარებოდა და ტიპურ ნაკრძალებს წარმოადგენდა.

პირველი ოფიციალური ნაკრძალი - ლაგოდეხის ნაკრძალი დაარსდა 1912 წლს. 1920-1930 წლებში დაცული ტერიტორიების რაოდენობა გაიზარდა, მაგრამ 1951 წლს, ბუნებრივი რესურსების მობილიზაციის გეგმის მიხედვით, არსებული 28 ნაკრძალიდან მხოლოდ ერთი - ლაგოდეხის ნაკრძალი დარჩა, დანარჩენი გაუქმდა. 1957 წლიდან ზოგიერთი ქველი ნაკრძალი აღადგინეს, რის შედეგადაც შემდგომ პერიოდში საქართველოში არსებობდა 14 ნაკრძალი და 5 სატყეო-სამონადირეო მეურნეობა, რომელთა ტერიტორიაც, საქართველოს მთლიანი ტერიტორიის 2.4%-ს შეადგენდა.

საბჭოთა პერიოდში დაცულ ტერიტორიებთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდებოდა 1958 წლის კანონით ბუნების დაცვის შესახებ. თუმცა, დაცული ტერიტორიების სისტემა იმავდროულად შედიოდა სატყეო სექტორშიც, რაც იწვევდა ინტერესთა შეუთახმებლიბას ბუნების კონსერვაციასა და სატყეო სექტორებს შორის კველა დონეზე (ადმინისტრაციული, საკანონმდებლო, მენეჯმენტის, დაგეგმვის და სხვა). ნაკრძალებში ნებისმიერი ჩარევა კანონით იყო აკრძალუ-

## ეპა დევიძე

ლი, თუმცა, ნაკრძალების უმეტესობაში კანონი ირდევოდა. ნაკრძალების დაარსებისას არ გამოიყენებოდა კომპლექსური მიღებომა, აქცენტი კეთდებოდა რომელიმე ერთი სახეობის დაცვაზე და ფურადდება არ ჰქცეოდა სხვა სახეობებსა და მთლიანად ეპოსისტემას. ნაკრძალის ჩამოყალიბების მიზნები არასწორად იყო იდგნტივიცირებული და არ არსებობდა დაცული ტერიტორიების ერთიანი საბართლებრივი ბაზა. აქედან გამომდინარე, ნაკრძალების უმეტესობა დაბალი ეკოლოგიური ეფექტებით ხსიათდებოდა.

გარდა ნაკრძალებისა და სატექნ-მეურნეობებისა, დაცვის კიდევ ერთ ობიექტს წარმოადგენდა „საქართველოს სსრ წითელ წიგნში“ შეტანილი ცოცხალი და არაცოცხალი ბუნების ძეგლები. ცოცხალი ბუნების ძეგლებს წარმოადგენდა დიდი ზომის და დიდხნოვანი ცალკეული ხე-მცენარეების მრავალსაუკუნვანი ეგზემპლარები (მაგ. ჭალა მუხა – „ერისტოს მუხა“ საგარეჯოს რ-ში, ასაკი 600 წელი; უთხოვარი – „ხე პატრიარქი“ ახმეტის რ-ში, ასაკი 1 800 წელი; და სხვა), სულ 30 ობიექტი. არაორგანული ბუნების ძეგლებს წარმოადგენდა კლდის სვეტები, მდგინებები, ნამარხი მცენარეულობა, კანიონები და ხეობები, ვულკანური ფორმები და სხვა, სულ 77 ობიექტი. ნაწილი ამ ძეგლებისა მდგბარეობდა უშუალოდ ნაკრძალების ტერიტორიაზე. ამ ძეგლების მენეჯმენტი არ ხდებოდა. თუმცა, ბუნების ძეგლების დაზიანებისა და ხელყოფისათვის შესაძლებელი იყო სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებაც. დაცული ტერიტორია ბიოლოგიური მრავალფეროვნების, ბუნებრივი რესურსებისა და ბუნებრივ გარემოში ჩართული კულტურული ფენომენების შესანარჩუნებლად განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე სახმელეთო ტერიტორია ან აკატორია, რომლის დაცვა და მართვა ხორციელდება გრძელვადიან და მყარ სამართლებრივ საფუძველზე.<sup>1</sup>

1990 წლიდან, საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების ხელშეწყობით, დაიწყო დაცული ტერიტორიების თანამდებროვე დაგეგმვა და ჩამოყალიბება. შემუშავდა საქართველოს დაცული ტერიტორიების სივრცითი სტრუქტურის განვითარების პირველი სქემა, რაც საფუძლად დაედო შემდგომ სამუშაოებს. 1995 წელს დაარსდა აღმოსავლეთ კავკასიონის, ივრის, კოლხეთის, აჭარა-იმერეთის, ცენტრალური კავკასიონისა და ერუშეთის, შავშეთისა და აფხაზეთის დაცული ტერიტორიების დაგეგმვარების რეგიონები. 1996 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“, რომლითაც დაკანონდა საერთაშორისო კრიტერიუმების შესაბამისი დაცული ტერიტორიების კატეგორიები, როგორიცაა:

- სახელმწიფო ნაკრძალი (მკაცრი დაცვა);
- ეროვნული პარკი (ეკოსისტემის კონსერვაცია და რეკრეაცია);
- ბუნების ძეგლი (ბუნების თავისებურებების კონსერვაცია);
- აღკვეთილი (შენარჩუნება აქტიური მართვის გზით);
- დაცული დანდშაფტი (ზღვის აკვატორიის კონსერვაცია და

<sup>1</sup> რ. შიშიაშვილი საქართველოს დაცული ტერიტორიების აწყო და მომავალი, თბილისი, 1997, გვ.5.

რეკრეაცია);

- მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორია – ბუნებრივი ეკოსისტემის მდგრადი გამოყენება!<sup>1</sup>

საქართველოში ამჟამად დაცული ტერიტორიების საერთო ფართობი არის 511 123 ჰა, რაც ქვეყნის ტერიტორიის დაახლოებით 7%-ია.

დაცული ტერიტორიების დაახლოებით 75% ტყით არის დაფარული. აქედან, სახელმწიფო ნაკრძალების საერთო რაოდენობაა 14, რომელთაც უკავია -141,5 ათასი ჰა, 9 ეროვნული პარკის მიერ დაკავებულია 270,7ათასი ჰა, 17 აღკვეთილს უკავია 64,1 ათასი ჰა, 14 ბუნების ძეგლს 314 – ჰა და 2 დაცული ლანდშაფტი მოიცავს 34,5 ათას ჰექტარს.<sup>2</sup>

რაც შეეხება იმერეთს, იგი წარმოდგენილია დაცული ტერიტორიების შემდეგი კატეგორიებით: აღკვეთილი, ნაკრძალი, ეროვნული პარკი, ბუნების ძეგლი. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ 2007 წელს საქართველოს კანონით: „იმერეთის მღვმების დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ”, სათაფლის ნაკრძალის აღმინისტრაციის ბაზაზე შეიქმნა იმერეთის მღვმების დაცული ტერიტორიები. ის კომპლექსური ხასიათისაა და მოიცავს გეოლოგიურ, პალეონტოლოგიურ, სპელეოლოგიურ და ბოტანიკურ იშვიათობებს.

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში წარმოდგენილია იმერეთის რეგიონის დაცული ტერიტორიების ჩამონათვალი აღმინისტრაციული ერთეულების მიხედვით.

#### **იმერეთის რეგიონის დაცული ტერიტორიები**

Nº	დასახელება	აღმინისტრაციული ერთეული	მანძილი ქალაქ ქუთაისიდან
1	აჯამეთის აღკვეთილი	ბ ა დ დ ა თ ი ს რაიონი	12 კმ
2	ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი	ხარაგაული	65 კმ
3	სათაფლის სახელმწიფო ნაკრძალი	წყალტუბო	7 კმ
4	ყუმისთავის მდვიმის ბუნების ძეგლი (პრომოთეს მდვიმე)	წყალტუბო	25 კმ
5	თეთრა მდვიმის ბუნების ძეგლი	წყალტუბო	26 კმ
6	ხომულის მდვიმის ბუნების ძეგლი	წყალტუბო	20 კმ

<sup>1</sup> World Wide Fund For Nature, Project Office Georgia 1997.

<sup>2</sup> <http://www.dpa.gov.ge/storage/uploads/mxcontent/publications/books/pdf/daculi%20teritoriebi.pdf>

## ეპა ღევთი

7	ცუცხვათის ბუნების ძეგლი	მდგიმოვანის მდგიმის ბუნების ძეგლი	ტყიბულისა და თერჯოლის საზღვარი	12კმ
8	ნავენახევის ძეგლი	მდგიმის ბუნების ძეგლი	თერჯოლი, სოფელი ნავენახევი	20კმ
9	ნაგარევის ძეგლი	მდგიმის ბუნების ძეგლი	თერჯოლი, სოფელი გოდოგანი	18კმ
10	იაზონის ძეგლი	მდგიმის ბუნების ძეგლი	თერჯოლი, სოფელი გოდოგანი	4კმ
11	საკაჟას ძეგლი	მდგიმის ბუნების ძეგლი	თერჯოლი, სოფელი გოდოგანი	12კმ
12	წყალწითელას ძეგლი	ხეობის ბუნების ძეგლი	თერჯოლი, სოფელ გოდოგანის ხიდსა და გელათის შორის	5კმ
13	ოქაცეს ძეგლი	კანიონის ბუნების ძეგლი	ხონი სოფელი კინჩხა	58კმ
14	ოქაცეს ძეგლი	ჩანჩქერის ბუნების ძეგლი	ხონი, სოფელი კინჩხა	58კმ (200- 300 )

2010/2011წწ. ქ. ქუთაისში საქართველოს სტატობიკული მეურნეობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის ფაკულტეტის სტუდენტების მიერ ჩატარებულ გამოკითხვით, ოურამდენად სმენია ან სტუმრობს საზოგადოება იმერეთის დაცულ ტერიტორიებს, აღმოჩნდა, რომ მოქალაქეთა აბსოლუტურ უმრავლესობას არ აქვს ინფორმაცია იმერეთის მდგიმების დაცული ტერიტორიების შესახებ. აქვე, უნდა აღინიშნოს, რომ ცხრილში მოცემული ჩამონათვალი არ არის სრული. იმერეთს დაცული ტერიტორიების კატეგორიების კიდევ უფრო მეტი რეალური, მაგრამ აუთვისებელი რესურსი გააჩნია, როგორიცაა: სოლერტას მდგიმე, სარყუმბალის მდგიმე გუმბრას მდგიმე(წყალტუბო), საწურბლიას მდგიმე (ყუმისთავის ტერიტორიაზე წყალტუბო), სათუგზიას მდგიმე (ხონი), ღევისხერელი (სოფელი ლაშე), საგვარჯილე (თერჯოლი), შეალიეთის მდგიმე (ყვირილას ხეობა), დარკვეთის ეხი, თარო კლდე მდგიმეების მდგიმე, სამგლე კლდე, სამელე კლდე სამერცხლე კლდე, სატობავის მდგიმე, სამროხის მდგიმე, საჭინეის მდგიმე

**(ჭიათურა).<sup>1</sup>** შექმნილი სურათის გამო საჭიროა დაცული ტერიტორიების კოორდინირებული მუშაობისა და ერთიანი სამოქმედო გეგმის ჩამოყალიბება, დაცული ტერიტორიების სრულყოფილ მონაცემთა ბაზის შექმნა, მოსახლეობის ინფორმირებულობა და რეკლამირება. ცხადია, ქალაქ ქუთაისის შემოგარენის მიწისქვეშა საქართველოში ჯერ ბოლომდე გამოუკვლეველია. გამოჩენილი ქართველი მეცნიერის, პროფესორ ლევან მარუაშვილის განცხარიშებით, ქუთაისის შემოგარენში 1000-მდე წევარამია (კარსტული იაბრებისა და ჭების იმერული განმარტება—უფსეულს-ქესენელს, ღრმა ორმოს ნიშანები). მისივე ცნობით, კირქვების გაშიშვლებულ წევბაში, ქალაქის ჩრდილოეთი, კარსტი ყოველი ფეხის ნაბიჯზეა.<sup>2</sup> იმერეთი რთული გეოლოგიური აღნაგობის მქონე რეგიონია, შეიძლება ითქვას, ბუნებრივიად არის გეოლოგიური მუზეუმი, წერს, პროფესორი თოარ ჩხეიძე თავის ფუნდამენტურ გამოკვლევაში — „იმერეთის ფიზიკური გეოგრაფია“.<sup>3</sup>

დაცული ტერიტორიების სისტემა უნდა ემსახურებოდეს თვითმეოფადი ბუნებრივ-კულტურული გარემოსა და მის ცალკეული კომპონენტების მომავალი თაობებისათვის შენარჩუნებას, რომელშიც დიდი წვლილი უნდა შეიტანოს სახელმწიფომ, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს დაცული ტერიტორიების დეპარტამენტმა და ამავდროულად არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ხელუხლებელი ბუნებისა და უძველესი კულტურის უმშვენიერესი სამყარო დაცული ტერიტორიების კატეგორიების სახით, ძალზედ დიდი რესურსია რეგიონში ტერიზმის წარმატებული განვითარებისათვის, რაც თავის მხრივ, დადგებითად მოქმედებს არა მხოლოდ რეგიონს, არამედ მთლიანად ქვეყნის ეკონომიკურ წინსვლაზე. რეკლამირებისა და ადაიარების კარგი მენეჯმენტი კი გიზიტორთა ინტერესს უდავოდ გაზრდის.

სამწევაროდ, ჯერ კიდევ არ გვაქვს გაცნობიერებული რა დიდი და მრავალმხრივი სიკეთის მოტანა შეუძლია დაცულ ტერიტორიებს საზოგადოებისათვის, ამიტომ, ქვემოთ გთავაზობთ, ჩვენი აზრით, რამდენიმე მთავარ სარგებელს;

**1. წარმატებული მნიშვნელობა:** ბუნებრივი, ნაკლებად დარღვეული, მით უფრო დაურღვეველი მცენარეული საფარი მდინარეთა წყალშემკრებ აუზებში ერთგვარი „საშრომის“ ფუნქციას ასრულებს, არეგულირებს ატმოსფერული ნალექების სახით ეკრისებიში შემოსულ წყალს, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილი ჩაედინება ნიადაგში, სადაც შეისრუტება მცენარეთა მიწისქვეშა ორგანოების მიერ. შესაბამისად, მიწისზედა ჩამონადენი ზომიერ მაჩვენებელს არ აჭარბებს, რაც რეგიონს ისეთი უარყიფითი მოვლენებისაგან იცავს, როგორიცაა წყალ-მოვარდნები, დვარცოფები. დაურღვეველი ტყები უმნიშვნელო-

<sup>1</sup> დევიძე გ. ცაგარებიშვილი ს. „იმერეთის დაცული ტერიტორიები“ ქუთაისი, 2010.

<sup>2</sup> მარუაშვილი ლ. ქუთაისისა და წყალტუბოს რაიონის წავარამები, ქუთაისის პედიატიტურის შრომები, ტII, გვ. 130.

<sup>3</sup> ჩხეიძე ო. იმერეთის ფიზიკური გეოგრაფია, ნაწილი I, 2008

## გვა ღვევის

ვანეს ზვავსაწინააღმდეგო ფუნქციასაც ასრულებს;

**2. ნიადაგის დაცვა:** დაურღვევებელ ან უმნიშვნელოდ დარღვეულ ეკოსისტემებში ბუნებრივი მცენარეული საფარი იცავს ნიადაგებს ჩამორგცხვისა და პროდუქტიულობის დაქვეთებისაგან, ნიადაგის სტენის წარმოქმნას საუკუნეები სჭირდება, განადგურება კი რამდენიმე წელიწადში შეიძლება;

**3. კლიმატის სტაბილიზება:** დაურღვეველი ეკოსისტემები, გარდა წყლის მარეულორეგბელი და ნიადაგდაცვითი ფუნქციებისა, კლიმატის სტაბილიზაციის როლშიც გვამდინება, დაცულ რეგიონებში ყალიბდება უცრო რბილი კლიმატი, რომელიც არ ხასიათდება მკვეთრი სეზონური და დღელამური კონტრასტებით და ხშირად, კარგად გამოხატული სამეურნეო რეგიონების მქონეა. შესაბამისად, ასეთ რეგიონს მაღალი რეკრეაციული პოტენციალი გააჩნია!

**4. ბიოლოგიური რესურსების შენარჩუნება:** ბუნებრვი ბიოლოგიური რესურსები მათი რაციონალური გამოყენებისას, პროდუქტიულობას ინარჩუნებს;

**5. გენტიკური რესურსების დაცვა:** ბუნებრვი პირობებში, დღესაც ალაგ-ალაგ შემონახულია მრავალფეროვანი გენოფონდი, ანუ დაცული ტერიტორიები გენეტიკური რესურსების ერთგვარ რეზერვუარია;

**6. ტურიზმის განვითარება:** ადგილებში, სადაც დაცული ტერიტორიების შექმნა ტურიზმის განვითარებასაც ითვალისწინებს, ადგილობრივი ეკონომიკა საგრძნობლად ვითარდება. ქვეყნისათვის ტურიზმს მოაქცის მნიშვნელოვანი შემოსავალი, ხოლო ლოკალურ დონეზე, იგი ხელს უწყობს მომგებიანი მცირე ბიზნესის განვითარებას (საოჯახო სასტუმროები, კაფე-რესტორნები, სატრანსპორტო მომსახურება, სუვენირების თუ ხალხური რეწვის ნიმუშების წარმოება და სხვ);

**7. რეკრეაციული განვითარება:** ადგილობრივ მოსახლეობას დაცულ ტერიტორიებზე არსებული რეკრეაციული პოტენციალის ამოქმედება დიდ სარგებელს მოუტნს, ხოლო საერთოდ ამ საქმიანობისათვის აუცილებელი ობიექტების ამოქმედება რეგიონების ბიუჯეტს დიდად წაადგება;

**8. სამუშაო ადგილების შექმნა:** გარდა თვით დაცული ტერიტორიებისათვის საჭირო სამუშაო ადგილებისა და ადამიანური რესურსისა, როგორიცაა: ტყის მცველები, რენჯჯერები, ექსერსამბლობები, გამყოლები და სხვა, დამატებითი ადგილები შეიქმნება შესაბამისი ინგრასტრუქტურის განვითარებისას (გზებისა და სხვა კომუნიკაციების გაყანა, ტურისტული თუ დასასვენებელი სახლების მშენებლობა-რეარნებული და სხვა);

**9. საგანმანათლებლო ფუნქციები:** დაცული ტერიტორიები წარმოადგენს იდეალურ ადგილს სკოლის მოსაწვლებისა თუ სტუდენტების მიერ საველე პრაქტიკის გასავლებლად ბიოლოგიაში, გოლოგიაში, გეოლოგიაში, გეორგიაშიასა თუ სოციო-ეკონომიკურ დისციპლინებში. ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის ხელშეწყობით

<sup>1</sup>World Wide Fund For Nature, Project Office Georgia 1997.

დაარსდა და უკვე ფუნქციონირებს ეკოლოგიური განათლების ცენტრი ყაზბეგში, ანალოგიური ცენტრები დაარსდება საქართველოს სხვა კუთხეებში – დაცული ტერიტორიების რეგიონებში.

**10. ჯანმრთელი და უსაფრთხო სასიცოცხლო გარემოს შენარჩუნება:** სუფთა პაერი და წყალი, ქიმიური სასუქებითა თუ პესტიციდებით დაუბინძურებული საკვები პროდუქტები, ლამაზი ლანდშაფტი დაცული ტერიტორიების რეგიონების მოსახლეობის ჯანმრთელი ცხოვრების საწილადარია;

**11. ტრადიციული ფასეულობების შენარჩუნება:** ტრადიციული მეურნეობის განვითარება, ხალხური რეწვის შენარჩუნება და ა.შ.;

**12. ბუნებრივი წონასწორობის შენარჩუნება:** ნაკრძალებში გამრავლებული ფრინიველები თუ მწერები ხელს უწეობს დაცული ტერიტორიების გარეთ მცენარეთა მტკრის გადატანას და ამით სახეობრივი მრავალფეროვნების შენარჩუნებას.

დაცული ტერიტორიები, მასზე შემონახული ხელუხლებელი ბუნებითა და უძველესი კულტურით, უმშვენიერები სამყაროა, რომელსაც თანამედროვე, განვითარებული ინფრასტრუქტურა ვიზიტორთათვის საინტერესოსა და მიმზიდველს ხდის. დაცული ტერიტორიების პოტენციური რესურსების სრულყოფილი გამოყენება და რეკლამირება კი საქართველოს სათანადო ადგილს დაუმკვიდრებს მსოფლიო ტურიზმის სივრცეში.

### The Role and Importance of Imereti Protected Areas

E. Devidze

The article provides the author's view on the role and importance of protected areas in Imereti region. In 1996, the Parliament of Georgia passed the law on the System of Protected Areas, which created a legal basis for establishing internationally recognized categories of protected areas, such as: **strict nature reserve, national park, natural monument, managed nature reserve, protected landscape and multiple use area – sustainable usage of natural ecosystem.**

The survey held by the students of Georgian State University of Subtropical Agriculture in Kutaisi (2010/2011) showed that among 14 protected areas just 3 of them (**Borjomi-Kharagauli national park, Sataftia strict nature reserve, Navenakhevi grotto**) are well known for the society, they have some information about 4 of them (**Ajameti managed nature reserve, Kumistavi grotto, Tsutskhvati grotto, Okatse waterfall**) and they know nothing about the rest. Except the categories of the protected areas listed in the law, Imereti region possesses other rich potential resources which are not investigated. It would be advisable to popularize those protected areas, to provide population with more information about truly unique nature, which will foster the development of tourism that will have positive impact on both the country's and the region's economic growth.

## სამეცნიერო პონდერების ორი საინტერესო ღვე

2011 წლის ოქტომბერში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ინიციატივით ჩატარდა ორდიანი I საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია – „სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების პრიორიტეტები“. კონფერენციის მხარდაჭერები იყვნენ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ციურისის (შვეიცარია) ტექნოლოგიური ინსტიტუტი და კომპანია „ინგლისური წიგნი საქართველოში“. კონფერენციის მუშაობაში, ქართველ მეცნიერებთან ერთად, მონაწილეობდნენ შვეიცარიიდან, ინგლისიდან, უკრაინიდან, აზერბაიჯანიდან მოწვეული სტუმრები. ასევე, ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანა“ და ფერემერები.

კონფერენცია გახსნა ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორმა, სრულმა პროფესორმა ეთერ ხარაიშვილმა. დამსწრეთ მიესალმნენ: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, სრული პროფესორი ელენე ხარაბაძე; მარინა ლომოური, თსუ რექტორის მრჩეველი, დოქტორი; ლისა ბრაუნი - „ინგლისური წიგნი საქართველოში“ – დირექტორი; ელენე შატბერაშვილი, ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანას“ წარმომადგენელი; ლარისა ლიუბონინეცი, ხმელნიცკის ეროვნული უნივერსიტეტის პროფესორი და სხვ. სტუმრებმა უცხოეთიდან განსაკუთრებული მადლინება გამოხატეს მოწვევისა და გულთბილი მასპინძლობისათვის.

დარბაზი წარმოდგენილი იყო უცხოეთისა და საქართველოს სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლიდან, საქართველოს სოფლის მეურნეობის, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროებიდან, ბიოლოგიურ

მეურნეობათა ასოციაციიდან, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიიდან, ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის ეკონომიკის, პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტებიდან მოწვეული მეცნიერებითა და სპეციალისტებით.

პლენარულ სხდომაზე შევიცარიის სოფლის მეურნეობის პოლიტიკის აქტუალური პრობლემების შესახებ უდიტორიის წინაშე მოხსენებით წარსდგა ცნობილი სპეციალისტი, ციურისის ტექნოლოგიური ინსტიტუტის პროფესორი დომინიკ ბარჯოლე; თსე სრულმა პროფესორმა იაშა მესხიამ და საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა პროფესორმა პაატა კოდუაშვილმა, როგორც პლენარული სხდომის ძირითადმა მომხსენებლებმა, ისაუბრეს კონფერენციის თემატიკასთან დაკავშირებულ პრობლემებსა და სიახლეებზე.

საკმაოდ აქტიურად წარიმართა მუშაობა სექციებში. კონფერენციის პირველ დღეს 13 სექცია მუშაობდა:

1. მდგრადი სოფლის მეურნეობის განვითარების ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური ასპექტები, ხელმძღვანელი პროფესორი რევაზ გოგოხია;
2. კონკურენცია და კონკურენტუნარიანობა აგროსასურსათი სექტორში, ხელმძღვანელი პროფესორი გიორგი დადანიძე;
3. აგრობიზნესი და სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარება, ხელმძღვანელი, ეკონომიკის დოქტორი ეკატერინე ზვიადაძე;
4. რისკები, განუსაზღვრელობა და დაზღვევა აგროსასურსათო სექტორში, ხელმძღვანელი პროფესორი ნოდარ ელიზარაშვილი;
5. სოფლის მეურნეობა და მაკროეკონომიკა, ხელმძღვანელი პროფესორი ნოდარ ხადური;
6. სოფლის მოსახლეობა: დემოგრაფიული პრობლემები, დასაქმება, სოციალური განვითარება, ხელმძღვანელი პროფესიონალის მეცნიერებათა აკადემიური კონფერენციის მეცნიერებების პოლიტიკის აქტუალური პრობლემების შესახებ უდიტორიის წინაშე მოხსენებით წარსდგა ცნობილი სპეციალისტი, ციურისის ტექნოლოგიური ინსტიტუტის პროფესორი დომინიკ ბარჯოლე; თსე სრულმა პროფესორმა იაშა მესხიამ და საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა პროფესორმა პაატა კოდუაშვილმა, როგორც პლენარული სხდომის ძირითადმა მომხსენებლებმა, ისაუბრეს კონფერენციის თემატიკასთან დაკავშირებულ პრობლემებსა და სიახლეებზე.

სორი მერაბ ხმალაძე;

7. აგრობიზნესის მარკეტინგი და მიწოდების სტრატეგიები, ხელმძღვანელი პროფესორი ნუგზარი თოდუა;

8. სასურსათო უსაფრთხოება, ხელმძღვანელი პროფესორი ელგუჯა მექვაბიშვილი;

9. აგრობიზნესის მენეჯმენტი, ხელმძღვანელი პროფესორი დავით ნარმანია;

10. აგროტურიზმი, ხელმძღვანელი პროფესორი ანზორ დევაძე;

11. ფინანსები, ბუღალტრული აღრიცხვა და ანგარიშგება სოფლის მეურნეობაში, ხელმძღვანელი პროფესორი ელენე ხარაბაძე;

12. თანამდროვე ტექნოლოგიები სოფლის მეურნეობაში, ხელმძღვანელი პროფესორი ქეთევან ლაფერაშვილი;

13. სტუდენტური კვლევები, ხელმძღვანელი ასისტენტ-პროფესორი ნინო ფარესაშვილი.

კონფერენციის დირექტორი უნდა ჩაითვალოს მის მუშაობაში სტუდენტური კვლევების ჩართვა.

შემაჯამებელ სხდომაზე სექციის ხელმძღვანელებმა წარმოადგინეს დასკრები და სამთავრობო რეკომენდაციები. ამაღლებები იყო კონფერენციის მონაწილეობის სერთიფიკატებისა და მოწვევლი სტუმრებისათვის საჩუქრების გადაცემის ცერემონიალი.

კონფერენციის დასასრულს „ყველის სახლის” ორგანიზებით გაიმართა ყველის ფესტივალი, სადაც წარმოდგენილი იყო ქართული ყველის მრავალნაირი სახეობა, რამაც დიდი ინტერესი და მოწონება დაიმსახურა.

კონფერენციის მეორე დღეს მოეწყო ღვინის ტური ნაფარეულში - „ტყუპების მელი მარანი”. საინტერესოდ წარსდგა სტუმრების წინაშე ფირმის ხელმძღვანელი გელა გამტკიცულაშვილი. მან შესანიშნავი პრეზენტაციით - „კახური ქვევრის ღვინო”, სტუმრებს გააცნო ოჯახის ტრადიციები და ქვევრის ღვინოს დაყენების უძველესი ტექნოლოგიები. ამ

პროცესში თავიანთი ნიჭიერებითა და განსწავლულობით კვლავ ჩაერთვნენ სტუდენტები პრეზენტაციით - „ქართული ღვინო“.

ტრადიციულ ქართულ ჩოხებში გამოწყობილმა სტუდენტებმა საზოგადოებას გააცნეს ქართული სამარკო ღვინოების ისტორია, წარმატებები და უცხოურ ბაზრებზე გასვლის პერსპექტივები.

პრეზენტაციების დასრულების შემდეგ კონფერენციის მონაწილეებს საშუალება ჰქონდათ თვითონვე გაეხსნათ და დაეგემოვნებინათ კახური ქვევრის ღვინო, ამოევლოთ ჩურჩხელები და გამოეცხოთ დედას პური.

დასასრულს გაიმართა კახური ნადიმი, სადაც მასპინძლებთან ერთად სტუმრებმა - შვეიცარიიდან, ინგლისიდან და უკრაინიდან, განსაკუთრებულად მოილნიერების მიხედვის მიზანით გამოიწვია სამარკო ღვინოების მომზადების და გამოეცხოთ დედას პური.

კონფერენციის ორმაშინაარსობრივად და ემოციურად დატვირთულმა დღემ მაღალორგანიზებულ დონეზე ჩაიარა. კონფერენციის მონაწილეები იმ იმედით ემშვიდობებოდნენ ერთმანეთს, რომ კვლავ ექნებოდათ საშუალება ჩართულიყვნენ აგრარული ეკონომიკის აქტუალური პრობლემებისადმი მიძღვნილ II საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციაში, რომელიც 2013 წელს შედგება თბილისში.

## სწავლულ ეკონომისტთა დიდი დანაკლისი გირგი პაპავა

ქართულმა ეროვნულმა მეცნიერებამ საერთოდ, და განსაკუთრებით წარმომისტთა საზოგადოებამ, დიდი დანაკლისი განიცადა. 89 წლის ასაკში გარდაიცვალა თვალსაჩინო მეცნიერი, უმაღლესი სკოლის დამსახურებული პედაგოგი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს ტექნოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, პატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-კონსულტანტი, საქართველოს საშუალო სპეციალური და უმაღლესი განათლების სამინისტროს რესპუბლიკური პრემიის ლაურეატი, აკადემიკოს პატა გუგუშვილის სახელობის პრემიის ლაურეატი, ღირსების ორდენის კავალერი - გიორგი ვლადიმერის ძე პაპავა. იგი დაიბადა 1923 წლის 3 იანვარს სამტრედიაში. მამამისი ვლადიმერ თადეოზის ძე პაპავა, ცნობილი მეცნიერ-სტატისტიკოსი იყო, რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოღვაწეობდა. სწორედ მან დაუდო სათავე პაპავების საყოველთაოდ აღიარებულ მეცნიერ-ეკონომისტთა დინასტიას.

ბატონ გიორგი პაპავას ცხოვრების გზა ია-ვარდებით არ ყოფილა მოფენილი. საშუალო სკოლის წარჩინებით დამთავრებისთანავე პირტიტველა ჭაბუკი მეორე მსოფლიო ომის შუაგულში აღმოჩნდა ჩაბმული. მისი ფრონტული თავგადასავლების აღწერა შორს წაგვიყანს, მაგრამ ის მაინც უნდა აღინიშნოს, რომ მან როგორც ტყვედ ჩავარდნილმა მეომარმა მთელი სისასტიკით გამოსცადა გესტაპოს ჯურლმულებში ყოფნის ჯოჯოხეთური რეალობა, მან სამი კონცენტრაციული ბანაკი გამოიარა და მეგობრობის ფასი, ვაჟკაცობა და სულის სიმტკიცე ამ სისასტიკეში გამობრძმედა. აღბათ, ბედისწერას უნდა ვუმაღლოდეთ მის შემთხვევით გადარჩენას გესტაპოს ტყვეობიდან, მაგრამ შემთხვევით არაფრი ხდება... იქიდან თავის დაღწევის პერიპეტიები... მერმე იყო სამშობლოში დაბრუნების დიდი სიხარული და სამოქალაქო ცხოვრების დაწყება. მან როგორც ნიჭიერმა ახალგაზრდამ, წარჩინებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი, წარმატებით ჩააბარა ასპირანტურაში მისაღები გამოცდები, დასძლია საკონკურსო მოთხოვნები, მაგრამ მიუხედავად ამისა, როგორც ტყვედ ნამყოფი, არ ჩარიცხეს ასპირანტურაში. როგორც თვითონ წერს მოგონებებში – „ჩემში აღბეჭდილი აკადემიკოს პატა გუგუშვილის სახე“, ვერც

## სახელმწიფო აღმინიჭობური გადარენა

მის დიდი მასწავლებლის, ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორის პაპატა გუგუშვილის თავგამოდებამ და შუამდგომლობამ უშველა. თუმცა, მისივე რჩევით, სანამ ტყვედნამყოფობის ისტორიას შეისწავლიდნენ, წარმოებაში წასვლა ურჩია და სულ მალე მეცნიერებაში დაბრუნების გზები დაუსახა. „მ რჩევის მიხედვით მე წავედი წარმოებაში... დღესაც კი მადლიერების გრძნობა მავსებს ამ ერისკაცის, დიდი პიროვნებისა და მეცნიერის მიმართ“, წერს მოგვიანებით უკვე პროფესორი, ცნობილი მოღვაწე გიორგი პაპაგა თავისი დიდი მასწავლებლისა და უფროსი მეგობრის პაატა გუგუშვილის შესახებ ზემოაღნიშნულ მოგონებებში. მან ეს რჩევა ყურად იღო და წლების განმავლობაშირიგითთანამშრომლად თუპასუხსაგებთანამდებობაზე იმუშავა საწარმოებში, პრაქტიკული გამოცდილება დააგროვა და პარალელურად მეცნიერებაშიც გაიწაფა. სულ მოკლე პერიოდში მან 1959 წელს დაიცვა ჯერ ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატის, ხოლო 1972 წელს ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი, ანუ მთლიანად სამეცნიერო მუშაობის ფერხულში ჩაეხა და დიდ წარმატებასაც მიაღწია: იგი 150-ზე მეტი ნაშრომის ავტორია, რომელთა შორის ორი ათეული მონოგრაფიული გამოკვლევა. ფართო და მრავალწახნაგოვანი იყო მისი მეცნიერული კვლევის სფერო, როგორც წესი, იგი მეტად რთულ და თითქმის დაუმუშავებელ პრობლემებს იკვლევდა და ყველგან თავის კვალს ტოვებდა ამა თუ იმ სიახლის შეტანით. ორიგინალური, სხვებისგან განსხვავებული იყო მისი მსჯელობისა და მეცნიერული წერის მანერაც. მის ნაშრომებს შორის დიდ ინტერესს იწვევს ორტომეული – „სამრეწველო ფირმის ორგანიზაცია და მართვა“, ასევე – „საბაზრო ეკონომიკის კონცეფცია საქართველოში“, „მეწარმეობის საფუძვლები“, „ეკონომიკის საბაზრო ტექნოლოგია“ და მრავალი სხვა. განსაკუთრებით საინტერესოა გიორგი პაპავას უცხოეთში გამოქვეყნებული ნაშრომები, რომელთა შორის მეცნიერული სიახლეებით გამოირჩევა სტოკოლმში 2009 წელს გამოქვეყნებული მონოგრაფია „Методология познания качества реалий смешанной рыночной экономики и паралогизма“. მთლიანობაში, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ პროფესორმა გიორგი პაპავამ, თავისი ღრმადშინარსიანი და მრავალფეროვანი მეცნიერული კველვით, ფაქტობრივად, შექმნა ეკონომიკური კვლევის ახალი მიმართულება საწარმოთა ტექნიკურ-ეკონომიკური მახასიათებლების სისტემის მარკეტინგული მართვის საფუძვლების შესახებ, ასევე მეცნიერული შემცნების სისტემური მეთოდოლოგია, „პერიოდანტულ-გენეტიკური მიდგომის“ სახით, ეკონომიკურ მახასიათებელთა მულტიპლიკაციური მთლიანობითი სისტემა მენეჯმენტის ორგანიზებულობის გაზომვისათვის, რეალური ეკონომიკის

---

---

(მიკროეკონომიკის) ნორმალიზებული საბაზრო ტექნოლოგიის თეორია და ა.შ.

პროფესორი გიორგი პაპავა სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე თავის სამუშაო მაგიდას უჯდა და ახალ მეცნიერულ ჩანაფიქრს აყალიბებდა, სიცოცხლის ბოლო დღეებში, უკვე 2012 წელს გამოიცა მისი ნაშრომი „მორფოლოგიური მიღებობა ეკონომიკური რეალობის მიმართ“, მაგრამ მას ზევრი ახალი ჩანაფიქრი განუხორციელებელი დარჩა. თუმცა, ის ძალიან ბედნიერი იყო თავისი მეცნიერული თუ ცხოვრებისეული მოღვაწეობით და ნიუტონის ბრძნული აზრის – „მამაჩემზე ჭკვანი იმიტომ ვარ და მასზე შორს იმიტომ მივდივარ, რომ მამაჩემის მხებზე ვდგავარ“, პერეფრაზით – „მე ვამაყობ იმით, რომ ჩემ დიდ მამას გავუსწარი, მაგრამ უფრო ამაყი ვარ იმით, რომ ჩემმა შვილმა ორივეს გაგვასწრო“, – ხარობდა და ოხუნჯობდა იგი ხშირად. იმის თქმაც უყარდა, რომ „ჩემი შვილი მაშინ მაჯობებს მე, როცა იმაზე უკეთეს შვილს აღზრდის ვიდრე მე აღზარდეო“.

ბატონი გიორგი მეცნიერების კარგი ორგანიზაციონური იყო, იგი წლების განმავლობაში საპასუხისმგებლო თანამდებობაზე მუშაობდა ეკონომიკური პროფილის სამეცნიერო–კვლევით ინსტიტუტებში, იყო ასპირანტებისა და მაძიებლების სანიტურო ხელმძღვანელი. დაუღალავ სამეცნიერო კვლევით მოღვაწეობასთან ერთად, იგი ეწეოდა შინაარსიან პედაგოგიურ საქმიანობას საქართველოს უპირველეს სასწავლებელში - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც დიდი ავტორიტეტითა და სიყვარულით სარეგბლიობდა პროფესორ–მასწავლებლებსა და სტუდენტ–ახალგაზრდობაში. თავისი საქმიანობის ყველა სფეროში იგი მუდმივად სიახლის მაძიებელი, მოუსვენარი და დაუღლელი მოღვაწე იყო.

თვალსაჩინო მეცნიერისა და ამაგდარი პედაგოგის, მშობლიური საქართველოს დიდი პატრიოტისა და მოქალაქეს, ძვირფასი კოლეგისა და პიროვნების ხსოვნა მუდამ იქნება ჩვენში. მისივე სიტყვებით დავასრულოთ: „სიკეთის ფასი გუნდებაში ნულია, მოქმედებაში ფასდაუდებელი“ – ამ გზით იარა ბატონმა გიორგიმ და ეს სიკეთე მოქმედებაში მუდამ დარჩება მისი მოწაფეების, მეგობრების, მისი ოჯახის წარმოსახვაში.

ელენე ხარაბაძე

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელწიფო უნივერსიტეტის

კუნთომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, სრული პროფესორი,

რამზა აბესაძე

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელწიფო უნივერსიტეტის

## სახელმწიფო კულტურული მემკვიდრეობის მინისტრი

პაატა გუგუშვილის კულტურის მინისტრის მინისტრის დირექტორი, ეკონ. მეცნ. დოქტორი,  
პროფესიონალი, ავთანდილი საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ეკონ.  
მეცნ. დოქტორი, პროფესიონალი, დოკტორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი,  
ეკონ. მეცნ. დოქტორი, პროფესიონალი, ელგუჯა მექებაძიშვილი  
თსუ კულტურისა და მიზნების ფაკულტეტის კულტომიკის პრინციპების  
კათედრის გამგე, ეკონ. მეცნ. დოქტორი, სრული პროფესიონალი  
თსუ კულტომიკისა და მიზნების ფაკულტეტის კულტომეტრიკის კათედრის გამგე,  
ეკონ. მეცნ. დოქტორი, სრული პროფესიონალი  
თსუ კულტომიკისა და მიზნების ფაკულტეტის მიკროკონომიკის კათედრის  
გამგე, ეკონ. მეცნ. დოქტორი, სრული პროფესიონალი  
რეგაზ გველესანი  
თსუ კულტომიკური პოლიტიკის კათედრის გამგე,  
ეკონ. მეცნ. დოქტორი, სრული პროფესიონალი  
თაშმანი მესხია  
თსუ კულტომიკისა და მიზნების ფაკულტეტის სრული პროფესიონალი,  
ეკონ. მეცნ. დოქტორი, სრული პროფესიონალი,  
ნოდარი ბადური  
თსუ კულტომიკისა და მიზნების ფაკულტეტის  
მაკროკონომიკის კათედრის გამგე, სრული პროფესიონალი  
ნუგზარ პაიჭაძე  
ეკონ. მეცნ. დოქტორი, თსუ კულტომიკისა და  
მიზნების ფაკულტეტის პროფესიონალი  
ბიკენტი გაბიძაშვილი  
ეკონ. მეცნ. დოქტორი, თსუ კულტომიკისა და  
მიზნების ფაკულტეტის პროფესიონალი  
ნოდარ ჭითანაგა  
ეკონ. მეცნ. დოქტორი, საქართველოს სოფლის მეურნეობის  
მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი,  
რეგაზ გოგოხია  
თსუ ქურნ. „კულტომიკა და მიზნები“ მთავარი რედაქტორი,  
ეკონ. მეცნ. დოქტორი, პროფესიონალი.

## პროფესორი რობერტ ჭავთიძე – 70

რობერტ ჭავთიძე დაიბადა 1942 წლის 8 იანვარს ოზურგეთის რაიონის სოფელ კონჭკათში, ტრადიციულ ქართულ ოჯახში – დედა ნინო ბერიაშვილისა და მამა გიორგი ჭავთიძის დარგის აღიარებული მუშაკი იყო, იგი, მიუხედავად იმისა, რომ 90 წელსამდე მიღწეული, კვლავაც ჩინებული დიასახლისი და დიდი ოჯახის წინამდლოლ–მართველია. მამა – შოთა ალატონის მემკვიდრეობის მამი გიორგი ჭავთიძის მუშაკი იყო (1998 წელს ნაადრევად გარდაიცვალა), მან სანქტ-პეტერბურგში წარმატებით დაიცვა დისერტაცია ეკონომიკურ მენიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად. ბატონი შოთა გამოირჩეოდა პრინციპულობით, საქმისადმი დიდი სიყვარულით, თავისთავისა და სხვებისადმი დიდი მომთხოვნელობით, წარმოგინერირებულ სელმდვანელ-ორგანიზაციის საუკეთესო თვისებებით, მეგობრული სულითა და თანადგომით – ლხინსა თუ ჭირში ყოველთვის წინაპოზიებზე იყო და უანგაროდ ემსახურებოდა მშობლიურ ქეყანასა და ხალხს. ასეთ ოჯახში დაიბადნენ და გაიზარდნენ მმა-დები ქუმარები, რომელთა შორის ჩვენმა იუბილარმა ბოლნისის სულხანსაბათ თრბელიანის სახელობის ქართული საშუალო სკოლა ოქროს მედალზე დაამთავრა 1959 წელს. იმავე წელს ჩაირიცხა და 1964 წელს ასევე წარჩინებით დამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტი. 1965-1970 წლებში იყო საქართველოს საგეგმო კომიტეტთან არსებული სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ასპირანტი, უმცროსი მეცნიერებათა კანდიდატის, ხოლო 1990 წელს წარმატებით დაიცვა ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატის, ხოლო 1991 წელს კი – ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის სარისხი, 1991 წლიდან იგი პროფესორია.

პროფ. რ. ქუმარები 1970 წლის სექტემბრიდან 2006 წლის სექტემბრამდე იყო იგი ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამშრომელი, სადაც თანმიმდევრულად განვლო

## **სახელმწიფო კულტურა**

გზა დოცენტის თანამდებობიდან დაწყებილი პროფესორის თანამდებობამდე. აღნიშნულ პერიოდში პროფ. რ. ქუტიძე – 1978-1985 წლებში იყო თსუ-ის სააღრიცხვო-ეკონომიკური ფაკულტეტის დეკანი, ხოლო 1998-2005 წლებში, ასევე თსუ-ის ეკონომიკური თეორიის საფუძლების კათედრის გამგე. სწორედ აღნიშნულ თანამდებობებზე გამოვლინდა პროფ. რ. ქუტიძის მენეჯერულ-ორგანიზაციული უნარი და შესაძლებლობები, რაც გამოიხატა ფაკულტეტზე სასწავლო-აღმზრდელობითი და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის მაღალი დონით, აგრეთვე იმით, რომ მისი თაოსნობით ფაკულტეტმა შეიძირო კავშირი დაამყარა სხვადასხვა ქვეყნის უმაღლესი სასწავლებლობის მონათესავე ფაკულტეტების პროფესურასა და სტუდენტობასთან; ფართო ხასიათი მიიღო ლექტორებისა და სტუდენტთა ურთიერთგაცვლისა და ასევე ერთობლივი სამეცნიერო და პრაქტიკული კონფერენციების ჩატარების პრაქტიკამ, რაც მეტად ნაყოფიერი და ეფექტუარი გამოდგა. სწორედ ასეთი სანიმუშო მოღვაწეობისათვის პროფ. რ. ქუტიძემ 1998 წელს დაიმსახურა საქართველოს პრეზიდენტის მადლობის სიგელი.

პროფ. რ. ქუტიძის როგორც საკანდიდატო, ასევე სადოქტორო საკვალიფიკაციო ნაშრომები მიძღვნილია ისეთი აქტუალური თემის აღმი, როგორიცაა კვალიფიციური სამუშაო ძალის აღწარმოების ორინიულად ურთიერთების და პრაქტიკულად საქართველოსთვის მეტად მნიშვნელოვანი მრავალწახნაგოვანი პრობლემა. ხაზგასმით შეიძლება ითქვას, რომ პროფ. რ. ქუტიძემ თავისი 40-წლიანი სამეცნიერო მუშაობა არსებითად სწორედ აღნიშნულ პრობლემას მიუძღვნა, წონად შედეგებსაც მიაღწია და მაღალი შეფასება დაიმსახურა, რაც ჩანს იქიდან, რომ მისი სამეცნიერო პუბლიკაციები არაერთხელ გამხდარა საერთაშორისო თუ რესაუბლივიური კონფერენციების მწვავე, მაგრამ ჯანსაღი მსჯელობის საგანი, რაც ჯეროვნადა ფიქსირებული შესაბამისი კონფერენციების შემაჯამებელ დოკუმენტებში.

პროფ. რ. ქუტიძეს სულ გამოქვეყნებული აქვს 80-მდე სამეცნიერო ნაშრომი, რომელთაგან სამი მონოგრაფიული გამოკვლევა, ხუთი კი – სახელმძღვანელო და დამხმარე სახელმძღვანელოა. მათ შორის, თავის დროზე, განსაკუთრებული მოწონებითა და პოპულარობით სარგებლობდა და დღესაც არ დაუკარგავს აქტუალურობა სახელმძღ-

---

---

განელოს - „ეკონომიკური თეორიის საფუძვლები” (პირველი გამოცემის თანავერო პროფ. ირ. ქვაჩახია), რომელიც რამდენჯერმე გამოიცა საქართველოში მიმდინარე საბაზრო ეკონომიკის მშენებლობის პოლიტიკის პოზიტიური და ნეგატიური მხარეების გათვალისწინებით.

მთლიანობაში, დიდია პროფ. რ. ქუტიძის დამსახურება სტუდენტი-ახალგაზრდობის აღზრდის, მაღალკალიტიფიციური სპეციალისტების მომზადების საქმეში. იგი ამ სფეროს შესანიშნავად უძღვებოდა როგორც ფაკულტეტის დეკანი, კათედრის გამგე და რიგითი დექტორი. პროფ. რ. ქუტიძე უცი წლის მანძილზე იყო თსუ დიდი სამეცნიერო საბჭოს წევრი და ამითაც თავისი წვლილი შპკონდა საუნივერსიტეტო საქმეთა წარმატებებში.

ხაზგასახმელია მისი მაღალი ადამიანური თვისებები: იგი როგორც მოქალაქე, სამშობლოს დიდი ქომაგი და პატრიოტია; გამორჩეული პიროვნება, საიმედო და ძირუფასი მეგობარია; ვერ იტანს პირმოთქობას, სიცრუეს, გაუტანლობას; ოჯახის დიდი მოყვარული და დამფახებელია; დედასთან ერთად მისი ბურჯი და სიამაყეა დირსეული მეუღლე; დები, სამი შვილი, რძლები, ათი შვილი-შვილი და სამი შვილთაშვილი...

პროფესორი რ. ქუტიძე ყველა ზამთადნიშნული დამსახურებისათვის დაჯილდოებულია იგანე ჯაგახიშვილის მედლით და დირსების ორდენით.

პროფესორი რ. ქუტიძე ოპტიმისტი პიროვნებაა – მას ეჭვიც არ ეპარება, რომ ქართველთა ოცნება ფრთხებს შეისხამს – ქართველი ხალხი გაერთიანდება, საქართველო გამოლიანდება, ჰერმარიტად გაბრწყინდება და თავისი დიდებული ტრადიციებითა და სამომავლო მიზნების განხორციელებით, ქვეყანა კვლავაც დირსეულ წვლილს შეიტანს საკაცობრიო ცივილიზაციის განვითარებაში.

### კლანე ხარაბაძე

ივ. ჯაგახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, სრული პროფესორი,

## **სახელოვან აღაშიათია გალერეა**

\_\_\_\_\_

ელგუჯა მექაბიშვილი  
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის  
ეკონომიკის პრინციპების კათედრის გამგე,  
ეკონ. მეცნ. დოქტორი, სრული პროფესორი,

რევაზ გველესიანი  
თსუ ეკონომიკური პოლიტიკის კათედრის გამგე,  
ეკონ. მეცნ. დოქტორი, სრული პროფესორი,

ავტონილ სილამამა  
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული  
აკადემიის წევრ-კორესპონდენტი,

ლეი ჩიხავა  
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნუ-  
ლი  
აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, საქართველოს  
ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი,

ნებგარ პატარა  
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,  
თსუ პროფესორი,

რევაზ მოგონია  
უურნ. „ეკონომიკა და ბიზნესის“ მთავარი რე-  
დაქტორი,  
ეკონ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი.

---

---

ISSN 1987-5789



დაიბეჭდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
ობილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე

კომპიუტერული უზრუნველყოფა -  
მანანა ჯიხვიშვილი